

# **ვალდებულებითი სამართალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების  
ვადის გადაცილებისათვის**

**ბანკინება**

№ას-903-848-2012

4 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს „ს-ს“ გენერალურმა დირექტორმა ბათუმის საქალაქო სა-  
სამართლოს შპს „ა.-ბ.-ის“ წინააღმდეგ სარჩელით მიმართა, მო-  
პასუხისათვის 143 633,26 ლარის დაკისრების, ასევე შენობის  
ექსპლუატაციაში გადაცემის დავალდებულების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 20 აგვისტოს შპს „ა.-  
ბ.-სა“ და სს გეს „ს-ს“ შორის ფართის ნასყიდობის შესახებ წი-  
ნასწარი ხელშეკრულება გაფორმდა. გასაყიდ ქონებას წარმო-  
ადგენდა ქ. ბათუმში გენერალ მ-ის ქუჩის №47-ში მდებარე 220,8  
კვ.მ №7 ოფისი. მხარეებმა შეადგინეს ღირებულების გადახდის  
გრაფიკი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.  
მხარეთა შეთანხმებით, შენობის ე. წ. კარკასის მშენებლობა უნ-  
და დასრულებულიყო 2008 წლის ოქტომბრის ბოლო სამუშაო  
დღემდე, ხოლო ქონების მფლობელობაში გადაცემა უნდა გან-  
ხორციელებულიყო არა უგვიანეს 2009 წლის 30 სექტემბრისა.  
მოსარჩელემ ნაკისრი ვალდებულება სრულად შეასრულა, ხო-  
ლო შპს „ა. ბ-მა“ დაარღვია როგორც კარკასის მშენებლობის,  
ისე ექსპლუატაციაში გადაცემის ვადები. გადახდის გრაფიკის  
თანახმად, „ს-ს“ ბოლო ტრანში კარკასის აშენებიდან არაუგვი-  
ანეს 15 დღისა უნდა გადაეხადა. მოსარჩელემ 240 800 აშშ დო-  
ლარი 24.11.2008 წელს გადაიხადა. ხელშეკრულების თანახმად,  
გრაფიკით განსაზღვრული თანხების წინსწრებით დაფარვის  
შემთხვევაში, მყიდველს დაერიცხებოდა წლიური 14,5%, მომ-  
დევნო სავალდებულო გადახდის დღემდე. ვინაიდან მხარეს  
კარკასის მშენებლობა ვადაში არ დაუსრულებია, ბოლო ტრან-  
ში წინასწარაა გადახდილი. გარდა ამისა, ხელშეკრულებით გან-  
საზღვრული იყო მხოლოდ მყიდველის ვალდებულება პირგასამ-

ტეხლოს გადახდის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულმა შენობის გადაცემის ვადა დაარღვია. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი „წლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე“ არის 7,01% 2010 წლისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხეს 38 012,36 ლარი უნდა დაეკისროს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ბოლო ტრანში არ არის წინსწრებით გადახდილი და მას არ უნდა დაერიცხოს პროცენტი. გარდა ამისა, 2011 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, მიმდინარეობდა შენობის ვარგისად აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. კარკასის მშენებლობის ვადა მოპასუხეს არ დაურღვევია, მან დროულად არ აცნობა აღნიშნული ეტაპის დასრულების თაობაზე შესაბამის ორგანოებს, რამაც დაჯარიმება გამოიწვია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს გეს „ს-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ა.-ბ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ 143633,26 ლარის გადახდა დაეკისრა. მოპასუხეს დავალა ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ქონების მოსარჩელის მფლობელობაში გადაცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „ა.-ბ-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განჩინებით სს გეს „ს-ს“ განცხადება სარჩელის ნაწილობრივ გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა მოპასუხის დავალდებულება შენობის მოსარჩელის მფლობელობაში გადაცემა, გაუქმდა და ამ ნაწილში სარჩელი განუხილველად დარჩა.

იმავე სასამართლოს 2012 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით შპს „ა.-ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს „ა.-ბ-ისა“ და სს გეს „ს-ს“ შორის 2007 წლის 20 აგვისტოს გაფორმდა „წინასწარი ხელშეკრულება ფართის ნასყიდობის შესახებ“. მხარეებმა ასევე ხელი მოაწერეს „ღირებულების გადახდის გრაფიკს“;

2. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტის შესაბამისად, კარკასის სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2008 წლის ოქტომბრის ბოლო სამუშაო დღე;

3. მოსარჩელის მიერ ტრანში უნდა გადაეხადა შენობის კარკასის სამუშაოების დასრულებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში;

4. ფართის ნასყიდობის შესახებ წინასწარი ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად, გრაფიკის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, მყიდველის მიერ გრაფიკით განსაზღვრულ თანხაზე მეტობით გადახდილ თანხას, მყიდველის სასარგებლოდ დაერიცხებოდა წლიური 14.5% მომდევნო სავალდებულო გადახდის დღემდე და აღნიშნული თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 196-ე მუხლით გათვალისწინებული 10%-ის დაკავებით გამოაკლდებოდა ხელშეკრულების დანართში წარმოდგენილ გადახდის გრაფიკის მომდევნო შენატანს. სადავო ფართის ღირებულება მოსარჩელის მიერ გადახდილია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია ვადაგადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შპს „ა.-ბ.-ი“ არ იყო სს გეს „ს-ს“ მოვალე, შესაბამისად, მოპასუხე ვერც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებდა და მოსარჩელის მოთხოვნაც ამ მიმართებით შპს „ა.-ბ.-ისათვის“ თანხის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქმეში არსებული (ხელშეკრულებაზე თანდართული) ღირებულების გადახდის გრაფიკის მიხედვით სს გეს „ს-ს“ შპს „ა.-ბ.-ის“ სასარგებლოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბოლო გადახდა უნდა შეესრულებინა 2008 წლის 15 ნოემბერს, მოსარჩელის მიერ მოპასუხეზე თანხის ბოლო გადახდა კი შესრულებულია 2008 წლის 29 ნოემბერს, ანუ სს გეს „ს-ს“ შპს „ა.-ბ.-ისთვის“ ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული გრაფიკის თანხების წინსწრებით დაფარვა არ მოუხდენია, შესაბამისად, მოსარჩელის აზრით მეტობით გადახდილ თანხაზე, წლიური 14,5%-ის

(105620.9 ლარის) დარიცხვა დაუშვებელია და ამ ნაწილშიც სარჩელი უსაფუძვლოა. ხელშეკრულების 3.2.2. პუნქტის თანახმად, გრაფიკში დაფიქსირებული ბოლო ტრანში გადახდილ უნდა ყოფილიყო შენობის კარკასის აშენების შემდეგ. ასეთ თარიღად მიჩნეული იყო 2008 წლის ოქტომბრის ბოლო სამუშაო დღე, საიდანაც ბოლო ტრანშის გადახდა მოხდებოდა 15 კალენდარული დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ ამ თარიღისათვის კარკასი არ იქნებოდა აშენებული, მყიდველს უფლება ეძლეოდა გადახდა შეეჩერებინა მის აშენებამდე. გადახდის ახალი თარიღი დაემთხვეოდა კარკასის მშენებლობის დასრულების ახალ თარიღს, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ა.-ბ.-ს“, საქმეში არსებული შესრულებული სამუშაოების მიღების №6,7,9 და 10 აქტების მიხედვით, რომლებიც დათარიღებულია 2008 წლის 12 ივნისით, აგრეთვე, ამავე წლის 15 სექტემბრით, სადავო შენობის კარკასი აშენებული ჰქონდა 2008 წლის 15 სექტემბრისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს აზრით, ამ აქტებში მითითებული თუნდაც ერთ-ერთი სამუშაოს („კრამიტის სახურავის მოწყობა, ხის მოლარტყვით, თბოიზოლაციის და ჰიდროიზოლაციის მოწყობით“), შესრულება შეუძლებელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება სს გეს „ს-მ“ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

კასატორის მოსაზრებით, აპელანტმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ გამოასწორა, რის გამოც შპს „ა.-ბ.-ს“ სააპელაციო საჩივარი სასამართლომ წარმოებაში არ უნდა მიეღო. სააპელაციო სასამართლომ, ასევე გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი, რომელსაც მოცემულ დავასთან კავშირი არ აქვს. სასამართლომ, ასევე არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა დაარღვია. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, სს გეს „ს-ს“ შპს „ა.-ბ.-ს“ სასარგებლოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბოლო გადახდა უნდა შეესრულებინა 2008 წლის 15 ნოემბერს, მოსარჩელემ კი თანხა გადაიხადა 2008 წლის 29 ნოემბერს, ანუ სს გეს „ს-ს“ შპს „ა.-ბ.-ისთვის“ ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული გრაფიკის თანხა წინსწრებით არ დაუფარავს, შესაბამისად, მოსარჩელის აზრით, მეტობით გადახდილ თანხაზე, წლიური 14,5%-ის (105620.9 ლარის) დარიცხვა დაუშვებელია და ამ ნაწილშიც სარჩელი უსა-

ფუძვლო. სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია სამართლის ნორმა, რომლის საფუძველზეც ამ დასკვნამდე მივიდა. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და ისე მივიდა დასკვნამდე, რომ კარკასის მშენებლობა დროულად დასრულდა. სარჩელზე დართული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კარკასის მშენებლობა 2010 წლის აგვისტოშიც კი არ იყო დასრულებული. სარჩელის თანახმად, მხარე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას სამოქალაქო კოდექსის 411-ე-414-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს კი, ამ მოთხოვნაზე არც უმსჯელია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სს გეს „ს-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგინილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს „ა.-ბ.-ისა“ და სს გეს „ს-ს“ შორის 2007 წლის 20 აგვისტოს გაფორმდა „წინასწარი ხელშეკრულება ფართის ნასყიდობის შესახებ“. მხარეებმა ასევე ხელი მოაწერეს „ღირებულების გადახდის გრაფიკს“;

2. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტის შესაბამისად, კარკასის სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2008 წლის ოქტომბრის ბოლო სამუშაო დღე;

3. მოსარჩელეს ტრანში უნდა გადაეხადა შენობის კარკასის სამუშაოების დასრულებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში;

4. ფართის ნასყიდობის შესახებ წინასწარი ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად, გრაფიკის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, მყიდველის მიერ გრაფიკით განსაზღვრულ თანხაზე მეტობით გადახდილ თანხას, მყიდველის სასარგებლოდ დაერიცხებოდა წლიური 14.5% მომდევნო სავალდებულო გადახდის დღემდე და აღნიშნული თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 196-ე მუხლით გათვალისწინებული 10%-ის დაკავებით გამოაკლდებოდა ხელშეკრულების დანართში წარმოდგენილ გადახდის გრაფიკის მომდევნო შენატანს;

5. სადავო ფართის ღირებულება მოსარჩელეს გადახდილი აქვს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცე-

ბულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება). განსახილველ შემთხვევაში, ამგვარი პრეტენზია წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ სს გეს „ს-ს“ გრაფიკით გათვალისწინებული თანხა წინასწარ არ დაუფარავს.

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარე მიუთითებს მხოლოდ გრაფიკით გათვალისწინებული ბოლო ტრანშის წინასწარ დაფარვაზე და ითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის დარიცხვას, იმ საფუძველით, რომ ამ დროისათვის შენობის კარკასი აშენებული არ იყო.

ზემოაღნიშნული მოთხოვნის საფუძველიანობის დადგენისათვის სასამართლომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისი პირობებით უნდა იხელმძღვანელოს.

2007 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულების მე-3 თავი აწესრიგებს ქონების ღირებულებასა და ანგარიშსწორების წესთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული თავი ითვალისწინებს თანხის ნაწილის გადახდას ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო 3.2.2 პუნქტის თანახმად, დანარჩენი თანხა მყიდველს უნდა გადაეხადა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გრაფიკში დაფიქსირებული ბოლო ტრანში უნდა გადახდილიყო შენობის კარკასის აშენების შემდეგ. ასეთ თარიღად მიჩნეულია 2008 წლის ოქტომბრის ბოლო სამუშაო დღე, საიდანაც ბოლო ტრანშის გადახდა უნდა მომხდარიყო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ამ თარიღისათვის კარკასი არ იქნებოდა აშენებული, მყიდველს უფლება ეძლეოდა გადახდა შეეჩერებინა მის აშენებამდე.

იმავე ხელშეკრულების 3.3 პუნქტი კი შემდეგ პირობას ითვალისწინებს: „წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ით განსაზღვრულ თანხაზე მეტობით გადახდილ თანხას, მყიდველის სასარგებლოდ დაერიცხება წლიური 14,5% მომდევნო სავალდებულო გადახდის დღემდე და აღნიშნული თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის №196 მუხლით გათვალისწინებული 10%-ის დაკავებით გამოაკლდება წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართში წარმოდგენილი გრაფიკის მომდევნო შენატანს“.

ხელშეკრულების 9.3 პუნქტის მიხედვით, მყიდველი ქონების ღირებულების გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ბრალის მიუხედავად, იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,5%.

ამდენად, მითითებული პირობები ცხადყოფს, რომ მყიდველი ნასყიდობის ფასის გარკვეულ ნაწილს იხდიდა ეტაპობრივად, მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკით. თითო ჯერზე გადასახდელ თანხაზე მეტის გადახდის შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილ თანხას ერიცხებოდა პროცენტი მომდევნო სავალდებულო გადახდის თარიღამდე და დაგროვილი თანხა უნდა ჩათვლილიყო მომდევნო შენატანის ანგარიშში, ანუ, ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა თანხის წინსწრებით დაფარვისას დარიცხული საპროცენტო სარგებლის მყიდველისათვის თავისუფლად განსაკარგავად გადაცემას, არამედ თანხა გამოაკლდებოდა გრაფიკით გათვალისწინებულ მომდევნო შენატანს, რაც, საბოლოო ჯამში, მყიდველის მიერ გადასახდელ თანხას შეამცირებდა. მხარეები შეთანხმებულები იყვნენ კონკრეტულ ვადაზე, რომლის დადგომამდეც ორივე მხარეს ნაკისრი ვალდებულება უნდა შეესრულებინა – „ა.-ბ.-ს“ მშენებლობის განსაზღვრული ეტაპი დაემთავრებინა, ხოლო „ს-ს“ თანხის ბოლო ნაწილი დაეფარა. თუ გამყიდველი ვალდებულებას ვადაში ვერ შეასრულებდა, შესაბამისად გადაინვედა მყიდველის ვალდებულების შესრულების ვადაც, რაც ძველ ვადაში განხორციელებულ შენატანს წინასწარ გადახდილად აქცევდა (ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტი). აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულების აღნიშნული პირობები არასწორად განმარტა, მაგრამ „ა.-ბ.-ისათვის“ პროცენტის დაკისრების საფუძველი მაინც არ არსებობდა, რადგანაც ამ უკანასკნელის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევა არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ „ა.-ბ.-ს“ შენობის კარკასი 2008 წლის ოქტომბრისათვის აშენებული ჰქონდა. მოსარჩელე, მიუთითებს რა კარკასის აშენების ვადის დარღვევაზე, ეყრდნობა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2010 წლის 21 სექტემბრის №205 დადგენილებას. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შპს „ა.-ბ.-ი“ დაჯარიმდა 1000 ლარით ძირითადი მზიდი კონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების დაუდასტურებელი ეტაპის გამო. დადგენილების მიხედვით, ასევე ირკვევა, რომ შენობის სახურავი მოწყობილი იყო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დადგენილების არსებობა, თავისთავად



ვად, ხელშეკრულების პირობების დარღვევას არ ნიშნავს. დადგენილებით ის გარემოება დასტურდება, რომ შემომწმების დროისათვის „ა.-ბ.-ს“ დასრულებული ჰქონდა ძირითადი მზიდი კონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები, რის შესახებაც შესაბამისი სახელმწიფო უწყებისათვის არ მიუმართავს, რაც მის მიმართ სანქციების გამოყენების საფუძველი გახდა, მაგრამ არ დასტურდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კარკასის მშენებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ დასრულებულა. მხარეთა შორის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მნიშვნელოვანია ის, რომ განსაზღვრული მოქმედება დათქმულ ვადაში შესრულებული ყოფილიყო, გამყიდველის ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან კი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა ვალდებულებებზე გავლენას ვერ მოახდენდა. მითითებული დადგენილება ადასტურებს, რომ შპს „ა.-ბ.-მა“ მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული ვალდებულება სახელმწიფოსთან დაარღვია და არა მოსარჩელესთან.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ შპს „ა.-ბ.-ს“, საქმეში არსებული შესრულებული სამუშაოების მიღების №6,7,9 და 10 აქტების მიხედვით, რომლებიც დათარიღებულია 2008 წლის 12 ივნისით, აგრეთვე, ამავე წლის 15 სექტემბრით, სადავო შენობის კარკასი ამჟამინდელი ჰქონდა 2008 წლის 15 სექტემბრისათვის წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ აქტებში მითითებული თუნდაც ერთ-ერთი სამუშაოს („კრამიტის სახურავის მონყობა, ხის მოლარტყვით, თბოიზოლაციის და ჰიდროიზოლაციის მონყობით“), შესრულება შეუძლებელი იქნებოდა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის წინსწრებით გადახდილი თანხის 14,5%-ის – 105620.9 ლარის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში დასაბუთებული, კანონიერი და უცვლელად უნდა დარჩეს.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას, მოპასუხისათვის 38012,36 ლარის დაკისრების თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველ რიგში სწორად უნდა განისაზღვროს ამ მოთხოვნის არსი.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოსარჩელე ითხოვდა არა პირგასამტეხლოს დაკისრებას „ა.-ბ.-ისათვის“, რო-

გორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია და აპელაციამ გვერდი აუარა თავის გადაწყვეტილებაში, არამედ ზიანის ანაზღაურებას ფართის მფლობელობაში გადაცემის ვადის გადაცილებისათვის. მხარე სარჩელში მიუთითებს, რომ ხელშეკრულებით პირგასამტეხლო გათვალისწინებულია მხოლოდ მყიდველის მიერ თანხის გადახდის ვადის გადაცილებაზე, საკუთარ მოთხოვნად კი, ზიანის ანაზღაურებას ასახელებს და სამოქალაქო კოდექსის 411-ე-414-ე მუხლებზე მიუთითებს. ხელშეკრულების ამ პირობის გათვალისწინებით, მოსარჩელეს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება რომ მოეთხოვა, სარჩელი უსაფუძვლო იქნებოდა, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 417-ე და 418-ე მუხლების შესაბამისად, სავალდებულოა პირგასამტეხლოს თაობაზე მხარეთა შეთანხმება, რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 თავის თანახმად, ფართი ექსპლუატაციაში უნდა გადაცემულიყო არაუგვიანეს 2009 წლის 30 სექტემბრისა. სარჩელის სასამართლოში შეტანის დროისათვის მიმდინარეობდა შენობის ვარგისად აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება, ანუ იკვეთება ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევა, რასაც არც მოპასუხე უარყოფს.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

იმავე კოდექსის 394-ე მუხლის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით და არასწორად განმარტა, რომ მოპასუხე არ იყო მოსარჩელის მოვალე და არ გადაუცილებია ფულადი ვალდებულების შესრულების ვადისათვის, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის „მოვალის მიერ ვადის გადაცილების“ შესახებ თავი არ გულისხმობს მხოლოდ სესხის ხელშეკრულების მოვალეს, ანუ დებიტორს. მოვალე გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებაში პირს, რომელსაც ამ ხელშეკრულებით გარკვეული ქმედების განხორციელების ან ქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულება ეკისრება. გარდა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისა, მითითებულ თავში მოცემულია 404-ე

მუხლიც, რომლის თანახმადაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. კრედიტორი ამ შემთხვევაში ნებისმიერ ხელშეკრულებაში შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე პირია და არა მხოლოდ ფულადი ვალდებულების კრედიტორი.

მოსარჩელეს არ მოუთხოვია საპროცენტო სარგებელის დაკისრება, მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურება იყო, რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მხარე დაეყრდნო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ „ნლიურ შენონილ საპროცენტო განაკვეთებს ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე“, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარემ აღნიშნული ნორმატიული აქტი გამოიყენა როგორც ზიანის ანაზღაურების სამართლიანი ოდენობის განსაზღვრის საშუალება და არ მიუთითებია საკუთარი მოთხოვნის საფუძვლად ფულადი ვალდებულების არსებობა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობა (ზიანის არსებობა, მოპასუხის ბრალი და ა.შ.), დაედგინა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაეწყვიტა, რაც მას არ განუხორციელებია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხარის ამ მოთხოვნაზე, პრაქტიკულად, არც უმსჯელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნაზე, დაადგინოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, იმსჯელოს მხარის მიერ მოთხოვნილი კომპენსაციის საფუძვლიანობასა და სამართლიანობაზე და სასარჩელო მოთხოვნის სწორი სამართლებრივი შეფასების გზით გადაჭრას დავა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სს გეს „ს-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების სახით შპს „ა.-ბ.-ისათვის“ 38012,36 ლარის დაკისრების შესახებ სს გეს „ს-ს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების  
ვადის გადაცილებისათვის**

**განჩინება**

№ას-244-234-2013

10 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ვაგონის მოცდენის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „ს. რ-ამ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს „ბ. ო. ი. ლ-ის“ მიმართ გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის – 846 125 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი გა-

რემოებების გამო:

2004 წლიდან შპს „ს. რ-ის“ მეშვეობით კომპანია „ბ. ო. ი. ლ-ი“ ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვას სხვადასხვა მოცულობით. მიუხედავად შპს „ს. რ-ის“ მხრიდან საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისა, გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე, რომელიც იმავდროულად იყო ტვირთმიმღები, ვერ უზრუნველყოფდა დანიშნულების ადგილზე მიტანილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დროულად მიღებასა და დაცლას, რის გამოც, ვაგონციტერნები ყოვნდებოდა, როგორც ფოთის, ასევე გზად მდებარე სადგურებში (ფილიალ „სადგურ თბილისი მახარისხებულში“, „სადგურ თბილისი საკვანძოში“, „სადგურ ზესტაფონში“). ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვისათვის მოპასუხე ორგანიზაციის მიერ გადასახდელი საფასური განისაზღვრება „ს. რ-ის სატარიფო პოლიტიკის შესახებ“ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2002 წლის 3 იანვრის №1 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეზე შპს „ს. რ-ის“ მიერ, მოქმედი ნორმატიული აქტებისა და ტარიფების შესაბამისად, 2005 წლის იანვრიდან სარჩელის აღძვრამდე დარიცხულია და გადახდას ექვემდებარება 846 125 ლარი.

„ბ. ო. ი. ლ-მა“ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით მოითხოვა:

სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, ტვირთმიმღებს წარმოადგენდა ფოთის ერთ-ერთი ტერმინალის ოპერატორი კომპანია „ჩ. ე-ი“. სარკინიგზო კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე ტვირთმიმღები განმარტებულია, როგორც ტვირთის მიღების უფლებამოსილების მქონე პირი. სწორედ ასეთ პირს წარმოადგენდა „ჩ. ე-ი“, რომელიც აწარმოებდა ტვირთის მიღებასა და მომსახურებას, რასაც, ცხადია, „ბ. ო. ი-ი“, როგორც არარეზიდენტი კომპანია, რომელიც არ არის საქართველოში რეგისტრირებული და არ არის დაკავებული მსგავსი საქმიანობით, ვერ განახორციელებდა. ამასვე ადასტურებს „ბ. ო. ი. ლ-სა“ და „ჩ. ე-ის“ შორის არსებული 2003 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებაც, რომლის საფუძველზეც, დანიშნულების ადგილას ტვირთის მიტანის შემდგომ ფოთის პორტის სატვირთო ტერმინალში ტვირთის გადმოტვირთვის და მისი რეზერვუარებში დროული განთავსების ვალდებულება ეკისრებოდა „ჩ. ე-ის“. იგივე დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ყველა ზედნადებით, რომლებშიც ტვირთმიმღების გრაფაში პირდაპირ არის მი-

თითება „ჩ. ე-ე“. „ბ. ო. ი-ს“ არ აკავშირებდა რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა მოსარჩელესთან, თავად არ ანარმოებდა ტვირთის გადაზიდვებს და გადაზიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ იღებდა მონაწილეობას. ამ საქმიანობას ახორციელებდნენ სრულიად დამოუკიდებელი გადამზიდავი კომპანიები, შესაბამისად, „ბ. ო. ი-ს“ არ დაურღვევია სახელშეკრულებო ვალდებულებები და გამორიცხულია მისი პასუხისმგებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, „ბ. ო. ი. ლ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 390 946,57 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

მოცემული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი სასამართლოების მიერ, საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინებით „ბ. ო. ი. ლ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატის მითითებით, ამავე სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, ერთი მხრივ, „ბ.-ო. ი. ლ-ის“ და, მეორე მხრივ, შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინებით სს „ს. რ-სა“ და „ბ. ო. ი. ლ-ის“ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად მიუთითა მტკიცებულებათა არასრულ გამოკვლევასა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და, შესაბამისად, დავის სამართლებრივი შეფასების არასარწმუნოობაზე. პალატამ მიუთითა მოცემულ დავაზე სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

„ბ.-ო. ი. ლ-ი“ დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანიაა და საქართველოში არ აქვს წარმომადგენლობა. მისი დაკვე-

თით ტვირთს აზერბაიჯანიდან საქართველოში (ფოთში) სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით აგზავნიდა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „ს-ი“. ტვირთის მესაკუთრე იყო „ბ.ო.ი“, რომელიც წინასწარ იხდიდა ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას. შპს „ჩ-ე-სა“ და „ბ.ო.ს“ შორის 2003 წლის 25 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება „დასაწყობებისა და გადატვირთების შესახებ“, რომლის პირველი და მეორე მუხლების თანახმად, „ბ.ო.ი“ არის სივრცისა და მომსახურების მყიდველი (მომხმარებელი), ხოლო „ჩ. ე-ი“, სივრცისა და მომსახურების გამყიდველი. „ჩ. ე-ი“ მდებარეობს ფოთში და წარმოადგენს სანაპირო რეზერვუარებს ფოთის საზღვაო პორტში. ხელშეკრულებით „ბ.ს“ თავისი ხარჯებით „ჩ. ე-ის“ უნდა მიენოდებინა დიზელის საწვავი და ბენზინი 2003 წლის 30 დეკემბრიდან 2004 წლის 30 დეკემბრამდე. ხელშეკრულების მე-5 მუხლით, „ბ.“ ვალდებული იყო, „ჩ. ე-ან“ შეეთანხმებინა გაგზავნისა და მიწოდების პროგრამა თითოეული თვის ბოლომდე, რათა განსაზღვრულიყო მომდევნო თვის მიწოდების გრაფიკი მოცდენების თავიდან აცილების მიზნით. მე-8 მუხლის თანახმად, ტერმინალზე დასაწყობებული პროდუქციის საკუთრების უფლება ეკუთვნოდა „ბ.ს“. 2004 წლის 14 იანვარს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ს-ა-ას“ (შემკვეთი, ექსპედიტორი) შორის დადებული №მც-20 ხელშეკრულების №2.2.4 პუნქტით, „ს-ა-ა“ უზრუნველყოფს გადაზიდვის დაწყებამდე სარკინიგზო გადაზიდვის ღირებულებას და სხვა დამატებითი სამუშაოების საფასურის გადახდას. ამავე ხელშეკრულების №2.2.4 პუნქტით „ს-ა-ამ“ იკისრა მხოლოდ გადაზიდვის დაწყებამდე გადაზიდვის ღირებულების გადახდა.

საკასაციო სასამართლომ სრულიად გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევით „ბ.ო. ი. ლ-ი“ ტვირთმომღებლს და, შესაბამისად, მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინებაზე, რომლითაც „ბ.ო. ი. ლ-სა“ და სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 3 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ „ბ. პ. ო. ი. ლ-სა“ და შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლე-

ბით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. სასამართლოს მითითებით, ის ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოს მიერ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების თანახმად, უნდა შემოწმებულიყო ვაგონების მოცდენაში სს „ს. რ-ის“ პასუხისმგებლობის საკითხი და სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, შეფასებულიყო ტვირთმიმღების მოქმედების კანონიერება.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ „ბ. ო. ი. ლ-ი“ დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანიაა და საქართველოში არ აქვს წარმომადგენლობა; „ბ. ო. ი. ლ-ის“ დაკვეთით ტვირთს (სანავავს) აზერბაიჯანიდან საქართველოში (ქ. ფოთში) სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით (ვაგონ-ცისტერნებით) ავზავნიდა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „ს-ი“. ტვირთის მესაკუთრე იყო „ბ. ო. ი. ლ-ი“, რომელიც წინასწარ იხდიდა ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას. თანხის წინასწარ გადახდის ფაქტი დადასტურდა სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ; შპს „ჩ-ე-სა“ და „ბ. ო. ი. ლ-ს“ შორის 2003 წლის 25 დეკემბერს დადებულ იქნა ხელშეკრულება დასაწყობებისა და გადატვირთვების შესახებ, რომლის პირველი და მე-2 მუხლების თანახმად, „ბ. ო. ი. ლ-ი“ სივრცისა და მომსახურების მყიდველი (მომხმარებელი), ხოლო „ჩ. ე-ი“ კი, სივრცისა და მომსახურების გამყიდველი იყო. საწარმო კი, რომლის მომსახურებითაც უნდა ესარგებლა „ბ. ო. ი. ლ-ს“ მდებარეობდა ქ.ფოთში და წარმოადგენდა სანაპირო რეზერვუარებს ფოთის საზღვაო პორტში. ხელშეკრულება შეეხებოდა დიზელის სანავავისა და ბენზინის მიწოდებას, რომელიც „ბ.-ს“ „ჩ. ე-ის“ უნდა მიეწოდებინა 2003 წლის 30 დეკემბრიდან 2004 წლის 30 დეკემბრამდე. ხელშეკრულების მე-5 მუხლით, „ბ.“ ვალდებული იყო, სანავავი მიეწოდებინა თავისი ხარჯებით და „ჩ. ე-ან“ შეეთანხმებინა გაგზავნისა და მიწოდების პროგრამა თითოეული თვის ბოლომდე, რათა განსაზღვრულიყო მომდევნო თვის მიწოდების გრაფიკი მოცდენების თავიდან აცილების მიზნით. მე-8 მუხლის თანახმად, ტერმინალზე დასაწყობებული პროდუქციის საკუთრების უფლება ეკუთვნოდა „ბ.ს“.

2004 წლის 14 იანვარს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ს-ა-ას“ (შემკვეთი, ექსპედიტორი) შორის დადებული №მც-20 ხელშეკრულების №2.2.4 პუნქტით, „ს-ა-ა“ უზრუნველყოფს გადაზიდვის დაწყებამდე სარკინიგზო გადაზიდვის ღირებულებას და სხვა დამატებითი სამუშაოების საფასურის გადახდას. ამავე ხელშეკ-



რულების №2.2.4 პუნქტით „ს-ა-ამ“ იკისრა მხოლოდ გადაზიდვის დაწყებამდე გადაზიდვის ღირებულების გადახდა. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ „ბ. ო. ი. ლ-ი“ წარმოადგენდა ტვირთმიმღებსა და, შესაბამისად, მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხეს. ეს გარემოება პალატამ დაადგინა 2011 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილების 4.4. პუნქტით თვით „ბ. ო. ი. ლ-სა“ და შპს „ჩ-ე-ს“ შორის 2003 წლის 25 დეკემბერს დადებული „დასაწყობებისა და გადატვირთვების შესახებ“ ხელშეკრულების ანალიზით, რაც ასევე გაზიარებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინებით. საკასაციო პალატამ შესაბამისი დასაბუთებით „ბ. ო. ი. ლ-ის“, როგორც ტვირთმიმღების, გამომრიცხველ გარემოებად, ასევე არ გაიზიარა მისი არგუმენტი, რომ იგი წარმოადგენდა არარეზიდენტ კომპანიას, რომელსაც საქართველოში არ ჰყავდა წარმომადგენლობა, დაქირავებული პერსონალი და სამენარმეო საქმიანობა.

შპს „ს. რ-ის“ მოთხოვნას წარმოადგენდა 2004 წლის ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში „ბ. ო. ი. ლ-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, კერძოდ, გადაზიდული ტვირთის ვადაში მიუღებლობით მიყენებული ზიანი, რამაც ვაგონ-ცისტერნების მოცდენა გამოიწვია. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული საფუძვლით მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სასამართლომ უნდა დაადგინოს ის გარემოება, შეასრულა თუ არა შპს „ს. რ-ამ“ თავისი ვალდებულება, კერძოდ, განახორციელა თუ არა „ბ. ო. ი. ლ-ის“ მისამართით ტვირთის მიღების შესახებ შეტყობინება და თავის მხრივ „ბ. ო. ი. ლ-მა“ საქართველოს ტრანპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილის №26 ბრძანებით დამტკიცებული რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების 352-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შეტყობინების მიღების უზრუნველსაყოფად გამოყო თუ არა შეტყობინების მიმღები პასუხისმგებელი პირი, რომლის გვარი, ტელეფონის, ფაქსის ან ტელექსის ნომერი წერილობით ეცნობა დანიშნულების სადგურს; პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის, 102-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, განმარტა, რომ მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრებათ მხარეებს და ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის. მტკიცების ტვირთის გადანაწილებას უმეტესწილად სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა აწესრიგებს. ასეა მოცემულ შემთხვევაშიც. კერძოდ, საქართველოს ტრანპორტისა და კომუნიკაციების მი-

ნისტრის 2003 წლის 16 აპრილის №26 ბრძანებით დამტკიცებული რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების 352-ე მუხლის თანახმად, განსაზღვრულია შეტყობინების წესი, ამავე წესების 353-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ სადგური ტვირთის მიტანის შესახებ არ შეატყობინებს ტვირთმიმღებს, ტვირთმიმღები თავისუფლდება ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობისა და ტვირთის შენახვის საფასურის გადახდისაგან ტვირთის მიტანის შეტყობინების მიღებამდე. რკინიგზის მიერ რკინიგზის სადგურში ტვირთის მიტანის შესახებ ტვირთმიმღებისათვის შეტყობინების ვალდებულებას ასევე ითვალისწინებს საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, მართალია, ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება და ამ მოქმედების განხორციელების მტკიცების ტვირთი აკისრია გამამზიდველს, თუმცა, ამავდროულად სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 22-ე მუხლის მე-7 ნაწილი შეტყობინების ვალდებულებისაგან და, შესაბამისად, მისი მტკიცების ტვირთისაგან, რკინიგზას ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ რკინიგზა ტვირთის მიტანის შესახებ ვერ ატყობინებს ტვირთმიმღებს ამ უკანასკნელის ბრალეული მიზეზით. სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ „ბ. ო. ი. ლ-ის“ წარმომადგენლებმა „რ-ის“ საკონტაქტო რეკვიზიტების მიუწოდებლობის შესახებ განმარტეს, რომ აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ იგი არ წარმოდგენდა ტვირთმიმღებს და, შესაბამისად, მას არ ეკისრებოდა საკონტაქტო რეკვიზიტების შპს „ს. რ-ის“ მიწოდების ვალდებულება. ასეთი ვალდებულება ეკისრებოდა „ჩ. ე-ს“, რადგან ტვირთმიმღები სწორედ ის იყო და არა „ბ. ო. ი. ლ-ი“. მოპასუხის ამ განმარტებას პალატა არ დაეთანხმა იმ საფუძვლით, რომ მხარე კვლავ სადავოდ ხდიდა გარემოებას, რაც სამივე ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ცნო. ზემოხსენებული ნორმატიული აქტების გათვალისწინებით, შეტყობინების მიღების უზრუნველსაყოფად შეტყობინების მიმღები პასუხისმგებელი პირი უნდა გამოეყო ტვირთმიმღებს, მასვე წერილობით ეცნობება დანიშნულების სადგურისათვის პასუხისმგებელი პირის გვარი, ტელეფონის, ფაქსის ან ტელექსის ნომერი. აღნიშნული კანონისმიერი ვალდებულება „ბ. ო. ი. ლ-ის“ მიერ არ შესრულებულა. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებაზე მოპასუხის წარმომადგენლებმა მიუთითეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას წარმოდგენილ თავიანთ წერილობით მოსაზრებასა და 2012 წლის 9 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე

ზეპირი ახსნა-განმარტებისას.

გამომდინარე იქიდან, რომ საქმის მასალებით არ დადასტურდა შპს „ს. რ-ის“ მიერ ვალდებულების – ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის შეტყობინების სათანადოდ შეუსრულებლობა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ შპს „ს. რ-ის“ მიერ ტვირთის მიტანის შესახებ შეტყობინების განუხორციელებლობა გამონვეული იყო ტვირთმიმღების – „ბ. ო. ი. ლ-ის“ მიზეზით, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითების შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლით გათვალისწინებული, რკინიგზის ბრალით ზიანის გამონვევის ფაქტობრივი საფუძვლები. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას მხარეებს შეეთავაზათ საქმის სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული მასალების წარმოდგენა, თუმცა მათ მიერ ასეთი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. ამდენად, იმ გარემოების დადგენილად მიჩნევის გამო, რომ სს „ს. რ-ის“ მიერ ტვირთის მიტანის შესახებ შეტყობინების განუხორციელებლობა გამონვეული იყო ტვირთმიმღების „ბ. ო. ი. ლ-ის“ მიზეზით, სარკინიგზო კოდექსის 25-ს მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პასუხისმგებლობა ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნებისა და ტვირთის შენახვისათვის უნდა დაკისრებოდა ტვირთმიმღებს.

სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ „ბ. ო. ი. ლ-მა“ სააპელაციო სასამართლოში მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა ვაგონების მოცდენის თაობაზე და მოითხოვა საქმეზე მისი მტკიცებულების სახით დართვა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ნოემბრის საოქმო განჩინებით 380-ე მუხლზე მითითებით არ დაკმაყოფილდა. მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში „ბ. ო. ი. ლ-ი“ სადავოდ არ ხდიდა ვაგონების მოცდენის ფაქტს, იგი სადავოდ ხდიდა ვაგონების მოცდენაში მისი ბრალეულობის საკითხს, თუმცა შემდგომ, საქმის განხილვის დროს სადავოდ გახადა ცალკეული ქმანები, სადაც მითითებული არ იყო ვაგონების მოცდენის დრო. სააპელაციო პალატა კი მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც ცალსახად მიუთითებდა ვაგონების მოცდენის დროს და, შესაბამისად, ამ ვაგონების მოცდენის დროის არსებული ტარიფებით დაანგარიშების ბუღალტრული დოკუმენტი მიიჩნია სათანადო მტკიცებულებად და თავისი განჩინება დააფუძნა სწორედ ამ ფაქტობრივ გარემოებებს. სააპელაციო სასამარ-

თლოში, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, „ბ. ო. ი. ლ-ს“ სადავო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება ექსპერტიზის დასკვნის სახით არ ჰქონდა წარმოდგენილი. ამასთან, აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ უზენაესმა სასამართლომ თავის განჩინებით გააუქმა რა, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნაწილობრივ და ხელახლა განსახილველად დააბრუნა, სასამართლოს კონკრეტულად მიუთითა იმ საკითხზე თუ რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა ყოფილიყო გამოკვლეული, რა გარემოებები უნდა დაედგინა სასამართლოს და მოეხდინა მისი სამართლებრივი შეფასება. თანხის ოდენობის გაანგარიშების, მოცდენის საათების და ტარიფებთან მიმართებაში ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით უზენაეს სასამართლოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოსათვის საქმე ხელახლა განსახილველად არ დაუბრუნებია. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ, ჯერ ერთი, არ არსებობდა 215-ე მუხლით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი, რის გამოც შეიძლებოდა წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოს დაშავებდა მიეჩნია და, მეორეც, არ არსებობდა ის ფაქტობრივი გარემოება, რაც სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა უზენაესი სასამართლოს განჩინების მითითების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. რ-ამ“, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება (სს „რ-ის“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა) და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა და იურიდიულად დაუსაბუთებელი, რადგან სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სააპელაციო სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებების: მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვრო №77, მხარეებს შორის 2006 წლის 31 დეკემბერს დადებული L62 მარკის დიზელის სანვაგზე გირავნობის მოხსნისა და უზრუნველყოფის სახით თანხის დეპონირების შესახებ ხელშეკრულებისა და ვაგონების მიწოდება-აკრეფის ყოველთვიური უწყისების საფუძველზე დადგენილად ცნო, რომ 2004 წლის 26 ნოემბრიდან 2007 წლის 26 მარტამდე დანიშნულების სადგურ ფოთში გირავნობის უფლებით გაჩერებული იყო „ბ. ო-ის“ 8 ვაგონ-ცისტერნაში განთავსებული ტვირთი (ნავთობ-პროდუქტი), რადგან „ბ. ო-ს“ ვაგონების მოცდენის გამო ერიცხებოდა საკმაოდ სოლიდური დავალიანება. სააპელაციო სასამართლოს

განჩინება წინააღმდეგობრივია, ვინაიდან, ერთი მხრივ, სასამართლო აღიარებს სამოქალაქო კოდექსის 685-ე და სარკინიგზო კოდექსის 58-ე მუხლებით რ-ისთვის მინიჭებულ უფლებას ტვირთის გირავნობაზე, მაგრამ იმავდროულად უარს ამბობს გირავნობის ნაწილში დარიცხული ვაგონის მოცდენის ღირებულების ანაზღაურებაზე. მითითებული ნორმების თანახმად რკინიგზას გადაზიდვების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო აქვს ტვირთზე გირავნობის უფლება, ვიდრე იგი უფლებამოსილია განკარგოს ეს ტვირთი. რკინიგზას, მართალია, გირავნობის საგანი არ განუკარგავს, მაგრამ 2004 წლის 26 ნოემბრიდან 2007 წლის 26 მარტამდე, „ბ. ო-ის“ 8 ვაგონი გირავნობის უფლებით გაჩერებული იყო დანიშნულების სადგურ ფოთში. რკინიგზა მთელ ამ პერიოდზე (2004 წლის 26 ნოემბრიდან 2007 წლის 26 მარტამდე) კი არ ითხოვდა ვაგონების მოცდენის საფასურის დარიცხვას, არამედ 2005 წლის დეკემბრის ჩათვლით, ანუ სარჩელის აღძვრამდე. სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის საფუძვლით განაცხადა და განმარტა, რომ რკინიგზას შეეძლო განეხორციელებინა გირავნობის საგნის რეალიზაცია ან სანვაივი განეთავსებინა რეზერვუარებში. გირავნობის საგანი იყო არა იმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი, არამედ ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მყოფი ტვირთი, რაც იმუამად მოქმედი საბაჟო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, ნიშნავდა საქონლის უცხო სახელმწიფოთა შორის გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიის გავლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად, ანუ ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი უნდა დარჩენილიყო უცვლელ მდგომარეობაში (იმ დროს მოქმედი) საბაჟო კოდექსის 16.1 „ა“ მუხლის შესაბამისად. ამდენად, (იმ დროს მოქმედი) საბაჟო კოდექსი იმპერატიულად კრძალავდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მყოფი ტვირთის საქართველოში განკარგვას. სასამართლომ გირავნობის საგნის რეალიზაციის საკითხთან დაკავშირებით არ გამოიყენა საბაჟო კოდექსი, რაც უნდა გამოეყენებინა, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე უსწორო გადაწყვეტილების გამოტანა. უსაფუძვლოა, ასევე, სასამართლოს მითითება, რომ რკინიგზას შეეძლო გირავნობის საგანი განეთავსებინა რეზერვუარებში და აეცილებინა ზიანი. რკინიგზას რეზერვუარები ან ე.წ. სასაწყობო მეურნეობა არ გააჩნია. სამოქალაქო და სარკინიგზო კოდექსების თანახმად, სარკინიგზო გადაზიდვა სრულდება დანიშნულების სადგურში ტვირთის მიტანით, ხოლო ტვირთის დროულ დაცლაზე და ვაგონების გამოთავისუფ-

ლებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ტვირთიმძღვანელს. ხელშეკრულება „ბ. ო-ს“ დადებული ჰქონდა „ჩ-ე-ან“, სწორედ „ჩ-ე-ან“ შეუთანხმებლად, ტვირთის გადაზიდვისა და რეზერვუარებში თავისუფალი სათავსის არქონის გამო, „ბ. ო-ის“ ვაგონები იყო გაჩერებული დანიშნულების სადგურ ფოთსა და გზადმდებარე სადგურებში. ანუ ადგილის უქონლობის გამო ტვირთს არ იღებდა „ბ. ო-ის“ კონტრაქტორი ტერმინალი. ამიტომ სასამართლოს მითითება, რომ რკინიგზას შეეძლო ტვირთი რეზერვუარებში განთავსება, უსაფუძვლოა. სააპელაციო სასამართლომ გირავნობის ნაწილში რკინიგზის მოთხოვნის უარსაყოფად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ დაკავებული ვაგონების საფასურის საბაზისო განაკვეთი გაიზარდა 300%-ით, რამაც, სასამართლოს აზრით, მნიშვნელოვნად გაზარდა ვაგონების მოცდენის ხარჯი, რაც არასწორია რადგანაც სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის ამჟამინდელი რედაქციის 258-ე (დღევანდელი 256-ე) მუხლი. კონკრეტულ შემთხვევაში 8 ვაგონში განთავსებული ტვირთის გირავნობა უზრუნველყოფდა: ა) ძირითად მოთხოვნას – 2004 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით რკინიგზის მიმართ რიცხულ „ბ. ო-ის“ დავალიანებას; ბ) მასთან დაკავშირებულ სხვა დამატებით უფლებას, რაც სადავო შემთხვევაში გულისხმობს გირავნობის საგნით – ნავთობპროდუქტებით დატვირთული ვაგონების მოცდენის გამო, სარკინიგზო კოდექსის 22-23-ე და რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის 32-ე მუხლების საფუძველზე დარიცხულ ვაგონით სარგებლობის საფასურს. რკინიგზის სატარიფო პოლიტიკა კი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია და სავალდებულოა გადაზიდვაში მონაწილე ყველა მხარისთვის. ამდენად, სასამართლოს მოსაზრება, რომ რკინიგზამ თავად შეუწყო ხელი ზიანის წარმოშობას, უსაფუძვლოა, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი, რაც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან არ გამოიყენა ამავე კოდექსის 258-ე მუხლი.

სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული განჩინება, ასევე 2012 წლის 9 ნოემბრის საოქმო განჩინებები, რომლითაც „ბ. ო. ი. ლ-ს“ უარი ეთქვა მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე, ასევე არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე „ბ. ო. ი. ლ-მა“, მოითხოვა მათი გაუქმება და სს „ს. რ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. სარკინიგზო კოდექ-

სის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის №26 ბრძანებით დამტკიცებული „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 436-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საერთო ფორმის აქტში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის საფუძველი, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ გადაზიდვა სვლის გზაზე ისეთი საფუძველი იქნა შეჩერებული, რაც ამ წესების მიხედვით გამოიწვევს ტვირთის მიტანის ვადის შესაბამის გახანგრძლივებას, მაშინ საერთო ფორმის აქტში აღინიშნება ვაგონების დაყოვნების მიზეზი და ხანგრძლივობა. ამავე წესების 440-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო ფორმის აქტში აღინიშნება ვაგონის დაყოვნების მიზეზი, მისი ნომრები, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების, აგრეთვე დაყოვნების ფაქტობრივი დრო. საკასაციო პალატა დადგინილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, განმარტავს, რომ საერთო ფორმის აქტი წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის კრიტერიუმს, ამდენად, ამ დოკუმენტის შედგენის დროს დაცული უნდა იქნას ზემოაღნიშნული დანაწევები იმისათვის, რომ განისაზღვროს იურიდიული პასუხისმგებლობით დაკისრების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. უზენაესი სასამართლოს მიერ გათვალისწინებულია გარკვეული გამოწვევების, კერძოდ „იმ შემთხვევაში, თუ ამ აქტებში მითითებულია ვაგონების დაყოვნების ზოგადი მიზეზი, მაგრამ აქვე მითითებულია საფუძველი, რომლითაც დგინდება დაყოვნების კონკრეტული მიზეზი, სასამართლოს შეუძლია საერთო ფორმის აქტში საფუძველად მითითებული დოკუმენტის შეფასებით დაადგინოს კონკრეტულ შემთხვევაში ვაგონების დაყოვნების კონკრეტული მიზეზები“. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინებაში საუბარია მხოლოდ დაყოვნების მიზეზებზე და არა მოცდენის დადასტურების თარიღსა და დროზე, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქმნით შეიძლება დადასტურდეს და არა რომელიმე სხვა დოკუმენტით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია და მოცდენის ოდენობის გაანგარიშების ნაწილში გადაწყვეტილება დააფუძნა შემდეგ ქმნებს: ტომი 2, ს.ფ. 429 (ქმანი 15), ს.ფ. 430 (ქმანი 16), ს.ფ. 431 (ქმანი 17), ს.ფ.432 (ქმანი 18), ს.ფ. 433 (ქმანი 19), ს.ფ. 434 (ქმანი 20), ს.ფ. 435 (ქმანი 21), ს.ფ. 436 (ქმანი 22) ს.ფ. 427 (ქმანი 23), ს.ფ.438 (ქმანი 24), ს.ფ. 439 (ქმანი 24), ს.ფ.

440 (ქმანი 25). ზემოხსენებული საერთო ფორმის ქმანებიდან კი, მხოლოდ სამ ქმანში (№15, 21 და 22) არის მითითებული ვაგონების მოცდენის დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო, ხოლო დანარჩენი რვა ქმანი საერთოდ არ შეიცავს მონაცემებს მოცდენის დასრულების თარიღისა და დროის შესახებ, შესაბამისად, შეუძლებელია მოცდენის ხანგრძლივობის გამოანგარიშება. ამავე რვა ქმანში არც რაიმე სხვა დოკუმენტზეა მითითება, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მოცდენის მიზეზებისა და თუნდაც თარიღისა და დროის დადგენა. ზემოხსენებულთან დაკავშირებით, „ს. რ-ის“ 2010 წლის 16 მარტის განმარტების მე-3 პუნქტში მოსარჩელე თავადვე აღიარებს იმ ფაქტს, რომ ზოგი ქმანი ხარვეზიანია და არ არის აღნიშნული მოცდენის დასრულების დრო. საქმეში არსებული თერთმეტი ქმანიდან მხოლოდ სამ ქმანში არის სრულყოფილად მითითებული მოცდენის დაწყებისა და დასრულების თარიღი და საათი. „ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისები“ შესაძლოა შედგეს მხოლოდ და მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილ საერთო ფორმის აქტების საფუძველზე, ანუ იმ ქმანების საფუძველზე, სადაც ზედმინევნითი სიზუსტით არის მითითებული მოცდენის დაწყებისა და დასრულების პერიოდი, შესაბამისად, სწორედ ასეთი ქმანების საფუძველზე არის შესაძლებელი რკინიგზამ დაითვალოს მოცდენის ხანგრძლივობა და დაყოვნების საფასური და არა ის, რომ ხარვეზიანი ქმანების საფუძველზე შედგენილი უწყისით მოახდინოს მოცდენის საფასურის გაანგარიშება, თანაც ისე, რომ უწყისში თვითნებურად მიუთითოს მოცდენის დასრულების დრო, მაშინ, როდესაც რეალურად ქმანში ეს დაფიქსირებული არ არის. საქმეში არსებულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ არც ერთ დოკუმენტში, მათ შორის საგზაო უწყისში, მოცდენის დასრულების ის თარიღი და დრო, რომელიც მოცემულია რკინიგზის უწყისებში, მითითებული არ არის. №15-25 ქმანებში არ არსებობს მოცდენის დასრულების თაობაზე მითითება და მოსარჩელის მცდელობა, დაადასტუროს აღნიშნული გარემოება დოკუმენტით, რომელიც არც ქმანშია მითითებული და საერთოდაც, დაინტერესებული მხარის მიერ ცალმხრივად არის შედგენილი, სავარაუდოდ მოცდენის დასრულების შემდგომ, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 436-ე და 440-ე მუხლების თანახმად, ქმანი არის ერთადერთი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს მოცდენის მიზეზი, დრო და ხანგრძლივობა, შესაბამისად, მას ვერანაირი სხვა დო-



კუმენტი, მით უმეტეს დაინტერესებული მხარის მიერ მოგვიანებით, ცალმხრივად შედგენილი ცხრილი თუ დაანგარიშება, ვერ შეცვლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს საქმეში არსებული მთავარი მტკიცებულებები (ქმანების) ანალიზსა და შეფასებას. სასამართლომ სრულიად უგულვებელყო „ბ. ო-ის“ პოზიცია და მოსაზრებები მტკიცებულებებთან დაკავშირებით, საერთოდ არ განიხილა ისინი და არც იმაზე ისაუბრა, თუ რატომ არ ეთანხმებოდა „ბ. ო-ის“ პოზიციას, სრულიად უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა საქმეზე ექსპერტიზის დასკვნის დართვის თაობაზე და არ დააკმაყოფილა არც შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. „ბ. ო-მა“ სასამართლოში წარადგინა ექსპერტის დასკვნა და მოითხოვა მისი საქმეზე დართვა 2012 წლის 9 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა „ბ. ო-ს“ ამ შუამდგომლობაზე. ექსპერტის დასკვნა ეხება საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტების (ქმანების) მიხედვით ვაგონების მოცდენის დროს და, შესაბამისად, დაყოვნებით გამოწვეული მოცდენის ოდენობისა და ტვირთის შენახვის საფასურის გაანგარიშებას. შპს „ს. რ-ა“ საქმეში არსებული №15-25 ქმანების საფუძველზე ითხოვს ვაგონების მოცდენისა და ტვირთის შენახვისათვის თანხის ანაზღაურებას. სწორედ ხსენებული ქმანები იქნა წარდგენილი ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რათა ჩატარებულიყო ფინანსური ექსპერტიზა და ექსპერტიზის ბიუროს, როგორც მიუკერძოებელ მხარეს, დაენგარიშებინა №15-25 ქმანების მიხედვით ვაგონების მოცდენისა და ტვირთის შენახვის ღირებულება. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „ვაგონების დაყოვნების დრო შეადგენს სულ 18 101 საათს და 30 წუთს. 2005 წელს მოქმედი „ს. რ-ის სატარიფო პოლიტიკის“ მოთხოვნების გათვალისწინებით, ვაგონების დაყოვნების გამო, ვაგონების გამოყენების საფასური დაყოვნების დროს შეადგენს სულ 63 779 ლარს, ხოლო ტვირთის შენახვის საფასური – 41809 ლარს“. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, თითქოს „ბ. ო-ი“ სადავოდ არ ხდიდა ვაგონების მოცდენის ფაქტს, არ შეესაბამება სიმართლეს. „ბ. ო-ი“ სა-

სამართლო განხილვის ყველა ეტაპზე სადავოდ ხდოდა ამ გარემოებას, რაც დასტურდება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში წარდგენილ წერილობით პოზიციებში, ხოლო მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ ცალსახად დადგენილად ჩათვალა „ბ. ო-ის“ ტვირთიმძღვრის სტატუსი, „ბ. ო-მა“, მიუხედავად იმისა, რომ არ ეთანხმება აღნიშნულ მსჯელობას, სრული კონცენტრაცია მოახდინა ვაგონების მოცდენის საკითხზე, წარადგინა სასამართლოში არა მხოლოდ დასაბუთებული არგუმენტები მოცდენის ოდენობის შესახებ, არამედ გაამყარა ეს მოსაზრებები შესაბამისი მტკიცებულებით, რომელიც მტკიცებულებაც სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ დაურთო საქმის მასალებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, თუმცა აღნიშნული მუხლი არ ზღუდავს და არ უკრძალავს სააპელაციო სასამართლოს უფრო დეტალურად გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები და ფაქტები. მართალია, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პასუხისმგებლობა ვაგონების დაყოვნებისა და ტვირთის შენახვისათვის უნდა დაეკისროს „ბ. ო-ს“, მაგრამ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ვაგონების დაყოვნებისა და ტვირთის შენახვის საფასურმა შეადგინა სასამართლოს მიერ დაკისრებული 390 946.57 ლარი, რაც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ვინაიდან, ერთია ზიანზე პასუხისმგებელი პირის დადგენა და მეორე – ზიანის ოდენობა, რომელიც „ს. რ-ის“ მტკიცების ტვირთს წარმოადგენს და რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც საქმეში არ არის წარმოდგენილი. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საგზაო უწყისებსა და ბუღალტრულ დოკუმენტებზე, რომელიც დოკუმენტებიც ვერანაირად ვერ გახდება თანხის დაკისრების საფუძველი მოქმედი კანონმდებლობისა და უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკის შესაბამისად. საქმეში არსებული თავად „ს. რ-ის“ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად აბათილებს „ვაგონის გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისს“, კერძოდ: ქმანი №16, ქმანი №17, ქმანი №20, ქმანი №23, ქმანი №24, ქმანი №25, რომელთა დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ გარდა იმისა, რომ ქმანები არ შეიცავს ინფორმაციას მოცდენის დასრულების დროის შესახებ, არც საგზაო უწყისებში არის მითითებული მოცდენის დასრულების ის თარიღები, რომელ თარიღებზეც უთითებს „ს. რ-ა“ სარჩელში, ხოლო სააპელაციო და პირველი ინსტანციის

სასამართლოები – გადანყვეტილებებში. ირკვევა, რომ საგზაო უწყისების თანახმად ტვირთი „ბ. ო-ს“ გადაეცა ზუსტად ამ დღეს ან ერთი დღის შემდეგ, რაც ტვირთი მივიდა ფოთის სადგურში. საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით ვერანაირად ვერ დგინდება ზიანის ის ოდენობა, რაც სასამართლომ დააკისრა „ბ. ო-ს“, რის თაობაზეც მოპასუხემ მიუთითა კიდევ და სწორედ ამიტომ წარადგინა ექსპერტის დასკვნა, ასევე მოითხოვა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებაც. 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებაში სააპელაციო სასამართლო მხოლოდ №16 ქმანთან დაკავშირებით უთითებს „ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისზე“, რომელიც ს. რ-ის მიერ ცალმხრივად, მოცდენების დასრულების შემდგომ შედგენილი დოკუმენტია, ხოლო, საგზაო უწყისების მიხედვით, გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისში მითითებულია მოცდენის დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო, რაც მოცდენის თანხის დაანგარიშების უზუსტობას იწვევს. საქმეში არსებული მტკიცებულებები არ არის სრულყოფილად გამოკვლეული, საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადანყვეტისათვის, ამისათვის კი საჭიროა სპეციალური ცოდნა და ექსპერტიზის დანიშვნა. 2011 წლის 2 ივნისის და 2012 წლის 22 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე „ბ. ო. ი-მა“, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად მიუთითეს სადავო მტკიცებულებებთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მათზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევით, სააპელაციო პალატა დაეთანხმა გასაჩივრებულ გადანყვეტილებას, რომელმაც გადანყვეტილებით დაკისრებული თანხის გაანგარიშება დააფუძნა ს. რ-ის მიერ წარმოდგენილ „ვაგონის გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისს“. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ შპს „ს. რ-ის“ მიერ ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის შესახებ შეუტყობინებლობა გამოწვეული იყო „ბ. ო-ის“ მიერ პასუხისმგებელი პირის გამოყოფისა და მისი მონაცემების მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა და არ შეაფასა ზემოთ ხსენებულ გარემოებებზე, რითაც დასტურდება, რომ საქმეში არსებული საგზაო უწყისების მიხედვით 97-ე და 98-ე გრაფებში გაკეთებულია ჩანაწერები, რომელიც ადასტურებს სხვადასხვა დროს „ბ. ო-ის“ გაკეთებულ შეტყობინებებს ტვირთის მიღებასთან და ტვირთის გადაცემასთან დაკავშირებით. ამ ფაქტს ადასტურებს ასევე სს „ს. რ-აც“, რომელიც თავის სარჩელში, შესაგებლებში

და ზეპირსიტყვიერადაც სასამართლო სხდომებზე მუდმივად აცხადებდა, რომ ატყობინებდა „ბ. ო-ის“ წარმომადგენლებს ტვირთის მიღების შესახებ. ამდენად, სახეზეა თავად „ს. რ-ის“ მიერ ამ ფაქტის აღიარება, სასამართლომ არა თუ არ ისარგებლა მისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, არამედ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ ასახა და არ შეაფასა აღნიშნული აღიარება, რითაც დაარღვია ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. ზემოაღნიშნული საფუძვლებით კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ზიანის ოდენობასთან მიმართებაში, ამასთან იშუამდგომლა საქმისათვის 2012 წლის 18 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნის დართვის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით განჩინებით სს „ს. რ-სა“ და „ბ. ო. ი. ლ-ის“ საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ სს „ს. რ-სა“ და „ბ. ო. ი. ლ-ის“ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინებაზე, რომლითაც საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ წინამდებარე სარჩელზე სათანადო მოპასუხეს წარმომადგენდა „ბ. ო. ი. ლ-ი“; საქართველოს საერთო სასამართლოს მოცემულ დავასთან მიმართებით გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია; არ არსებობდა ინგლისური სამართლის

გამოყენების წინაპირობები.

საკასაციო პალატის მითითებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი: მხარეთა შორის სადავოა 2004 ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში ვალდებულების შეუსრულებლობა – გადაზიდული ტვირთის ვადაში მიუღებლობით მიყენებული ზიანი, რამაც ვაგონ-ცისტერნების მოცდენა გამოიწვია, შესაბამისად, არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს განმარტება სამოქალაქო კოდექსის 683-ე მუხლისა და სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა სს „ს. რ-სა“ და „ბ. ო. ი. ლ-ის“ საკასაციო საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილება, საკასაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაედგინა განჩინების კვლევით ნაწილში მითითებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას, იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულადაა გაუქმებული, საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლო ვალდებულია, ზემდგომი სასამართლოს მითითების უპირატესი გათვალისწინებით, არსებითად ხელახლა განიხილოს მხარეთა პრეტენზიების მართებულობა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საკასაციო სასამართლოს განჩინებით სრულყოფილად იქნა გაზიარებული ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ ნაწილობრივ გაუქმდა 2011 წლის 23 ოქტომბრის განჩინება, რაც არასწორია. აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინებიდან, თავის მხრივ, სააპელაციო პალატამ 2013 წლის 17 იანვრის განჩინებაში იმსჯელა მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებაზე, შეასრულა თუ არა შპს „ს. რ-ამ“ თავისი ვალდებულება, კერძოდ, განახორციელა თუ არა „ბ. ო. ი. ლ-ის“ მისამართით ტვირთის მიღების შესახებ შეტყობინება, ხოლო „ბ. ო. ი. ლ-მა“ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მი-

ნისტრის 2003 წლის 16 აპრილი №26 ბრძანებით დამტკიცებული რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების 352-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შეტყობინების მიღების უზრუნველსაყოფად გამოყო თუ არა შეტყობინების მიმღები პასუხისმგებელი პირი. მხარეთა სააპელაციო პრეტენზიებთან მიმართებით სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ სააპელაციო საჩივრებში არ იყო მითითებული იმგვარი გარემოებები, რაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას და თვლის, რომ მიღებული განჩინება არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 249-ე, აგრეთვე 389-ე და 390-ე მუხლების მოთხოვნებს.

პალატამ აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არადამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ პრეტენზიას.

როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია არც სს „ს. რ-ის“ სააპელაციო პრეტენზიის მართებულობაზე, რომელიც სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მართლზომიერებას შეეხებოდა და არც „ბ. ო. ი. ლ-ის“ სააპელაციო პრეტენზიებზე, რომელიც მისთვის დაკისრებული თანხის სისწორეს მიიჩნევდა სადავოდ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლოს თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა სასამართლო.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეები არ ეთანხმებიან რა სააპელაციო პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინებას, საკასაციო პალატა მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას, შეაფასოს თითოეულ საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიის მართებულობა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას ამ პრეტენზიების თაობაზე (სსსკ 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტი), საკასაციო სასამართლო კი, იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედვე-

ლობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმე არსებითად უნდა განიხილოს მხარეთა სააპელაციო საჩივრების ფარგლების გათვალისწინებით და თითოეულ სააპელაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება „ბ. ო. ი. ლ-ის“ პრეტენზიას ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვაზე უარის არასწორად თქმისა და ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიებს და თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ნოემბრის საოქმო განჩინებები უნდა დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს თავად „ბ. ო. ი.“ განმარტებაზე, რომლის თანახმადაც, მართალია, მოპასუხე არ ეთანხმებოდა სარჩელით მოთხოვნილი თანხის ოდენობას, თუმცა ვინაიდან მისი ძირითადი შესაბამელები იყო ის, რომ არ წარმოადგენდა სარჩელზე სათანადო მოპასუხეს, ხოლო მას შემდეგ, რაც საკასაციო პალატის განჩინებით დადგინდა სათანადო მოპასუხის საკითხი, „ბ. ო-მა“ სრული კონსტატაცია მოახდინა ვაგონების მოცდენის საკითხზე და სასამართლოში წარადგინა არა მხოლოდ დასაბუთებული არგუმენტები მოცდენის ოდენობის შესახებ, არამედ გაამყარა ეს მოსაზრებები შესაბამისი მტკიცებულებებით.

პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს შეზღუდვებს მხარის მიერ მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, რაც მოპასუხის შემთხვევაში, რეგულირებულია ამავე კოდექსის 201-ე მუხლით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გათვალისწინებულია ახალი ფაქტების მოყვანისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენის საგამონაკლისო წესი, თუმცა ასეთ შემთხვევასთან მიმართებითაც დადგენილია შესაბამისი წინაპირობები. მოცემულ შემთხვევაში, მხარე მტკიცებულების სააპელაციო სასამართლოში წარდგენას ამყარებს სამივე ინსტანციით განხილვის შედეგად დადგენილ გარემოებას – სათანადო მოპასუხის საკითხს, რის გამოც, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის სწორი განმარტების გზით უთხრა უარი მას ექსპერტიზის დასკვნის მიღებაზე, საყურადღებოა, რომ მხარის ზემოაღნიშნუ-

ლი მითითება ვერ იქნება მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის კონტექსტშიც (სსსკ 215-ე მუხლი).

რაც შეეხება შუამდგომლობას, სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა ხდება სადავო მტკიცებულების კვლევისათვის საჭირო სპეციალური ცოდნის გათვალისწინებით და ექსპერტიზის დანიშვნა ასეთ დროს მთლიანად სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული, ამასთან, ვინაიდან სააპელაციო პალატამ ხელახლა უნდა განიხილოს საქმე მხარეთა სააპელაციო საჩივრების ფარგლებში, პალატა თვლის, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს ქვემდგომი სასამართლოსათვის ექსპერტიზის დანიშვნის დავალდებულების წინაპირობა.

პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც „ბ. ო-ის“ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების – ექსპერტიზის დასკვნისა და ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისის საქმისათვის დართვის საჭიროება არ არსებობს, კერძოდ, როგორ უკვე აღინიშნა, საკასაციო ინსტანცია არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, არამედ ამ ინსტანციაში განიხილება საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის გზით დადგენილი გარემოებების სამართლებრივი შეფასების სისწორე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას მიიღოს და საქმეს დაურთოს ახალი მტკიცებულებები (სსსკ 407.2).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ „ბ. ო. ი. ლ-ს“ უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით, პალატა აღნიშნავს,



რომ წინამდებარე განჩინებით საქმის განხილვა არ დასრულებულა, არამედ იგი უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. „ბ. ო. ი. ლ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

4. „ბ. ო. ი. ლ-ს“ უარი ეთქვას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ნოემბრის საოქმო განჩინებების გაუქმებაზე.

5. კასატორ „ბ. ო. ი. ლ-ს“ დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება – სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა და ვაგონის გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისი №1 12(თორმეტი) ფურცლად.

6. საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

7. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო სასამართლოს სახელით

№ას-623-586-2012

25 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგაძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ვალდებულების დარღვევით გამონვეული ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ზ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს. ბ-სა“ და ქ.თბილისის მერიის მიმართ, ზიანის – 70000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე 1974 წლიდან მოყოლებული მუშაობდა ქ.თბილისის საავიაციო გაერთიანებაში და ოჯახის სამ ნევროტან ერთად მიღებული ჰქონდა ერთოთახიანი საუნყებო ბინა, იგი ამავე ორგანიზაციიდან გავიდა პენსიაში და ამავდროულად, საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, აღრიცხული იყო ბინის მიმღებთა რიგში. 1993 წლის 4 თებერვლის №135 განკარგულებით ქ.თბილისის მერიამ დააკმაყოფილა „ს-ის“, ხოლო 1993 წლის 5 მარტის №137 განკარგულებით – თბილისის საავიაციო გაერთიანების შუამდგომლობა და შეცვლის სახით ნ. ზ-ს დაევალა, ჩაებარებინა მისთვის გადაცემული ბინა, სანაცვლოდ მიიღებდა „ბ-ის“ მიერ ქ.თბილისში, ვ-ის დასახლებაში მშენებარე საუნყებო სახლში ბინას, რომელიც ეკუთვნოდა ქ.თბილისის მერიას, ამავე დადგენილებით მოსარჩელის სახელზე გაიცა ბინის ორდერი. ნ. ზ-ამ შეასრულა ბინის ჩაბარების ვალდებულება და საცხოვრებლად გადავიდა ქირით, რადგანაც ვ-ი მდებარე კორპუსის მშენებლობა დასრულებული არ იყო. 1994 წელს „ბ-ი“ გარდაიქმნა სს „ს. ბ-ად“ და სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს უფლებამონაცვლე მხარეს, ამავდროულად განხორციელდა პრივატიზაცია და საპრივატიზაციო გეგმაში შეტანილ იქნა ვ-ის დასახლებაში მდებარე მშენებარე კორპუსი მოსარჩელის კუთვნილ ბინასთან ერთად. მოგვიანებით მოსარჩელისათვის ცნო-

ბილი გახდა, რომ სს „ს. ბ-მა“ გაასხვისა კორპუსი სხვა პირებზე მოსარჩელის სახელზე განაწილებულ ბინასთან ერთად. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან შემძენი პირები ითვლებიან კეთილსინდისიერად, მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურების მოპასუხეებისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ნ. ზ-ის მოთხოვნა მოპასუხე სს „ს. ბ-ის“ მიმართ და ამ ნაწილში სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სს „ს. ბ-მა“ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვა:

ნ. ზ-ი სარჩელშივე აღნიშნავს, რომ მუშაობდა საავიაციო ქარხანაში, რომელმაც უშუამდგომლა მერიასთან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თაობაზე, ხოლო მერიამ ნ. ზ-ის სახელზე გასცა ორდერი. აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიმე სამართლებრივი კავშირი მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხესთან არ შეიძლება გააჩნდეს, რაც სს „ს. ბ-ის“ არასათანადო მოპასუხედ მიჩნევის წინაპირობაა.

„ს-მა“, რომელიც საკავშირო „ბ-ის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, საკავშირო ბანკიდან მიღებული სახსრებით დაიწყო ქ.თბილისში, ვ-ის დასახლებაში საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 1 ივნისის №656 განკარგულებით, სსრკ „ბ-ის“ მოთხოვნის საფუძველზე ვ-ის მე-2 ზონაში დაუმაგრდა მიწის ნაკვეთი 9-სართულიანი, 54-ბინიანი №3 საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად. „ბ-ის“ თხოვნის საფუძველზე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით გაუქმდა №656 განკარგულება და ბანკს დაუმაგრდა ვ-ის მე-3 „ა“ ზონაში მიწის ნაკვეთი 72-ბინიანი №2 საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, სადაც 101,82 კვ.მ ფართი ეკუთვნოდა ქალაქის მერიას და სწორედ მერია იყო უფლებამოსილი გაენაწილებინა აღნიშნული ბინები.

„ს-მა“ გამოყოფილი თანხებით ააშენა კორპუსის ნაწილი და 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების გამო, მისი დასრულება ვერ მოხერხდა, „ს-ს“ შეუწყდა დაფინანსება საკავშირო „ბ-ან“. მშენებლობის დროისათვის „ს-ი“ სახელმწიფო დაწესებულებას წარმოადგენდა და მას მიწის ნაკვეთი საკუთრებაში არ გადასცემია, მას მხოლოდ მშენებლობის ნება დაერთო საუწყებო სახლის ასაშენებლად. იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის

კოდექსის 290-ე მუხლის შესაბამისად კი, ორდერის მფლობელე-ბი, წარმოადგენდნენ ბინის დამქირავებლებს და არა მესაკუთ-რეებს. ორდერი ადასტურებდა ქირავნობის ხელშეკრულების გა-ფორმებას მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის და ის ბინის სა-კუთრებაში გადაცემის წინაპირობა არ ყოფილა.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 26 აგვის-ტოს №277 ბრძანებულების საფუძველზე „ბ-ი“ გარდაიქმნა „ს. ბ-ად“, პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფომ უარი განაცხა-და საცხოვრებელ კორპუსზე და „ბ-ის“ ბალანსზე რიცხული მთლიანი ქონება, მათ შორის სადავო სახლი, მიქცეულ იქნა პრი-ვატიზაციის გეგმაში. აღნიშნული უსაფუძვლო ხდის მოსარჩე-ლის მოთხოვნას სს „ს. ბ-ის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების თა-ობაზე, რადგანაც მოსარჩელის სახელზე გაცემული ორდერის მხარეები არიან ნ. ზ-ი და სამგორის რაიონის გამგეობა. სადავო ურთიერთობაში ბანკის მონაწილეობა მხოლოდ ბინის ამენები-თა და მერიისათვის გადაცემით იყო განსაზღვრული, ხოლო მე-რიისათვის გადაცემული ფართის ფარგლებში უფლებამოსილ მხარეს წარმოადგენს ორდერის გამცემი, თავის მხრივ, პრივა-ტიზაციის ფარგლებში, ბანკი წარმოადგენს ქონების კეთილსინ-დისიერ შემძენს, რომელმაც საკუთრება შეიძინა ამ ქონების გან-კარგვაზე უფლებამოსილი პირის – სახელმწიფოსაგან.

ნ. ზ-ის მიერ ერთოთახიანი ბინის ჩაბარების ფაქტთან და-კავშირებით მოპასუხემ განმარტა, რომ ეს ბინა არც „ბ-სა“ და არც „ს. ბ-ს“ არ ჩაბარებია, გარდა ზემოაღნიშნულისა, მოპასუ-ხემ ასევე მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ზ-ის სარ-ჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, 2012 წლის 28 თებერვალს მიიღო წი-ნასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ზ-ის სა-აპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა წინას-წარი (შუალედური) გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა სს „ს. ბ-ის“ ნ. ზ-ის სასარგებლოდ თანხის დაკისრებისათვის ფაქ-ტობრივი საფუძვლების არსებობა, დასაკისრებელი თანხის ოდე-ნობის განსაზღვრა კი, წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილე-ბის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელდებოდა. სა-

აპელაციო პალატამ შუალედური გადაწყვეტილება დაამყარა შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს:

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 130-ე, 139-ე, 1008-ე მუხლები და მათ ნაცვლად გამოიყენა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე და 80-ე მუხლები, რაც არასწორი იყო. პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოცემული დავის საგანი ზიანის ანაზღაურება იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პირის უფლებით (დადგენილების, განკარგულებისა და ორდერის საფუძველზე) დატვირთული უძრავი ნივთი მოპასუხემ (მონინაალმდეგე მხარემ) გაასხვისა, რის შედეგადაც მოსარჩელე ველარ მიიღებდა უძრავი ნივთს გასხვისებულ შენობაში. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად, სასამართლოს მოსაზრებით, უნდა იქნეს მიჩნეული არა 1994 წელი, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, არამედ 2004 წლის 22 იანვარი, როდესაც გასხვისდა უძრავი ნივთი. მართალია, 1994 წელს „ს-ი“ გარდაიქმნა „ს. ბ-ად“, მაგრამ მის მიერ პრივატიზაციის გეგმით მიღებული სადავო უძრავი ნივთი ორდერის საფუძველზე დატვირთული იყო ნ. ზ-ის მიმართ არსებული ვალდებულებით და სანამ ნივთი ბანკის საკუთრებაში იყო ნ. ზ-ის მოთხოვნა ვერ წარმოიშობოდა.

მოცემული სარჩელი ბანკის მიმართ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2008 წლის 21 იანვარს. მიუხედავად ამისა, საქმის მასალებში მოიპოვებოდა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ხანდაზმულობის 1008-ე მუხლით განსაზღვრული სამწლიანი ვადა არ ყოფილა გაშვებული, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივნისის საოქმო განჩინებით ნ. ზ-ის სარჩელი, სს „ს. ბ-ის“ მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ამდენად, ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2006 წლის 7 ივნისამდე ანუ 2004 წლის 22 იანვრიდან ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლამდე. აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო კოდექსის 138-ე და 140-ე მუხლებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვაზე მიუთითებდა. ამ კუთხით სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 აპრილის განჩინებაზე, რომლითაც სარჩელი გაუხილველად იქნა დატოვებული, რაც უცვლელად დატოვა თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2007 წლის ოქტომბრის განჩინებით. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი სარჩელი წარდგენილ იქნა 2008 წლის 21 იანვარს, მაშინ, როცა საბოლოო გადაწყვეტილება განუხილველად დატოვებულ პირველ სარჩელზე 2007 წლის ოქტომბერში იქნა მიღებული, სასამართლომ დაასკვნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლით განსაზღვრული ექვსთვიანი ვადა გასული არ ყოფილა, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავდაპირველი სარჩელის წარდგენის მომენტიდან უნდა დაწყებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ასევე არასწორად იყო განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი, როდესაც ბანკი კეთილსინდისიერ შემძენად იქნა მიჩნეული და დადგინდა, რომ ნივთის (დაუმთავრებელი მშენებლობის სახით) შეძენისას ბანკს არ შეუძენია მისი აშენების ვალდებულება. პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი, სასამართლო პრაქტიკით, ასევე ვრცელდება სანივთო უფლებებიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობებზე. საქმეში წარმოდგენილი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის №55-ე და №65-ე განკარგულებებით სსრკ „ს-ის“ საქართველოს რესპუბლიკურ ბანკის დაუმავრდა 3600მ<sup>2</sup> და 3100მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთები 72 აგური ტიპის საცხოვრებელი სახლისა და 54-ბინიანი ვეძისის ტიპის საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის. მართალია, სასამართლოს შეფასებით, ზემოხსენებულ განკარგულებებში სიტყვა „დავალება“ ან „დავალებულია“ პირდაპირ არაა აღნიშნული, მაგრამ განკარგულებების იმპერტიული შინაარსი იძლეოდა დასკვნის საშუალებას, რომ მიწის გადაცემის სანაცვლოდ ბანკს დაევალა – ა) უზრუნველყო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს საპროექტო სამუშაოები, ბ) მიეღო ნილობრივი მონაწილეობა შესაბამისი ზონის გარე ფასადისა და კეთილმოწყობის სამუშაოებში გ) უზრუნველყო საქალაქო საბჭოს აღმსაკომისათვის 28% ბინების გამოყოფა. ამდენად, მიწის ნაკვეთების დამავრების სანაცვლოდ ბანკის უფლებრივმა წინამორბედმა მთელი რიგი ვალდებულებები მიიღო, მათ შორის აშენებულ სახლში ბინების 28%-ის გადაცემა საქალაქო საბჭოს აღმსაკომისათვის. გამოყოფილი ბინები კი ადგილობრივი მმართველობის ორგანომ თავისი შეხედულებისამებრ გაანაწილა, კერძოდ, გამოსცა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტები ნ.ზ-ის ნივთის გადაცემის შესახებ. საგულისხმოა ისიც, რომ ზემოხსენებული ადმინისტრაციული აქტები არ გასაჩივრებულა, არ გაუქმებულა და არც ძალადა-

კარგულად გამოცხადებულა.

პალატის მოსაზრებით, მართალია, ბანკმა უძრავი ნივთი პრივატიზაციის შედეგად მიიღო, მაგრამ პრივატიზაციის საკითხი წესრიგდებოდა რა შესაბამისი ნორმატიული აქტებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის „სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ“ №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების „სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ“ მე-10 პუნქტით ცხადი ხდება, რომ „ს. ბ-ე“ გადავიდა „ს-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებებიც, მათ შორის ისიც, რომ უზრუნველყო საქალაქო საბჭოს აღმსაკომისათვის 28% ბინების გამოყოფა. გარდა ამისა, თავად ზემოხსენებულ განკარგულებებში აღნიშნულია ის გარემოება, რომ განკარგულებები გამოიცა თვით ბანკის უფლებრივ წინამორბედის წერილების საფუძველზე, რის გამოც სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია ბანკს არ სცოდნოდა, რომ ასაშენებელ სახლებში ბინების ნაწილი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკუთვნოდა. ამავე დროს, საქმეში არსებული 1993 წლის 4 მარტის ქ.თბილისის მერიის №135-ე განკარგულებით დაკმაყოფილდა „ს-ის“ 1993 წლის 23 თებერვლის №04/10 თხოვნა და ნება დაეროთ, მას საბინაო კანონმდებლობის დაცვით გაენაწილებინა კუთვნილი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო მერიისათვის კუთვნილ პროცენტში უნდა გადაეცა ორი 50,66მ<sup>2</sup> ბინა. ვინაიდან ეს განკარგულება სს „ს. ბ-ის“ უფლებრივი წინამორბედის თხოვნის საფუძველზეა გამოცემული, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბანკმა მისი შინაარსი იცოდა. ამდენად, ბანკისათვის ცნობილ იყო, რომ აშენებულ სახლებში ბინების ნაწილი მერიისათვის უნდა გადაეცა. რაც შეეხება იმ გარემოებას, იცოდა თუ არა ბანკმა კონკრეტულად ნ.ზ-ის უფლების (ორდერის) შესახებ ერთ ბინაზე, საქმეში ამის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები არ მოიპოვება, თუმცა საქმეში წარმოდგენილი ყველა მასალის (დადგენილებები, განკარგულებები და ა.შ, მათი შინაარსი და სხვა) ერთობლივად შეჯერების შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ ბანკისათვის ან მისი უფლებრივი წინამორბედისათვის ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ უფლების შესახებ. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და განმარტა, რომ ეს ზოგადი ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ იგი მხარეს აკისრებდეს იმაზე მეტის მტკიცების ტვირთს, ვიდრე იგი შეძლებდა დამტკიცებინა, რაც განმტკიცებულია ადამიანის უფლება-

თა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც, კერძოდ, პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 9 ივნისის №55723/00 გადაწყვეტილებაზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“ (აბზაცი 79) და ჩათვალა, რომ საქმეში არსებული ყველა მასალა ერთობლიობაში იძლეოდა იმ დასკვნის საშუალებას, რომ ადგილი ჰქონდა საკმარისად მყარ, მკაფიო და თანმხვედრ ვარაუდებს ან მსგავს გაუბათილებელ პრეზუმფციებს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ბანკისთვის ან მისი უფლებრივი წინამორბედისთვის ცნობილი იყო, ან ცნობილ უნდა ყოფილიყო ნივთზე ნ. ზ-ის უფლების შესახებ.

არ იქნა გაზიარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ნ. ზ-ი მესაკუთრე არ იყო. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მართალია, უფლება არ იყო რეგისტრირებული დადგენილი წესით, მაგრამ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მთელი რიგი დადგენილებებით, მოგვიანებით კი პრეზიდენტის ბრძანებულებით მონესრიგდა სახელმწიფო საბინაო ფონდში არსებული ბინების პრივატიზაციის საკითხი, რომლებიც ფიზიკურ პირებს უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრების უფლებით. ზემოხსენებული ნორმატიული აქტებით ნ. ზ-ი უნდა ჩათვლილიყო პოტენციური მესაკუთრედ, რომელიც უძრავი ნივთის მისთვის გადაცემის შემთხვევაში, ნორმატიული აქტების საფუძველზე, ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვებას შეძლებდა.

იმის გათვალისწინებით, 2004 წელს უძრავი ნივთის გასხვისებამ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებული სამოქალაქო კოდექსის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლები. გამომდინარე იქიდან, რომ უძრავი ნივთი გასხვისებულა (მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნივთის სახეობა და კონკრეტული მისამართი არაა აღნიშნული) და უფლებრივად დატვირთულია, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა პალატამ შეუძლებლად მიიჩნია, რაც ნ. ზ-ის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნას ამართლებდა.

სააპელაციო სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილება სააკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების დარღვევით, რაც გა-



დანყვეტილების გაუქმების საფუძველია. სასამართლომ არას-  
წორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი და არ  
გამოიყენა 1507-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები. მოცემულ შემ-  
თხვევაში, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა 1964 წლის საქარ-  
თველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 75-ე მუხლი და მოთხოვნის  
წარმოშობის მომენტად უნდა მიეჩნია მოსარჩელისათვის ორდე-  
რის ხელზე გადაცემის მომენტი, ანუ 1993 წელი, რომლის შემ-  
დგომაც მას წარმოეშვა ბინაში შესახლების უფლება. სასამარ-  
თლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-  
ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და მოთხოვნა ასევე ხანდაზმულად უნდა  
მიეჩნია, რადგან საქმეში არსებობდა თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 დე-  
კემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლი-  
თაც დადგენილი იყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის  
ფაქტი. სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ხანდაზ-  
მულობის ათვლის წერტილად 2004 წლის 22 იანვარი, როდესაც  
ბანკმა გაასხვისა შენობა და გამოიყენა საქმეში არარსებული  
მტკიცებულებები, კერძოდ, 2007 წლის 2 აპრილის განჩინება,  
რომლითაც ზ-ის სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული. კა-  
სატორის განმარტებით, აღნიშნული მტკიცებულება საქმის გან-  
ხილის არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა მოსარჩელის მიერ წარდგე-  
ნილი. ამ მოქმედებით სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითო-  
ბის პრინციპი და დაეყრდნო ისეთ მტკიცებულებას, რომელიც  
საქმის განხილის არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა წარდგენილი.  
სასამართლომ არ გამოიყენა 1964 წლის საქართველოს სსრ სა-  
მოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი, რომლის თანახ-  
მად, საერთო ვადა უფლების დაცვისა იმ პირის სარჩელით, რომ-  
ლის უფლებაც დარღვეულია (სასარჩელო ხანდაზმულობა), გა-  
ნისაზღვრება 3 წლით. ამავე კოდექსის მე-80 მუხლით, სასარჩე-  
ლო ხანდაზმულობის ვადა იწყება სარჩელის უფლების წარმო-  
შობის დღიდან. სარჩელის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როდე-  
საც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა.  
მოსარჩელეს, ორდერიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება  
წარმოეშვა უშუალოდ ორდერის მიღების დღიდან. შესახლების  
ორდერის საფუძველზე, რაიონის გამგეობა ვალდებული იყო, გა-  
დაეცა მოსარჩელისათვის საცხოვრებელი ბინა. შესაბამისად, რო-  
დესაც ბინის გაუცემლობით დაირღვა დამქირავებლის უფლებე-  
ბი, რაც იმას ნიშნავს, რომ დამქირავებელს მოთხოვნის უფლება  
წარმოეშვა ორდერების მიღებისთანავე. ორდერების მიღებიდან  
სარჩელის შეტანის დრომდე კი გასულია 3 წელზე მეტი ვადა. გარ-  
და ამისა, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 58-ე მუხლის თა-

ნახმად, ორდერი საცხოვრებელ სადგომზე შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით იმ შემთხვევებში, როცა დარღვეულია მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა უფლებები ორდერში აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომზე. მოსარჩელეს არც აღნიშნული უფლება არ გამოუყენებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნა ამ კუთხითაც ხანდაზმულია. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი, კანონების ზემოხსენებული ნორმების გამოუყენებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეუქმეების შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ „ს. ბ-ი“ არ მიიჩნია კეთილსინდისიერ შემძენად და არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი, ასევე არასწორად იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლებით. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ სს „ს. ბ-მა“ რაიმე ზიანი მიაყენა ნ. ზ-ს, მათ შორის არასდროს დადებულია ხელშეკრულება და არც რაიმე ცალმხრივი ვალდებულება უკისრია ბანკს მოსარჩელის მიმართ, შესაბამისად, არ არსებობს რაიმე ზიანი. სახელმწიფოს სადავოდ არ გაუხდია არც პრივატიზაციის ხელშეკრულება და არც მშენებლობასთან დაკავშირებული რაიმე ვალდებულებები. სახელმწიფომ გაასხვისა ის ქონება, რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენდა, დატვირთული იყო ვალდებულებით და პირველ რიგში გამყიდველი (სახელმწიფო) იყო ვალდებული, ეს გარემოება გაეთვალისწინებინა, რადგან სწორედ სახელმწიფო იყო მთელი საბინაო ფონდის განმკარგველი.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა ემსჯელა, ვინ და რა სახის ზიანი მიაყენა ნ. ზ-ს, სახელშეკრულებო იყო თუ კანონისმიერი ეს ზიანი. სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ, სხვადასხვა ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით აღწერა პრივატიზების შედეგად საცხოვრებელი კორპუსის ბანკის საკუთრებაში გადასვლისა და სამართალმემკვიდრეობის საკითხები და დაადგინა, რომ, მართალია, საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, იცოდა თუ არა ბანკმა ზ-ის უფლების (ორდერის) შესახებ, მაგრამ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბანკისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ უფლების შესახებ, რაც უსაფუძვლო და მცდარია. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, რადგან მსგავსი გარემოების დასადასტურებლად მხოლოდ კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დაესკვნა სასამართლოს, იცოდა თუ არა ბან-

კმა ზ-ის უფლებების (ორდერის) შესახებ. ასეთი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. ბანკისათვის ნ. ზ-ის ორდერის შესახებ არ იყო ცნობილი და ვერც იქნებოდა, რადგან ქ.თბილისის მერიის 1993 წლის 4 მარტის განკარგულებაში არათუ ნ. ზ-ის, არც ერთი სხვა პირის გვარი არ ყოფილა მითითებული, ხოლო ყველა სხვა ადმინისტრაციული აქტი, რომლებიც საქმეშია და შეეხება ნ. ზ-ს, არ იყო ცნობილი ბანკისათვის.

სააპელაციო სასამართლო დასკვნით, მართალია, ნ. ზ-ი არ იყო მესაკუთრე და მისი ორდერიდან გამომდინარე უფლება არ იყო რეგისტრირებული დადგენილი წესით, მაგრამ იგი პოტენციურ მესაკუთრედ უნდა ჩაითვალოს, აღნიშნული მსჯელობა უსაფუძვლოა, რადგანაც არ არსებობს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს პოტენციური მესაკუთრის ცნებას. ამ შემთხვევაში სასამართლო წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ გამოყენებულ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლთან, რომლის თანახმად, საკუთრება მხოლოდ საჯარო რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული.

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, მას უნდა გამოეყენებინა 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, როდესაც არ დაეყრდნო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ნ. ზ-ის ბინის ორდერი წარმოადგენდა სახელმწიფოსაგან ბინის ქირავნობის ხელშეკრულებას და არა ბინაზე საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ნ. ზ-ის არც მერიასა და არც რაიონის გამგეობას არ მიუყენებია რაიმე ზიანი.

ბინის ორდერთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა, ორდერი განიხილება ქირავნობის ხელშეკრულებად და არა საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტად. სასამართლო ვალდებული იყო, გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 394-ე, 408-ე, 170-ე, 198-ე და 415-ე მუხლები.

სასამართლო დაეყრდნო 1989 წლის №55 და №656 განკარგულებებს, არ გამოიყენა საქმეში არსებული ქ.თბილისის მერიის 1993 წლის №137 განკარგულება და თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის 1993 წლის №20-289/03 გადაწყვეტილება. ხსენებული აქტების თანახმად, თბილისის საავიაციო გაერთიანების შუამდგომლობის საფუძველზე ნ. ზ-ს გამოეყო საცხოვრე-

ბელი ბინა. არც ერთ ამ დოკუმენტში „ბ-ი“ ნახსენები არ ყოფილა და არც რაიმე ვალდებულება ეკისრებოდა ბანკს ზ-ის მიმართ. ვალდებულებები ზ-ის მიმართ იკისრეს ქალაქის მერიამ და რაიონის გამგეობამ. ნ.ზ-მა მერიას ჩააბარა ძველი საცხოვრებელი ბინა, ანუ მერიამ მიიღო სამართლებრივი სიკეთე ზ-ან და სანაცვლოდ გასცა შესახლების ორდერი, რაც ნიშნავს ვალდებულებისა და ამ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობას. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის №288 დადგენილების მე-10 პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციის მომენტიდან საწარმოს ქვედანაყოფის აქტივები და პასივები მიიღება სააქციო საზოგადოების მიერ, იგი ხდება გარდაქმნილი საწარმოს უფლებებისა და მოვალეობების მემკვიდრე. პრივატიზაციის პროცესში, სახელმწიფო (გამყიდველი) ვალდებული იყო, გამოეკვლია იმ ქონების უფლებრივად დატვირთვის საკითხი, რომლის პრივატიზებასაც, ანუ გასხვისებასაც აპირებდა და თუ აღმოჩნდებოდა, რომ ქონება დატვირთული იყო რაიმე ვალდებულებით, ამის თაობაზე უნდა ეცნობებინა მყიდველისათვის და პრივატიზაციის განხორციელების ეტაპზე ეს საკითხი გაეთვალისწინებინა. მოცემულ შემთხვევაში პრივატიზაციასთან დაკავშირებული არც ერთ დოკუმენტში ნ. ზ-ის ორდერთან დაკავშირებული რაიმე ვალდებულების გადაცემა ან/და გაყიდვა არ მომხდარა და ეს ვალდებულება ისევ დარჩა სახელმწიფოს. მოსარჩელეს შეეძლო, თავისი უფლება დაერეგისტრირებინა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, ან საჯარო რეესტრში (ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდგომ), რაც არ განახორციელა. ისეთ ვითარებაში, როდესაც ქონება უფლებრივად დატვირთულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან „ს. ბ-სა“ და სახელმწიფოს შორის არ გაფორმებულა ნ. ზ-ის მოთხოვნასთან ან/და უფლებასთან დაკავშირებული რაიმე ხელშეკრულება, ამასთან, არც პრივატიზაციის დოკუმენტაციაში ასახულა რაიმე დოკუმენტი ნ. ზ-ის მოთხოვნასთან ან/და უფლებასთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ამასთან, ამავე პალატის 2013 წლის 7 სექტემბრის განჩინებით ნ. ზ-ის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნენ ნ. და თ. მ-ი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული შუალედური გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და გასაჩივრებული წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილებით გაზიარებულ იქნა, რომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით დაკმაყოფილდა სსრკ „ბ-ის“ თხოვნა და მას მიწის ნაკვეთი დაუმაგრდა ვ-ის მე-3 „ა“ ზონაში 73-ბინიანი №2 აგურის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის და ძალადაკარგულად ჩაითვალა 1989 წლის 1 ივნისის №656 განკარგულება, რომლითაც სსრკ „ბ-ს“ ვ-ის მე-2 ზონაში უნდა აეშენებინა 54-ბინიანი ვეძისის ტიპის სახლი;

ქ.თბილისის მთავარი არქიტექტორის 1991 წლის 31 დეკემბრის №1339 ბრძანებით შეთანხმებულად ჩაითვალა ქ.თბილისში, ვ-ის მე-3 „ა“ ზონაში სსრკ „ბ-ის“ საქართველოს რესპუბლიკური ბანკისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე №2 და №3 კორპუსების მშენებლობის პროექტი;

ქ.თბილისის მერიის 1993 წლის 4 მარტის №135 განკარგულებით დაკმაყოფილდა „ს-ის“ 1993 წლის 23 თებერვლის №40/10 თხოვნა და ნება დაერთო, ვ-ის დასახლების მე-3 „ა“ ზონის №2 მშენებარე საუნჯეებო სახლში გაენაწილებინა კუთვნილი საცხოვრებელი ფართები. განკარგულების თანახმად, ქ.თბილისის მერიას კუთვნილ პროცენტში უნდა გადასცემოდა 101.32 კვ.მ ორი სამოთახიანი ბინა, თანახმად ამავე განკარგულების დანართისა;

ქ.თბილისის მერიის 1993 წლის 5 მარტის №137 განკარგულებით დაკმაყოფილდა თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების 1992 წლის 14 სექტემბრისა და 1993 წლის 1 მარტის თხოვნა და შეცვლის სახით გამოეყო 50.7 კვ.მ სამოთახიანი ბინა ვ-ის დასახლების მე-3 „ა“ ზონის №2 „ს-ის“ საუნჯეებო მშენებარე სახლის პირველი სადარბაზოს მე-7 სართულზე. სანაცვლოდ საავიაციო საწარმოო გაერთიანებამ მერიას გადასცა ტოლფასი ბინა ქ-ის ქუჩის ბოლოს უქსოვადი მასალების ფაბრიკასა და საქჰიდროენერგომშენის საწარმოო კომბინატს შორის გამოყოფილ ტერიტორიაზე ასაშენებელი საუნჯეებო სახლის მე-5 სართულზე;

თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის 1993 წლის 8 დეკემ-

ბრის №20-289/03 გადაწყვეტილებით ნ. ზ-ს გადაეცა ქ.თბილის-ში, ვ-ის დასახლებაში, მე-3 „ა“ ზონაში, მე-2 კორპუსის, პირველ სადარბაზოში მე-7 სართულზე მდებარე №13 სამოთახიანი ბინა; თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის 1993 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ნ. ზ-ის სახელზე, იმავე წელს გაიცა ბინის ორდერი;

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 26 აგვისტოს №277 ბრძანებულებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადების საფუძველზე, „ს-ი“ გარდაიქმნა სააქციო-კომერციულ ბანკ „ს. ბ-ად“, თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებისა. ბრძანებულების მე-3 პუნქტის თანახმად, „ს-ის“ პრივატიზირებისას უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებით გათვალისწინებული შეღავათები, ხოლო მე-5 პუნქტით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს დაევალა, უზრუნველყო დადგენილი წესით ახლად დაფუძნებული სააქციო-კომერციული ბანკის „ს. ბ-ის“ რეგისტრაცია საბანკო ოპერაციების წარმოებაზე გენერალური ლიცენზიის გაცემა;

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 22 სექტემბერის №16.14.195 დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო-კომერციული „ს-ის“ პრივატიზების სამუშაო კომისიის მიერ „ს-ის“ ქონების შეფასების აქტი;

საპრივატიზაციო გეგმაში შეყვანილ იქნა ვ-ის მე-3 „ა“ ზონაში მდებარე საცხოვრებელი სახლიც, რომელიც პრივატიზაციის შემდეგ (მათ შორის, ნ. ზ-ის სახელზე ორდერით დამაგრებული ბინა), გადაეცა სს „ს. ბ-ს“;

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წერილის თანახმად, 1996 წლის 17 ივნისის მდგომარეობით სახელმწიფოს ხელში სს „ს. ბ-ის“ არც ერთი ცალი აქცია არ არის დარჩენილი;

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 23 დეკემბრის №01/02-05/141 წერილის თანახმად კი, ქ.თბილისში, ვ-ის მე-3 „ა“ ზონაში მშენებარე მრვალ-სართულიანი საცხოვრებელი ორი კორპუსი სს „ს. ბ-ის“ საკუთრებაა. იგი შესულია საპრივატიზაციო გეგმაში 2.13.1 ნომრად და წარმოადგენს სს „ს. ბ-ის“ კაპიტალის შემადგენელ ნაწილს;

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, 2004 წლის 12 იანვრის მდგომარეობით ქ.თბილისში, ვ-ი, მე-3 „ა“ ზონაში მდებარე მინის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობებზე (მშენებარე), რე-

გისტრირებული იყო სს „ს. ბ-ის“ საკუთრების უფლება;

საქმეში ასევე წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლის თა-  
ნახმადაც 2004 წლის 22 თებერვალს სს „ს. ბ-ა“ სადავო უძრავი  
ქონება მიჰყიდა ლ. გ-ს, რ. ც-სა და რ. ქ-ს;

ამ დროიდან მოყოლებული ქონებაზე სს „ს. ბ-ის“ საკუთრე-  
ბის უფლება რეგისტრირებული აღარ არის.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სს „ს. ბ-ს“ სასამარ-  
თლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებები სადა-  
ვოდ არ გაუხდია, რის გამოც დადგენილად მიჩნეულ ამ გარემო-  
ებებს წინამდებარე გადაწყვეტილებაზე საკასაციო სასამარ-  
თლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ, რამდენადაც სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის  
თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად  
ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასა-  
ციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვე-  
ბი და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული შუალედური (წი-  
ნასწარი) გადაწყვეტილებით დაადგინა მოპასუხისათვის ზია-  
ნის ანაზღაურების დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლის არ-  
სებობა, რაც პალატამ დაამყარა შემდეგს:

„ბ-ის“ უფლებამონაცვლე სს „ს. ბ-ი“ არ წარმოადგენს სადა-  
ვო უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენს. სამოქალაქო კო-  
დექსის 185-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, ბანკს უნდა სცოდნო-  
და შეძენილ ქონებაზე ნ.ზ-ის უფლების არსებობის თაობაზე.  
საქმეში წარმოდგენილი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქა-  
ლაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის №55 და  
№656 განკარგულებებით სსრკ ს-ის საქართველოს რესპუბლი-  
კურ ბანკს დაუმაგრდა 3600მ<sup>2</sup> და 3100მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთები 72-  
ბინიანი აგურის ტიპის საცხოვრებელი სახლისა და 54-ბინიანი  
ვ-ის ტიპის საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის. პა-  
ლატის შეფასებით, მართალია, ზემოხსენებულ განკარგულე-  
ბებში სიტყვა „დავალება“ ან „დავალდებულება“ პირდაპირ არაა  
აღნიშნული, მაგრამ განკარგულებების იმპერატიული შინაარ-  
სი იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ მიწის გადაცემის  
სანაცვლოდ ბანკს დაევალა: ა) უზრუნველყო კაპიტალური მშე-  
ნებლობის სამმართველოს საპროექტო სამუშაოები; ბ) მიეღო  
წილობრივი მონაწილეობა შესაბამისი ზონის გარე ფასადისა და  
კეთილმოწყობის სამუშაოებში; გ) უზრუნველყო საქალაქო საბ-  
ჭოს აღმასკომისათვის 28% ბინების გამოყოფა.

მიწის ნაკვეთების დამაგრების სანაცვლოდ ბანკის უფლებ-  
რივმა წინამორბედმა მთელი რიგი ვალდებულებები მიიღო, მათ

შორის აშენებულ სახლში ბინების 28%-ის გადაცემა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის. გამოყოფილი ბინები კი ადგილობრივი მმართველობის ორგანომ თავისი შეხედულებისამებრ განაწილა, კერძოდ, გამოსცა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტები ნ.ზ-ის ნივთის გადაცემის შესახებ. ადმინისტრაციული აქტები არ გასაჩივრებულა, არ გაუქმებულა და არც ძალადაკარგულად გამოცხადებულა.

კასატორი არ ეთანხმება შუალედური გადაწყვეტილების ამ დასკვნებს და მიიჩნევს, რომ სასამართლოს შეფასება საქმის მასალების სწორ ანალიზს არ ემყარება, კერძოდ, სს „ს. ბ-ს“ ნ. ზ-ის რაიმე ზიანი არ მიუყენებია, მათ შორის არასდროს დადებულია ხელშეკრულება და მოსარჩელის მიმართ არც რაიმე ცალმხრივი ვალდებულება უკისრია ბანკს. სახელმწიფოს სადავოდ არ გაუხდია არც პრივატიზაციის ხელშეკრულება და არც მშენებლობასთან დაკავშირებული რაიმე ვალდებულებები. პრივატიზაციის გზით უძრავი ნივთის იმდროინდელმა მესაკუთრემ გაასხვისა ქონება და თუ ეს ქონება დატვირთული იყო მოსარჩელის უფლებით, სწორედ გამყიდველი (სახელმწიფო) იყო ვალდებული, ეს გარემოება გაეთვალისწინებინა, რადგან სახელმწიფო იყო მთელი საბინაო ფონდის განმკარგველი. სასამართლოს უნდა ემსჯელა, ვინ და რა სახის ზიანი მიაყენა ნ. ზ-ს, თავად ეს ზიანი სახელშეკრულებო იყო თუ კანონისმიერი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ, სხვადასხვა ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით აღწერა პრივატიზების შედეგად საცხოვრებელი კორპუსის ბანკის საკუთრებაში გადასვლისა და სამართალმემკვიდრეობის საკითხები და არასწორად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბანკისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მოსარჩელის უფლების შესახებ. ქ.თბილისის მერიის 1993 წლის 4 მარტის განკარგულებაში არა თუ ნ. ზ-ის, არც ერთი სხვა პირის გვარი არ ყოფილა მითითებული, ხოლო ყველა სხვა ადმინისტრაციული აქტი, რომლებიც საქმეშია და შეეხება ნ. ზ-ს, არ იყო ცნობილი ბანკისათვის. კასატორის მტკიცებით, არასწორია სასამართლოს დასკვნა ზიანის ანაზღაურების დავალდებულების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სს „ს. ბ-ის“ ზემოაღნიშნულ არგუმენტებს და მიიჩნევს, რომ ისინი შინაარსობრივად დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის შემცველია, რადგანაც საქმეში არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა რაიმე ფორმით „ბ-ის“, მისი უფლებამონაცვლე „ს. ბ-სა“ და მოსარჩელის სამართლებრივ ურთიერთობაში ყოფნის ფაქტს.



უდავოა ის გარემოება, რომ უძრავი ქონების გადაცემის ვალდებულება ნ.ზ-ის მიმართ იკისრა სახელწიფომ შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილი „ბ-ის“ უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტები არ შეიცავენ რაიმე პირდაპირ ან არაპირდაპირ მითითებას სადავო ქონებასთან მიმართებაში და არც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს მესამე პირის უფლებამოსილება, ბანკისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ასევე არ იკვეთება ფაქტობრივი გარემოება, რომ სახელმწიფოსა და მოპასუხეს შორის დადებული გარიგებით უფლებას მესამე პირი შეიძენდა. ის გარემოება, რომ ვაშლიჯვრის მე-3 „ა“ ზონაში ასაშენებელი კორპუსიდან 2 ბინის გადაცემის ვალდებულება ჰქონდა კასატორს, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, არ შეიძლება მოსარჩელის მოთხოვნის მიმართ მისი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი გარემოება გახდეს, რადგანაც ამ გარიგებით პირდაპირაა გათვალისწინებული „ბ-ის“ ვალდებულება ქ.თბილისის მერიის მიმართ. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 349-ე და 350-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობების არსებობა.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ნ.ზ-ის სარჩელის ფაქტობრივ საფუძველზე. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე „ბ-ის“ უფლებამონაცვლეა, რომელსაც ჰქონდა ვალდებულება, მოსარჩელისათვის გადაეცა უძრავი ქონება. პალატა იზიარებს გასაჩივრებული შუალედური გადაწყვეტილების დასკვნას (რომელიც წინამდებარე საქმის გადაწყვეტისათვის სავალდებულო ძალის მქონეა, რადგანაც ეს დასკვნა კასატორს სადავოდ არ გაუხდია), რომ სს „ს. ბ-ი“ წარმოადგენს „ბ-ის“ სამართალმემკვიდრეს, თუმცა უფლებამონაცვლის პასუხისმგებლობის სწორად განსაზღვრის მიზნით განმარტავს, რომ უფლებამონაცვლების დროს უფლებები და მოვალეობები, როგორც წესი, უფლებამონაცვლეს გადაეცემა იმავე სახით, რა სახითაც ის ეკისრებოდა უფლებრივ წინამორბედს, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება „ბ-ის“ მიმართ ნ.ზ-ს მოთხოვნის უფლების არსებობა.

სამართალმემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია სს „ს. ბ-ის“ მიერ ქონების მიღების ფაქტის სამართლებრივი შეფასება. დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ ინვესს ის გარემოება, რომ „ბ-ის“ სამართალმემკვიდრემ პრივატიზაციის გზით მიიღო გარკვეული ქონება, მათ შორის სადა-

ვო უძრავი ნივთი. „ბ-ის“ გარდაქმნა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით განხორციელდა, სადაც ხაზგასმითაა მითითებული ამ გარდაქმნის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები, ანუ სახელმწიფოს ნება. „ბ-ის“ გარდაქმნის მარეგულირებელი ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტი მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებაზე. ამ უკანასკნელი აქტით დამტკიცებული დებულების პირველი ნაწილის მე-10 პუნქტით კი რეგლამენტირებულია შემდეგი: სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციის მომენტიდან საწარმოო ქვეგანაყოფის პასივები და აქტივები მიიღება სააქციო საზოგადოების მიერ. იგი ხდება გარდაქმნილი საწარმოს უფლებების და მოვალეობების მემკვიდრე. ქვეგანაყოფის გარდაქმნით შექმნილი სააქციო საზოგადოების უფლებამემკვიდრეობის საზღვრები დგინდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება და არც სააპელაციო პალატას დაუდგენია ნორმის ზემოაღნიშნული შემადგენლობა, კერძოდ, გარდაქმნის შედეგად წარმოქმნილი სუბიექტის უფლებამემკვიდრეობის ფარგლები, სადაც განსაზღვრული იქნებოდა ბანკის ვალდებულება, შესრულება განხორციელოს მესამე პირის სასარგებლოდ, რაც ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი საფუძვლის დადგენის წინაპირობა გახდებოდა, შესაბამისად, უსაფუძვლოა გასაჩივრებული შუალედური გადაწყვეტილების დასკვნა, რომ სს „ს. ბ-ის“ უფლებრივ წინამორბედს სახელმწიფოსგან მიწის ნაკვეთის გადაცემით წარმოეშვა ვალდებულება მოსარჩელის წინაშე, ეს დასკვნა, არ გამომდინარეობს საქმის მასალების სწორი სამართლებრივი შეფასებიდან.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ნ. ზ-ი წარმოადგენდა ორდერში მითითებული ბინის მესაკუთრეს. სააპელაციო პალატამ, ერთი მხრივ, ჩათვალა, რომ, მართალია, ნ. ზ-ის უფლება არ იყო რეგისტრირებული დადგენილი წესით, მაგრამ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მთელი რიგი დადგენილებებით, მოგვიანებით კი, პრეზიდენტის ბრძანებულებით მოწესრიგდა სახელმწიფო საბინაო ფონდში არსებული ბინების პრივატიზაციის საკითხი, რომლებიც ფიზიკურ პირებს უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრების უფლებით. ზემოხსენებული ნორმატიული აქტებით ნ. ზ-ი უნდა ჩაითვალოს პოტენციური მესაკუთრედ, რომელიც უძრავი ნივთის მისთვის გადაცემის შემთხვევაში, ნორმატიუ-

ლი აქტების საფუძველზე, ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვებას შეძლებდა. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „პოტენციური მესაკუთრის“ ცნებას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, შესაბამისად, ამგვარი უფლება არც კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან მოყოლებული ურთიერთობებისათვის უძრავ ნივთზე დაკავშირებული უფლება (მათ შორის სამომავლო უფლება) რეგისტრაციუნარიანად განიხილება და საკუთრების არსებობა სწორედ ამ უფლების რეგისტრაციის გზით დასტურდება, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებისა, ამასთანავე, გარდამავალი პერიოდისათვის კანონი ითვალისწინებდა რეესტრის ჩანაწერთან ტექტიურს ჩანაწერის გათანაბრებას (სკ 1514-ე მუხლი), რაც, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ არის დადასტურებული, რაც შეეხება ორდერის გაცემის დროისათვის არსებულ ვითარებას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მე-12 მუხლზე, რომლის მე-2 აბზაცის თანახმადაც, საცხოვრებელი სადგომები სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში მოქალაქეებს ეძლევათ უვადო სარგებლობაში, ამავე კოდექსის 57-ე მუხლით კი განმტკიცებულია, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიცემის გადაწყვეტილების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეს აძლევს ორდერს, რომელიც მიცემულ საცხოვრებელ სადგომში შესახლების ერთადერთი საფუძველი, თავის მხრივ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 290-ე მუხლით განმარტებული იყო, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა ხორციელდება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც იდება გამქირავებელს – საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და (თუ ასეთი არ არის – შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას) და დამქირავებელს – მოქალაქეს შორის, რომლის სახელზეც გაცემულია ორდერი. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ გაცემული ორდერი წარმოშობდა ნივთით სარგებლობის უფლებას და არა ნივთზე საკუთრებას, ამასთანავე, ორდერის საკუთრების უფლებასთან გათანაბრებით სააპელაციო პალატამ უზენაესი სასა-

მართლოს მიერ დამკვიდრებული განმარტების საწინააღმდეგო დასკვნა გააკეთა, რის თაობაზეც სავესტით სამართლიანად მიუთითებს კასატორი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2000 წლის 29 თებერვლის №3კ/451-99 განჩინებით მსგავს საქმესთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: „მოსარჩელეს გამოწერილი აქვს რა ორდერი აღნიშნულ მისამართზე, ამ ორდერის საფუძველზე მას აქვს ბინის დამქირავებლის უფლებით სარგებლობის და არა საკუთრების უფლება... კასატორის მოთხოვნა, რომ მოპასუხემ საკუთრებაში შეუძინოს ბინა ან გადაუხადოს ბინის ღირებულება არაკანონიერია, რადგან დამქირავებელს არ აქვს უფლება მესაკუთრეს წაუყენოს აღნიშნული მოთხოვნა“. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა პოტენციური მესაკუთრის უფლების დაცვაზე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს გასაჩივრებული წინასწარი გადაწყვეტილების მსჯელობას პრივატიზაციის განმახორცილებელი ნორმატიული აქტების საფუძველზე ბანკის არაკეთილსინდიერად მიჩნევის თაობაზეც. განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს უფლებამონაცვლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სს „ს. ბ-ის“ ქონების პრივატიზაციის გზით გადაცემის აქტები მხარეებს დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებიათ, ასეთ ვითარებაში კი, ქონების შემძენის სუბიექტური დამოკიდებულების (კეთილსინდისიერება) კვლევის საჭიროება სასამართლოს არ წარმოეშობა. თავად ამ ფაქტის დადგენა სარჩელის საფუძვლიანობასთან მიმართებაში არაარსებითია. პალატის მოსაზრებით, პირის არაკეთილსინდისიერებას დავის სწორად გადაწყვეტაზე გავლენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოეხდინა, თუ თავად პრივატიზაციის კანონიერება იქნებოდა შედავებული მოსარჩელის მიერ, რაც მოცემული დავის ფარგლებს სცდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატამ შუალედური გადაწყვეტილებით სწორად დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარე-

მოებები, რომელთაც სს „ს. ბ-ი“ სადავოდ არ ხდის, საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები არ დასტურდება. არსებული მოცემულობის გათვალისწინებით კი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საქმეზე დადგენილი გარემოებებით არ დასტურდება რა სს „ს. ბ-ის“ ვალდებულება მოსარჩელის სასარგებლოდ აანაზღაუროს ზიანი (არ დასტურდება თანხის დაკისრების ფაქტობრივი საფუძველი), საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ზ-ის (უფლებამონაცვლე ნ. და თ. მ-ი) სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობა.

იმ გარემოების მხედველობაში მიღებით კი, რომ მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია სარჩელის უსაფუძვლობა, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგნად ველარ გახდება გასაჩივრებული შუალედური გადაწყვეტილების დასკვნა და მის თაობაზე სს „ს. ბ-ის“ მიერ წარდგენილი პრეტენზია, რომელიც ნ. ზ-ის მოთხოვნის წარმოშობის დროსა და სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხს შეეხება.

სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით პალატა ყურადღებას გამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე საკასაციო საჩივარი წარდგენილია სააპელაციო პალატის შუალედურ გადაწყვეტილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

მოცემულ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის ძალით, წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეები გათავისუფლებული არიან, ამდენად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების განაწილების წინაპირობა არ არსებობს, ამასთანავე, ვინაიდან მოპასუხეს საქმის განხილვასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუნევია, ამ ხარჯების არც მხარეთა შორის განაწილების წინაპირობაა სახეზე (სსსკ

53-ე მუხლი).

პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ საგადახდო დავალებზე, რომლითაც ირკვევა, რომ საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე, სახელმწიფო ბაჟის სახით, კასატორმა საკუთარი ინიციატივით გადაიხადა 300 ლარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა, ამასთანავე, ვინაიდან არ არსებობს მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა, პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილისა და 42-ე მუხლის საფუძველზე სადავო ურთიერთობის მოწესრიგება დასაშვებია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 თებერვლის წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ნ. ზ-ის (უფლებამონაცვლე ნ. და თ. მ-ი) სარჩელი სს „ს. ბ-ის“ მიმართ ვალდებულების დარღვევით გამონვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
4. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების გამო, მხარეები საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.
5. სს „ს. ბ-ს“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს (სს ბანკი „რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის №GE79 BR00 0000 0033 0500 01.) მის მიერ 2012 წლის 4 ივნისს №472 საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარი.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ზიანის ანაზღაურება სანარმოო ტრავმის მიყენების გამო

## განჩინება

№ას-92-87-2013 1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სანარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

რ. ლ-ემ ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა შპს „ბ. ს. ს. ტ-ის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის სანარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ 4450 ლარის, ხოლო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 100 000 ლარის გადახდის დაკისრება, ასევე 2011 წლის 1-ლი აგვისტოდან ყოველთვიურად 895 ლარის სარჩოს გადახდა და საავადმყოფოში ყოფნის პერიოდისათვის კვების ხარჯების - 1250 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2007 წლიდან მუშაობდა შპს „ბ. ს. ს. ტ-ი“ დოკერად, 2011 წლის 30 მარტს დოკერთა ბრიგადასთან ერთად აწარმოებდა გემიდან სასაწყობე მოედანზე რკინის მილების გადმოტვირთვას, მილების დანყობისას რ. ლ-ეს დაუცურდა ფეხი და ჩამოვარდა, რა დროსაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, მოცემული უბედური შემთხვევის შედეგად რ. ლ-ემ შრომის უნარი სრულად დაკარგა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რ. ლ-ეს შრომის უნარი არ დაუკარგავს. ის მზად იყო მკურნალობის შემდეგ სამუშაოს შესასრულებლად. შრომის ხელშეკრულება შეწყდა ვადის გასვლის და არა ტრავმის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო. მოპასუხის მტკიცებით, ანაზღაურებულია ყველა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებული იყო რ. ლ-ის მკურნალობასთან.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით რ. ლ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს ბ. ს. ს. ტ-ს დაეკისრა ზიანის ანაზღაურების – 200 ლარის,

ხოლო ყოველთვიური სარჩოს სახით – 165 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ლ-ემ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 მარტის განჩინების გაუქმება, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელში მითითებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ლ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რ. ლ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ბ. ს. ს.ტ-ს“ რ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ლ-ე, 2010 წლის 1 მაისს მას და შპს „ბ. ს. ს. ტ-ს“ შორის გაფორმებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, მუშაობდა მითითებულ სანარმოში, საკონტინენტო დოკუმენტის თანამდებობაზე. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის ყოველთვიურად დასაქმებულს ხელზე ეძლეოდა ხელფასი 660 ლარი (საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის, დასაბეგრი ობიექტის 20%-ის ჩათვლით, აპელანტის ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 825 ლარს). ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ „შრომის ნაყოფიერებისა და ინფლაციის გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ გადახედილი იქნებოდა ხელფასის ოდენობა“.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება ე.წ. „მეცამეტე ხელფასის“ არსებობის შესახებ, რადგან ხელშეკრულებით შეთანხმებული იყო წელიწადში ერთხელ არა დასაქმებულისათვის ხელფასის ოდენობის „გადახდა“, როგორც ამას აპელანტი განმარტავს, არამედ – მისი „გადახედა“, ანუ უკვე დადგენილი ხელფასის ოდენობის – 660 ლარის შეცვლა სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია:

1. 2011 წლის 30 მარტს, 17:00 საათზე, შრომითი მოვალეობის შესრულებისას, რ. ლ-ე გადმოვარდა სიმაღლიდან და მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება (იხ: „ნარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ“ აქტი №1). მოსარჩელემ, 2011 წლის 30



მარტი-18 აპრილის შუალედში, გაიარა სტაციონარული მკურნალობა შპს „ქ. ბათუმის №1 საავადმყოფოში“, სადაც მოთავსებული იყო დიაგნოზით: შერწყმული ტრავმა, ქალა-ტვინის ღია მძიმე ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა მძიმე ხარისხის, მარჯვნივ შუბლის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა წარბზე გავრცელებით, პნევმოცეფალია, მარჯვენა მეხუთე ნეკნის მოტეხილობა, ორთავე სხივის ძვლის სადგისისებური მორჩების მოტეხილობა, მარჯვენა სმენის ნერვის ნევრიტი. ეს ყოველივე მიეკუთვნებოდა სიცოცხლისათვის სახიფათო, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებებს (იხ: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის 03.05.20116. №1199-08/3 დასკვნა);

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის განაჩენით, ბათუმის საერთაშორისო საკონტინენტო ტერმინალის ტერიტორიაზე დოკერთა ბრიგადის ხელმძღვანელი – გ. დ. ი, სამუშაოთა წარმოების დროს უსაფრთხოების წესების დაცვის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.

3. 2011 წლის 1 აგვისტოს რ. ლ-სა და შპს „ბ. ს. ს. ტ-ს“ შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა შრომის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო.

4. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის განჩინების, შესაბამისად, შპს „მ. ს. ც-ის“ მიერ მომზადდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემონმების №179/12 აქტი, რომლითაც შრომითი დასახიჩრების შედეგად რ. ლ-ეს მიენიჭა „მნიშვნელოვნად გამობატული შეზღუდული შესაძლებლობის“ (შრომის უნარის შეზღუდვის მე-2 ხარისხი, თვითკონტროლის უნარის შეზღუდვის მე-2 ხარისხი) სტატუსი 2013 წლის 1 მაისამდე (მორიგი გადამონმების თარიღად მიეთითა 2013 წლის აპრილი). დადგინდა, რომ რ. ლ-ეს დაკარგული აქვს პროფესიული შრომის უნარი 90%-ით;

5. 2012 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომაზე სპეციალისტების სახით დაიკითხნენ შპს „მ. ს. ც-ის“ დირექტორი ი. ნ-ე და ექიმი-სპეციალისტი (ნევროპათოლოგი) მ. ფ-ი. ი. ნ-მ განმარტა, რომ რ. ლ-ის პროფესიული შრომის უნარის შეზღუდვის დამდგენ კომისიაში პირადად მონაწილეობა არ მიუღია (იხ: სასამართლო სხდომის ოქმი). მ. ფ-მა განმარტა, რომ შემონმების აქტის შედგენისას რ. ლ-ის შრომითი პირობები უშუალოდ არ გამოუკვლევია და მისი სამუშაოს ხასიათის შეფასებისას დაეყ-

რდნო მხოლოდ რ. ლ-ის ზეპირ განმარტებებს;

6. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის სხდომაზე გამოტანილი განჩინებით, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო-ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონულ ექსპერტიზის სამსახურს. ექსპერტიზას განესაზღვრა შემდეგი შეკითხვები: ა) შესაძლებლობის შემთხვევაში – განისაზღვროს რ. ლ-ის შრომის უნარის შეზღუდვის ხარისხი, გამობატული პროცენტულად; ბ) შრომისუუნარობის დადგენის შემთხვევაში განისაზღვროს შესაძლო მიზეზობრივი კავშირი 2011 წლის 30 მარტს მომხდარ უბედურ შემთხვევასთან, ნარჩენი მოვლენების მითითებით; გ) რ. ლ-ის დასაქმების შესაძლებლობის და საამისოდ დამატებითი (სპეციალური) პირობების შექმნის აუცილებლობის განსაზღვრა. განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ შპს „მ. ს. ც-ის“ მიერ მომზადებული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემონიშნების აქტი №179/12 არ არის საკმარისი საქმეზე ობიექტური და სრულყოფილი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რის გამოც მოსარჩელის შრომისუუნარობის ხარისხის გამოსარკვევად უნდა დაინიშნოს სამედიცინო ექსპერტიზა; განჩინების გამოტანისას, საქმის განმარტებული მოსამართლე განმარტავს, რომ სადავო საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია „სამედიცინო-სოციალური“ ექსპერტიზა, რომლის ჩატარება, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, დაევალება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის სამსახურს (იხ: 2012 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმი);

7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ (ექსპერტები: მ. მ-ი, ლ. უ-ი, ლ. ფ-ე, ჯ. მ-ე) მომზადდა ექსპერტის №1805-2012-08/3 დასკვნა, რომლითაც დადგინდა, რომ რ. ლ-ეს აღენიშნება ქალა-ტვინის ღია ტრავმის, თავის ტვინის დაჟეჟილობის შემდგომი ენცეფალოპათია მეორე ხარისხის, მარჯვენამხრივი ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა, რაც დაკავშირებულია 2011 წლის 30 მარტს მიღებულ ტრავმასთან და ამჟამად აღინიშნება ტრავმის შემდგომი ნარჩენი მოვლენები – ჰორიზონტალური ნისტაგმი, ანიზორეფლექსია მხარეობის გარეშე, დადებითი რომბერგის ცდა, ცხვირ-ტუჩის ნაოჭის იოლი გასადავება; რ. ლ-ეს აღენიშნება საერთო შრომის უნარის მყარი დაკარგვა 20%-ით. სასამართლოს

დანარჩენ შეკითხვებთან დაკავშირებით ექსპერტებმა მიუთითეს, რომ მათზე პასუხის გაცემა არ შედის სამედიცინო ექსპერტიზის კომპეტენციაში (იხ: ექსპერტის დასკვნა);

8. 2012 წლის 9 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა ლ. უ-მა განმარტა, რომ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრისას ექსპერტებმა იხელმძღვანელებს სსრკ ფინანსთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამსახურის მიერ ერთობლივად, 1986 წელს დამტკიცებული ინსტრუქციით, რომელიც ადგენს მეთოდიკას, თუ როგორ უნდა განისაზღვროს შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი (გამოხატული პროცენტულად) გარკვეული სამედიცინო პათოლოგიების შესაბამისად. მან მიუთითა, რომ სამწუხაროდ ამ სფეროში არ არსებობს ახალი ნორმატიულ აქტი, რის გამოც ექსპერტები იძულებულნი არიან იხელმძღვანელონ სწორედ ამ წესით. მან ასევე განმარტა, რომ „შრომის უნარის მყარი დაკარგვა“ გულისხმობს შრომის უნარის სამუდამო, შეუქცევად დაკარგვას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნის გამცემ ექსპერტებს არ აქვთ შეხება სამედიცინო-სოციალურ-ექსპერტიზასთან და არ აქვთ სამედიცინო სერტიფიკატი ამ სფეროში;

9. რ. ლ-სა და შპს „შრომის დაცვას“ (დირექტორი – ნ. დ-ე) შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც საწარმომ იკისრა ვალდებულება, უზრუნველყო 2011 წლის 30 მარტს მომხდარი უბედური შემთხვევიდან გამომდინარე რ. ლ-ის ინტერესების დასაცავად ყველა მტკიცებულების მოპოვება, ასევე, რ. ლ-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება სხვადასხვა ორგანოებთან (მათ შორის – სასამართლოსთან) ურთიერთობაში. რ. ლ-ემ კი იკისრა ვალდებულება წინასწარ გადაეხადა საქმისწარმოებისათვის აუცილებელი ხარჯები – 2500 ლარი. საქმეში წარმოდგენილი 16.08.2011 წლის შემოსავლის ორდერის ასლის თანახმად, რ. ლ-ემ შპს „შრომის დაცვას“ მომსახურების ღირებულება 500 ლარი გადაურიცხა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული საოქმო განჩინების უკანონობის დასაბამებლად აპელანტი მიუთითებს ერთადერთ სამართლებრივ საფუძველზე – სსკ-ის 287-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს თითოეული სხდომის შესახებ, აგრეთვე, სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მონწეები, ექსპერტები, სპეციალისტები, ოქმის შედგენა სავალდებულოა. აპელანტი მიიჩნევდა, რომ, ვინაიდან სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის

სხდომის ოქმში მოსამართლე საუბრობს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობაზე, გასაჩივრებული განჩინება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილია კანონდარღვევით, რადგან არ არსებობს მისი შინაარსის შესაბამისი სასამართლო სხდომის ოქმი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი. ამდენად, კანონმდებელი გასაჩივრებული გადანყვეტილების (განჩინების) გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლად მიიჩნევს საქმეში სასამართლო სხდომის ოქმის საერთოდ არარსებობას. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია 2012 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომაზე, რომლის ოქმიც (წერილობითი და აუდიო ვერსიების სახით) ერთვის საქმეს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ფაქტობრივად გამოტანილი განჩინებისა და სხდომის ოქმის შინაარსი ერთმანეთს არ შეესაბამება, რაც საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევაა. სსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი. ამდენად, აპელანტს უნდა დაესაბუთებინა, რომ ამ დარღვევის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო მიიღებდა სხვაგვარ გადანყვეტილებას, რაც არ განხორციელებულა. გასაჩივრებული განჩინებისა და 2012 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლით დგინდება საქმის განმხილველი მოსამართლის ნება, დანიშნოს სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც გაარკვევს რ. ლ-ის საერთო (და არა პროფესიული) შრომის უნარის შეზღუდვის ხარისხს (გამოხატულს პროცენტულად), მიზეზობრივი კავშირის არსებობას ამ შეზღუდვასა და 2011 წლის 30 მარტს მომხდარ უბედურ შემთხვევას შორის, ასევე, რ. ლ-ის დასაქმების შესაძლებლობას და საამისოდ დამატებითი (სპეციალური) პირობების შექმნის აუცილებლობის საკითხს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია საქართველოს მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების ჯანმრთელობის დაცვა, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრა, მისი გამომწვევი მიზეზების პროფილაქტიკა და აღნიშნული კა-

ტეგორიის პირთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პირობების შექმნა. იმავე კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სოციალურ დაცვაში იგულისხმება სახელმწიფოს მიერ გარანტირებული მუდმივი ან დროებითი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს სათანადო პირობების შექმნა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა გადალახოს ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს სხვა მოქალაქეთა მსგავსად მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებაში. ხოლო მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ქმედუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი მიზეზის, გადამწმენის ვადისა და მომდინარეობის დროის დადგენა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სხვადასხვა სახის განსაზღვრა. ზემოთ მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას ამახვილებს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის მიზანსა და ამოცანაზე: ადამიანის ქმედუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა, იმისათვის, რათა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირმა ისარგებლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული სოციალური ხასიათის პროგრამებით გათვალისწინებული შეღავათებით, მისი საზოგადოებაში სრულყოფილი ადაპტაციის პირობების უზრუნველყოფით. ამ მიზნისა და ამოცანის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად არ იყო სავალდებულო სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარება შესაბამისი წესების დაცვით, რადგან დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სოციალური დაცვის სისტემაში აპელანტის ჩართვა და შესაბამისი უფლებებით აღჭურვა, არამედ – კერძო პირთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის (მატერიალური და მორალური) ხარისხის განსაზღვრა და მისი ადეკვატური ანაზღაურება. აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის პრეტენზია, რაც ეფუძნებოდა სადავო დასკვნის გამცემი ექსპერტების სამედიცინო-სო-

ციალური ექსპერტიზის სფეროში სპეციალური ცოდნის (სამედიცინო სერტიფიკატის) არქონას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ასევე მისი ტერიტორიული ერთეული – აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი, უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს სამედიცინო ექსპერტიზა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომელიც ეფუძნებოდა ექსპერტების მიერ სსრკ-ის არსებობისას დამტკიცებული წესების გამოყენებას. სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადამწყვეტილებაში ან განჩინებაში. აპელანტმა, სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად, სადავო ექსპერტიზის დასკვნის გასაქარწყლებლად, ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმ გარემოებათა არსებობის დასადასტურებლად, რასაც ეფუძნებოდა მისი პრეტენზია. კერძოდ: არ იქნა დადასტურებული მითითებული წესების ძალადაკარგულობის, აგრეთვე – სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას საერთო შრომის უნარის შეზღუდვის ხარისხის დასადგენად სხვა, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების არსებობის გარემოებები. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობს ამ სფეროს მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 21 აგვისტოს №245/ნ ბრძანება „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესების შესახებ“, თუმცა ეს ბრძანება პროცედურული ხასიათისაა და არ განსაზღვრავს ცალკეული სამედიცინო პათოლოგიების შესაბამისად საერთო შრომის უნარის შეზღუდვის ხარისხის დადგენის მეთოდოლოგიას.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები შპს „მ. ს. ც-ის“ მიერ მომზადებული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების №179/12 აქტის გაზიარებაზე უარის თქმის ნაწილში. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შემოწმე-

ბის აქტი საჭიროებდა ერთი წლის განმავლობაში გადასინჯვას, ანუ – შრომის უნარის შეზღუდვა 90 %-ით არ იყო უვადოდ და მყარად დადგენილი; შემონმების აქტი არ იყო საკმარისად დასაბუთებული. რ. ლ-ის შემონმების მომენტისათვის მის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და 2011 წლის 30 მარტს მომხდარ უბედურ შემთხვევას შორის არ ყოფილა დეტალური, საფუძვლიანი მსჯელობით დადგენილი მიზეზობრივი კავშირი; შემონმების აქტის შემდგენ პირს დოკუმენტურად არ გამოუკვლევია რ. ლ-ის სამუშაო პირობები, არ დაუდგენია ის ფუნქცია, რასაც ასრულებდა იგი დამსაქმებელ სანარმოში და დაეყრდნო მხოლოდ რ. ლ-ის ზეპირ განმარტებებს, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს უარი ამ აქტის მონაცემთა გაზიარებაზე დასაბუთებული იყო.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აპელანტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანება მოხდა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში სამუშაოს შესრულებისას. ეს ურთიერთობა მხარეთა შორის რეგულირდებოდა საქართველოს შრომის კოდექსით, რომლის 44-ე მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ბლანკეტური ნორმის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობის იმ ნორმებით, რომლებიც განსაზღვრვენ ზოგადად ზიანის მიყენების სამართლებრივ შედეგებს.

სააპელაციო სასამართლომ მოსაზრებით, დელიქტური ვალდებულების მოცულობა უნდა განისაზღვროს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმების, აგრეთვე – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ექსპერტის №1805-2012-08/3 დასკვნის მონაცემების და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ლ-ის ყოველთვიურად გადასახდელი სარჩოს ოდენობა უნდა ყოფილიყო მისი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის (რაც გამოიხატა საერთო შრომის უნარის მყარ დაკარგვაში 20%-ით) შესაბამისი. რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, აპელანტს, 100%-იანი საერთო შრომის უნარით, გააჩნდა პოტენციური შესაძლებლობა – თავისი შრომითი საქმიანობიდან გამომდინარე მიეღო ანაზღაურება 825 ლარი. შესაბამისად, ზიანის მოცულობა, გამოსატყუი თანხაში, უნდა განსაზღვრული-

ყო რ. ლ-ის მიერ მოპასუხე სანარმოსგან ყოველთვიურად ხელფასის სახით მისაღები თანხის 20%-ით, 165 ლარით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დასაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0,07%. ამ ნორმაზე დაყრდნობით ითხოვდა აპელანტი (მოსარჩელე) 2011 წლის 1 აგვისტოდან მისთვის გასაცემი სარჩოს დაყოვნებით ამავე სარჩოს თანხის 0,07%-ის დაკისრებას მოპასუხისათვის. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თუმცა – ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია არ არის ასახული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში. სააპელაციო სასამართლო ამ გარემოებასაც მიიჩნევს საპროცესო სამართლის ნორმების (სსკ-ის 244-ე და 249-ე მუხლების) დარღვევად, თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმებისათვის უნდა შეფასდეს, იყო თუ არა ეს არსებითი ხასიათის დარღვევა, რამაც იმოქმედა გადაწყვეტილების შინაარსზე.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის სახელწოდებაა „შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა, გაცემის დრო და ადგილი“; ამდენად, მითითებული მუხლის ნორმები სპეციალური (საგამონაკლისო) ხასიათისაა და ეხება მხოლოდ შრომის ანაზღაურების – ხელფასის გაცემის საკითხებს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ყოველთვიური სარჩოს გაცემის დაყოვნებისათვის რაიმე დამატებითი ფულადი ჯარიმის დაკისრებას. შრომის კოდექსის 31-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება კი, დაუშვებელია.

აპელანტის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო მოპასუხისათვის სტაციონარული მკურნალობისას (125 დღის განმავლობაში) კვებისათვის განუთი ხარჯის – 1250 ლარის გადახდის დაკისრება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამ მოთხოვნის დასაბამებლად მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის არ წარუდგენია ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები და მიუთითა, რომ ეს ხარჯი გამოანგარიშებული იყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მივლინებისას გადასახდელი დღიური ხარჯის ოდენობას. აღნიშნული ნორმატიული აქტი კი, განსახილველ დავას არ უკავშირდება.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის ანალიზის საფუძველ-



ზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დელიქტის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი თავისთავად ანიჭებს უფლებას იმ პირს, ვინც დაზარალდა, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის. ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი უკვე გულისხმობს იმას, რომ დაზარალებულიმა განიცადა ტკივილი და სულიერი ტანჯვა როგორც თვით დაზიანების მიღებისას, ასევე, მკურნალობის პროცესში (განსაკუთრებით თუ მკურნალობა ხანგრძლივ დროს მოითხოვს). ეს სულიერი ტანჯვა გრძელდება მაშინაც, თუ მკურნალობის მიუხედავად დაზარალებული პირი ვერ გამოჯანმრთელდა სრულად და აღენიშნება გადატანილი დაზიანებების ნარჩენი მოვლენები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება სულიერი ტანჯვის ნამდვილად არსებობის დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარუდგენლობის გამო არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

ზემოაღნიშნული გადანყვეტილება რ. ლ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადანყვეტილების მიღების მოთხოვნით. კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია. კასატორი მოითხოვს 2012 წლის 24 აპრილის განჩინების გაუქმებას, ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი და მე-3 მუხლები. 2012 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომაზე გამოტანილი განჩინებით დადგინდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარება (რაზედაც თანხმობა მოსარჩელე მხარემაც განაცხადა; ამასთან, ექსპერტიზის წინაშე უნდა დასმულიყო კითხვა პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის დადგენისა და შრომისუუნარობის ტრავმასთან კავშირის დადგენაზე) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ კი, ჩაატარა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტებმა იხელმძღვანელეს სსრკ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილისა და სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსის მიერ 1986 წელს დამტკიცებული „სადაზღვევო ექსპერტიზის ორგანიზაციისა და ჩატარების ინსტრუქციით გათვალისწინებული-პირადი დაზღვევის ნესებით დადგენილი და სადაზ-

ღვევო პერიოდში მიღებული სხვადასხვა ტრავმების დროს საერთო შრომის უნარის დაკარგვის პროცენტის გამოანგარიშების ტაბულით“ სადავო დასკვნის გამცემ ექსპერტებს არ გააჩნიათ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სფეროში სპეციალური ცოდნა, რაც მათ დაადასტურეს სასამართლოში ჩვენების მიცემისას. სააპელაციო სასამართლომ კი, ეს გარემოებები არ გაითვალისწინა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ რ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 30 მარტს, 17:00 საათზე, შრომითი მოვალეობის შესრულებისას, რ. ლ-ე გადმოვარდა სიმალიდან და მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება (იხ: „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ“ აქტი №1). მოსარჩელემ, 2011 წლის 30 მარტი-18 აპრილის შუალედში, გაიარა სტაციონარული მკურნალობა შპს „ქ. ბათუმის №1 საავადმყოფოში“, სადაც მოთავსებული იყო დიაგნოზით: შერწყმული ტრავმა, ქალა-ტვინის ღია მძიმე ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა მძიმე ხარისხის, მარჯვნივ შუბლის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა წარბზე გავრცელებით, პნევმოცეფალია, მარჯვენა მეხუთე ნეკნის მოტეხილობა, ორთავე სხივის ძვლის სადგისისებური მორჩების მოტეხილობა, მარჯვენა სმენის ნერვის ნევრიტი. ეს ყოველივე მიეკუთვნებოდა სიცოცხლისათვის სახიფათო, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებებს (იხ: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის 03.05.2011წ. №1199-08/3 დასკვნა);

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის განჩინით, ბათუმის საერთაშორისო საკონტინენტო ტერმინალის ტერიტორიაზე დოკერთა ბრიგადის ხელმძღვანელი – გ. დ-ი, სამუშაოთა წარმოების დროს უსაფრთხოების წესების დაცვის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.

3. 2011 წლის 1 აგვისტოს რ. ლ-ესა და შპს „ბ. ს. ს. ტ-ს“ შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა შრომის ხელშეკრულების ვადის

ამონურვის გამო.

4. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის განჩინების, შესაბამისად, შპს „მ. ს. ც-ის“ მიერ მომზადდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემონმების №179/12 აქტი, რომლითაც შრომითი დასახიჩრების შედეგად რ. ლ-ეს მიენიჭა „მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის“ (შრომის უნარის შეზღუდვის მე-2 ხარისხი, თვითკონტროლის უნარის შეზღუდვის მე-2 ხარისხი) სტატუსი 2013 წლის 1 მაისამდე (მორიგი გადამონმების თარიღად მიეთითა 2013 წლის აპრილი). დადგინდა, რომ რ. ლ-ეს დაკარგული აქვს პროფესიული შრომის უნარი 90%-ით;

5. 2012 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომაზე სპეციალისტების სახით დაიკითხნენ შპს „მ. ს. ც-ის“ დირექტორი ი. ნ-ე და ექიმი-სპეციალისტი (ნევროპათოლოგი) მ. ფ-ი. ი. ნ-ემ განმარტა, რომ რ. ლ-ის პროფესიული შრომის უნარის შეზღუდვის დამდგენ კომისიაში პირადად მონაწილეობა არ მიუღია (იხ: სასამართლო სხდომის ოქმი). მ. ფ-მა განმარტა, რომ შემონმების აქტის შედგენისას რ. ლ-ის შრომითი პირობები უშუალოდ არ გამოუკვლევია და მისი სამუშაოს ხასიათის შეფასებისას დაეყრდნო მხოლოდ რ. ლ-ის ზეპირ განმარტებებს;

6. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის სხდომაზე გამოტანილი განჩინებით, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო-ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონულ ექსპერტიზის სამსახურს. ექსპერტიზას განესაზღვრა შემდეგი შეკითხვები: ა) შესაძლებლობის შემთხვევაში – განისაზღვროს რ. ლ-ის შრომის უნარის შეზღუდვის ხარისხი, გამოხატული პროცენტულად; ბ) შრომისუუნარობის დადგენის შემთხვევაში განისაზღვროს შესაძლო მიზეზობრივი კავშირი 2011 წლის 30 მარტს მომხდარ უბედურ შემთხვევასთან, ნარჩენი მოვლენების მითითებით; გ) რ. ლ-ის დასაქმების შესაძლებლობის და საამისოდ დამატებითი (სპეციალური) პირობების შექმნის აუცილებლობის განსაზღვრა. განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ შპს „მ. ს. ც-ის“ მიერ მომზადებული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემონმების აქტი №179/12 არ არის საკმარისი საქმეზე ობიექტური და სრულყოფილი გადანვეტილების მიღებისათვის, რის გამოც მოსარჩელის შრომისუუნარობის ხარისხის გამოსარკვევად უნდა დაინიშნოს სამედიცინო ექსპერტიზა; განჩინების გამოტანისას, საქმის განხილველი მოსამართლე განმარტავს, რომ სადავო საკითხების

გადასაწყვეტად აუცილებელია „სამედიცინო-სოციალური“ ექსპერტიზა, რომლის ჩატარება, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, დაევალება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის სამსახურს (იხ: 2012 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმი);

7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ (ექსპერტები: მ. მ-ი, ღ. უ-ი, ლ. ფ-ე, ჯ. მ-ე) მომზადდა ექსპერტის №1805-2012-08/3 დასკვნა, რომლითაც დადგინდა, რომ რ. ლ-ეს აღენიშნება ქალა-ტვინის ღია ტრავმის, თავის ტვინის დაჟეჟილობის შემდგომი ენცეფალოპათია მეორე ხარისხის, მარჯვენამხრივი ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა, რაც დაკავშირებულია 2011 წლის 30 მარტს მიღებულ ტრავმასთან და ამჟამად აღინიშნება ტრავმის შემდგომი ნარჩენი მოვლენები – ჰორიზონტალური ნისტაგმი, ანიზორეფლექსია მხარეობის გარეშე, დადებითი რომბერგის ცდა, ცხვირ-ტუჩის ნაოჭის იოლი გასადავება; რ. ლ-ეს აღენიშნება საერთო შრომის უნარის მყარი დაკარგვა 20%-ით. სასამართლოს დანარჩენ შეკითხვებთან დაკავშირებით ექსპერტებმა მიუთითეს, რომ მათზე პასუხის გაცემა არ შედის სამედიცინო ექსპერტიზის კომპეტენციაში (იხ: ექსპერტის დასკვნა);

8. 2012 წლის 9 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა ღ. უ-მა განმარტა, რომ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრისას ექსპერტებმა იხელმძღვანელებს სსრკ ფინანსთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამსახურის მიერ ერთობლივად, 1986 წელს დამტკიცებული ინსტრუქციით, რომელიც ადგენს მეთოდიკას, თუ როგორ უნდა განისაზღვროს შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი (გამოხატული პროცენტულად) გარკვეული სამედიცინო პათოლოგიების შესაბამისად. მან მიუთითა, რომ სამწუხაროდ ამ სფეროში არ არსებობს ახალი ნორმატიულ აქტი, რის გამოც ექსპერტები იძულებულნი არიან იხელმძღვანელონ სწორედ ამ წესით. მან ასევე განმარტა, რომ „შრომის უნარის მყარი დაკარგვა“ გულისხმობს შრომის უნარის სამუდამო, შეუქცევად დაკარგვას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნის გამცემ ექსპერტებს არ აქვთ შეხება სამედიცინო-სოციალურ-ექსპერტიზასთან და არ აქვთ სამედიცინო სერტიფიკატი ამ სფეროში;

9. რ. ლ-სა და შპს „შრომის დაცვას“ (დირექტორი – ნ. დ-ე) შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც სა-

წარმომ იკისრა ვალდებულება, უზრუნველყო 2011 წლის 30 მარტს მომხდარი უბედური შემთხვევიდან გამომდინარე რ. ლ-ის ინტერესების დასაცავად ყველა მტკიცებულების მოპოვება, ასევე, რ. ლ-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება სხვადასხვა ორგანოებთან (მათ შორის – სასამართლოსთან) ურთიერთობაში. რ. ლ-ემ კი იკისრა ვალდებულება წინასწარ გადაეხადა საქმისწარმოებისათვის აუცილებელი ხარჯები – 2500 ლარი. საქმეში წარმოდგენილი 16.08.2011 წლის შემოსავლის ორდერის ასლის თანახმად, რ. ლ-ემ შპს „შრომის დაცვა“ მომსახურების ღირებულება 500 ლარი გადაურიცხა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული გულისხმობს, მხარის მითითებას საპროცესო კანონმდებლობის დარღვევაზე, ან მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაზე, რის შედეგადაც ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული შედავების უფლებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს.

მოცემულ შემთხვევაში რ. ლ-ე სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. შესაბამისი განჩინებით კი, დაინიშნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ სხდომის ოქმი და ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინება ერთმანეთს არ შეესაბამებოდა, რაც საპროცესო კანონმდებლობის დარღვევაა, მაგრამ, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მოცემულ საქმეზე სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი არ არსებობდა, აღნიშნულ დარღვევას საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება არ გამოუწვევია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამარ-

თლოს დასკვნას, რომ განსახილველ საქმეზე არ უნდა დანიშნულიყო სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა.

საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

საწარმოო ტრავმის შედეგად დამსაქმებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი ასევე მოცემული სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით კი, დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადაამზადება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზიანებისას დამსაქმებლის ვალდებულების განსაზღვრისათვის, მხედველობაში მისაღებია პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი. ნათელია, რომ სამოქალაქო კოდექსი ზიანის მიყენებად განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მიღებული ტრავმის შედეგად პირს ესაჭიროება პროფესიული გადაამზადება, ვინაიდან ჯანმრთელობის დაზიანების გათვალისწინებით, გადაამზადების გარეშე, იგი ვეღარ განახორციელებს თავის პირვანდელ მოვალეობებს, ან ვერ დასაქმდება სხვა სამსახურში, თუნდაც ამ შემთხვევაში, საერთო შრომის უნარი დაქვეითებული არც იყოს. პროფესიული შრომის უნარის დაკარგვისას ან შემცირებისას ზიანი გამოიხატება სწორედ იმ გარემოებაში, რომ ჯანმრთელობის დაზიანების გამო, პირი ვეღარ აგრძელებს მის მიერ არჩეული, სასურველი პროფესიით მუშაობას, ან ამისათვის დამატებითი ძალისხმევა ესაჭიროება და იზრდება მისი მოთხოვნილებები იმ თვალსაზრისით, რომ იგი იძულებულია, სხვაგვარად დასაქმდეს, ახალ სამუშაო პირობებთან ადაპტაცია გაიაროს, ან თუნდაც, იმავე შრომითი მოვალეობების შესრულება მისთვის, სხვა დასაქმებულებთან შედარებით, გართულებულია და სპეციალური პირობების შექმნას საჭიროებს.

პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრა ხდება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააკველაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, ამგვარი ექსპერტიზის მიზანია, ადამიანის ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა, იმისათვის, რათა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირმა ისარგებლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული სოციალური ხასიათის პროგრამებით გათვალისწინებული შეღავათებით, შესაბამისად, ექსპერტიზა არ უნდა დაინიშნოს დამსაქმებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების განსაზღვრისას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ქმედუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე შესაძლებლობის შეზღუდვის გამოწვევი მიზეზის, გადამოწმების ვადისა და მომდინარეობის დროის დადგენა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სხვადასხვა სახის განსაზღვრა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა არ ტარდება მხოლოდ პირის სახელმწიფო სოციალური დაცვის პროგრამებში ჩართვის მიზნით.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მითითებული კანონის მე-5 თავი ანესრიგებს დასაქმებულთათვის შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული დასახიჩრების, პროფესიული დაავადების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად დაკარგული პროფესიული შრომისუნარიანობის ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ თავის მე-19 მუხლის მიხედვით, დაზარალებულმა, რომელიც პირველად გადის შემოწმებას, ან მისმა წარმომადგენელმა დაწესებულებაში უნდა წარადგინოს იმ დამსაქმებლის ადმინისტრაციის ან პროფესიული კავშირის მიმართვა, სადაც მიიღო შრომითი დასახიჩრება, ან სასამართლოს მიმართვა (სასამართლოს გადაწყვეტილება), უბედური შემთხვევის აქტი ან სხვა დოკუმენტი შრომითი დასახიჩრებით მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ; 24-ე მუხლის თანახმად კი, ამონაწერი შემოწმების აქტიდან პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრის შედეგების, დამატებითი დახმარების საჭიროების შესახებ ეგზავნება დამსაქმებელს ან სასამართლოს, რომლის მიმართვის საფუძველზედაც გაიარა შე-

მონმება დაზარალებულმა, ხოლო ცნობა შემონმების შედეგების შესახებ დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს მიეცემა ხელზე. აღნიშნული ნორმების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის მე-5 თავის დებულებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული დამსაქმებლისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას სარჩოს დანიშვნის ან ერთჯერადი კომპენსაციის გადახდის გზით და არა სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ჩართვას. სწორედ ამ თავის დებულებების შესაბამისად გაცემული პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის შესახებ დასკვნის საფუძველზე დგინდება სარჩოს ან კომპენსაციის ოდენობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია შპს „მ. ს. ც-ის“ მიერ მომზადებული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემონმების №179/12 აქტი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, იმ საფუძველით, რომ, ჯერ ერთი, სარჩოს ოდენობა საერთო შრომის უნარი დაკარგვის პროპორციულად უნდა დადგენილიყო და მეორეც, სასამართლოს მოსაზრებით, ეს დასკვნა არასარწმუნო იყო.

სააპელაციო სასამართლოს პირველ მოსაზრებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ უკვე იმსჯელა, რაც შეეხება მეორე არგუმენტს, სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცნობებს დაზარალებულის შრომითი საქმიანობის, შრომის პირობებისა და შესრულებული სამუშაოს ხასიათის შესახებ დაწესებულება აზუსტებს სამუშაო ადგილიდან და შესაბამისი სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სადავო დასკვნის გაცემისას, შემონმების აქტის შემდგენ პირს დოკუმენტურად არ გამოუკვლევია რ. ლ-ის სამუშაო პირობები, არ დაუდგენია ის ფუნქცია, რასაც ასრულებდა იგი დამსაქმებელ სწარმოში და დაეყრდნო მხოლოდ რ. ლ-ის ზეპირ განმარტებებს, შესაბამისად, ექსპერტიზა კანონის მოთხოვნა-



თა დარღვევითაა ჩატარებული და სააპელაციო სასამართლომ დასკვნა მართებულად არ გაიზიარა, თუმცა, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ეს გარემოება არ ქმნიდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის სამედიცინო ექსპერტიზის №1805-2012-08/3 დასკვნის მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ რ. ლ-ის გასაცემი სარჩოს ოდენობა უნდა დადგენილიყო მისი პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის (დაქვეითების) ხარისხის პროპორციულად, რაც დგინდება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის №1805-2012-08/3 დასკვნა კი, განსაზღვრავს საერთო შრომის უნარის დაკარგვის ხარისხს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე შეუძლებელია, სააპელაციო სასამართლოს ამგვარი ექსპერტიზა უნდა დაენიშნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩოს დანიშვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების თანახმად, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

იმავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან საჭიროა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც

სავალდებულო სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინების სამართლებრივი დასაბუთებით, დაინიშნოს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა და სარჩოს დაინიშნის საკითხი იმგვარად გადაწყვიტოს.

რაც შეეხება რ. ლ-ის დარჩენ პრეტენზიებს, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მხარეები არ იყვნენ შეთანხმებული ე.წ. „მეცამეტე ხელფასის“ გადახდაზე. 2010 წლის 1 მაისს რ. ლ-სა და შპს „ბ. ს. ს. ტ-ს“ შორის გაფორმებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „შრომის ნაყოფიერებისა და ინფლაციის გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ გადახედილი იქნებოდა ხელფასის ოდენობა“. შესაბამისად, ხელშეკრულებით შეთანხმებული იყო წელიწადში ერთხელ არა დასაქმებულისათვის ხელფასის ოდენობის „გადახდა“, როგორც ამას მოსარჩელე განმარტავს, არამედ – მისი „გადახედა“, ანუ უკვე დადგენილი ხელფასის ოდენობის – 660 ლარის შეცვლა სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ამ შემთხვევაში, არ არსებობს სტაციონარული მკურნალობისას (125 დღის განმავლობაში) კვებისათვის განეული ხარჯის – 1250 ლარის გადახდის დაკისრების საფუძველი, ამგვარი ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსათვის მოსარჩელეს უნდა წარედგინა, რაც მას არ შეუსრულებია; ამასთან რ. ლ-ე მოცემული სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისას მიუთითებს, რომ ეს ხარჯი გამოანგარიშებული იყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მივლინებისას გადასახდელი დღიური ხარჯის ოდენობას, აღნიშნული ნორმატიული აქტი კი, სრულიად სხვა სამართლებრივ ურთიერთობას ანესრიგებს და განსახილველ დავას არ უკავშირდება.

რ. ლ-ის კიდევ ერთი სასარჩელო მოთხოვნა იყო 2011 წლის 1 აგვისტოდან მისთვის გასაცემი სარჩოს დაყოვნებით ამავე სარჩოს თანხის 0,07%-ის გადახდის დაკისრება მოპასუხისათვის. ამ მოთხოვნის დასაბუთებლად მხარე შრომის კოდექსის 31-ე მუხლზე მიუთითებდა. საკასაციო სასამართლო ამ ნაწილშიც ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და აღნიშნავს, რომ მითითებული მუხლი შეეხება შრომის ანაზღაურების გაცემის წესსა და პირობებს, ასევე ადგენს ამ ანაზღაურების გაცემის დაყოვნებისას გადასახდელი პროცენტის ოდენობას. საკასაციო სასამარ-

თლო ასევე აღნიშნავს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების ვადის დარღვევით ან შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, ზოგადად, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, თუმცა ამგვარ ანაზღაურებაზე მსჯელობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე უკვე დანიშნული სარჩოს გადახდის ვალდებულებას არ შეასრულებდა.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ეს მოთხოვნა, მოცემული დავის ფარგლებში, დამოკიდებულია ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობასა და მოცულობაზე, კერძოდ, მორალური ზიანის ანაზღაურებისას ასევე გასათვალისწინებელია ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი; ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ამ ქრილში უნდა იმსჯელოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე, 410-ე, მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. რ. ლ-ის სასარგებლოდ გადასახდელი სარჩოს დანიშვნის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# პირგასამართლოს შემცირება სასამართლოს მიერ

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-819-771-2012

12 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უსაფუძვლოდ ჩამოჭრილი თანხის დაბრუნება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ზ-მა“ და შპს „ა. ჯ-მ“ თბილისის საქალაქო სასამართლოში სს „ლ. ბ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს მოპასუხისათვის 75000 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 2010 წლის 29 ნოემბერს მოსარჩელებსა და სს „ლ. ბ-ს“ შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც გაიხსნა საკრედიტო ხაზი 1 800 000 ლარის ოდენობით. ამ ხელშეკრულების ფარგლებში 2010 წლის 30 ნოემბერს დაიდო ოვერდრაფტის ხელშეკრულება და 2010 წლის 30 ნოემბერს საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. დეკემბერის ბოლოს მოსარჩელებმა მოპასუხის წინაშე ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს და დაფარეს დავალიანება. სს „ლ. ბ-მა“ მოსარჩელებს ანგარიშიდან ჩამოაჭრა 75 000 ლარი იმ საფუძველით, რომ თითქოს მათი მხრიდან სესხის ვადაზე ადრე დაფარვა მოხდა რეფინანსირების გზით, რასაც ადგილი არ ჰქონია, რადგან სს „ლ. ბ-ის“ სესხი ვადამდე დაიფარა ამავე ბანკის მიერ გაცემული აუთვისებელი სესხითა და სამეწარმეო საქმიანობით მოზიდული თანხებით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ რეფინანსირება არის თანხის/ვალდებულების ხელმეორედ დაფინანსება/ გადაფარვა ნებისმიერი სახით და არაა რეგლამენტირებული მისი აღსრულება/განხორციელების სავალდებულო ფორმა. მოსარჩელები ვერ ასაბუთებენ იმ გარემოებას, რომ სს „პ. ბ-დან“ გადმორიცხული თანხებით არ განხორციელებულა დავალიანების დაფარვა. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სს „პ. ბ-ის“ 2010 წლის 20 დეკემბრის საკრედიტო კომიტეტის ოქმის მიხედვით, შპს „ა. ჯ. გ-ს“ დაუმტკიცდა

კრედიტი. კომიტეტის ოქმის მიხედვით, კრედიტის მიზანი იყო სს „ლ. ბ-ში“ არსებული დავალიანების დაფარვა. სს „პ. ბ-მა“ წერილობით აცნობა სს „ლ. ბ-ს“, რომ შპს „ა. ჯ. გ-ს“ დაუმტკიცდა სესხი, რომლითაც გათვალისწინებულია სს „ლ. ბ-ში“ შპს „ა. ჯ. გ-სა“ და შპს „ზ-ის“ მიმდინარე დავალიანების დაფარვა. ბანკმა სთხოვა მოპასუხეს მიეწოდებინა ინფორმაცია მოსარჩელების მიმდინარე დავალიანების თაობაზე. სს „პ. ბ-მა“ კრედიტის თანხა 390 000 აშშ დოლარის ოდენობით გასცა 21 დეკემბერს. მოსარჩელებმა სს „ლ. ბ-ის“ დავალიანება 1 490 364 ლარის ოდენობით დაფარეს 22 დეკემბერს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ა. ჯ. გ-სა“ და შპს „ზ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით შპს „ა. ჯ.ა გ-სა“ და შპს „ზ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს „ა. ჯ. გ-ს“ მიერ სს „ლ. ბ-დან“ 2010 წლის 29 ნოემბრის ხელშეკრულების, ისევე როგორც მის ფარგლებში გაფორმებული 2010 წლის 29 ნოემბრისა და 2010 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულებების საფუძველზე შპს „ა. ჯ. გ-სა“ და შპს „ზ-ზე“ გაცემული სესხები დაიფარა ვადამდე 2010 წლის 22 დეკემბერს 1 490364 ლარის ოდენობით სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან რეფინანსირებით;

2. 2010 წლის 29 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და თანამსესხებლებს – შპს „ზ-ს“, შპს „ქ-სა“ და შპს „ა. ჯ. გ-ს“ შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: საკრედიტო ლიმიტი 10 000 000 ლარი ან მისი ეკვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, ხაზის მოქმედების ვადა 120 თვე, მაქსიმალური წლიური საპროცენტო სარგებელი საკრედიტო პროდუქტებზე 5-36%;

3. მხარეებს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე 2010 წლის 30 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და შპს „ა. ჯ. გ-ს“ შორის გაფორმდა ოვერდრაფტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: ოვერდრაფტის მოცულობა 350 000 ლარი, მოქმედების ვადა – 2011 წლის 30 მაი-

სამდე, წლიური საპროცენტო სარგებელი 14% (ოვერდრაფტის ხელშეკრულება). გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, 2010 წლის 30 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და შპს „ზ-ს“ შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კრედიტის მოცულობა 600 000 ლარი, კრედიტის მოქმედების ვადა 2014 წლის 28 ნოემბრამდე, წლიური საპროცენტო სარგებელი 14%;

4. სს „პ. ბ-ის“ ცენტრალურ ფილიალში შპს „ა. ჯ. გ-ს“ დაუმტკიცდა სესხის სს „ლ. ბ-ში“ შპს „ა. ჯ. გ-სა“ და შპს „ზ-ის“ მიმდინარე დავალიანების დაფარვის მიზნით. აღნიშნული გარემოება დასტურდება სს „პ. ბ-ის“ წერილით სს „ლ. ბ-ის“ მიმართ, რომლის მიხედვით, შესაბამისი ცნობის მიწოდების მიზანია არსებული კრედიტების ზუსტი მოცულობის დადგენა და ამ კრედიტების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკების გაუქმება. სს „პ. ბ-ის“ მიერ შპს „ა. ჯ. გ-სათვის“ „ლ. ბ-ის“ საკრედიტო ხაზის დახურვის მიზნით კრედიტის გამოყოფა დასტურდება ასევე „პ. ბ-ის“ საკრედიტო კომიტეტის 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით;

5. 2010 წლის 20 დეკემბერს შპს „ზ-სა“ და შპს „ა. ჯ. გ-ზე“ სს „ლ. ბ-მა“ გასცა ცნობები, რომელთა შესაბამისად, 2010 წლის 19 დეკემბრისათვის შპს „ზ-ის“ დავალიანება განისაზღვრა 604832,88 ლარის ოდენობით, ხოლო შპს „ა. ჯ. გ-ს“ დავალიანება – 883532,74 ლარისა და 5590,07 ლარის ოდენობით;

6. სს „პ. ბ-მა“ შპს „ა. ჯ. გ-ზე“ საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად 2010 წლის 21 დეკემბერს გასცა კრედიტი 390 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო 2011 წლის 14 იანვარს — 210 000 აშშ დოლარისა და 100 000 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულებებში კრედიტის მიზნად ასევე ფიქსირდება არსებული სესხის დაფარვა;

7. 2010 წლის 22 დეკემბერს სს „ა. ჯ. გ-ს“ ანგარიშიდან დაიფარა სესხის 1 490 087,50 ლარის ოდენობით. აღნიშნული გარემოება დასტურდება შპს „ა. ჯ. გ-ს“ საბანკო ანგარიშის ამონაწერი. 2010 წლის 22 დეკემბრისათვის სს „პ. ბ-ის“ მიერ გაცემული სესხის ოდენობად ფიქსირდება 390 000 აშშ დოლარი, ხოლო 260 000 აშშ დოლარისა და 67030 აშშ დოლარის მიღების წყარო საბანკო ამონაწერიდან არ ირკვევა. ასეთ წყაროდ მითითებულია შემოსავლები ეროვნული ვალუტის გაყიდვის გზით, თუმცა ეროვნულ ვალუტაში გახსნილი ანგარიშიდან შესაბამისი გასავალი არ დასტურდება. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ „პ. ბ-ის“ მიერ 2011 წლის 14 იანვარს გაცემული კრედიტით ამავე დღეს ხორციელდება სესხის სრული დაფარვა, პალატა

ადგენს, რომ 2010 წლის 22 დეკემბერს სს „ლ. ბ-ის“ სესხი მოსარჩელებმა დაფარეს სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან მიღებული თანხით, რომელიც საბოლოო ჯამში დაიფარა სწორედ სს „ბ. ბ-დან“ აღებული კრედიტით;

8. 2010 წლის 30 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და შპს „ა. ჯ. გ-ს“ შორის გაფორმებული ოვერდრაფტის ხელშეკრულებითა და 2010 წლის 30 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და შპს „ზ-ს“ შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან რეფინანსირების შემთხვევაში წინასწარ დაფარული თანხის 5%-ის ოდენობით;

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მითითება, რომ სს „ლ. ბ-ის“ კრედიტი დაიფარა არა სხვა საფინანსო დაწესებულებიდან მიღებული სახსრებით, არამედ შპს „ა. ჯ. გ“-ს მიერ სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით და მიუთითა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით აღნიშნული არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტების პრეტენზია, რომლის მიხედვით სს „ლ. ბ-ის“ მიერ დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, ვერ გახდებოდა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სადავო პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა ეფუძნება სპეციალური ფაქტების დადგენას. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე კრედიტორის ეკონომური ინტერესი. აღნიშნულ გარემოებებზე სასამართლო მსჯელობს მხარის მოთხოვნის შესაბამისად და მხოლოდ ამგვარი წინაპირობის არსებობისას, პირგასამტეხლოს ოდენობის მართლზომიერება-არამართლზომიერებასთან დაკავშირებული ფაქტების შეფასების შემდეგ, შეუძლია გამოიყენოს სასამართლოს დისკრეცია, რაც გულისხმობს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას. მოცემულ შემთხვევაში ამგვარი გარემოებები საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას არ გამოკვლეულა, რადგან აპელანტებმა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში გა-

ხადეს სადავოდ ხელშეკრულებებით შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებას სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მხარე ადასტურებს პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას ფაქტის დადგენის შეუძლებლობას საპატიო მიზეზით. სხვა შემთხვევაში სააპელაციო განხილვისას ახალი ფაქტების დადგენა ეწინააღმდეგება სააპელაციო განხილვის კანონისმიერ დანიშნულებას – გადასინჯოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელებმა საკაცო წესით გაასაჩივრეს, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ დაარღვია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონისა და მის საფუძველზე გაცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულებები, რომლის მიხედვითაც, რეფინანსირების შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს 2%-ს. საქმის განხილვისას სასამართლომ იმსჯელა მტკიცებულებების ქართულ ენაზე წარდგენის ვალდებულების თაობაზე და მიიჩნია, რომ მხარეს ამგვარი ვალდებულება არ ეკისრება, რაც არასწორია. გადაწყვეტილება იურიდიული ძალის არმქონე მტკიცებულებებს ემყარება. შპს „ზ-ს“ სხვა ბანკისაგან სესხი არ აუღია, შესაბამისად, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება უსაფუძვლოა. სესხის დაფარვა რეფინანსირებით არ მომხდარა, „პ. ბ-საგან“ აღებული სესხით შპს „ზ-თან“ არსებული დავალიანება დაიფარა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „ა-სა“ და შპს „ზ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად



შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს „ა. ჯ. გ-ს“ მიერ სს „ლ. ბ-დან“ 2010 წლის 29 ნოემბრის ხელშეკრულების, ისევე როგორც მის ფარგლებში გაფორმებული 2010 წლის 29 ნოემბრისა და 2010 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულებების საფუძველზე შპს „ა. ჯ. გ-სა“ და შპს „ზ-ზე“ გაცემული სესხები დაიფარა ვადამდე 2010 წლის 22 დეკემბერს 1 490364 ლარის ოდენობით სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან რეფინანსირებით;

2. 2010 წლის 29 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და თანამსესხებლებს – შპს „ზ-ს“, შპს „ქ-სა“ და შპს „ა. ჯ. გ-ს“ შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: საკრედიტო ლიმიტი 10 000 000 ლარი ან მისი ეკვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, ხაზის მოქმედების ვადა 120 თვე, მაქსიმალური წლიური საპროცენტო სარგებელი საკრედიტო პროდუქტებზე 5-36%;

3. მხარეებს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე 2010 წლის 30 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და შპს „ა. ჯ. გ-ს“ შორის გაფორმდა ოვერდრაფტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: ოვერდრაფტის მოცულობა 350 000 ლარი, მოქმედების ვადა – 2011 წლის 30 მაისამდე, წლიური საპროცენტო სარგებელი 14% (ოვერდრაფტის ხელშეკრულება). გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, 2010 წლის 30 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და შპს „ზ-ს“ შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კრედიტის მოცულობა 600 000 ლარი, კრედიტის მოქმედების ვადა 2014 წლის 28 ნოემბრამდე, წლიური საპროცენტო სარგებელი 14%;

4. სს „პ. ბ-ის“ ცენტრალურ ფილიალში შპს „ა. ჯ. გ-ს“ დაუმტკიცდა სესხი სს „ლ. ბ-ში“ შპს „ა. ჯ. გ-სა“ და შპს „ზ-ის“ მიმდინარე დავალიანების დაფარვის მიზნით. აღნიშნული გარემოება დასტურდება სს „პ. ბ-ის“ წერილით სს „ლ. ბ-ის“ მიმართ, რომლის მიხედვით, შესაბამისი ცნობის მიწოდების მიზანია არსებული კრედიტების ზუსტი მოცულობის დადგენა და ამ კრედიტების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკების გაუქმება. სს „პ. ბ-ის“ მიერ შპს „ა. ჯ. გ-სათვის“ „ლ. ბ-ის“ საკრედიტო ხაზის დახურვის მიზნით კრედიტის გამოყოფა დასტურდება ასევე „პ. ბ-ის“ საკრედიტო კომიტეტის 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით;

5. 2010 წლის 20 დეკემბერს შპს „ზ-სა“ და შპს „ა. ჯ. გ-ზე“ სს „ლ. ბ-მა“ გასცა ცნობები, რომელთა შესაბამისად, 2010 წლის 19 დეკემბრისათვის შპს „ზ-ის“ დავალიანება განისაზღვრა

604832,88 ლარის ოდენობით, ხოლო შპს „ა. ჯ. გ-ს“ დავალიანება – 883532,74 ლარისა და 5590,07 ლარის ოდენობით;

6. სს „პ. ბ-მა“ შპს „ა. ჯ. გ-ზე“ საკრედიტო კომიტეტის გადწყვეტილების შესაბამისად 2010 წლის 21 დეკემბერს გასცა კრედიტი 390 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო 2011 წლის 14 იანვარს — 210 000 აშშ დოლარისა და 100 000 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულებებში კრედიტის მიზნად ასევე ფიქსირდება არსებული სესხის დაფარვა (ხელშეკრულებები);

7. 2010 წლის 22 დეკემბერს სს „ა. ჯ. გ-ს“ ანგარიშიდან დაიფარა სესხის 1 490 087,50 ლარის ოდენობით. აღნიშნული გარემოება დასტურდება შპს „ა. ჯ. გ-ს“ საბანკო ანგარიშის ამონაწერით. 2010 წლის 22 დეკემბრისათვის სს „პ. ბ-ის“ მიერ გაცემული სესხის ოდენობად ფიქსირდება 390 000 აშშ დოლარი, ხოლო 260 000 აშშ დოლარისა და 67030 აშშ დოლარის მიღების წყარო საბანკო ამონაწერიდან არ ირკვევა. ასეთ წყაროდ მითითებულია შემოსავლები ეროვნული ვალუტის გაყიდვის გზით, თუმცა ეროვნულ ვალუტაში გახსნილი ანგარიშიდან შესაბამისი გასავალი არ დასტურდება. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ „პ. ბ-ის“ მიერ 2011 წლის 14 იანვარს გაცემული კრედიტით ამავე დღეს ხორციელდება სესხის სრული დაფარვა, პალატა ადგენს, რომ 2010 წლის 22 დეკემბერს სს „ლ. ბ-ის“ სესხი მოსარჩელებმა დაფარეს სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან მიღებული თანხით, რომელიც საბოლოო ჯამში დაიფარა სწორედ სს „პ. ბ-დან“ აღებული კრედიტით;

8. 2010 წლის 30 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და შპს „ა. ჯ. გ-ს“ შორის გაფორმებული ოვერდრაფტის ხელშეკრულებითა და 2010 წლის 30 ნოემბერს სს „ლ. ბ-სა“ და შპს „ზ-ს“ შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან რეფინანსირების შემთხვევაში წინასწარ დაფარული თანხის 5%-ის ოდენობით;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული გულისხმობს, მხარის მითითებას საპროცესო კანონმდებლობის დარღვევაზე, ან მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაზე, რის შედეგადაც ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული შედავების უფლე-

ბით და ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას მიაქცევს რეფინანსირების ინსტიტუტსა და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების განმარტებას.

საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას და მიიჩნევს, რომ რეფინანსირება გულისხმობს კონკრეტული თანხის ხელახლა დაფინანსებას ნებისმიერი ფორმით, ანუ, მარტივად, ერთი კრედიტის გადაფარვას სხვა საფინანსო დაწესებულებიდან ახალი კრედიტის აღების გზით, ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამის პირობებზე.

მხარეებს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, სესხს გაცემს სს „ლ. ბ-ი“, ხოლო თანამსესხებლები არიან შპს „ზ-ი“, შპს „ქ-ო“ და შპს „ა. ჯ. გ.“ ხელშეკრულება ითვალისწინებს ვალდებულების დაფარვაში ყველა თანამსესხებლის სოლიდარულ მონაწილეობას. თანხის გასესხება ხორციელდება გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელი ხელშეკრულებების გაფორმების გზით, რომლებზეც სრულად ვრცელდება დადგენილი პირობები.

კასატორების მოსაზრებით, ვინაიდან გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება პირგასამტეხლოსა და ჯარიმებს არ ითვალისწინებს, ამ ნაწილში მხარეთა ვალდებულებები სოლიდარული არ არის, რაც შპს „ზ-ის“ პასუხისმგებლობას გამოორიცხავს, ვინაიდან, მას შპს „ა. ჯ-საგან“ განსხვავებით, სხვა საკრედიტო დაწესებულებასთან ურთიერთობა არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო ამ პოზიციას არ იზიარებს და მიუთითებს, რომ გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მოვალეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულების შემადგენელი ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანების დაფარვისას, ფინანსური სანქციების ჩათვლით.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის საფუძველზე, დავალიანების დაფარვის შემდგომ, თანამსესხებელს რეგრესული მოთხოვნის უფლება უჩნდება იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომლის

დავალიანებაც დაიფარა.

რაც შეეხება რეფინანსირებას, 2010 წლის 30 ნოემბრის ოვერ-დრაფტის ხელშეკრულების 2.2.7 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ვადამდე დაფარვაზე სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან რეფინანსირების შემთხვევაში წინასწარ დაფარული თანხის 5%, ხოლო საკუთარი სახსრებით სესხის ნაწილის და/ან მთლიანი რეფინანსირების შემთხვევაში – წინასწარ დაფარული თანხის 0%. იდენტური პირობებია გათვალისწინებული 2010 წლის 30 ნოემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 2.2.7 პუნქტითაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების პირობები ერთობლიობაში უნდა განიმარტოს. ზემოაღნიშნული ორი პირობის შეჯერების შედეგად გამომდინარეობს დასკვნა, რომ პირგასამტეხლო გათვალისწინებულია მხოლოდ სხვა საფინანსო დაწესებულებიდან რეფინანსირების გზით დაფარულ თანხაზე. თუ დავალიანება წინასწარ იფარება საკუთარი სახსრებით, ან ნებისმიერი გზით, გარდა სხვა საფინანსო დაწესებულებიდან რეფინანსირებისა, პირგასამტეხლო 0%-ით განისაზღვრება. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ დავალიანების ნაწილი იფარება სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან რეფინანსირებით, პირგასამტეხლო უნდა დაირიცხოს მხოლოდ ამ ნაწილზე და არა მთლიანად წინასწარ დაფარულ თანხაზე.

2010 წლის 22 დეკემბერს სს „ა. ჯ-მ“ დაფარა სესხი 1 490 087,50 ლარი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 22 დეკემბრისათვის სს „პ. ბ-ის“ მიერ გაცემული სესხის ოდენობად ფიქსირდება 390 000 აშშ დოლარი, ხოლო 260 000 აშშ დოლარისა და 67030 აშშ დოლარის მიღების წყარო საბანკო ამონაწერიდან არ ირკვევა, აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მთლიანი თანხა რეფინანსირების გზით დაიფარა. სასამართლომ, ამ შემთხვევაში, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სს „პ. ბ-მა“ შპს „ა. ჯ. გ-ზე“ 2010 წლის 21 დეკემბერს გასცა კრედიტი 390 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო 2011 წლის 14 იანვარს — 210 000 აშშ დოლარისა და 100 000 აშშ დოლარის ოდენობით. სასამართლოს პოზიციით, მხარემ სხვა საფინანსო დაწესებულებიდან აღებული კრედიტით დაფარა სს „ლ. ბ-ის“ დავალიანება, ხოლო კრედიტი შემდგომში – სს „პ. ბ-დან“ აღებული სესხით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ამგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა. საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სს „პ. ბ-დან“ 2010 წლის 21 დეკემ-

ბერს აღებული სესხით – 390 000 აშშ დოლარით რეფინანსირების გზით დაიფარა სს „ლ. ბ-თან“ არსებული დავალიანების ნაწილი, მაგრამ რაც შეეხება წინასწარ გადახდილი თანხის დანარჩენ ნაწილს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ შპს „ა. ჯ-მ“ ჯერ სხვა საფინანსო დაწესებულებიდან აიღო სესხი, რომელიც შემდეგ სს „პ. ბ-დან“ მიღებული კრედიტით გადაფარა. საქმეში არ არის წარმოდგენილი სხვა საფინანსო დაწესებულებასთან გაფორმებული რაიმე ხელშეკრულება. რაც შეეხება სასამართლოს არგუმენტს, რომ 2011 წლის 14 იანვარს გაცემული კრედიტების მიზნად ასევეა მითითებული მიმდინარე სესხის დაფარვა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი მითითება ვერ ადასტურებს იმ გარემოებას შპს „ა. ჯ-მ“ მაინცდამაინც სხვა საფინანსო დაწესებულებასთან არსებული დავალიანება დაფარა, რომელიც მანამდე სს „ლ. ბ-დან“ აღებული კრედიტის დაფარვისთვის გამოიყენა. სს „პ. ბ-დან“ აღებული კრედიტი ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან არსებული დავალიანების დასაფარავად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, მათ შორის შპს „ზ-თან“ არსებული დავალიანების დაფარვისათვის, როგორც ამას კასატორი მიუთითებს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შპს „ა. ჯ-ს“ სს „ლ. ბ-ის“ დავალიანების დარჩენილი ნაწილი – 260 000 აშშ დოლარი და 67030 აშშ დოლარი სავალუტო ოპერაციების განხორციელების გზით მიღებული შემოსავლით არ დაუფარავს, რადგანაც ეროვნულ ვალუტაში გახსნილი ანგარიშიდან შესაბამისი გასავალი არ დასტურდება. საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას და მიიჩნევს, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოება სწორადაა დადგენილი, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვის სავალდებულო პირობაა სესხის სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან რეფინანსირება, რაც უტყუარი მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს. ის გარემოება, რომ შპს „ა. ჯ-ს“ თანხა სავალუტო ოპერაციების განხორციელების გზით მიღებული შემოსავლით არ დაუფარავს, არ ნიშნავს, რომ მან სხვა საფინანსო დაწესებულებიდან რეფინანსირება განახორციელა. შპს „ა. ჯ-ს“ დავალიანების დარჩენილი ნაწილი ნებისმიერი გზით მოპოვებული თანხით, მათ შორის არასაფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხით შეიძლოა დაეფარა, რაც პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი ვერ გახდებოდა. იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ დავალიანება მთლიანად საფინანსო ინსტიტუტიდან რეფინანსირების გზით დაიფარა, მო-

პასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ლ. ბ-ს“ მხოლოდ სს „ბ. ბ-დან“ რეფინანსირებული თანხის – 390 000 აშშ დოლარის 5%-ის შესაბამისი პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება გააჩნდა, რაც ეროვნულ ვალუტაში 32175 ლარს შეადგენს. თანხის დანარჩენი ნაწილი კი, უსაფუძვლოდაა ჩამოჭრილი და მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი დასკვნა გააკეთა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, რის გამოც, მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, კასაციის აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საჭიროება არ არსებობს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ა. ჯ-სა“ და შპს „ზ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, სს „ლ. ბ-ს“ დაეკისროს 42825 ლარის დაბრუნდება.

რაც შეეხება კასაციის დანარჩენ მიზეზებს, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ მოცემულ საქმეზე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველი არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე, – კრედიტორის ეკონომიური ინტერესი. აღნიშნულ გარემოებებზე სასამართლო მსჯელობს მხო-

ლოდ მხარის მოთხოვნის შესაბამისად და მხოლოდ ამგვარი წინაპირობის არსებობისას შეუძლია გამოიყენოს დისკრეტია, რაც გულისხმობს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას. განსახილველ შემთხვევაში, მხარეს საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას პირგასამტეხლოს შემცირება არ მოუთხოვია და ამგვარ ფაქტებზე არ მიუთითებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორების პოზიციას, რომ მოცემული დავის გადანევეტისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ეროვნული ბანკის 2011 წლის 3 მაისის №2-06/1545-11 წერილობითი მითითება, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს ეკრძალება საბანკო მომსახურების მომხმარებელს დააკისროს მის მიერ გაცემულ კრედიტებზე/სესხებზე რეფინანსირების შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიო, რომელიც აღემატება კრედიტის/სესხის წარჩენი ძირითადი თანხის 2%-ს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების არგუმენტს, რომ მოცემულ წერილობით მითითებას უკუქცევითი ძალა ენიჭება. თავად წერილობითი მითითების თანახმად, ეს უკანასკნელი ძალაშია 2011 წლის 4 მაისიდან 2011 წლის 1 ოქტომბრამდე, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის 2011 წლის 4 მაისის №2-06/1570-11 წერილობითი მითითებით, იმავე ორგანოს №2-06/1545-11 წერილობითი მითითება მოიცავს 2011 წლის 4 მაისამდე დადებულ ხელშეკრულებებსაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის წერილობითი მითითება ვრცელდება 2011 წლის 4 მაისამდე დადებულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მითითების გამოცემის დროისათვის შეწყვეტილი არ იყო. კასატორებმა დავალიანება 2010 წლის 22 დეკემბერს დაფარეს. ეროვნული ბანკის მიერ ახალი ნორმატიული აქტის მიღება კი, შეწყვეტილ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ასევე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 მაისის მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ საოქმო განჩინების გაუქმების საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ აპელანტების აღნიშნული მოთხოვნა მართებულად

არ დააკმაყოფილა და არ იზიარებს კასატორების მტკიცებას, რომ ვინაიდან სს „პ. ბ-ის“ საკრედიტო კომიტეტის ოქმი ქართულ ენაზე არ არის შესრულებული, მას იურიდიული ძალა ვერ ექნებოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, რაც გულისხმობს კონკრეტული საპროცესო მოქმედებებისა და შესაბამისი დოკუმენტების ქართულ ენაზე შესრულებას, მაგრამ სრულებითაც არ ნიშნავს, რომ უცხოენოვან დოკუმენტს მტკიცებულების ძალა არ გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ მხარემ მტკიცებულებები, როგორც წესი, დედნის სახით უნდა წარადგინოს, იურიდიული ძალა სწორედაც რომ უცხო ენაზე შესრულებულ ორიგინალს აქვს. ბუნებრივია, პროცესის მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროა დოკუმენტის ქართული თარგმანის წარდგენაც, მაგრამ აღიშნული არ ნიშნავს, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება გამოიკვლიოს და შეაფასოს უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ კონკრეტული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი ამ მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე მიღებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არის. იმისათვის, რომ მტკიცებულების იურიდიული ძალის ქონის საკითხი გადაწყდეს, იგი, პირველ რიგში, სასამართლოს გამგებლობაში უნდა მოხვდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მხულის შესაბამისად, თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მოცემულ შემთხვევაში სს „ლ. ბ-ის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ მან მიმართა სს „პ. ბ-ს“ შპს „ზ-ისა“ და შპს „ა. ჯ-ს“ საკრედიტო ურთიერთობების ამსახველი მტკიცებულების გადაცემის მოთხოვნით, თუმცა აღნიშნულზე მიიღო უარი შესაბამისი ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე მითითებით. გამომდინარე იქედან, რომ გამოთხოვილი დოკუმენტაცია სასამართლომ მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოების – მოსარჩელეთა მიერ სს „პ. ბ-დან“ აღებული სესხის მიზნობრიობის დადგენისათვის საჭირო მტკიცებულებად, მართლზომიერად იქნა დაკმაყოფილი შუამდგომლობა დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს,



რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება ძალაში უნდა დარჩეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „ლ. ბ-მა“ მოსარჩელებს სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 9000 ლარის 57,1% – 5139 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 410-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „ა. გ-სა“ და შპს „ზ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინება შპს „ა. გ-სა“ და შპს „ზ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ა. გ-სა“ და შპს „ზ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. სს „ლ. ბ-ს“ დაეკისროს შპს „ა. გ-სა“ და შპს „ზ-სათვის“ უსაფუძვლოდ ჩამოჭრილი თანხის – 42825 ლარის დაბრუნება;

5. დანარჩენ ნაწილში შპს „ა. ჯ. გ-სა“ და შპს „ზ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 მაისის საოქმო განჩინების გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად;

7. სს „ლ. ბ-ს“ დაეკისროს მოსარჩელებისათვის სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 9000 ლარის, 57,1%-ის – 5139 ლარის ანაზღაურება;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ნასყიდობის ხელშეკრულება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ას-1655-1552-2012

8 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**პ. ქათამაძე,**  
**ბ. ალავეცი**

**დავის საგანი:** ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

პ. დ-ემ ბათუმის საქალაქო სასამართლოში კ. და ა. ჯ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა 2010 წლის 4 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების, ასევე 2012 წლის 13 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2010 წლის 2 ნოემბერს კ. ჯ-ეს, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, მისცა მინდობილობა. მინდობილობის საფუძველზე, კ. ჯ-ეს მიენიჭა პ. დ-ის ქონების განკარგვის უფლებამოსილება. იმავე წლის 4 ნოემბერს კ. ჯ-ემ მოსარჩელის სახელით საკუთარ თავთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება და გადაიფორმა მოსარჩელის კუთვნილი ბათუმში, პ-ის 13-ფ-ის 7-9-ში მდებარე უძრავი ქონება. ნასყიდობის ხელშეკრულებაში წერია, რომ ქონება გაიყი-

და 350 000 აშშ დოლარად და მყიდველმა ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან სრულად გადაიხადა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მხარეები ნასყიდობის ფასზე არ შეთანხმებულან და პ. დ-ის კ. ჯ-ან თანხა არ მიუღია. 2012 წლის 13 მარტს მოსარჩელემ შეიტყო, რომ კ. ჯ-ემ სადავო ქონება თავის შვილს ა. ჯ-ეს აჩუქა. ა. ჯ-ის ცნობილი იყო, რომ კ. ჯ-ემ ქონებაზე საკუთრების უფლება არამართლზომიერი გზით მოიპოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით პ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 13 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13-ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე უძრავ ქონებასთან (საიდენტიფიკაციო კოდი №...) დაკავშირებით კ. ჯ-სა და ა. ჯ-ეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება, ასევე ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 4 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13-ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე უძრავ ქონებასთან (საიდენტიფიკაციო კოდი №...) დაკავშირებით პ. დ-სა და კ. ჯ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და აღნიშნული უძრავი ქონება კვლავ აღირიცხა პ. დ-ის საკუთრებად.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინებით კ. და ა. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13-ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე 2788 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობები 2010 წლის 4 ნოემბრამდე პ. დ-ის საკუთრებად ირიცხებოდა;

2. პ. დ-ე 2010 წლის 15 ოქტომბრიდან 2011 წლის 13 ოქტომბრამდე იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში;

3. 2010 წლის 2 ნოემბერს №8 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულების დირექტორის მიერ დამონმებული იქნა მინდობილობა, რომლის თანახმადაც პ. დ-ემ კ. ჯ-ეს მიანიჭა უფლებამოსილება ემართა და განეკარგა (გაეყიდა, გაეცვალა, გაესხვისებინა, იპოთეკით და-

ეტვირთა, საკუთარ თავზე გადაეფორმებინა) მის საკუთრებაში რიცხული, ქ. ბათუმში პ-ის ქ. №13-ფ-ის №7-9-ში მდებარე მინის ნაკვეთი;

4. 2010 წლის 4 ნოემბერს ქ. თბილისში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კ. ჯ-ემ აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე საკუთარ თავთან გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კ. ჯ-ემ, როგორც პ. დ-ის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა კ. ჯ-ეს, ანუ საკუთარ თავს, მიჰყიდა ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13-ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი №...) 350 000 აშშ დოლარად;

5. 2012 წლის 13 თებერვალს კ. ჯ-ემ ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13/ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე სადავო უძრავი ქონება აჩუქა შვილს – ა. ჯ-ეს.

6. ამჟამად ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13-ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი №...) ა. ჯ-ის საკუთრებად ირიცხება;

7. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ კ. ჯ-ემ, 2010 წლის 4 ნოემბრის ხელშეკრულების თანახმად, ისე გადაიფორმა სადავო უძრავი ქონება საკუთარ თავზე, რომ აპელანტ კ. ჯ-ეს პ. დ-ის არ გადაუცია ნასყიდობის ფასი, რომელიც, ამავე ხელშეკრულების თანახმად, შეადგენდა 350 000 აშშ დოლარს. ამის დამადასტურებელი მტკიცებულება კ. ჯ-ეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია;

8. პალატა არ იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კ. ჯ-სა და პ. დ-ეს შორის 2010 წლის 2 ნოემბრის მინდობილობის გაფორმებამდეც არსებოდა რაიმე ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის თანახმადაც კ. ჯ-ეს გადახდილი ჰქონდა ნასყიდობის თანხა პ. დ-ის და მინდობილობაც სწორედ ამ ვალდებულების შესასრულებლად გაფორმდა;

9. დ-ე და ჯ-ე ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, მათ შორის ფასზე, არ შეთანხმებულან;

10. გონივრული წინდახედულების ფარგლებში, პალატა მიიჩნევს, რომ კ. ჯ-სა და დ-ეს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ, (მათ შორის იმაზეც, რომ ფასზე არც შეთანხმება მომხდარა გამყიდველსა და მყიდველს შორის, და არც ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული თანხა მიუღია დ-ეს) კარგად უწყოდა ჯ-ის შვილმა ა. ჯ-ემ, რის გამოც იგი კეთილსინდისიერ შემძენად ვერ იქნება მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კ. ჯ-ემ მის სახელზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე თავის თავთან და-

დო ნასყიდობის ხელშეკრულება და მარნმუნებელ პ. დ-ის სახელითა და ხარჯით განკარგა პ. დ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება, რომლის ღირებულებაც განისაზღვრა 350 000 აშშ დოლარით. როგორც თავად ხელშეკრულებით დგინდება, მყიდველს სრულად უნდა გადაეხადა თანხა გამყიდველისათვის, თუმცა მხარეთა განმარტებითა და საქმის მასალებით დადგინდა, რომ თანხა გადაცემული არ ყოფილა. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად კი, იმპერატიულადაა დადგენილი, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა მოსარჩელის მტკიცებას, რომ მხარეები ნასყიდობის ფასზე არ შეთანხმებულად. ფასი არც მინდობილობაშია აღნიშნული.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ, მართალია, 2010 წლის 2 ნოემბრის მინდობილობის საფუძველზე, კ. ჯ-ეს გააჩნდა უფლება მოსილება, ნასყიდობის ხელშეკრულება გაეფორმებინა საკუთარ თავთან, მაგრამ აღნიშნული უფლება მას არ ათავისუფლებდა მარნმუნებლის, ანუ პ. დ-ის მიმართ დავალების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის კომენტარები და განმარტა, რომ სახეზეა მერყევად ბათილი გარიგება, რომლის ნამდვილობა დამოკიდებული იყო პ. დ-ის მხრიდან მოწონებაზე. პ. დ-ემ გარიგება არ მოინონა, რაც ნიშნავს, რომ კ. ჯ-ის, როგორც პ. დ-ის წარმომადგენლის მიერ, საკუთარ თავთან თავისი სახელით დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის გარიგება ბათილია. გარიგება ასევე ბათილია იმ მხრივაც, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ფასზე შეთანხმება და ნასყიდობის ფასის გადახდა პ. დ-ის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა გამყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველია და არა გარიგების ბათილად ცნობის. მოსარჩელე პ. დ-ემ ვერ დაადასტურა, რომ ნასყიდობის ფასი მხარეთა შორის შეთანხმებუ-

ლი არ ყოფილა. სასამართლომ არასწორად მიიჩნია ჩუქების ხელშეკრულება ბათილად. ის გარემოება, რომ კ. და ა. ჯ-ი მამა-შვილი არიან, თავისთავად, გარიგების მოჩვენებითობას არ ადასტურებს და ბათილობის საფუძველი არ არის.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კ. და ა. ჯ-ის წარმომადგენელმა დ. ლ-ემ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იშუამდგომლა. განმცხადებლის მითითებით, სადავო უძრავი ქონება იძულების წესით გასხვისდა აუქციონზე, შესაბამისად, პ. დ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, პირვანდელი მდგომარეობა ველარ აღდგება, ამდენად, პ. დ-ის სარჩელს იურიდიული ინტერესი არ გააჩნია და მოცემულ საქმეზე დავის საგანი აღარ არსებობს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კ. და ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგინილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13-ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე 2788 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობები 2010 წლის 4 ნოემბრამდე პ. დ-ის საკუთრებად ირიცხებოდა;

2. პ. დ-ე 2010 წლის 15 ოქტომბრიდან 2011 წლის 13 ოქტომბრამდე იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში;

3. 2010 წლის 2 ნოემბერს №8 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულების დირექტორის მიერ დამონმებული იქნა მინდობილობა, რომლის თანახმადაც პ. დ-ემ კ. ჯ-ეს მიანიჭა უფლებამოსილება ემართა და განეკარგა (გაეყიდა, გაეცვალა, გაესხვისებინა, იპოთეკით დაეტვირთა, საკუთარ თავზე გადაეფორმებინა) მის საკუთრებაში რიცხული, ქ. ბათუმში პ-ის ქ. №13-ფ-ის №7-9-ში მდებარე მიწის ნაკვეთი;

4. 2010 წლის 4 ნოემბერს ქ. თბილისში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კ. ჯ-ემ აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე საკუთარ თავთან გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კ. ჯ-ემ, როგორც პ. დ-ის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა კ. ჯ-ეს, ანუ საკუთარ თავს, მიჰყიდა ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13-ფ-ის ქ. №7-9-

ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი №...) 350 000 აშშ დოლარად;

5. 2012 წლის 13 თებერვალს კ. ჯ-ემ ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13/ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე სადავო უძრავი ქონება აჩუქა შვილს – ა. ჯ-ეს.

6. ამჟამად ქ. ბათუმში, პ-ის ქ. №13-ფ-ის ქ. №7-9-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი №...) ა. ჯ-ის საკუთრებად ირიცხება;

7. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ კ. ჯ-ემ, 2010 წლის 4 ნოემბრის ხელშეკრულების თანახმად, ისე გადაიფორმა სადავო უძრავი ქონება საკუთარ თავზე, რომ აპელანტი კ. ჯ-ეს პ. დ-ის არ გადაუცია ნასყიდობის ფასი, რომელიც, ამავე ხელშეკრულების თანახმად, შეადგენდა 350 000 აშშ დოლარს. ამის დამამტკიცებელი მტკიცებულება კ. ჯ-ეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია;

8. პალატა არ იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კ. ჯ-სა და პ. დ-ეს შორის 2010 წლის 2 ნოემბრის მინდობილობის გაფორმებამდეც არსებოდა რაიმე ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის თანახმადაც კ. ჯ-ეს გადახდილი ჰქონდა ნასყიდობის თანხა პ. დ-ის და მინდობილობაც სწორედ ამ ვალდებულების შესასრულებლად გაფორმდა;

9. დ-ე და ჯ-ე ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, მათ შორის ფასზე, არ შეთანხმებულან;

10. გონივრული წინდახედულების ფარგლებში, პალატამ მიიჩნია, რომ კ. ჯ-სა და დ-ეს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ, (მათ შორის იმაზეც, რომ ფასზე არც შეთანხმება მომხდარა გამყიდველსა და მყიდველს შორის, და არც ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული თანხა მიუღია დ-ეს) კარგად უწყოდა ჯ-ის შვილმა ა. ჯ-ემ, რის გამოც იგი კეთილსინდისიერ შემძენად ვერ იქნება მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ 2010 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილი გარიგება იყო, ვინაიდან პ. დ-ეს კ. ჯ-ან ნასყიდობის ფასი არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება აღნიშნულ მსჯელობას და ყურადღებას ამახვილებს პ. დ-ის მიერ კ. ჯ-ის სახელზე გაცემულ მინდობილობაზე. აღნიშნული მინდობილობის თანახმად, კ. ჯ-ეს მიენიჭა უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა სადავო უძრავი ქონება, მათ შორის – აღერიცხა საკუთარ სახელზე.

სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, თუ თან-

ხმოებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ზემოაღნიშნული მუხლი, იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის კომენტარებით და განმარტა, რომ სახეზეა მერყევად ბათილი გარიგება, რომლის ნამდვილობა დამოკიდებული იყო პ. დ-ის მოწონებაზე. პ. დ-ემ გარიგება არ მოიწონა, რაც ნიშნავს, რომ კ. ჯ-ის, როგორც პ. დ-ის წარმომადგენლის მიერ, საკუთარ თავთან თავისი სახელით დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის გარიგება ბათილია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და 114-ე მუხლის დისპოზიციის გათვალისწინებით, აღნიშნული განმარტება არასწორია, კერძოდ, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება მერყევად ბათილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კ. ჯ-ეს წინასწარ არ ექნებოდა მარწმუნებლის, პ. დ-ის თანხმობა, ქონების საკუთარ სახელზე აღრიცხვის თაობაზე. ამგვარი თანხმობის გარეშე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება იქნებოდა მერყევად ბათილი, რომელიც იურიდულ ძალას შეიძენდა იმ შემთხვევაში, თუ პ. დ-ე მას მოიწონებდა. განსახილველ შემთხვევაში, კი, ხელშეკრულების ნამდვილობა მარწმუნებლის მოწონებაზე არ იყო დამოკიდებული, ვინაიდან არსებული მინდობილობა ითვალისწინებდა მარწმუნებლის თანხმობას. საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული მინდობილობით გამოვლენილი ნება პ. დ-ეს არ ეკუთვნოდა ან მის შინაგან ნებას არ შეესაბამებოდა.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ჯ-ე უფლებამოსილი იყო, როგორც პ. დ-ის წარმომადგენელს საკუთარ თავთან მინდობილობით განსაზღვრულ სადავო ქონებაზე ხელშეკრულება დაედო და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არასწორია.

სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლად, ასევე, ის გარემოება მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასი პ. დ-ეს არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ კ. ჯ-სა და პ. დ-ეს შორის 2010 წლის 2 ნოემბრის მინდობილობის გაფორმებამდეც არსებოდა რაიმე ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის თანახმადაც კ. ჯ-ეს გადახდილი ჰქონდა ნასყიდობის თანხა პ. დ-ის და მინდობილობაც სწორედ



ამ ვალდებულების შესასრულებლად გაფორმდა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის, ამასთან განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. იმავე კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ხელშეკრულების დადების შედეგად, მხარეებს წარმოეშობათ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედების შესრულების მოთხოვნის უფლება. ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი მოთხოვნებია გამყიდველის მიერ ნივთის გადაცემა, ხოლო მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდა. ამ ძირითადი სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობა წარმოშობს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას და არ წარმოადგენს გარიგების ბათილობის საფუძველს, შესაბამისად, ის გარემოება, რომ კ. ჯ.-ეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ნივთის საფასური არ გადაუხდია, არ შეიძლება ამ ხელშეკრულების ბათილობას დაედოს საფუძველად. გარიგების ბათილობის საფუძველები პირდაპირაა გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით, რომელთა შორისაც ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა ან სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა, თავისთავად, მითითებული არ არის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მის მიერ გამოყენებული ნორმები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მიხედვით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საპროცესოსამართლებრივი საფუძველები, შესაბამისად, თავად იღებს საქმეზე გადაწყვეტილებას:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. დ-ის სარჩელი 2010 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება კ. ჯ-ის მიერ თავის შვილთან, ა. ჯ-ან დადებულ სადავო უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა. ჯ-ე კეთილსინდისიერ შემძენად ვერ იქნება მიჩნეული, ვინაიდან, არსებულ პირობებში, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო პ. დ-ის მხრიდან ნასყიდობის ხელშეკრულების შედავების თაობაზე, საკასაციო სასამართლო ასევე შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ჩუქების ხელშეკრულება დადებულიყო პ. დ-ის ქონების დაბრუნების შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ვინაიდან არ არსებობს სადავო უძრავ ქონებაზე კ. ჯ-ის საკუთრების უფლების წარმომშობი ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, ამასთან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ამ დროისათვის სადავო ქონება გასხვისებულია აუქციონზე, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც პ. დ-ეს, არსებული ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით, ა. ჯ-ის მიმართ მოთხოვნის უფლება ვერ ექნება, ამასთან თუნდაც ეს სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, შედეგი იქნება მხოლოდ ფორმალური და მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს ვერ უზრუნველყოფს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილება. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომ ინსტანციებში საქმეთა განხილვისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. დ-ემ კ. და ა. ჯ-ს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 11000 ლარი, უნდა აუნაზღაუროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. კ. და ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
  2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
  3. პ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
  4. პ. დ-ეს დაეკისროს კ. და ა. ჯ-ის სასარგებლოდ მათ მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, სულ 11000 ლარის, ანაზღაურება;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ნასყიდობის ხელშეკრულება**

### **ბანძინება**

№ას-1266-1195-2012

14 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ბ. ალავიძე,**  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. ი-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მ. თ-სა და დ. თ-ის მიმართ აღძრა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა:

1) თბილისში, ა. წ-ის გამზ №132-84-ში მდებარე ბინის ნასყიდობის შესახებ მ. თ-სა და დ. თ-ს შორის 2011 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა,

2) თბილისში, ა. წ-ის გამზ №132-84-ში მდებარე ბინის j ნაწილის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში ქ. ი-ის აღრიცხვა.

ქ. ი-ის სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ქ. ი-ე ცნობილ იქნა მ. თ-ის სახელზე რიცხული, თბილისში, წ-ის გამზირი №132-84-ში მდებარე ბინის j ნაწილის მესაკუთრედ. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მ. თ-მა და მას შემდეგ, რაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი, სადავო ბინა გადაუფორმა თავის მეზობელ დ. თ-ს ქ. ი-ის მიერ წილის მიღებისათვის ხელშეშლის მიზნით. დ. თ-ის, როგორც მ. თ-ან დაახლოებული პირისათვის (ისინი მეზობლები და ნათესავები არიან) ცნობილი იყო ბინასთან დაკავშირებული დავის შესახებ. რეალურად ბინის გაყიდვას ადგილი არ ჰქონია, არამედ ნასყიდობის მხარეები მოქმედებდნენ შეთანხმებულად და დადეს მოჩვენებითი გარიგება ქ. ი-ის უფლების რეალიზების შეუძლებლობის მისაღწევად. გარიგების მოჩვენებითობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნის ფასად მითითებულია თანხა, რომელიც არ შეესაბამება ნასყიდობის საგნის ღირებულებას. ამასთან, ბინის გაყიდვის შემდეგ მ. თ-მა კვლავ გაასაჩივრა ამ ბინის ქ. ი-ის მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში.

მოპასუხეებმა მ. თ-მა და დ. თ-მა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ არ არსებობს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

მოპასუხე დ. თ-ის შესაგებლის მიხედვით, მისთვის არ იყო ცნობილი, თუ რა დავა არსებობდა მ. თ-სა და ქ. ი-ეს შორის. დ. ი-ემ კანონით დადგენილი წესით შეიძინა ბინა და სარგებლობს შეძენილი ქონებით, იხდის კომუნალურ გადასახადებს. რაც შეეხება ნასყიდობის ფასს, მასში ხელშეკრულებაში მითითებული 4000 ლარის გარდა შედიოდა ასევე 3000 აშშ დოლარი, რაც მ. თ-ს ვალის სახით ჰქონდა აღებული დ. თ-ან და ვერ ახერხებდა მის დაბრუნებას.

მოპასუხე მ. თ-ის შესაგებლის მიხედვით, მან ბინა გაასხვი-სა რეალურად და ადგილი არ ჰქონია მოჩვენებითი გარიგების დადებას. იმის გათვალისწინებით, რომ ბინა რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში, საიდანაც არ ირკვეოდა მისი უფლებრივი ნაკლის შესახებ გარემოება, დ. თ-ი ვერ იქნებოდა ინფორმირებული ქ. ი-ის უფლებების შესახებ. რაც შეეხება მ. თ-ის მიერ

ქ. ი-ის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას, იგი მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ მ. თ-მა გამოხატა პრეტენზია მისთვის მიუღებელი გადაწყვეტილების მიმართ, რაც შეიძლებოდა მომავალში გამხდარიყო ქ. ი-ის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ქ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ქ. ი-ის სააპელაციო საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ქ. ი-ის სარჩელი მოპასუხე მ. თ-ის მიმართ დაკმაყოფილდა და ქ. ი-ე ცნობილი იქნა მ. თ-ის სახელზე რიცხული, თბილისში, წ-ის გამზირი №132-84-ში მდებარე ბინის 1/4 ნაწილის მესაკუთრედ. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 20 იანვარს;

2. 2011 წლის 13 ოქტომბერს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე) ერთის მხრივ, მ. თ-სა (გამყიდველი) და, მეორეს მხრივ, დ. თ-ს (მყიდველი) შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მ. თ-მა მის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონება მდებარე თბილისში, წ-ის გამზირი №132-84-ში, მიჰყიდა დ. თ-ს 4 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ. ნასყიდობის საგანი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა დ. თ-ის სახელზე. ნასყიდობის ფასში, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული 4000 ლარის გარდა დამატებით ჩაითვალა ის 3000 აშშ დოლარი, რომელიც მ. თ-ს სესხის სახით მიღებული ჰქონდა დ. თ-ან;

3. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება 2011 წლის 13 ოქტომბერს მ. თ-სა და დ. თ-ს შორის გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობა. ასევე არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შემძენმა, დ. თ-მა იცოდა ქ. ი-სა და მ. თ-ს შორის დავის არსებობა. სააპელაციო პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქ-

მეზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებებს. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა მასზედ, რომ აღნიშნული ჩვენებებით შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ მოპასუხე მ. თ-ის არაკეთილსინდისიერი ქმედების ფაქტი. მონმეთა ჩვენებებით, რომლებიც არ იყვნენ გარიგების მხარეთა შორის წარმოებული მოლაპარაკებების უშუალო მონაწილეები, ვერ დადგინდება ის გარემოება, რომ შემძენი დ. თ-ი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და იცოდა რეესტრის ჩანაწერის უსწორობა.

სააპელაციო პალატამ იხემძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 50, 56-ე, 185-ე, 312-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან სადავო ხელშეკრულების მხარეების ნება მიმართული იყო სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგის – საკუთრების უფლების შემძენზე გადასვლის, წარმოშობისაკენ და სანინაალმდეგოს მტკიცება მოსარჩელემ ვერ განახორციელა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ი-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

საქმის განხილვაში მონაწილეობდა მოსამართლე ა. ი-ი, რომლის თავმჯდომარეობით განიხილებოდა საქმე ქ. ი-ის მ. თ-ის საკუთრებაში არსებული ბინის 1/4-ის მიკუთვნებასთან დაკავშირებით (აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება გამოტანილია 2011 წლის 13 ოქტომბერს);

სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ დ. თ-ი და მ. თ-ი 2011 წლის 23 ოქტომბრის ხელშეკრულების გაფორმებისას არ მოქმედებდნენ შეთანხმებულად იმ მიზნით, რომ ხელშეკრულება დაედოთ მხოლოდ ქ. ი-ის ბინაზე უფლების განხორციელების ხელშეშლისათვის. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დ. თ-ი და მ. თ-ი წარმოადგენენ სოფელში მეზობლებს, გააჩნიათ ახლო ურთიერთობა ნდობის მაღალი ხარისხით. მ. თ-სა და ქ. ი-ეს შორის ასევე დავის შესახებ იცოდა მთელმა სოფელმა. ქ. ი-ის სანინაალმდეგო მოპასუხეთა შეთანხმებული ქმედების არსებობას ადასტურებს მონმე ნ. ხ-ის ჩვენება. დ. თ-ის მიერ ბინის რეალურად ყიდვას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ბინიდან გატანილი არ ყოფილა გამყიდველის ნივთები. მონმე მ. მ-ი ადასტურებს, რომ იგი დ. თ-ს შეხვდა მ. თ-ან სახლში, სადაც იქეიფეს და ისაუბრეს ბინის გაყიდვის შესაძლებლობაზე მასზე ყადაღის არარსებობის გამო, მიუხედავად ქ. ი-ის უფლებისა. სა-

სამართლომ მოწმეთა ჩვენებები არ შეაფასა ერთობლივად საქმის გარემოებებთან მიმართებით;

სადავო ხელშეკრულების მოჩვენებითობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასში დაფიქსირებული ბინის ფასი არ შეესაბამება მის ღირებულებას. არ დასტურდება მოპასუხეთა მითითება ფასში სხვა ფულადი ვალდებულების ჩათვლის თაობაზე;

საკასაციო საჩივრის მიხედვით, მ. თ-მა უკანონოდ გადააფორმა ქ. ი-ის კუთვნილი წილი სხვა პირზე. ბინის გაყიდვის განზრახვის შემთხვევაში ქ. ი-ეს, როგორც თანამესაკუთრეს, გააჩნდა უპირატესი შესყიდვის უფლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ი-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების მიხედვით:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ქ. ი-ის სარჩელი მოპასუხე მ. თ-ის მიმართ დაკმაყოფილდა და ქ. ი-ე ცნობილი იქნა მ. თ-ის სახელზე რიცხული, თბილისში, წ-ის გამზირი №132-84-ში მდებარე ბინის 1/4 ნაწილის მესაკუთრედ. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 20 იანვარს;

2. 2011 წლის 13 ოქტომბერს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე) ერთის მხრივ, მ. თ-სა (გამყიდველი) და, მეორეს მხრივ, დ. თ-ს (მყიდველი) შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მ. თ-მა მის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონება მდებარე თბილისში, წ-ის გამზირი №132-84-ში, მიჰყიდა დ. თ-ს 4 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ. ნასყიდობის საგანი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა დ. თ-ის სახელზე. ნასყიდობის ფასში, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული 4000 ლარის გარდა, დამატებით ჩაითვალა ის 3000 აშშ დოლარი, რომელიც მ. თ-ს სესხის სახით მიღებული ჰქონდა დ. თ-ან;

3. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება 2011 წლის 13 ოქტომბერს მ. თ-სა და დ. თ-ს შორის გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებით-

თობა. ასევე არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შემძენმა, დ. თ-მა იცოდა ქ. ი-ესა და მ. თ-ს შორის დავის არსებობა. სააპელაციო პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმეზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებებს. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა მასზედ, რომ აღნიშნული ჩვენებებით შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ მოპასუხე მ. თ-ის არაკეთილსინდისიერი ქმედების ფაქტი. მონმეთა ჩვენებებით, რომლებიც არ იყვნენ გარიგების მხარეთა შორის წარმოებული მოლაპარაკებების უშუალო მონაწილეები, ვერ დადგინდება ის გარემოება, რომ შემძენი დ. თ-ი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და იცოდა რეესტრის ჩანაწერის უსწორობა.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია, რაც გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

კასატორი ვერ ასახელებს გარემოებებს, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე მიუთითებდნენ იმაზე, რომ მ. თ-სა და დ. თ-ს შორის 2011 წლის 6 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგებაა. კასატორი ასევე ვერ ასახელებს მტკიცებულებებს, რომლებიც გამორიცხავდნენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

მოჩვენებითი გარიგების ფაქტობრივ შემადგელობას განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს.

დასახელებული ნორმის მიხედვით, გარიგების მოჩვენებით ხასიათს განაპირობებს მხარეთა განზრახვა, გარიგების დადე-



ბით მიაღწიონ მიზანს, რომელიც არ შეესაბამება ამ გარიგების შინაარსიდან გამომდინარე იურიდიულ შედეგს. ამდენად, მოჩვენებითი გარიგების დადებით ორივე მხარე მოქმედებს საერთო მიზნით და ურთიერთშეთანხმებით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან მათი მოტყუების, პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებისა თუ სხვა მიზნით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ ურთიერთშეთანხმებაზე, მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

ქ. ი-ის საკასაციო საჩივრის მიხედვით, 2011 წლის 6 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგებაა, რაზეც მეტყველებს ხელშეკრულების მხარეთა ახლობლური ურთიერთობა, ხელშეკრულების დადების შემდეგ ნასყიდობის საგნის მფლობელის შეუცვლელი და ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეუსაბამობა ხელშეკრულების საგნის ღირებულებასთან. სწორედ ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე მოჰყავს კასატორს საქმეზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებები.

პალატის შეხედულებით, კასატორის მიერ მითითებული გარემოებების დადასტურების პირობებშიც არ იარსებებდა გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის საფუძველი. ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით ცხადია მისი დადების მიმართ მხრეთა ინტერესი – გამყიდველი იღებს ნასყიდობის საგნის ღირებულების შესაბამის მატერიალურ უფლებას, ხოლო მყიდველი – საკუთრებას უძრავ ქონებაზე. ამგვარი ინტერესი ქონების გამყიდველისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ნასყიდობის საგანზე სხვა პირის უფლების დადასტურების მოსალოდნელობისას. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ხელშეკრულების მიხედვით, დასტურდება მხარეთათვის შესაბამისი უფლებების წარმოშობა. უფლებები არსებობს მიუხედავად იმისა, მათი რეალიზება მოხდება თუ არა უშუალოდ ხელშეკრულების დადებისთანავე. ასეთ პირობებში გარიგების მოჩვენებითობაზე მსჯელობისას უნდა იკვეთებოდეს ორივე მხარის მიზანი არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების მიღების, არამედ სხვა სარგებლის მიღებისა. ამ თვალსაზრისით კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია ქონების შემძენთან მიმართებით. მხოლოდ მხარეთა მეზობლური ურთიერთობა, თუნდაც

დაახლოებული და ნდობის მაღალ ხარისხზე დამყარებული, არ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს იმაზე, რომ სადავო ხელშეკრულების დადებისას მყიდველს გააჩნდა ქონების საკუთრებაში მიღებაზე უპირატესი სხვა ინტერესი.

პალატა იზიარებს კასატორის მითითებას, რომლის მიხედვით, სადავო გარიგების მხარეთა ახლო ურთიერთობა შესაძლოა, ადასტურებდეს დ. თ-ის მხრიდან გარიგებით შეძენილ ქონებაზე სხვა პირის უფლების არსებობაზე ინფორმირებულობის ფაქტს და ამდენად, მის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ქ. ი-ის ინტერესის მიმართ. მყიდველის არაკეთილსინდისიერება გარიგების ნამდვილობაზე მსჯელობისას არსებითია იმ შემთხვევაში, თუ დგას ამ გარიგების ბათილობის საკითხი გარიგების საგნის განმკარგავი მხარისათვის შესაბამისი უფლების არარსებობაზე მითითებით. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული ხელშეკრულების დადებისას სადავო ქონება იმყოფებოდა მ. თ-ის საკუთრებაში. ქონებაზე დავის მიუხედავად მესაკუთრე უფლებამოსილი იყო, გაესხვისებინა იგი. მოსარჩელეს შეეძლო, მოეთხოვა დავის საგნის დაცვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით და შესაბამისი უფლების გამოუყენებლობით თავის თავზე აიღო სადავო ქონების გასხვისების რისკი.

ამდენად, კასატორი ვერ ასახელებს ისეთ გარემოებებს, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლისა, რომლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. ქ. ი-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ნარდობის ხელშეკრულება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-184-177-2013

1 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეცი,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** მომსახურების საფასურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ (ექსპერტიზის ბიურომ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გ. ხ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის ჩატარებული ექსპერტიზის ღირებულების, 5854 ლარის, ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მოთხოვნით, 2012 წლის 24 სექტემბრის განცხადებისა და №2-002887-2012 ხელშეკრულების საფუძველზე, ბიურომ ჩაატარა სასაქონლო-საინჟინრო ექსპერტიზა. განეული მომსახურებისათვის მოპასუხეს შესაბამისი ტარიფით განსაზღვრული საფასური არ გადაუხდია.

გ. ხ-ემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ხელშეკრულებით ექსპერტიზის ობიექტი განსაზღვრული არ იყო, ამდენად, მისთვის უცნობია, რას ჩაუტარდა ექსპერტიზა, ასევე, ხელშეკრულებას არ ერთვის №215 ბრძანება, შესაბამისად, მოპასუხისათვის ექსპერტიზის ბიუროს სატარიფო პოლიტიკა უცნობი იყო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით ექსპერტიზის ბიუროს სარჩელი დაკმაყოფილდა: გ. ხ-ის მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5854,66 ლარის, ასევე სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 175,64 ლარის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. გ. ხ-ემ 2012 წლის 24 აპრილს ბიუროს წარუდგინა განცხადება „ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ“, რომლითაც ითხოვა დასკვნის გაცემა მის მიერ წარდგენილი ობიექტების ვარგისიანობაზე და მათი დემონტაჟის შედეგად მასალების რაოდენობასა და ღირებულებაზე, „ნახაზზე აღნიშნული ლიტელების შესახებ“;

2. 2012 წლის 24 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება №2-002887-2012 „სასამართლო-საექსპერტო მომსახურების შესახებ“, რომელსაც ხელი მოაწერეს გ. ხ-ემ და ბიუროს წარმომადგენელმა კ. ა-მა. ხელშეკრულების თანახმად, „შემსრულებელი“ (ბიურო) ასრულებს „საინჟინრო ექსპერტიზას“, ხოლო „დამკვეთი“ (გ. ხ-ე) უხდის „შემსრულებელს“ სამუშაოს საფასურს (ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი). მომსახურება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლებოდა ექსპერტიზის დასკვნის „დამკვეთისათვის“ გადაცემის მომენტიდან, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი);

3. ხელშეკრულებით შეთანხმებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრებოდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №215 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. „დამკვეთი“ გაეცნო ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულებას (რასაც ადასტურებდა ხელის მოწერით ხელშეკრულებაზე), რომელსაც გადაიხდიდა სამუშაოს შესრულებამდე ან სამუშაოს შესრულებიდან დასკვნის მიღებამდე (ხელშეკრულების მე-3 მუხლი);

4. ხელშეკრულებით განისაზღვრა შემსრულებლის ვალდებულება – გადაეცა დამკვეთისათვის დასკვნა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საექსპერტო მომსახურების საფა-

სურის სრულად გადახდის შემდეგ (ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

5. ბიუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსპერტის დასკვნა გ. ხ-ის არ გადაუცია; მითითებული დასკვნა არც საქმეშია წარმოდგენილი;

6. გ. ხ-ის ბიუროსათვის არ გადაუხდია მოთხოვნილი თანხა – 5854,66 ლარი. აღნიშნული თანხა გაანგარიშებულია 2012 წლის 22 მაისს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში, რომელსაც ხელს აწერენ მხოლოდ ბიუროს წარმომადგენლები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოდავე მხარეებს შორის 2012 წლის 24 აპრილს დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ბიურომ (მენარდემ) იკისრა ვალდებულება – შეესრულებინა სამუშაო: მოემზადებინა ექსპერტის დასკვნა და გადაეცა გ. ხ-ის (შემკვეთისათვის); ამ უკანასკნელმა კი იკისრა ვალდებულება – გადაეხადა მენარდისთვის შეთანხმებული საზღაური. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 648-ე მუხლის თანახმად, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას. მოცემულ შემთხვევაში, 2012 წლის 24 აპრილის ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა საზღაურის ნაწილ-ნაწილ გადახდას, ამდენად – საზღაური უნდა გადახდილიყო სამუშაოს შესრულების შემდეგ. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ეს ნორმა იმპერატიულია და არ ითვალისწინებს მხარეთა უფლებას – შეცვალონ გადახდის მომენტი ურთიერთშეთანხმებით, შესაბამისად, გ. ხ-ის ვალდებულება, გადაეხადა შეთანხმებული საზღაური, წარმოიშვა მხოლოდ მაშინ, როდესაც დადასტურდება სამუშაოს შესრულების გარემოება. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ (აპელანტმა) სადავო გახადა არა მხოლოდ საზღაურის ოდენობა, არამედ – სამუშაოს შესრულების გარემოებაც. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე, ვალდებული იყო – შესაბამისი და უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით, დაემტკიცებინა, რომ სამუშაო შესრულდა, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ განხორციელებულა: საქმეში არ არის ექსპერტის დასკვნა. მხოლოდ მოსარჩელის (მოწინააღმდეგე მხარის) წარმომადგენლის განმარტება, რომ დასკვნა არსებობს, არ არის საკმარისი, რადგან, მითითებული კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წერილობითი მტკიცებულების არსებობის გარემოება უნდა და-

დასტურდეს თვითონ ამ წერილობითი დოკუმენტის წარმოდგენით და არა ახსნა-განმარტებით.

სააპელაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში. ექსპერტის დასკვნა გ. ხ-ეს არ გადასცემია; ასევე საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მენარდემ (ბიურომ) დაადგინა ვადა, რომლის განმავლობაშიც შემკვეთს (გ. ხ-ეს) უნდა მიეღო შესრულებული სამუშაო. ამდენად, რომც არსებობდეს ხელშეკრულებით შეთანხმებული ექსპერტის დასკვნა, ბიუროს არ დაუდგენია ვადა მისი მიღებისათვის, რომლის გასვლის შემდგომაც მას წარმოეშობოდა უფლება – მოეთხოვა შეთანხმებული საზღაური. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს შემკვეთის გარკვეულ შესაგებლებს მენარდის მიმართ, რაც აბრკოლებს საზღაურის მოთხოვნის უფლებას, კერძოდ, შემკვეთს უფლება აქვს, მიიღოს შესრულებული სამუშაო და შეამოწმოს, ხომ არ არის იგი ნაკლის მქონე, რის შემდგომაც მას შეუძლია, მოსთხოვოს მენარდეს შესაბამისი ქმედებების განხორციელება. შემკვეთის მიერ ამ უფლების გამოყენებისას საზღაურის გადახდა არ მოხდება მანამ, სანამ ნაკლი არ აღმოიფხვრება. უფრო მეტიც, 644-ე მუხლის თანახმად ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამდენად, ამ შემთხვევაში შემკვეთი არათუ საზღაურს არ იხდის, არამედ უფლებამოსილია, მოსთხოვოს მენარდეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში, რეალურად რომც არსებობდეს ხელშეკრულებით შეთანხმებული ექსპერტის დასკვნა, მისი გ. ხ-ის გადაუცემლობის, ასევე, დასკვნის მიღებისათვის ვადის არ დანიშვნით, ამ უკანასკნელს შეეზღუდა უფლება, გასცნობოდა დასკვნას და შეეფასებინა იგი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ექსპერტიზის ბიურომ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დასკვნის

არსებობასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, რადგანაც, თანხის გადახდამდე მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა არ გადაეცემა დამკვეთს. დავის არსებობისას, ვალდებულების შესრულების დადასტურებისათვის, სასამართლოს წარედგინა მიღება-ჩაბარების აქტი. პირველი ინსტანციის სასამართლოში დასკვნა წარდგენილი არ ყოფილა იმ მიზეზით, რომ მისი არსებობა მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია. არასწორია, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის დასკვნის არსებობის აუცილებლობის თაობაზე. ხელშეკრულების 3.1. პუნქტის მიხედვით, მომსახურების საფასური განისაზღვრებოდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №215 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტი შეიცავს ინფორმაციას გამოყენებული ტარიფების კოდების შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ექსპერტიზის დასკვნა მომზადებული იყო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინაწვლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიჩნევს, რომ ექსპერტიზის ბიუროს საკასაციო საჩივარი უნდა დააკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. გ. ხ-ემ 2012 წლის 24 აპრილს ბიუროს წარუდგინა განცხადება „ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ“, რომლითაც ითხოვა დასკვნის გაცემა მის მიერ წარდგენილი ობიექტების ვარგისიანობაზე და მათი დემონტაჟის შედეგად მასალების რაოდენობასა და ღირებულებაზე, „ნახაზზე აღნიშნული ლიტელების შესახებ“;

2. 2012 წლის 24 აპრილს გაფორმდა №2-002887-2012 ხელშეკრულება „სასამართლო-საექსპერტო მომსახურების შესახებ“, რომელსაც ხელი მოაწერეს გ. ხ-ემ და ბიუროს წარმომადგენელმა კ. ა-მა. ხელშეკრულების თანახმად, „შემსრულებელი“ (ბიურო) ასრულებს „საინჟინრო ექსპერტიზას“, ხოლო „დამკვეთი“ (გ. ხ-ე) უხდის „შემსრულებელს“ სამუშაოს საფასურს (ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი). მომსახურება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლებოდა ექსპერტიზის დასკვნის „დამკვეთისათვის“ გადაცემის მომენტიდან, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი);

3. ხელშეკრულებით შეთანხმებული სამუშაოს ღირებულება

განისაზღვრებოდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №215 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. „დამკვეთი“ გაეცნო ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულებას (რასაც ადასტურებდა ხელის მოწერით ხელშეკრულებაზე), რომელსაც გადაიხდიდა სამუშაოს შესრულებამდე ან სამუშაოს შესრულებიდან დასკვნის მიღებამდე (ხელშეკრულების მე-3 მუხლი);

4. ხელშეკრულებით განისაზღვრა შემსრულებლის ვალდებულება – გადაეცა დამკვეთისათვის დასკვნა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საექსპერტო მომსახურების საფასურის სრულად გადახდის შემდეგ (ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

5. ბიუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსპერტის დასკვნა გ. ხ-ისათვის არ გადაუცია; მითითებული დასკვნა არც საქმეშია წარმოდგენილი;

6. გ. ხ-ეს ბიუროსათვის არ გადაუხდია მოთხოვნილი თანხა – 5854,66 ლარი. აღნიშნული თანხა გაანგარიშებულია 2012 წლის 22 მაისს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში, რომელსაც ხელს აწერენ მხოლოდ ბიუროს წარმომადგენლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ამგვარი შედავება ზემომითითებული ფაქტების მიმართ არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულება გაფორმდა.

სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

იმავე კოდექსის 648-ე მუხლის მიხედვით კი, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული მუხლი სწორად განმარტა და მართებულად მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, გ. ხ-ეს



საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ უნდა გადაეხადა. მსგავს პირობას ითვალისწინებდა, აგრეთვე, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც (იხ. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, პუნქტი 3).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნა მოპასუხეს არ გადასცემია და არც საქმეშია წარმოდგენილი, სამუშაოს შესრულების ფაქტი არ დასტურდება, რის გამოც გ. ხ-ე ვალდებული არაა, აანაზღაუროს ექსპერტიზის ჩატარების საფასური.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

იმავე კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით კი, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სამუშაოს შესრულების ფაქტი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მტკიცებების საგანს წარმოდგენდა. საკასაციო სასამართლო იმ მითითებასაც ეთანხმება, რომ კონკრეტული დოკუმენტის არსებობა, როგორც წესი, თავად ამ დოკუმენტის სასამართლოსათვის წარდგენის გზით უნდა დადასტურდეს, მაგრამ აღნიშნავს, რომ, თუ რომელიმე ფაქტობრივი გარემოება მხარეთა შორის სადავო არაა, სასამართლოს შეუძლია, ამგვარი გარემოება დადგენილად მიიჩნიოს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მტკიცებას, რომ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას მოპასუხე ექსპერტიზის დასკვნის არსებობას არ უარყოფდა, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა. საქმეში არსებული შესაგებლის მიხედვით, მოპასუხე უარყოფდა არა სამუშაოს შესრულების (ექსპერტიზის ჩატარების) ფაქტს, არამედ მის ჯეროვნად შესრულებას, კერძოდ, სადავოდ ხდიდა, ჩაუტარდა თუ არა ექსპერტიზა მის მიერ არჩეულ ობიექტს. მოპასუხე მიუთითებს, რომ „გაუგებარია, ვის ქონებაზე ჩაატარეს ექსპერტიზა, ვისი თანხმობით და მე რატომ მთხოვენ თანხის გადახდას“. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპის მიხედვით კი,

ექსპერტიზის ბიუროს არ უნდა ემტკიცებინა ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, არამედ სწორედ მოპასუხეს ევალუბო- და წარედგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული სამუშაო სათანადოდ არ შესრულებულა, ექსპერტიზა ჩაუტარდა სხვა და არა დამკვეთის არჩეულ ობიექტს.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ექსპერტიზის დასკვნა გ. ხ-ის არ გადასცემია, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ანაზღაურების გადახდა სამუშაოს შესრულებიდან დასკვნის მიღებამდე (იხ. ზემოთ, პუნქტი 3-4). საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ზემოაღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით, ექსპერტიზის ბიუროს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დასკვნის გადაცემის შემდეგ წარმოეშობოდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსხვავებით 648-ე მუხლისაგან, რომელიც განსაზღვრავს საზღაურის მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს, 649-ე მუხლი არ არის იმპერატიული და არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მხარეთა შეთანხმებით საზღაური გადახდილ იქნეს სამუშაოს შესრულების შემდეგ, მაგრამ მის გადაცემამდე. მით უმეტეს, რომ, სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის თანახმად, მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. მენარდის ერთ-ერთი მოთხოვნაა შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების მიღება, რომელიც, როგორც ზემომითითებული მუხლი ცხადყოფს, ნივთის დამკვეთისათვის გადაცემამდეც შეიძლება წარმოიშვას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი. ვინაიდან გ. ხ-ემ მხარეთა შეთანხმებული საზღაური არ გადაიხადა, მან უარი განაცხადა, მიეღო შესრულებული სამუშაო, სწორედ ამ მიზეზით არ არის მისი ხელმოწერა მიღება-ჩაბარე-

ბის აქტზე.

ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ კანონი ითვალისწინებს დამკვეთის შესაგებლებს მენარდის მიმართ, რაც აბრკოლებს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 642-ე-645-ე მუხლებით გათვალისწინებული დამკვეთის დამატებითი მოთხოვნის უფლებები არ გამოირიცხავს ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას. ბუნებრივია, თუ დამკვეთის პრეტენზიის საფუძველი საზღაურის გადახდამდე წარმოიშობა, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება შესაბამისად აისახება ანაზღაურებაზეც, მაგრამ, თუ მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს საზღაურის გადახდას ნივთის გადაცემამდე, დამატებითი მოთხოვნის უფლების შესაძლო არსებობა ამ ვალდებულებაზე გავლენას არ ახდენს. მით უფრო, რომ სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. სააპელაციო სასამართლოს მტკიცებიდან გამომდინარე, თუ მენარდეს მხოლოდ მას შემდეგ წარმოემოხება ანაზღაურების მოთხოვნა, თუ დამკვეთი პრეტენზიას არ წარუდგენს, მაშინ იგულისხმება, რომ იგი ამ საპრეტენზიო ვადების გასვლასაც უნდა დაელოდოს, რაც, ცხადია, უსამართლოა და სამართლებრივად არასწორი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენლობის პირობებში სასამართლოს არ შეეძლო, დაედგინა ის ობიექტები, რომელზეც ჩატარდა ექსპერტიზა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №215 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების მიხედვით განესაზღვრა – მართლაც იმ ოდენობით იყო თუ არა გადასახდელი საზღაური, რასაც მოსარჩელე ითხოვდა.

ის გარემოება, თუ რამდენად სწორად მოითხოვა მოსარჩელემ მომსახურების ანაზღაურება, მოპასუხის შედავების საგანია. განსახილველ შემთხვევაში კი, გ. ხ-ე არ მიუთითებდა, რომ მოთხოვნილი ანაზღაურება შესრულებულ სამუშაოს არ შეესაბამებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ ბიუროს ტარიფები მისთვის ცნობილი არ იყო და არა იმას, რომ კონკრეტული სამუშაოს მიმართ სხვა ტარიფები უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-

მართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იმ მიზეზითაა მიღებული, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, ამდენად, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს სამუშაოს შესრულების ფაქტი სადავოდ არ გაუხდია. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოს შესრულება კი, მენარდის მხრიდან ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს; ამდენად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაუროს პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 475,64 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყო-

ფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. გ. ხ-ეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასარგებლოდ დაეკისროს 5854,66 ლარის გადახდა;

5. გ. ხ-ემ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აუნაზღაუროს პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 475,64 ლარი;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1070-1021-2013

20 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს „ქ. ფ-ის“ დირექტორმა ნ. ჯ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „რ. ფ-ის“, ი. მ-სა და მ. ა-ის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 27 დეკემბერს დადებული აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სს „ქ. ფ-ის“ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებიდან ექვს

დღეში, სს „ქ. ფ-ის“ უძრავ-მოძრავი ქონება გადაეცა 28 დღით ადრე რეგისტრირებულ შპს „რ. ფ-ს“, აქტივების ნასყიდობის ღირებულებად განისაზღვრა 77 846 000 ლარი, რომელიც საბაზრო ფასთან არ არის შესაბამისობაში და თანხის გადახდის ვადად დადგინდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მე-7 წლის ბოლო დღე. სს „ქ. ფ-ის“ დირექტორი ი. მ-ი და რეაბილიტაციის მმართველი მ. ა-ი მოქმედებდნენ შპს „რ. ფ-ან“ წინასწარი შეთანხმებით, სს „ქ. ფ-ის“ ეკონომიკური ინტერესების სანინააღმდეგოდ, დადეს საწარმოსათვის არახელსაყრელი, მოჩვენებითი და ზიანის მომტანი გარიგება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა: სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის 2011 წლის 27 დეკემბერს დადებული აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ასევე ი. მ-სა და მ. ა-ის სს „ქ. ფ-ის“ სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით 7 780 000 ლარის გადახდის დაკისრება.

მოპასუხე შპს „რ. ფ-მა“ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია, გამოხატავს მხარეთა ნებას და არ არსებობს ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოპასუხე მ. ა-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი არ კრძალავს რეაბილიტაციის პროცესში მოვალის ქონების გასხვისებას. ამგვარი უფლებამოსილება მას გააჩნდა, ასევე, რეაბილიტაციის გეგმით, ქონება გასხვისდა მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, დაკმაყოფილდა რამდენიმე კრედიტორის მოთხოვნა, კრედიტორების უმრავლესობამ კი უარი განცხადა „ქ. ფ-ის“ მიმართ მოთხოვნებზე, ვინაიდან შპს „რ. ფ-მა“ იკისრა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება.

მოპასუხე ი. მ-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, რეაბილიტაციის გეგმასთან, რაც გამორიცხავს მისი ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენებას. მართალია, მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, მაგრამ ხელშეკრულებაზე დამატებით მისი ხელმოწერა არ იყო აუცილებელი, ვინაიდან აღნიშნული უფლებამოსილება რეაბილიტაციის მმართველს გააჩნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ქ. ფ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის

რის დადებული აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება, აღდგა პირვანდელი მდგომარეობა და აღნიშნული ხელშეკრულებით შპს „რ. ფ-ის“ გადაცემული ქონება დაუბრუნდა, სს „ქ. ფ-ს“. შპს „ქ. ფ-ის“ სარჩელი ი. მ-სა და მ. ა-ის მიმართ 7 780 000 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „რ. ფ-მა“, მ. ა-მა და ი. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით შპს „რ. ფ-ის“, მ. ა-სა და ი. მ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სს „ქ. ფ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდით ..., რეესტრაციის თარიღი: 25/11/2005; წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან: რეაბილიტაციის მმართველი მ. ა-ი და დირექტორი ნ. ჯ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 03.10.2011წ. განჩინებით სს „ქ. ფ-ის“ დირექტორი ი. მ-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში. სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, მომრიგებელი საბჭოს 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, სს „ქ. ფ-ის“ მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი, ხოლო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება რეაბილიტაციის მმართველად მ. ა-ის დანიშვნის შესახებ. მომრიგებელი საბჭოს მიერ განხილული და მონონებული რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულ იქნა უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ.

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „რ. ფ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდით – ..., რეესტრაციის თარიღი – 29/11/2011. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორები: თ. რ. ბ-ი და მ. ფ. უ. ს-ი.

27.12.2011წ. სს „ქ. ფ-ს“ (წარმომადგენლები: ი. მ-ი (დირექტორი) და მ. ა-ი (რეაბილიტაციის მმართველი) და შპს „რ. ფ-ს“ (წარმომადგენელი ა. ჩ-ი) შორის დაიდო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „რ. ფ-ს“ 77 846 000

ლარად გადაეცა სს „ქ. ფ-ის“ კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება და არამატერიალური სიკეთე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართების მიხედვით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „რ. ფ-ი“ ნასყიდობის ფასს სრულად გადაიხდიდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მომდევნო 7 წლის თავზე, ანუ მე-7 წლის ბოლო დღეს. ხელშეკრულების 3.3. პუნქტით მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ მყიდველი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, ნასყიდობის ფასი სრულად ან ნაწილ-ნაწილ გადაუხადოს გამყიდველს შვიდწლიანი ვადის გასვლამდეც. თავის მხრივ, გამყიდველი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს მყიდველს ნასყიდობის ფასის სრული ან ნაწილობრივი გადახდა მითითებული ვადის გასვლამდე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 05.02.2013წ. ინფორმაციის მიხედვით, 27.12.2011წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში შპს „რ. ფ-ის“ საკუთრებად დარეგისტრირდა სს „ქ. ფ-ის“ მიერ გასხვისებული უძრავი ქონება, რომელთა ნაწილი დატვირთულია იპოთეკით საქართველოს ბანკის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.07.2013 წლის გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული იყო გადანყევტილების წინმსწრები საოქმო განჩინებები, რომლებიც მიღებულია ამავე სასამართლოს 29.05.2013 წლის სხდომაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.05.2013 წლის სხდომაზე იმ საფუძველით, რომ სს „ქ. ფ-ის“ სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ, მოპასუხე მხარემ იშუამდგომლა სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.05.2013 წლის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სს „ქ. ფ-ის“ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

იმავე სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მ. ა-მა იშუამდგომლა სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე იმ საფუძველით, რომ მან, როგორც სს „ქ. ფ-ის“ რეაბილიტაციის მმართველმა, უარი თქვა აღძრულ სარჩელზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.05.2013 წლის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოების სახელით სარჩელი აღძრა სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულმა, ხელმძღვანელო-



ბისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ-  
მა, სს „ქ. ფ-ის“ დირექტორმა, ნ. ჯ-მა. სარჩელი აღძრული იქნა  
რამდენიმე მოპასუხის, მათ შორის, რეაბილიტაციის მმართვე-  
ლისა და საწარმოს ყოფილი დირექტორის წინააღმდეგ, მათ მი-  
ერ დადებული, მოვალე საწარმოსათვის საზიანო გარიგების ბა-  
თილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. „გადახ-  
დისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კა-  
ნონი დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების  
შეზღუდვას ითვალისწინებს მხოლოდ გაკოტრების მმართვე-  
ლის დანიშვნის შემთხვევაში. კერძოდ, გაკოტრების პროცესში  
საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას ახორციელებს გა-  
კოტრების მმართველი, რომელიც აღჭურვილია „მენარმეთა შე-  
სახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი სამენარმეო საქ-  
მიანობის სუბიექტთა მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარ-  
მომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისათვის მინიჭებული  
ყველა უფლებამოსილებით. გაკოტრების პროცესში მოვალის  
ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს ხელმძღვანელობი-  
თი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები უჩერდება  
(გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე  
მუხლის 1-ლი პუნქტი). გაკოტრების პროცესისგან გასხვავებით,  
რომელიც მოვალე საწარმოს წარმომადგენლობითი ორგანოე-  
ბი ყველა უფლებებს კარგავენ, რეაბილიტაციის პროცესში ასე-  
თი რამ არ ხდება, ვინაიდან რეაბილიტაციის წარმოების შემ-  
თხვევაში საქმე მოქმედ საწარმოს ეხება. „გადახდისუუნარო-  
ბის შესახებ საქართველოს კანონის“ 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის  
თანახმად, რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმარ-  
თველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს  
განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. პალატის მოსაზრებით, აღ-  
ნიშნული ნორმა არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ კრე-  
დიტორებს შესაძლებლობა აქვთ, სრულად შეზღუდონ რეაბი-  
ლიტაციის პროცესში მოვალე საწარმოს დირექტორის წარმო-  
მადგენლობითი უფლებამოსილება რეაბილიტაციის მმართვე-  
ლის სასარგებლოდ, მით უფრო, როდესაც საკითხი ეხება მოვა-  
ლე იურიდიული პირის ინტერესების დაცვის სასამართლოში წარ-  
მომადგენლობის უფლებას და როდესაც სარჩელზე ერთ-ერთ  
მოპასუხეს სწორედ რეაბილიტაციის მმართველი წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ თბილისის  
საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის  
29.05.2013 წლის სხდომაზე იმ საფუძველით, რომ დავა წარმო-  
ადგენდა არბიტრაჟის განსჯადს, მოპასუხე მხარემ იშუამდგომ-  
ლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.05.2013 წლის საოქმო განჩინებით შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 03.10.2011 წლის განჩინებით სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ი. მ-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში, ხოლო იმავე სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, მომრიგებელი საბჭოს 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, სს „ქ. ფ-ის“ მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი. სარჩელი აღძრულია რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემდგომ გაფორმებული 27.12.2011 წლის აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, ამდენად, განსახილველი დავა დაკავშირებულია მოვალის ქონებასთან და შესაბამისად, იგი ექვემდებარება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ განსაკუთრებული განსჯადობის წესს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მოვალისა და კრედიტორების ინტერესების დაცვას, ერთმანეთის გვერდით, თანაბარუფლებიანად ასახელებს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული კანონის პირველი მუხლის სამართლებრივი ანალიზი იმაზეც მიუთითებს, რომ უნინარესად უნდა გადამოწმდეს, შესაძლებელია თუ არა მოვალის ფინანსური პრობლემების სხვაგვარად გადაჭრა, ვიდრე მისი ქონების ლიკვიდაციით. ამის შედეგად რეაბილიტაციას გარკვეული უპირატესობა ენიჭება. შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ კანონის მიზანია გადარჩენილ იქნეს სიცოცხლისუნარიანი საწარმო. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, რეაბილიტაცია არის საპროცესო, ხელმძღვანელობითი და მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით. კანონის მიზანია, რეაბილიტაციის პროცესი წარმართული იქნეს იმდაგვარად, რომ მოვალე საწარმოს ქონების ოპტიმიზაციის შედეგად დაკ-

მაყოფილდნენ კრედიტორები და შენარჩუნდეს სიცოცხლისუნარიანი საწარმო. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი მოვალე საწარმოს სამეურვეო ქონების რეალიზაციას ითვალისწინებს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში და ისიც, აუქციონის გზით. რაც შეეხება რეაბილიტაციის პროცესს, მართალია, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს პირდაპირ დათქმას რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემდგომ მოვალე საწარმოს ქონების გასხვისების აკრძალვასთან დაკავშირებით, თუმცა რეაბილიტაციის პროცესის მიზნებიდან გამომდინარე მოვალე საწარმოს ინტერესის საწინააღმდეგო გარიგების დადების (ქონების განკარგვის) შეზღუდვა გამომდინარეობს მითითებული კანონიდან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ თვით რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებდა სს „ქ. ფ-ის“ პროდუქციის მიმართ ბაზარზე არსებულ მოთხოვნილებას და საწარმოო პოტენციალის სწორი მენეჯმენტის პირობებში, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნების უზრუნველყოფას, გეგმის დამტკიცებიდან ერთ თვეზე მცირე დროში მოხდა საწარმოს მთლიანი აქტივების გასხვისება. რეაბილიტაციის გეგმის 5.1.4 პუნქტი, მართალია, უფლებას აძლევს რეაბილიტაციის მმართველს გაასხვისოს მოვალის ქონება, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ განხორციელებული ტრანზაქციების ღირებულება და მოვალესთან დარჩენილი აქტივების მოცულობა სრულად უნდა უზრუნველყოფდეს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. რეაბილიტაციის გეგმის სრული შესრულება კი გულისხმობს როგორც კრედიტორთა დაკმაყოფილებას, ასევე საწარმოს საქმიანობის შენარჩუნებას. როგორც მხარეთა განმარტებებით ირკვევა, სს „ქ. ფ-ის“ მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების საერთო ოდენობა აღემატება სადავო გარიგებით დადგენილ შესყიდვის ფასს. ამდენად, მყიდველის მიერ ვალდებულების სრულად შესრულება, ვერ უზრუნველყოფს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო 27.12.2011წ. გარიგება ეწინააღმდეგება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ რეაბილიტაციის პროცესს და სამეურვეო ქონების რეალიზაციის დადგენილ წესს, ამასთან, ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველმა

ნასყიდობის ფასი უნდა გადაიხადოს საკუთრების უფლების გადაცემიდან მე-7 წლის ბოლო დღეს და მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, მხოლოდ ეს გარემოებაც შეუძლებელს ხდის რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში და რიგითობით კრედიტორთა დაკმაყოფილებას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ როგორც 01.10.2013 წლის სასამართლო სხდომაზე მხარეებმა განმარტეს, 27.12.2011წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება – ფასის გადახდა უშუალოდ სს „ს. ფ-ის“ მიმართ არ მომხდარა. ნასყიდობის ფასის მოცულობიდან დაახლოებით 18 მილიონამდე ოდენობით დაკმაყოფილდნენ სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორები, გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა მათთან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შპს „რ. ფ-ის“ მიერ თანხის გადახდა სააქციო საზოგადოების კრედიტორებისათვის

გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ 50%-ზე მეტი ხმის უფლების კრედიტორთა 12.07.2013 წლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით კრედიტორები ეთანხმებიან სს „ქ. ფ-ს“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის 2011 წლის 27 დეკემბერს დადებული აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებას, პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით დადებულად მიჩნევის საფუძველს. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია როგორც კრედიტორების, ისე მოვალის ინტერესების დაცვა, ამდენად, დასახელებულ კანონთან და რეაბილიტაციის მიზნებთან სადავო გარიგების შესაბამისობა როგორც კრედიტორების, ისე თავად მოვალე საწარმოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა შემოწმდეს. ამ შემთხვევაში, კი როგორც ზემოთ აღინიშნა, გადახდისუუნარობის პროცესისაგან განსხვავებით, რეაბილიტაციის მიზანი რა თქმა უნდა კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება, მაგრამ უპირატესად, მოვალე საწარმოს ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ეკონომიკურად მოქმედი საწარმოს შენარჩუნებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა კანონის მიზნებს და ბათილი იყო.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია საპროცესო ნორმების დარღვევით დავის განხილვის თაობაზე. აპელანტის განმარტებით, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ სარჩელი გამომდინარეობს „გადახდისუუნარობის საქმის წარ-

მოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაკუთრებულ განსჯადობას დაქვემდებარებული დავისაგან, საქმის განხილვა უნდა დაესრულებინა 20 დღეში და არა 5 თვეში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას სასამართლოს მიერ ისეთი საპროცესო ნორმების დარღვევებით საქმის განხილვაზე, რამაც საქმის გადაწყვეტაზე მოახდინა გავლენა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებულ ნაწილში გამოიტანა არსებითად სწორი გადაწყვეტილება და არ არსებობს მისი გაუქმების პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტები პრეტენზიას გამოთქვამდნენ, ასევე, გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც შპს „რ. ფ-ს“, მ. ა-ს და ი. მ-ს სს „ქ. ფ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. აპელანტების განმარტებით, მ. ა-ი და ი. მ-ი, რომლებიც სადავო გარიგების დადებისას წარმოადგენდნენ სს „ქ. ფ-ის“ ინტერესებს, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოპასუხეებად 27.12.2011წ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ზემოაღნიშნულ მსჯელობა და განმარტა, რომ სს „ქ. ფ-ის“ ყოფილი დირექტორი ი. მ-ი და სანარმოს რეაბილიტაციის მმართველი მ. ა-ი წარმოადგენენ მოპასუხე მხარეებს აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში. სარჩელი აღძრულია სწორედ მათი უფლებამოსილების ფარგლებში დადებული ხელშეკრულების, როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგების ბათილად ცნობის და გარიგების დადებისას მათი ქმედებების შეფასების საფუძვლებით. სწორედ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში აღნიშნულ გარემოებებს ეფუძნება, სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო მ. ა-სა და ი. მ-ის სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.07.2013 წლის გადაწყვეტილების იმ ნაწილზეც, რომელიც ხელშეკრულების ბათილად ცნობას შეეხება. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად მართებულად დაეკისრათ სოლიდარულად სარჩელზე გა-

დახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს „რ. ფ-მა“, ი. მ-მა და მ. ა-მა. კასატორები ითხოვენ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

ი. მ-ის საკასაციო საჩივარი შემდეგ საფუძვლებს ემყარება:

სააპელაციო სასამართლო გასცდა სარჩელის საფუძვლებს. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისას სასამართლომ იმგვარ გარემოებებზე მიუთითა, რასაც მოსარჩელე სადავოდ არ ხდოდა. სარჩელში არ არის მითითებული, რომ გაკოტრების მმართველი გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს და რომ სადავო ხელშეკრულება ეწინააღმდეგება რეაბილიტაციის მიზნებს ან აქტივების გასხვისების შესახებ ხელშეკრულებით საკანონმდებლო აკრძალვის დარღვევის თაობაზე. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სს „ქ. ფ-ის“ გადახდისუუნარობის საქმის დაწყების შემდეგ არც ერთი გადაწყვეტილება, მათ შორის რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება და დირექტორის უფლებამოსილებათა შეზღუდვა გასაჩივრებული არ ყოფილა.

მოვალის ქონების გასხვისება რეაბილიტაციის ფარგლებში, კანონით დადგენილი რაიმე წესის ან შეზღუდვის დარღვევის გარეშე განხორციელდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა უფლებამოსილმა პირმა რეაბილიტაციის მმართველმა. დირექტორის ხელმოწერა მხოლოდ ფორმალურია, ვინაიდან მას ამგვარი უფლებამოსილება აღარ გააჩნდა, რასაც მოსარჩელეც ადასტურებს, ამდენად, სასამართლომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელზე მოპასუხედ მიიჩნია პირი, რომელსაც მოსარჩელე არ ასახელებს.

სასამართლომ საკუთარი ინიციატივით, რეაბილიტაციის პროცესში მოვალისა და კრედიტორის უფლებების თანაზომიერად დაცვის პრინციპზე დაყრდნობით, სინამდვილეში კი ამ პრინციპის უგულვებელყოფით, აქტივების გასხვისება კანონისა და რეაბილიტაციის წესის დარღვევად მიიჩნია. სასამართლო არ ასაბუთებს, რას გულისხმობს თანაზომიერი დაცვის პრინციპი, ან კანონის რომელი ნორმა დაირღვა სადავო ხელშეკრულებით.

სასამართლომ დავა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით განიხილა. მოცემული დავა არ მიეკუთვნება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის შესაბამისად განსაკუთრებულ განსჯადობას დაქვემდებარებულ დავებს, ვინაიდან ეს წესი შეეხება მხოლოდ იმ დავებს, რომლებიც წარმოიშობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ

და აუცილებლად უნდა გადაწყდეს მის დამთავრებამდე, რათა დადგინდეს სამეურვეო ქონება, მანამ, სანამ მიიღება გადაწყვეტილება მოვალის გაკოტრების ან რეაბილიტაციის თაობაზე. სასამართლო ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო დათქმა და შეენწყვიტა საქმის წარმოება.

შპს „რ. ფ-ის“ საკასაციო საჩივარი ასევე ემყარება ძირითადად იმავე საფუძვლებს, გარდა ამისა, კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა შპს „რ. ფ-ის“, როგორც კეთილსინდისიერი შემძენის მოქმედება. გარიგების ბათილად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს და შეფასდეს თითოეული მხარის ნება. გარიგების ერთი მხარის (გამყიდველის) მოქმედების შეფასება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გარიგება ბათილად იქნეს ცნობილი, მით უფრო, რომ გარიგება გამყიდველმა დადო და სარჩელი გამყიდველის სახელითაა აღძრული. სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს შპს „რ. ფ-ის“ მოქმედებებსა და მის კანონიერ ინტერესებზე. იგი შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მხარის მოქმედებების შეფასებით. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ შპს „რ. ფ-მა“ სრულად შეაფასა უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტები, შეამოწმა, რომ რეაბილიტაციის მმართველს, შეეძლო, ერთპიროვნულად დაედო აქტივების გასხვისების ხელშეკრულება. მოპასუხემ ასევე დაიწყო ნასყიდობის ფასის გადახდა, რაც გარიგების ბათილად ცნობას გამორიცხავს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ სს „ქ. ფ-ის“ უფლებამოსილებაზე მფლობელ დირექტორს განსხვავებული წარმოდგენა აქვს მოვალისა და კრედიტორის ინტერესებზე. სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილებას იღებდა მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაზომიერი დაცვის პირობებში, მაშინ, როდესაც სრულად უგულვებლყო კრედიტორების ინტერესი. გარიგების ბათილად ცნობა მოვალის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ვინაიდან გარიგების ბათილად ცნობის შედეგია ორმხრივი რესტიტუცია. სს „ქ. ფ-ს“ დაეკისრება ნასყიდობის ფასის ნაწილის დაუყოვნებლივ დაბრუნება, ასევე მან უნდა აანაზღაუროს ის გაუმჯობესება, რაც შემძენმა გასწია სადავო ქონებაზე. სასამართლომ არასწორად გამოიყენა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 38-ე მუხლი და არასწორად მიიჩნია, რომ კანონი მოვალის ქონების რეალიზაციას მხოლოდ გაკოტრების რეჟიმის დროს უშვებს. ამგვარი განმარტება კანონს ეწინააღმდეგება, ვინაიდან კანონი დასაშვებად მიიჩნევს ქონების გასხვისებას რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებამდეც. სასა-

მართლომ არასწორად გამოიყენა ასევე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 44-ე მუხლი და განმარტა იმგვარად, თითქოს ეს ნორმა ადასტურებს, რომ რეაბილიტაციის პროცესში ქონების გასხვისება არ დაიშვება, მაშინ, როდესაც ეს ნორმა პირიქით ადასტურებს, რომ სანარმოს დამფუძნებელიც კი შეზღუდულია რეაბილიტაციის მმართველისა და უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებამოსილებით. სასამართლომ დაარღვია ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ განმარტა, რომ მოვლის ქონების გასხვისება დაიშვება მხოლოდ გაკოტრების რეჟიმში და მხოლოდ აუქციონის წესით, მაშინ, როდესაც არ მიუთითებია, რომელი ნორმითაა დადგენილი ამგვარი აკრძალვა. სასამართლო არასწორად აფასებს რეაბილიტაციის პროცესს და მიუთითებს, რომ კრედიტორების ინტერესები არათუ განმსაზღვრელი, არამედ, მნიშვნელოვანიც არაა. სასამართლო ადგენს, რომ მოცემული დავისათვის მნიშვნელობა არ აქვს სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორთა 2013 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებას, რომლითაც მონონებულთა რეაბილიტაციის მმართველის საქმიანობა და რომ გარიგების საფუძველზე გასხვისებული აქტივები არ წარმოადგენდა მათი ინტერესის საგანს. სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის საკითხი და არ გაითვალისწინა, რომ რეაბილიტაციის პროცესში დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა დროებითია და გრძელდება მხოლოდ რეაბილიტაციის პროცესის დასრულებამდე, ამდენად, გავლენას არ ახდენს სანარმოს შენარჩუნებაზე.

მ. ა-ის საკასაციო საჩივარი სრულად ეთანხმება ი. მ-სა და შპს „რ. ფ-ის“ კასაციის საფუძველებს, ამავდროულად, მესამე კასაციური მიუთითებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში იგი არასათანადო მოპასუხეა, რასაც მოსარჩელეც ადასტურებს სააპელაციო შესაგებელში. სააპელაციო სასამართლომ სრულად უგულებელყო კრედიტორების ინტერესები, რეაბილიტაციის მიზანია კრედიტორთა დაკმაყოფილება და მათ არ ევალებათ მოვლის ქონების შენარჩუნებაზე ზრუნვა. ნასყიდობის ფასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ თანხა უნდა გადახდილიყო ხელშეკრულების დადებიდან მე-7 წელს, რაც ხელს უშლიდა რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები,



შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „რ. ფ-ის“, ი. მ-სა და მ. ა-ის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სს „ქ. ფ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდით – ..., რეესტრაციის თარიღი: 25/11/2005; წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან: რეაბილიტაციის მმართველი მ. ა-ი და დირექტორი ნ. ჯ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 3.10.2011წ. განჩინებით სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის ი. მ-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, მომრიგებელი საბჭოს 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, სს „ქ. ფ-ის“ მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება რეაბილიტაციის მმართველად მ. ა-ის დანიშვნის შესახებ.

მომრიგებელი საბჭოს მიერ განხილული და მოწონებული რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულ იქნა უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ.

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „რ. ფ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდით – ..., რეესტრაციის თარიღი – 29/11/2011. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორები: თ. რ. ბ-ი და მ. ფ. უ. ს-ი.

27.12.2011წ. სს „ქ. ფ-ს“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის დაიდო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, შპს „რ. ფ-ს“ 77 846 000 ლარად გადაეცა სს „ქ. ფ-ის“ კუთვნილი უძრავ-მობილური ქონება და არამატერიალური სიკეთე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართების მიხედვით. ხელშეკრულე-

ბის თანახმად, შპს „რ. ფ-ი“ ნასყიდობის ფასს სრულად გადაიხდიდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მომდევნო 7 წლის თავზე, ამასთან, მყიდველი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, ნასყიდობის ფასი სრულად ან ნაწილ—ნაწილ გადაუხადოს გამყიდველს შვიდწლიანი ვადის გასვლამდეც, ხოლო, თავის მხრივ, გამყიდველი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს მყიდველს ნასყიდობის ფასის სრული ან ნაწილობრივი გადახდა მითითებული ვადის გასვლამდე.

27.12.2011წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრში შპს „რ. ფ-ის“ საკუთრებად რეგისტრირებულ იქნა სს „ქ. ფ-ის“ მიერ გასხვისებული უძრავი ქონება, რომელთა ნაწილი დატვირთულია იპოთეკით „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ.

სს „ქ. ფ-ის“ მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების საერთო ოდენობა აღემატება სადავო გარიგებით დადგენილ სყიდვის ფასს. ამდენად, მყიდველის მიერ ვალდებულების სრულად შესრულება, ვერ უზრუნველყოფს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას.

დღეის მდგომარეობით სს „ქ. ფ-ის“ ერთადერთ სავარაუდო აქტივს შეადგენს ფიზიკური პირის მიმართ დაახლოებით 10 მილიონი ლარის ოდენობით მოთხოვნის უფლება, თუმცა, აღნიშნული მოთხოვნა დადასტურებული არ არის სასამართლო გადაწყვეტილებით, მატერიალიზებული სახით რაიმე სხვა აქტივი სს „ქ. ფ-ის“ არ გააჩნია.

ნასყიდობის ფასის მოცულობიდან დაახლოებით 18 მილიონ ლარამდე ოდენობით დაკმაყოფილდნენ სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორები, გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა მათთან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, შპს „რ. ფ-ის“ მიერ თანხის გადახდა სააქციო საზოგადოების კრედიტორებისათვის.

როგორც შპს „რ. ფ-ის“ საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორის პრეტენზია ეხება გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ დასაბუთებას. ამასთან, კასატორი უთითებს სასამართლოს მხრიდან არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის პრეტენზიათა მართებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

სარჩელი მხარეთა შორის 2011 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, ეფუძნება შემდეგ გარემოებებზე მითითებას: მოსარჩელის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები (იმდროინდელი დირექტორი და რეაბილიტაციის მმარ-

თველო) მოქმედებდნენ მოპასუხე „რ. ფ-ან“ წინასწარი შეთანხმებით, სს „ქ. ფ-ის“ ეკონომიკური ინტერესების სანინააღმდეგოდ, დადეს საწარმოსათვის არახელსაყრელი, ამორალური მოჩვენებითი და ზიანის მომტანი გარიგება, რომლის მიზანს არ წარმოადგენდა ქონების მომგებიანი და რეალური გასხვისება, არამედ აქტივების მოპასუხისათვის უკანონო გადაცემა. აქტივების ნასყიდობა განხორციელდა რეალურ საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებ ფასად. მოპასუხის არაკეთილსინდისიერი განზრახვა დასტურდება იმ გარემოებით, რომ აქტივების გადაცემიდან მოკლე ვადაში, მოპასუხემ საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმა სს „ს. ბ-ან“ 50000000 აშშ დოლარზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად, მნიშვნელოვანია სწორად მოიძებნოს სამართლის ის მატერიალური ნორმა, რომელსაც უკავშირდება მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა სარჩელის დაკმაყოფილების სახით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „ქ. ფ-ის“ მიმართ დაწყებულია რეაბილიტაციის პროცესი და იგი ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ფორმალური თვალსაზრისით, შეიძლება ვეძებოთ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში, სამოქალაქო კოდექსსა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში. მოსარჩელე მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად ერთ შემთხვევაში უთითებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4 მუხლს, რომლის თანახმად, მენარმე სუბიექტს შეუძლია განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მენარმე სუბიექტს, რომელიც წარმომადგენელია წარმომადგენლით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუხედავად მოსარჩელის მიერ 9.4 მუხლით გათვალისწინებული ფაქტების მითითებისა, ასევე მოპასუხის მიერ სააპელაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიის წარდგენისა, არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს არ დაუდგენია, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი მოქმედებდნენ ერთად, მათი მოქმედება იყო განზრახი, მოქმედების მიზანი იყო მენარმე სუბიექტისათვის ზიანის მიყენება, სახეზეა ზიანი, რომელიც გამოწვეულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისა და კონტრაგენტის ერთად მოქმედების შედეგად. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს

სარჩელის საფუძვლიანობა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამგვარი შედეგი სასარგებლოა მოპასუხისათვის და საკასაციო საჩივრის ფარგლებიდან გამომდინარე, ფაქტების დამდგენი სასამართლოს მიერ ამ საკითხებზე კვლავ სამსჯელოდ დაბრუნება გამოინვევდა საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპის დარღვევას. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ დაუდგენია სადავო გარიგების მოწვევებითობა (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი) და ამორალურობა (სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი).

რაც შეეხება გარიგების ბათილობის საფუძვლების შემოწმებას „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამდენად, მითითებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი და სისტემური განმარტების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონი თანაბარზომიერად იცავს, როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ინტერესებს. კრედიტორთა ინტერესის დაცვა გულისხმობს მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების გარანტიების შექმნას, რაც გამოიხატება, მაგალითად, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნაში, კრედიტორთა კრებისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭებაში და ა.შ. ხოლო მოვალეთა ინტერესების დაცვა გულისხმობს მათთვის შესაძლებლობის მიცემას, რათა გადაჭრან ფინანსური სიძნელები.

ფინანსური სიძნელების გადაჭრისა და იმავდროულად კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებაა საწარმოს მიმართ რეაბილიტაციის პროცესის დაწყება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, საწარმოს მიმართ რეაბილიტაციის პროცესის დაწყება ნიშნავს იმის პრეზუმირებას, რომ საწარმოს ჯერ კიდევ შეუძლია თავი გაართვას ფინანსურ სიძნელებს. ამ მიზნის მიღწევის გარანტიები მოცემულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის არაერთ მუხლში. მაგალითად, კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, რეაბილიტაცია განმარტებულია, როგორც საპროცე-

სო, ხელმძღვანელობითი და მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას, უმთავრესად, მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით. კანონის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტაციის გეგმა წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და უნდა მოიცავდეს მოვალის ფინანსური სიძნელების გადაჭრასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, იმის გათვალისწინებით, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში მოვალე დაძლევეს გადახდისუუნარობას ან მოსალოდნელ გადახდისუუნარობას.

როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, მოსარჩელე სადავოდ ხდის საწარმოს მიმართ გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომის კანონიერებას და მიიჩნევს, რომ სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის გადაწყვეტილება საწარმოს გადახდისუუნარობის თაობაზე წარმოადგენდა უსაფუძვლო და არაკანონიერ აქტს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, მომრიგებელი საბჭოს 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, სს „ქ. ფ-ის“ მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა კანონით დადგენილი წესით. აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ არსებობდა სს „ქ. ფ-ის“ გადახდისუუნარობის ფაქტობრივი საფუძვლები. ასეთ ვითარებაში, ისმის კითხვა: მიეცა თუ არა შესაძლებლობა საწარმოს, გადაეჭრა ფინანსური სიძნელები. დასმულ კითხვაზე სააპელაციო სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა, უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ რეაბილიტაციის პროცესის მიზნებიდან გამომდინარე, ქონების განკარგვა შეზღუდულია. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნა ემყარება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლს და 44-ე მუხლის მე-6 პუნქტს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან კანონის 38-ე მუხლი, რომელიც ადგენს გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოს განკარგვის წესს აუქციონის წესით, წარ-

მოადგენს სპეციალურ ნორმას და იგი ანალოგიით ვერ იქნება გამოყენებული. რაც შეეხება კანონის 44.6 მუხლს, მართალია, მითითებული ნორმა მოქცეულია რეაბილიტაციის თავში, თუმცა, იგი ეხება არა ქონების გასხვისებას, არამედ საწარმოს კაპიტალის გაზრდას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ წარმოებული (შექმნილი) ან თუნდაც არსებული ქონების გასხვისება კანონით აკრძალული არ არის, თუმცა, ამგვარი ქმედება უნდა დაემორჩილოს ზოგად პრინციპს – საფრთხე არ შეექმნას ერთის მხრივ მოვალის ინტერესებს, გადაჭრას ფინანსური სიძნელებები, ხოლო მეორეს მხრივ კრედიტორთა ინტერესებს, დაკმაყოფილონ მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს მოხმობილი აქვს რეაბილიტაციის გეგმის 5.1.4 პუნქტი, რომლის თანახმად, რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს გაასხვისოს მოვალის ქონება, იმ პირობით, რომ განხორციელებული ტრანზაქციების ღირებულება და მოვალესთან დარჩენილი აქტივების მოცულობა სრულად უნდა უზრუნველყოფდეს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სასამართლოს დასკვნით, სს „ქ. ფ-ის“ მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების საერთო ოდენობა აღემატება სადავო გარიგებით დადგენილ სყიდვის ფასს, შესაბამისად, მყიდველის მიერ ვალდებულების სრულად შესრულება, ვერ უზრუნველყოფს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დღეის მდგომარეობით, სს „ქ. ფ-ს“ დარჩა ერთადერთი სავარაუდო აქტივი, დაახლოებით 10 მილიონი ლარის მოთხოვნის უფლება ფიზიკური პირის მიმართ. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნა დადასტურებული არ არის სასამართლო გადაწყვეტილებით, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ აქტივად. ამასთან, პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის დასასაბუთებლად სარჩელში არ მიუთითებია ისეთ ფაქტებზე, როგორცაა: რეაბილიტაციის მმართველმა დადო გეგმასთან შეუსაბამო ხელშეკრულება; გარიგება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ საწარმოს რეაბილიტაციის არსს, აქტივების გასხვისების წესსა და შეზღუდვებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს, გარიგების შესაბამისობა რეაბილიტაციის გეგმასთან, რომლის კანონიერება სადავო არ არის, შეეძლო შეემოწმებინა მხოლოდ მოსარჩელის მიერ მითითებულ ფარგლებში და შემთხვევებში, რაც დარღვეულ იქნა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ისე

მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ შეუფასებია შპს „რ. ფ-ის“ კეთილსინდისიერება, ამასთან, სასამართლოს არ უმსჯელია მკიდველის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სარჩელში გაკეთებულ მოსარჩელის განმარტებაზე, რომლის თანახმად, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული აქტივების გადაცემიდან მოკლე ვადაში, 2013 წლის 13 იანვარს, მოპასუხემ საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმა სს „ს. ბ-ან“ ორმოცდაათ მილიონ ამერიკულ დოლარზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დატვირთა სადავო გარიგებით გადაცემული აქტივების ნაწილი – 30 ერთეული უძრავი ქონება. აღნიშნული გარემოებით ერთის მხრივ დასტურდება მოპასუხის არაკეთილსინდისიერი განზრახვა დაუყოვნებლივ მიეღო ფინანსური შემოსავლები იმ ქონებიდან, რომლის შესაძენად ერთი თეთრიც კი არ ჰქონდა გადახდილი, ამასთან, მოსარჩელე მიუთითებს, რომ ნასყიდობის ფასი არ შეესაბამებოდა რეალურ საბაზრო ფასს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქონების შემძენზე საკუთრების უფლების გადასვლიდან, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სადავო არაა, ახალ მესაკუთრეს საკუთრების უფლების არსიდან გამომდინარე, სრული უფლება აქვს თავისი შეხედულებით სამებრ განკარგოს ქონება. მით უფრო, რომ მოსარჩელისვე განმარტებით, სადავო გარიგება შემძენისათვის რაიმე მბოჭავ სახელშეკრულებო დათქმას არ შეიცავს. ამდენად, მხოლოდ ზემოაღნიშნული ფაქტი ვერ იქნება შემძენის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების საკმარისი საფუძველი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, რომც მივიჩნიოთ დადგენილად ის გარემოება, რომ გარიგების ფასი არ შეესაბამება ქონების რეალურ საბაზრო ფასს, ესეც არ არის საკმარისი კონტრაგენტის არაკეთილსინდისიერად მიჩნევისათვის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სარჩელი არ შეიცავს მითითებას, თუ რას შეადგენდა ნასყიდობის საგნის საბაზრო ფასი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, პირიქით, შემძენის კეთილსინდისიერებას უფრო მეტად ამყარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმადაც, ნასყიდობის ფასის მოცულობიდან დაახლოებით 18 მილიონ ლარამდე ოდენობით დაკმაყოფილდნენ სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორები, გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა მათთან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შპს „რ. ფ-ის“ მიერ თანხის გადახდა სააქციო საზოგადოების კრედიტორებისათვის. აღნიშნულ ქმედებს ადგილი აქვს ისეთ ვითარებაში, როდესაც გარიგებით შემძენს ამის ვალდებულება არ გააჩნია, ამასთან, რეაბილიტაციის გეგმის 4.3.1-4.3.5 პუნქტე-

ბით გათვალისწინებული პირველი-მეხუთე რიგის კრედიტორების მოთხოვნათა მოცულობა, რომლებიც უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ 2011 წელს, ჯამში ნაკლებია 18 მილიონ ლარზე. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია შპს „რ. ფ-ის“ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით დასაშვები და დასაბუთებულია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ი. მ-სა და მ. ა-ის მითითებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში ისინი არ არიან მოპასუხეები და სასამართლო სარჩელის საფუძვლებს გასცდა, როდესაც მოთხოვნა მათ ნაწილში დააკმაყოფილა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე ზიანის ანაზღაურება ყოფილი დირექტორისა და რეაბილიტაციის მმართველისაგან. მოპასუხეებად დაასახელა შპს „რ. ფ-ი“, ყოფილი დირექტორი და რეაბილიტაციის მმართველი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, ხოლო ზიანის ანაზღაურების ნაწილში უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, იმავდროულად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეებს სოლიდარულად დააკისრა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამივე მოპასუხემ. ი. მ-სა და მ. ა-ის სააპელაციო საჩივარი, გარდა ხელშეკრულების მართლზომიერების თაობაზე მითითებისა, ემყარებოდა იმ გარემოებასაც, რომ სასამართლოს მათთვის ბაჟი სოლიდარულად არ უნდა დაეკისრებინა. ი. მ-ის სააპელაციო საჩივარზე წარდგენილ შესაგებელში მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი არ იყო მოპასუხედ დასახელებული იმ სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო იმ ნაწილში, რომელზეც იგი მოპასუხეს წარმოადგენდა, საქმე მოიგო და მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო. მ. ა-ის სააპელაციო საჩივარზე მოსარჩელეს შესაგებელი არ შეუტანია, თუმცა, იგივე განმარტება გააკეთა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა მოსარჩელის განმარტება და აღნიშნულის საპირისპიროდ, დაასკვნა, რომ ვინაიდან ხელშეკრულების ბათილად ცნობის საკითხის განხილვა შეეხებოდა დირექტორისა და რეაბილიტაციის მმართველის მოქმედების მართლზომიერების შეფასებას, ისინი ასევე იყვნენ მოპასუხეები ამ ნაწილში და რადგანაც სარჩელი ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, მათ ბაჟის ანაზ-



ლაურება მოსარჩელის სასარგებლოდ სწორად დაეკისრათ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დისპოზიციურობის პრინციპს, ასევე ამავე კოდექსის 85-ე მუხლის დანაწესს ეწინააღმდეგება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს ი. მ-სა და მ. ა-ის მტკიცებას, რომ ისინი არ არიან ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის მოპასუხეები და პირველი ინსტანციის სასამართლოს მათთვის სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება არ უნდა დაეკისრებინა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა და უნდა გაუქმდეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მითითებას, რომ მოცემული დავა სპეციალურ განსჯადობას არ მიეკუთვნება და შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო დათქმის მიხედვით, ლონდონის არბიტრაჟის განსჯადია. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი ადგენს საერთო სასარჩელო წესით განსახილველ საქმეთა წრეს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მონაწილე პირებსა და მესამე პირებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს დავის საერთო სასარჩელო წესით განსახილველად იმ მოთხოვნებზე, რომლებიც არ აისახება კრედიტორთა ნუსხაში; ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5, 5<sup>1</sup>, 5<sup>2</sup> და 5<sup>3</sup> პუნქტებით გათვალისწინებულ მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე. იმავე კანონის მე-4 მუხლის 5<sup>1</sup> პუნქტის მიხედვით, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წარმოშობილ მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას განიხილვენ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სასამართლოები. არასწორია, კასატორის მითითება, რომ აღნიშნული ნორმა შეეხება მხოლოდ მოვალის ქონების პროცესში წარმოშობილ დავებს, ვინაიდან მითითებული მუხლი ამგვარ დათქმას არ შეიცავს და სპეციალურ განსჯადობას უქვემდებარებს მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ ყველა დავას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მითითებას, რომ მოცემული საქმის საერთო სასამართლოებში განხილვისას დაირღვა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრული სპეციალური ვადები, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3

ნაწილის თანახმად, ამგვარ დარღვევას არსებითი გავლენა არ მოუხდენია გადაწყვეტილების შედეგზე.

საკასტორები ასევე მიუთითებენ, რომ სარჩელი არაუფლებამოსილმა პირმა აღძრა, რაც ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში, სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის უფლებამოსილებები შეზღუდულია და მას მხოლოდ გარკვეული სამეურნეო ფუნქციები რჩება, თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა სამენარმეო რეესტრში არ დარეგისტრირებულია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ კრედიტორთა კრებას შეუძლია, დირექტორს საზოგადოების სახელით სარჩელის აღძვრის უფლება შეუზღუდოს ისეთ პირობებში, როდესაც სადავო რეაბილიტაციის მმართველის მოქმედება. მართალია, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას კრედიტორები ზედამხედველობენ, მაგრამ ეს გარემოება არ გამოორიცხავს მოვალის უფლებას საერთო სასარჩელო წესით იდავოს რეაბილიტაციის მმართველის მიერ საზოგადოების საზიანოდ მოქმედების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, მოვალე წარმოდგენილი იქნება სწორედ დირექტორის მეშვეობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება შეიძლება შეეხებოდეს დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვას რეაბილიტაციის გეგმიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების დროს, საწარმოს მიმდინარე საქმიანობასა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მაგრამ არა საზოგადოების სახელით სარჩელის აღძვრის უფლებამოსილების ჩამორთმევას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათ-

ვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორებმა წარმოადგინეს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია, ხოლო საკასაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო იმავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ვინაიდან სს „ქ. ფ-ის“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სს „ქ. ფ-ს“ უნდა დაეკისროს კასატორების სასარგებლოდ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება, კერძოდ, მ. ა-ის სასარგებლოდ 11 000 ლარის ოდენობით, ი. მ-ის სასარგებლოდ 482,18 ლარის ოდენობით, ხოლო შპს „რ. ფ-ის“ სასარგებლოდ 15 000 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „რ. ფ-ის“, ი. მ-სა და მ. ა-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის ნ. ჯ-ის სარჩელი სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის 2011 წლის 27 დეკემბერს დადებული აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. სს „ქ. ფ-ს“ დაეკისროს მოპასუხეების სასარგებლოდ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება, კერძოდ, მ. ა-ის სასარგებლოდ 11 000 ლარის ანაზღაურება, ი. მ-ის სასარგებლოდ 482,18 ლარის ანაზ-

ლაურება, შპს „რ. ფ-ის“ სასარგებლოდ 15 000 ლარის ანაზღაურება.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უფლებამონაცვლეობა იჯარის ხელშეკრულებაში საიჯარო ქირა**

### **განჩინება**

№ას-78-74-2013

7 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „ბ. ს. ნ-მა“ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოპასუხეების: შპს „გ.+სა“ და შპს „ს-ოს“ მიმართ და მოითხოვა:

1. მოსარჩელის მფლობელობაში არსებული №10 ნავმისადგომის 200 კვ.მ ფართით სარგებლობისათვის მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა 2006 წლის 1 მაისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე;

2. სამომავლოდ, იგივე ფართით სარგებლობის შემთხვევაში, მოპასუხეებს წინასწარ, კალენდარული წლის დადგომამდე სოლიდარულად დაეკისროთ ყოველწლიური კომპენსაციის – 12000 ლარის გადახდა.

სარჩელის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ბ. ს. ნ-ს“ შორის 2006 წლის 11 აპრილს დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელე ფლობს რამდენიმე ნავმისადგომს, მათ შორის, სადავო №10 ნავმისადგომს, მისი არსებობის ვადით. მოსარჩელეს, როგორც უზუფრუქტუარს, გააჩნია კანონ-

ნიერი უფლება ისარგებლოს სადავო ნავმისადგომით, მაგრამ ამას ვერ ახერხებს ნავმისადგომის გაგრძელებაზე არსებული მოპასუხის კუთვნილი შენობა-ნაგებობების გამო, კერძოდ, მოპასუხე შპს „გ.+“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს სადავო ნავმისადგომის მეზობლად მდებარე 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთს. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია რესტორანი „სანაპირო“, რომელიც მოპასუხე შპს „გ.+“-ის“ საკუთრებას წარმოადგენს. ხსენებულ რესტორანს მოპასუხემ გაუკეთა რეკონსტრუქცია, რა დროსაც იგი გასცდა მეზობელი მიწის ნაკვეთის საზღვრებს და ამ რესტორნის შენობის ნაწილი აღმოჩნდა სადავო ნავმისადგომის ტერიტორიაზე. №10 ნავმისადგომის ტერიტორიაზე განთავსებულია ასევე მოპასუხის რესტორნის კუთვნილი მოძრავი ნივთები (მაგიდები და სკამები). მოსარჩელის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხემ მას უნდა გადაუხადოს ფულადი კომპენსაცია საზღვრის დარღვევის გამო, რაც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი. ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მოპასუხეს დაკავებული აქვს სადავო ნავსადგურის მთელი ტერიტორია, რაც შეადგენს 200 კვ.მ-ს. შპს „კალიოანი და აუდიტკომპანიის“ საექსპერტო დასკვნის მიხედვით, სადავო ნავმისადგომის თვითური საიჯარო ქირა შეადგენს 5 ლარს ერთ კვ.მ-ზე, შესაბამისად, მთლიანი დაკავებული ფართისათვის კომპენსაცია იქნება თვეში 1000 ლარი. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული თანხა მოპასუხემ მას უნდა გადაუხადოს ყოველთვიურად 2006 წლის 1 მაისიდან (იმ მომენტიდან, როდესაც მოხდა უზუფრუქტის რეგისტრაცია კანონის შესაბამისად) სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე. მოსარჩელე ასევე მიიჩნევს, რომ იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ყოველწლიური კომპენსაცია 12000 ლარი, რომელიც მოპასუხემ წინასწარ უნდა გადაიხადოს კალენდარული წლის დადგომამდე.

მოპასუხე შპს „გ.+“-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დადასტურებდა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას სამეზობლო საზღვრის დარღვევის თაობაზე. უფრო მეტიც, 2006 წლის 30 ნოემბრის აზომვითი ნახაზით და საკადასტრო რუკით დასტურდება, რომ ე.წ. სადავო ნავმისადგომი მოქცეულია შპს „გ.+“-ის“ იჯარით გადაცემულ 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის წითელ ხაზებში და შესაბამისად, მოპასუხე ამ ფართის მართლზომიერი მფლობელია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 მაისის გა-

დანყვეტილებით შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია 1000 ლარი, 2006 წლის 1 მაისიდან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ანუ 2009 წლის 29 მაისამდე, რაც შეადგენს 37000 ლარს; შპს „გ.+“-ს დაეკისრა ვალდებულება, რომ სამომავლოდ შპს „ბ. ს. ნ-ს“ გადაუხადოს წლიური კომპენსაცია 12000 ლარი წინასწარ, ყოველი წლის დასაწყისში; შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარჩელი შპს „ს-ოს“ მიმართ ფულადი კომპენსაციის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა; შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1080 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „გ.+“-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „გ.+“-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 29000 ლარის ანაზღაურება გასული პერიოდისათვის, კერძოდ, 2006 წლის 28 დეკემბრიდან 2009 წლის 29 მაისამდე პერიოდისათვის; 2009 წლის 29 მაისიდან შემდგომი პერიოდისათვის, №10 ნავმისადგომის ფართით სარგებლობის შემთხვევაში, შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც შპს „ბ. ს. ნ-მა“, ასევე შპს „გ.+“-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინებით შპს „გ.+“-სა და შპს „ბ. ს. ნ-ის“ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „გ.+“-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქ-

მდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შპს „გ.+ს“ 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, №10 ნავმისადგომის 200 კვ.მ ფართით სარგებლობისათვის, შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2007 წლის 15 ივნისიდან — 2007 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდისათვის 383,32 ლარის ანაზღაურება; 2007 წლის 15 ოქტომბრიდან შემდგომი პერიოდისათვის, შპს „გ.+ს“ შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, №10 ნავმისადგომის 200 კვ.მ ფართით სარგებლობისათვის, ყოველწლიურად 1150 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებით, შპს „გ.+ს“ ქ. ბათუმის მერიისაგან 95 წლის ვადით გადაეცა ქ. ბათუმში, გ-ის ქ. №9-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 2 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი. იჯარის ქირა განისაზღვრა წლიურად 5,75 ლარი ერთ კვ.მ-ზე, რამაც მთლიანობაში შეადგინა წლიურად 14375 ლარი;

2. 2004 წლის 3 სექტემბერს შემდგარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრების 2 500 კვ.მ ნაკვეთის მფლობელი არის შპს „გ.+“, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული რესტორანი „სანაპირო“ საერთო ფართით 1585,6 კვ.მ, შპს „გ.+ს“ საკუთრებაა, რაც ექსპლუატაციაში მიიღეს 2006 წლის 28 დეკემბერს;

3. შპს „ს-ო“ ახორციელებდა შპს „გ.+ს“ კუთვნილი რესტორნის ფაქტობრივ მენეჯმენტს;

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ბ. ს. ნ-ს“ შორის, 2006 წლის 11 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, ნავსადგური მისი არსებობის ვადით ფლობს №1, №2, №3, №6, №7, №8, №9, №10, №11 ნავმისადგომებს უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით;

5. შპს „ბ. ს. ნ-ის“ უზუფრუქტის წესით გადაცემული №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ნაწილი – 200 კვ.მ ფართი სხვადასხვა ფორმით დაკავებული და გამოყენებული აქვს შპს „გ.+ს“ კუთვნილ რესტორან „სანაპიროს“, კერძოდ, რესტორან „სანაპიროს“ შენობაზე განხორციელებული რეკონსტრუქციის დროს, ნაგებობის ზღვის ფასადის კოლონებიდან სამი კოლონა

და შესასვლელი კიბის ნაწილი შეჭრილია №10 ნავმისადგომის ტერიტორიაზე; რესტორნის მოძრავი ინვენტარი: მაგიდები, სკამები და საჩრდილო ქოლგები განლაგებულია №10 ნავმისადგომის საექსპლუატაციო ფართზე, 4X50 მეტრიან ზონაში (200 კვ.მ ფართზე);

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დანიშნული №5167/15-2009 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „ბ. ს. ნ-ის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქ. ბათუმში, შპს „გ.+“-ის კუთვნილი რესტორან „სანაპიროს“ შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული და გამოყენებული ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ფართი, როგორც მიწის ნაკვეთზე მყარად განთავსებული ნაწილებით, ისე სივრცობრივად (კოლონებზე დაშენებული აივანი) შეადგენს 12.4 კვ.მ-ს;

7. შპს „გ.+“-ის“ იჯარით გადაცემული 2 500 კვ.მ მოიცავს სადავო 200 კვ.მ ფართს;

8. 2007 წლის 15 ივნისის №0579-08/23 და 2007 წლის 25 ივნისის №0632-08/35 წერილებით მიმართა შპს „ს-ოს“, რომელიც ახორციელებდა აღნიშნული რესტორნის ფაქტობრივ მენეჯმენტს და შესთავაზა ნავსადგურთან ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხის განხილვა სათანადო საბაზრო ანაზღაურების გათვალისწინებით;

9. 2007 წლის 22 აგვისტოს შპს „ბ. ს. ნ-მა“ №0897-08/23 წერილით მიმართა შპს „გ.+“-ს“ და 2006 წლის პირველი მაისიდან 2007 წლის პირველ აგვისტომდე პერიოდისათვის, ნავსადგურის მართლობიერ სარგებლობაში არსებული ფართის სარგებლობისათვის კომპენსაციის სახით მოითხოვა 15 000 ლარი, რაზედაც პასუხი არ მიუღია;

10. შპს „კალოიანი და აუდიტკომპანიის“ 2007 წლის 16 აგვისტოს №02/06-09 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ნავსადგურის საეგებლობაში არსებული №10 ნავმისადგომის 1 კვ.მ ფართის თვიური საიჯარო ქირა საბაზრო ფასის გათვალისწინებით შეადგენს 5 ლარს, შესაბამისად, 200 კვ.მ ფართისათვის ყოველთვიური საკომპენსაციო თანხა შეადგენს 1 000 ლარს.

11. შპს „გ.+“ 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. ბათუმის მერიას უხდიდა საიჯარო თანხას;

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, საქმის მასალებზე დაყრდნობით, შპს „გ.+“სადავო 200 კვ.მ ფართის მართლობიერ მფლობელია, რაც 2004 წლის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის შემადგენე-



ლი ნაწილია; ამდენად, შპს „გ.+“, როგორც მოიჯარე უფლება-მოსილია ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის განმავლობაში ისარგებლოს ამ ქონებით, უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა და მეიჯარეს გადაუხადოს დათქმული საიჯარო ქირა. იჯარის მიმართ მოქმედებს ქირავნობის ხელშეკრულებისათვის დადგენილი წესები. სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლის თანახმად, თუ გამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს გამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. 2006 წლის 11 აპრილის ხელშეკრულებით შპს „ბ. ს. ნ-ს“, მისი არსებობის ვადით გადაეცა №1, №2, №3, №6, №7, №8, №9, №10, №11 ნავმისადგომები, მათ შორის სადავო 200 კვ.მ მიწის ნაკვეთიც, რაც უზუფრუქტის გაფორმებაზე იჯარით გადაცემული ჰქონდა შპს „გ.+“-ს; ამდენად, შპს „ბ. ს. ნ-მა“ დაიკავა მეიჯარის ადგილი და მასზე, როგორც ამ ქონებაზე სანივთო უფლებით აღჭურვილ პირზე გადავიდა საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები, შესაბამისად, შპს „ბ. ს. ნ-ი“ უფლებამოსილია მიიღოს 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის პროპორციულად საიჯარო ქირა, რაც განსახილველ შემთხვევაში შეადგენს წელიწადში 1150 ლარს ( $200 \times 5,75 = 1150$ ), ხოლო თვეში 95,83 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ შპს „გ.+“-ს მხოლოდ 2007 წლის 15 ივნისისათვის ეცნობა შპს „ბ. ს. ნ-ის“ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ნაწილობრივ დათმობის თაობაზე. სწორედ ამ დროიდან წარმოეშვა ვალდებულება შპს „გ.+“-ს, №10 ნავმისადგომის 200 კვმ. ფართის სარგებლობისათვის, საიჯარო თანხა გადაეხადა შპს „ბ. ს. ნ-ის“.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს „ბ. ს. ნ-ის“ მსჯელობა გაზრდილი საიჯარო ქირის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, არც საიჯარო ხელშეკრულება და არც სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოიჯარის თანხმობის გარეშე საიჯარო ქირის გაზრდას. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სადავო 200 კვ.მ ფართის სარგებლობისათვის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს წარმოადგენს შპს „ს-ო“ და მიუთითა, რომ ხელშეკრულების მხარეა შპს „გ.+“, ხოლო შპს „ს-ო“ ახორციელებს რესტორნის მხოლოდ ფაქტობრივ მართვას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ბ. ს. ნ-მა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტი-

ლების მიღების მოთხოვნით. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა დადგენილად, რომ შპს „ბ. ს. ნ-ის“ №10 ნავმისადგომის ზედაპირს 200 კვ.მ-ს მოიცავდა შპს „გ.+-ს“ და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმებული 2 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამქირავებლის მიერ მესამე პირზე ქირავნობის საგნის გასხვისების შემთხვევაში, გამქირავებლის უფლება-მოვალეობების შემქმნელად გადასვლას. მოცემულ შემთხვევაში გამქირავებელი არის ქ. ბათუმის მერია, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში იჯარით გასცემს თვითმმართველობის განმგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს, ხოლო უზუფრუქტის უფლების გამცემი არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში უზუფრუქტის უფლებით გასცემს სახელმწიფო ქონებას, თუ ქ. ბათუმის მერიამ 2 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახით იჯარით გასცა სადავო 200 კვ.მ ფართიც, გამოადის ამ 200 კვ.მ-ის ნაწილში იჯარის ხელშეკრულება დადო არაუფლებამოსილმა პირმა. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა მოთხოვნის დათმობად შპს „ბ. ს. ნ-სა“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული №10 ნავმისადგომის უზუფრუქტის ხელშეკრულება. შპს „გ.+-ის“ მიმართ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მფლობელი არის ქ. ბათუმის მერია, ხოლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მხარე არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინაწვლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს „ბ. ს. ნ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებით, შპს „გ.+-ს“ ქ. ბათუმის მერიისაგან 95 წლის ვადით გადაეცა ქ. ბა-

თუმში, გ-ის ქ. №9-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 2 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი. იჯარის ქირა განისაზღვრა წლიურად 5,75 ლარი ერთ კვ.მ-ზე, რამაც მთლიანობაში შეადგინა წლიურად 14375 ლარი;

2. 2004 წლის 3 სექტემბერს შემდგარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრების 2 500 კვ.მ ნაკვეთის მფლობელი არის შპს „გ.+“, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული რესტორანი „სანაპირო“ საერთო ფართობით 1585,6 კვ.მ, შპს „გ.+“-ის საკუთრებაა, რაც ექსპლუატაციაში მიიღეს 2006 წლის 28 დეკემბერს;

3. შპს „ს-ო“ ახორციელებდა შპს „გ.+“-ის კუთვნილი რესტორნის ფაქტობრივ მენეჯმენტს;

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ბ. ს. ნ-ს“ შორის, 2006 წლის 11 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, ნავსადგური მისი არსებობის ვადით ფლობს №1, №2, №3, №6, №7, №8, №9, №10, №11 ნავმისადგომებს უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით;

5. შპს „ბ. ს. ნ-ის“ უზუფრუქტის წესით გადაცემული №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ნაწილი – 200 კვ.მ ფართი სხვადასხვა ფორმით დაკავებული და გამოყენებული აქვს შპს „გ.+“-ის კუთვნილ რესტორანს „სანაპირო“, კერძოდ, რესტორან „სანაპიროს“ შენობაზე განხორციელებული რეკონსტრუქციის დროს, ნაგებობის ზღვის ფასადის კოლონებიდან სამი კოლონა და შესასვლელი კიბის ნაწილი შეჭრილია №10 ნავმისადგომის ტერიტორიაზე; რესტორნის მოძრავი ინვენტარი: მაგიდები, სკამები და საჩრდილო ქოლგები განლაგებულია №10 ნავმისადგომის საექსპლუატაციო ფართზე, 4X50 მეტრიან ზონაში (200 კვ.მ ფართზე);

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დანიშნული №5167/15-2009 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „ბ. ს. ნ-ის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქ. ბათუმში, შპს „გ.+“-ის კუთვნილი რესტორან „სანაპიროს“ შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული და გამოყენებული ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ფართი, როგორც მიწის ნაკვეთზე მყარად განთავსებული ნაწილებით, ისე სივრცობრივად (კოლონებზე დაშენებული აივანი) შეადგენს 12.4 კვ.მ-ს;

7. შპს „გ.+“-ის იჯარით გადაცემული 2 500 კვ.მ მოიცავს სადავო 200 კვ.მ-ს;

8. მოსარჩელემ 2007 წლის 15 ივნისის №0579-08/23 და 2007

წლის 25 ივნისის №0632-08/35 წერილებით მიმართა შპს „ს-ოს“, რომელიც ახორციელებდა აღნიშნული რესტორნის ფაქტობრივ მენეჯმენტს და შესთავაზა ნავსადგურთან ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხის განხილვა სათანადო საბაზრო ანაზღაურების გათვალისწინებით;

9. 2007 წლის 22 აგვისტოს შპს „ბ. ს. ნ-მა“ №0897-08/23 წერილით მიმართა შპს „გ.+ს“ და 2006 წლის პირველი მაისიდან 2007 წლის პირველ აგვისტომდე პერიოდისათვის, ნავსადგურის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ფართის სარგებლობისათვის კომპენსაციის სახით მოითხოვა 15 000 ლარი, რაზედაც პასუხი არ მიუღია;

10. შპს „კალიოანი და აუდიტკომპანიის“ 2007 წლის 16 აგვისტოს №02/06-09 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ნავსადგურის საეგებლობაში არსებული №10 ნავმისადგომის 1 კვ.მ ფართის თვიური საიჯარო ქირა საბაზრო ფასის გათვალისწინებით შეადგენს 5 ლარს, შესაბამისად, 200 კვ.მ ფართისათვის ყოველთვიური საკომპენსაციო თანხა შეადგენს 1 000 ლარს.

11. შპს „გ.+“ 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. ბათუმის მერიას უხდიდა საიჯარო თანხას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას, იმ საპროცესო-სამართლებრივ დარღვევებზე, რის შედეგადაც, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სადავო 200 კვ.მ არ შედის შპს „გ.+ან“ გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი იჯარისა და უზუფრუქტის ხელშეკრულებები. 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულია იჯარით გადაცემული ქონების საზღვრები, რომელიც ნავსადგურის ტერიტორიის ნაწილსაც მოიცავს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლი, კერძოდ, კასატორის მითითებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოე-

ბა, რომ გამქირავებელი არის ქ. ბათუმის მერია, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში იჯარით გასცემს თვითმმართველობის გამგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს, ხოლო უზუფრუქტის უფლების გამცემი არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში უზუფრუქტის უფლებით გასცემს სახელმწიფო ქონებას, თუ ქ. ბათუმის მერიამ 2 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახით იჯარით გასცა სადავო 200 კვ.მ ფართიც, გამოდის ამ 200 კვ.მ-ის ნაწილში იჯარის ხელშეკრულება დადო არაუფლებამოსილმა პირმა.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელეს (კასატორს) სადავოდ არ გაუხდია იჯარის ხელშეკრულების ნამდვილობა და სადავო 200 კვ.მ-ის ნაწილში მისი ბათილად ცნობა არ მოუთხოვია, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „გ.+“ მართლზომიერად ფლობს ამ ფართს და მისი მხრიდან საზღვრის დარღვევისათვის კომპენსაციის გადახდის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ შპს „გ.+“ საიჯარო ქირა მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს.

სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ბ. ს. ნ-ის“ უზუფრუქტით გადაცემული მიწის ნაკვეთის ნაწილს ფლობს; ამასთან, ორივე ამ ნაკვეთის მესაკუთრე სახელმწიფოა. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 200 კვ. მ-ის ნაწილში სწორედ შპს „ბ. ს. ნ-ა“ მეიჯარე და საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება „გ.+“ მის მიმართ გააჩნია.

სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ვალდებულია, საქმე საკასაციო საჩივრის ფარგლებში განიხილოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადან-

ყვეტილება კანონის დარღვევის გარეშეა მიღებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ბ. ს. ნ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ნარდობის ხელშეკრულება**

**გადანყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-888-834-2012

30 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** შესრულებული სამუშაოს საზღაურის გადახდა, ზიანის ანაზღაურება (სარჩელში), სამუშაოს შესრულები-სათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 8 დეკემბერს გ. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე თ. დ-ის მიმართ და მოითხოვა:

1. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადაუხდელი ნაწილის – 110629.45 ლარის ანაზღაურება;
2. საგადასახადო საურავის სახით მოსარჩელის სახელზე და-

რიცხული თანხის (11000 ლარის) ანაზღაურება;

3. ზიანის – 70000 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის მიხედვით, 2009 წლის 13 ოქტომბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება – ქ.ქუთაისში, წ-ის ქ. №5-ში მდებარე მოპასუხის კუთვნილი სახლის დაშლისა და მის ადგილას, დამტკიცებული პროექტის მიხედვით, ახალი 883 კვ.მ მოცულობის სახლის აგების შესახებ. მოგვიანებით, დასახელებული ნარდობის ხელშეკრულებით დამტკიცებული პროექტი შეიცვალა არსებითად სხვა სახის პროექტით, რომლის მიხედვითაც აშენდა ხელშეკრულებაში მითითებული სახლი. აღნიშნული სახლის მშენებლობა დასრულდა 2010 წლის 30 სექტემბერს და იგი ექსპლუატაციაში მიიღო სახელმწიფო კომისიამ. სახლის მშენებლობაზე მოსარჩელის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 278604.34 ლარი, საიდანაც მოპასუხემ გადაიხადა 167974.89 ლარი, ხოლო დარჩენილი 110629.45 ლარი, მოსარჩელის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ გადაუხდია. მოსარჩელის მოსაზრებით, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დროულად გადაუხდელობამ, ასევე იმ გარემოებამ, რომ მის ქონებას ედო ყადაღა, გამოიწვია ამ უკანასკნელის სანარმოს პარალიზება და მას მიადგა ზიანი 70000 ლარის ოდენობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, 2011 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, მოსარჩელეს დაერიცხა სახელმწიფო ბიუჯეტის ვადაგადაცილებული აღიარებული საგადასახადო დავალიანება 36244.11 ლარის ოდენობით. ხსენებულ დავალიანებას დაერიცხა საურავი. საგადასახადო დავალიანება გამოყვანილ იქნა მოპასუხის სახლის მშენებლობის ღირებულებიდან – 278604.34 ლარიდან, საიდანაც მოსარჩელემ რეალურად მიიღო მხოლოდ 167974.89 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და თავის შესაგებელში მიუთითა შემდეგზე:

მოსარჩელეს არ შეუსრულებია ნარდობის ხელშეკრულებითა და პროექტით გათვალისწინებული პირობა 883 კვ.მ ფართის აშენების თაობაზე. მოსარჩელემ ააშენა მხოლოდ 684 კვ.მ ფართი. ამასთან, მშენებლობა 2010 წლის 30 სექტემბერს არ დასრულებულა. მოსარჩელის მიერ სარჩელზე თანდართული 2010 წლის 30 სექტემბრის სამუშაოების შუალედური ანგარიშით უდავოდ დასტურდებოდა, რომ აღნიშნული დროისათვის სახლი არ იყო გადახურული, არ იყო შესრულებული წყალმომარაგების, კანალიზაციის, ქსელის მონტაჟის სამუშაოები. სახურავი გადაიხურა შპს „კ-ის“ მიერ, მოპასუხის ხარჯით, რის გარეშეც შენობა ექსპლუატაციაში ვერ იქნებოდა მიღებული. სახელმწიფო კო-

მისიამ სახლი ექსპლუატაციაში მიიღო სწორედ შპს „კ-ის“ მიერ სამუშაოების დასრულების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ ააშენა 684 კვ.მ ფართი, ნაცვლად 883 კვ.მ-ისა, მოპასუხეს მისთვის გადახდილი აქვს 883 კვ.მ ფართის აშენების ღირებულება იმ ოდენობით, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, კერძოდ, ერთ კვ.მ-ზე 105 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადახდის დროისათვის არსებული კურსით. ამდენად, მოპასუხეს მოსარჩელისათვის ზედმეტად აქვს გადახდილი 20895 აშშ დოლარი. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მან შეასრულა მის მიერ მითითებული ღირებულების სამუშაოები.

2012 წლის 5 იანვარს მოპასუხემ შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა:

1. მის მიერ ზედმეტად გადახდილი 20895 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხისათვის დაკისრება;

2. ნაკლის გამოსწორებისათვის გადახდილი თანხის – 23725 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

შეგებებული სარჩელის მიხედვით:

დამკვეთმა (შეგებებულმა მოსარჩელემ) მენარდეს (შეგებებული სარჩელის მოპასუხეს) გადაურიცხა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 92715 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, კერძოდ, 167974.89 ლარი. აღნიშნული თანხა დამკვეთს უნდა გადაეხადა ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფართის – 883 კვ.მ-ის აშენების სანაცვლოდ. მენარდემ ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, 883 კვ.მ ნაცვლად, ააშენა 754 კვ.მ, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 129 კვ.მ-ით ნაკლები. მითითებული ფართის ღირებულება – 13545 აშშ დოლარი, როგორც ზედმეტად გადახდილი, უკან უნდა დაუბრუნდეს დამკვეთს;

მენარდის მიერ სარდაფის სამუშაოების უხარისხოდ შესრულების გამო, სარდაფში წყლის გაჟონვის აღმოსაფხვრელად, დამკვეთმა გასწია 9886.5 ლარის ღირებულების სამუშაო;

მენარდის მიერ უხარისხოდ შესრულებული გადახურვის სამუშაოების გამო, დამკვეთმა ხარვეზის გამოსასწორებლად გასწია 1015 ლარის ხარჯი;

მენარდის მიერ უხარისხოდ შესრულებული სხვა სამუშაოების გამოსასწორებლად დამკვეთმა გასწია 5110.43 ლარის ხარჯი;

მხარეთა შორის 2010 წლის 5 ნოემბერს დადებულ შეთანხმებაში, მითითებული ხარვეზების გამოსწორება, სკ-ის 642-ე



მუხლის შესაბამისად, ევალეზობდა მენარდეს. ამ უკანსკნელის მიერ ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, დამკვეთმა თავად გამოასწორა ნაკლი საკუთარი ხარჯით, რომლის მოთხოვნის უფლებაც მას გააჩნია ხელშეკრულების 3.5 პუნქტის, სკ-ის 643-ე და 649-ე მუხლების მიხედვით;

მენარდეს შენობის სამივე სართულის გარე პერიმეტრის კედლების მოწყობა ევალეზობდა მცირე ზომის სამშენებლო ბლოკით, სისქით 40 სმ. ფაქტიურად 1-ლი და მე-2 სართულების გარდა, კედლები მოწყობილია 20 სმ სისქის ბლოკით. მასალეზობის, აშენებისა და სხვა დანახარჯების გათვალისწინებით, შეუსრულებელია 12363 ლარის სამუშაოები;

საჯარო რეესტრში დამკვეთის სახელზე რეგისტრირებული 827 კვ.მ-იდან 143 კვ.მ ანტრესოლის სამუშაოები შეასრულა შპს „კ-მა“ 5000 აშშ დოლარად, დამკვეთის ხარჯით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით:

1. გ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;
2. თ. დ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

გ. კ-ემ (მოსარჩელემ) სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თ. დ-მა (შეგებებული სარჩელის ავტორმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით:

1. გ. კ-სა და თ. დ-ის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება;
3. გ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
4. თ. დ-ს გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 110629.45 ლარის გადახდა;
5. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თ. დ-ის შეგებებული სარჩელი;
6. გ. კ-ეს თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 11362.20 ლარის

გადახდა;

7. თ. დ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 3970.69 ლარის ანაზღაურება;

8. გ. კ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 1029.31 ლარის გადახდა;

9. თ. დ-ს გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 3000 ლარის გადახდა;

10. თ. დ-ს გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 13 ოქტომბერს თ. დ-სა და გ. კ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, გ. კ-ეს უნდა დაეშალა არსებული სახლი და აეშენებინა 883კვ.მ ნაგებობა, თ. დ-ს კი უნდა გადაეხადა საზღაური – 1კვ.მ-ში 105 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, მთლიანობაში – 92715 აშშ დოლარი;

ხელშეკრულების თანახმად, გ. კ-ეს ნაგებობა უნდა აეშენებინა „დამტკიცებული პროექტის მიხედვით“ (საპროექტო ორგანიზაცია შპს „ა+“), მაგრამ მშენებლობის პროცესში აღმოჩნდა, რომ პროექტით გათვალისწინებული მშენებლობა არღვევდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს. ამის გამო, 2010 წელს შემუშავდა ახალი პროექტი, რომლითაც შეიცვალა ასაშენებელი ნაგებობის ფორმა და ზომები;

გ. კ-ემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 13 ოქტომბრის დასკვნის მიხედვით, შეადგინა 278604.34 ლარი, თ. დ-მა კი გ. კ-ეს გადაუხადა 167974.89 ლარი, ანუ შესრულებული სამუშაოს ღირებულებაზე 110629.45 ლარით ნაკლები;

აშენებულ ნაგებობას ჰქონდა ნაკლი, კერძოდ, გარე პერიმეტრზე არ იყო ჩასმული კარ-ფანჯარა, სარდაფში ჩადიოდა წყალი, ნაგებობა გადახურული იყო უხარისხოდ და სხვა. ამიტომ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ნაკლს გამოასწორობდა თ. დ-ი გ. კ-ის ხარჯით. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ ჩასასმელი კარ-ფანჯრების ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 15000 ლარზე მეტი;

შპს „ა+“-ს მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 92715 აშშ დოლარს. აქედან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ პროექტის შეცვლის შედეგად, შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება გაიზარდა.

თ. დ-მა კი გ. კ-ეს გადაუხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაზე 110629.45 ლარით ნაკლები თანხა (278604.34-167974.89=110629.45-ს);

ხელშეკრულების მიხედვით, აშენებული ნაგებობის საერთო ფართი უნდა ყოფილიყო 883კვ.მ. საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის თანახმად კი, დასრულებული ნაგებობის საერთო ფართმა შეადგინა 948.83კვ.მ. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, რა ფართის ნაგებობაც არ უნდა აეშენებინა გ. კ-ეს, უდავო იყო, რომ მან მშენებლობა აწარმოა შეცვლილი პროექტის საფუძველზე. ამ პროექტის მიხედვით, კი სამუშაოების ღირებულება, პირვანდელ ღირებულებასთან შედარებით, 100000 ლარზე მეტით, ანუ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, როცა გადახარჯვების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არა თავდაპირველად შეთანხმებული საზღაურის, არამედ განეული ხარჯების მიხედვით. იმას, რომ მშენებლობის პროცესში, შემკვეთი იძულებული გახდებოდა შეეცვალა პროექტი და ეს სამუშაოს ღირებულებას მნიშვნელოვნად გაზრდიდა, მხარეები წინასწარ, ცხადია, ვერ გაითვალისწინებდნენ. ამიტომ, გ. კ-ე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა სხვაობა შეთანხმებულ საზღაურსა და შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შორის. ზემოხსენებული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შემკვეთი მხოლოდ მაშინ არის ვალდებული, გადაიხადოს გაზრდილი საზღაური, თუ მენარდე მას შეატყობინებს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის, რომ პროექტის ცვლილება ხარჯთაღრიცხვასაც ცვლის, სავსებით ბუნებრივია. ასაშენებელი ნაგებობის პროექტის შეცვლით იცვლება ხელშეკრულების არსებითი პირობები, მისი ობიექტი. მნიშვნელოვანია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, პროექტის ცვლილების შედეგად შეიცვალა არამარტო ასაშენებელი ნაგებობის ზომა და ფორმა, არამედ მასალაც – გამოყენებული არმატურის სახეობა, მოენყო დამატებითი რიგელები და ა.შ. ამდენად, ხარჯთაღრიცხვის შეცვლის თაობაზე შემკვეთი – თ. დ-ი იმთავითვე ინფორმირებული იყო. ყოველ შემთხვევაში, ამ დაშვების საწინააღმდეგო მტკიცებულებები მას არ წარმოუდგენია. აღნიშნულის გამო, თ. დ-ი ვალდებული იყო, გ. კ-ის გადაეხადა სხვაობა შეთანხმებულ საზღაურსა და შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შორის, რაც 110629.45 ლარს შეადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გ. კ-ის მოთხოვნაზე, საგადასახადო ვალდებულების გამო, მის ქონებაზე ყადაღის დადებით მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: უპირველეს ყოვლისა, არ დგინდებოდა, რომ ზემოსენებული დავალიანება გ. კ-ეს წარმოეშვა თ. დ-ან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, არ დგინდებოდა, რომ ეს ზიანი წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, თ. დ-ის ვერანაირად იქნებოდა სავარაუდო, რომ შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრულად აღსაზღაურებლობის შემთხვევაში გ. კ-ე არ გადაიხდიდა გადასახადებს, ამის გამო, მის ქონებას დაედებოდა ყადაღა და იგი ვერ მიიღებდა შემოსავალს. შესაბამისად, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის, ასევე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში გ. კ-ის მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო.

შეგებებული სარჩელი თ. დ-ი ითხოვდა გ. კ-ის შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამოსწორებისათვის საჭირო თანხის ანაზღაურების დაკისრებას. სასამართლომ მიუთითა ქუთაისის რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტიზის ბიუროს 2011 წლის 26 აგვისტოს დასკვნასა და მხარეთა შეთანხმებაზე, რომლითაც დგინდებოდა, რომ გ. კ-ის მიერ აშენებულ ნაგებობას ჰქონდა ნაკლი. კერძოდ, სარდაფში ჩაედინებოდა წყალი, მოუნესრიგებელი იყო სახლის გადახურვა, გარე პერიმეტრზე არ იყო ჩასმული კარ-ფანჯრები და ა.შ. ამათგან, განსახილველ შემთხვევაში, თ. დ-ი ითხოვდა მონინალმდეგე მხარისათვის, მხოლოდ, ზემოჩამოთვლილი სამუშაოების ღირებულებისა და ე.წ. ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების დაკისრებას.

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 639-ე მუხლისა და 641-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მიიჩნია, რომ გ. კ-ემ თ. დ-ს წარუდგინა ნივთობრივად ნაკლიანი შენობა და მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ნაკლს თ. დ-ი გამოასწორებდა გ. კ-ის ხარჯით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გ. კ-ის პოზიცია, რომ იგი არ იყო ვალდებული, გაეღო სარდაფში წყლის ჟონვის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯი. გარდა იმისა, რომ ეს იყო ნაგებობის ნივთობრივი ნაკლი და სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ ნაკლის აღმოფხვრა მას ევალებოდა, მხარეთა შეთანხმებითაც გ. კ-ეს თ. დ-ის უნდა გადაეცა თანხა „სარდაფში წყლის ჟონვის აღმოფხვრისათვის დ-ის მიერ გადახდილი თანხის დამატებით“. იგივე შეეხებოდა ნაგებობის სათანადო გადახურვისათვის სა-

ჭიროს ხარჯსაც. სავაჭრო-სამრეწველო პალატის დასკვნიდან დგინდებოდა, რომ ეს ხარჯი გაიღო თ. დ-მა. სამოქალაქო კოდექსის 643-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, გ. კ-ეს, არათანაზომიერი ხარჯების გამო, დამატებით შესრულებაზე უარი არ უთქვამს. ამიტომ, მას თ. დ-ის უნდა აენაზღაურებინა სარდაფისა და სახურავის შეკეთებისათვის განეული ხარჯი 11362.2 ლარი ( $9886.5+1475.7=11362.2$ -ს).

სააპელაციო სასამართლომ შეაფასა თ. დ-ის მოთხოვნა გ. კ-ის კედლების არასათანადო სისქის გამო ზედმეტად გადახდილი 12363 ლარის დაბრუნებისა და კარ-ფანჯრის ჩასასმელად დამატებით განეული ხარჯის გადახდის დაკისრების შესახებ. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნიდან დგინდებოდა, რომ თავდაპირველი პროექტის მიხედვით, შენობის სარდაფის კედლის სისქე უნდა ყოფილიყო 40სმ. შემდგომი პროექტით კედლის სისქის მნიშვნელობა შემცირდა 20სმ-მდე და, რეალურადაც, კედლის სისქემ შეადგინა 20სმ. მართალია, ამ ნაწილში, დასკვნა გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო, თუმცა მხარეებმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურეს ზემოხსენებული ფაქტები.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ თვალსაზრისით, ნაგებობა შეესაბამებოდა საპროექტო მონაცემებს, ნაკლის მქონე არ იყო და მისი აღმოფხვრის საფუძვლებიც არ არსებობდა, რასაც ადასტურებდა საპროექტო დოკუმენტაციაზე თანდართული განმარტებითი ბარათები, სამუშაოთა შუალედური ანგარიში და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 24 მაისის ბრძანება თანდართული ოქმით, სადაც პროექტიდან ზემოხსენებული გადახვევის თაობაზე არაფერი იყო ნათქვამი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აშენებული ნაგებობის კედლების სისქე შეთანხმებულზე 2-ჯერ ნაკლები რომ ყოფილიყო, ეს ზემოხსენებულ საბუთებში უთუოდ აისახებოდა. ასეც რომ არ ყოფილიყო, საქმეში წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტების თანახმად, თ. დ-მა გ. კ-ის მიერ შესრულებული სამუშაო მიიღო და კედლების სისქეზე პრეტენზია არ განუცხადებია. აღსანიშნავი იყო, რომ ფარული სამუშაოების აქტები შეიცავდა მითითებას მშენებლობის დროს გამოყენებული მასალის შესახებ. ე.ი. თ. დ-მა იმთავითვე იცოდა, რა სისქის სამშენებლო ბლოკებისაგან აშენებდა გ. კ-ე ნაგებობას. სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ზემოხსენებული ნაკლის არსებობა დადასტურებულადაც რომ ჩათვლილიყო, თ. დ-ს ამ ნაკლის გამო მოთხოვნა მაინც არ წარმოემოზოდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თ. დ-ს გ. კ-ის გაწეული მომსახურების ღირებულება სრულად არ გადაუხდია. აქედან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ მას მოწინააღმდეგე მხარისათვის თანხა ზედმეტად არ გადაუხდია. შესაბამისად, გ. კ-ის 12363 ლარის ანაზღაურების დაკისრების საფუძველები არ არსებობდა.

მხარეთა შეთანხმებით დგინდებოდა, რომ გ. კ-ემ აიღო გარე პერიმეტრზე ხის კარ-ფანჯრის ჩარჩოების დამზადების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება. შეთანხმების 1-ლი პუნქტის მიხედვით, ეს ღირებულება განისაზღვრა 15000 ლარით. შეთანხმებაში მითითებულია: „ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებულ სამუშაოებზე თანხის გადახდა მოხდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გარდა 1 პუნქტისა“. აღნიშნული სააპელაციო სასამართლომ იმგვარად განმარტა, რომ მხარეებმა ფიქსირებულად განსაზღვრეს კარ-ფანჯრის ღირებულება და ამ წინადადების სხვაგვარად განმარტება არაგონივრული იყო. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რადგან, მხარეთა შეთანხმებით, გ. კ-ეს თ. დ-ის კარ-ფანჯრის ჩარჩოების დასამზადებლად უნდა გადაეხადა მხოლოდ 15000 ლარი, მოთხოვნა ამ ვალდებულებიდან გამომდინარე სხვა თანხის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. დ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორი ასაჩივრებს ხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1-ელ, მე-4, მე-5, მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტებს და მოითხოვს საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდება გ. კ-ის სარჩელი, ხოლო მისი შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდება.

საკასაციო საჩივრის საფუძველები:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.1 და 4.3 პუნქტები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, კერძოდ, თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ დამკვეთს ხელშეკრულების საფუძველზე მენარდისათვის უნდა გადაეხადა 105 აშშ დოლარი 1კვ.მ-ში, ხოლო, მე-ნარდეს უნდა აეშენებინა 883 კვ.მ ფართი, მაშინ გაუგებარია, რატომ დააკისრა სასამართლომ დამკვეთს 110629.45 ლარი. აღნიშნულით სასამართლომ ფაქტობრივად შეცვალა მხარეთა შორის არსებული ნარდობის ხელშეკრულების არსებითი პირობები, მშენებლობის მოცულობა და მხარეთა მიერ შეთანხმებული ფასი. უფრო მეტიც, სასამართლომ ისე დააკისრა დამკვეთს დამატებითი თანხის გადახდა, რომ საერთოდ არ უმსჯელია ხელშეკრულების არსებით პირობაზე (1კვ.მ-ს ღირებულებაზე), სასამართლომ არ დაუდგენია, თუ რამდენად შეცვალა პროექტის

ცვლილებამ 1 კვ.მ-ის ღირებულება. სასამართლოს არ ჰქონდა უფლება თავისი ინიციატივით შეეცვალა ხელშეკრულების არსებითი პირობები, კერძოდ, ასაშენებელი ფართის მოცულობა და ფასი. თუ სასამართლო ამას მაინც გააკეთებდა, მაშინ მას უნდა ემსჯელა, თუ რამდენად გაუმჯობესდა 1 კვ.მ-ის ღირებულება და პროპორციულად განესაზღვრა მომატებული ფასი, ასევე უნდა დაედგინა, იცოდა თუ არა ფასის ცვლილების თაობაზე დამკვეთმა;

2. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდემ ნაკლის მქონე ნივთი გადასცა დამკვეთს, მიუხედავად ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ მენარდემ ვალდებულება შეასრულა, ხოლო, დამკვეთმა მას სრულად არ აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება. გადაწყვეტილების 4.3 და 4.4 პუნქტები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ვინაიდან შეუძლებელია მენარდის მხრიდან ერთდროულად ვალდებულების ჯეროვანი შესრულებაც და ნაკლის მქონე ნივთის გადაცემაც.

საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მენარდემ დაასრულა სამშენებლო სამუშაოები. საქმეში არ მოიპოვება ფორმა №2, რომლითაც დადასტურდებოდა მშენებლობის ჩაბარება (დასრულება), ანუ დამკვეთსა და მენარდეს შორის მიღება-ჩაბარების აქტი სამუშაოს შესრულების მიღების თაობაზე არ გაფორმებულა. ის გარემოება, რომ 2011 წლის 13 ოქტომბერს (ექსპერტიზის ჩატარების დროს) სახლი ექსპლუატაციაში იყო მიღებული, არ ნიშნავს იმას, რომ მენარდემ სახლის მშენებლობა დაასრულა.

სააპელაციო სასამართლოს, მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასებით, უნდა გამოერკვია, გ. კ-ემ ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა თუ არა. იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გ. კ-ემ თ. დ-ს გადასცა ნაკლის მქონე ნივთი – გამოყენებისათვის უვარგისი საცხოვრებელი სახლი, ვალდებულების ჯეროვან შესრულებასა და დამატებითი თანხის ანაზღაურებაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული;

3. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ კორექტირებული პროექტი I სართულზე თ. დ-ის სახლის ნაწილში ითვალისწინებდა ანტრესოლის სართულის მოწყობას, რომლის ფართიც საქმეში არსებული გარე აზომვითი ნახაზით 152 კვ.მ-ია, ხოლო შიდა აზომვითი ნახაზით – 143 კვ.მ. აღნიშნული სამუშაოები აწარმოა შპს „კ-მა“, რაზეც თ. დ-მა გასწია დამატებითი ხარჯი. აღნიშნულს ადასტურებს თ. დ-სა და შპს „კ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულება, ანტრესოლის აშენე-

ბის ღირებულებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის შპს-თვის გადარიცხვის დოკუმენტები;

4. არასწორია სასამართლოს მოსაზრება, რომ შემსრულებელს – გ. კ-ის მუშაობა მოუწია შეცვლილი კორექტირებული პროექტის შესაბამისად. მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2010 წლის ივნისის ბოლოს, მენარდემ მშენებლობა არ დაასრულა, ამიტომ, 2010 წლის 5 ნოემბერს, გაფორმდა შეთანხმების აქტი, რომლითაც მენარდემ აღიარა, რომ მან ნაკლის მქონე (დაუსრულებელი) ნივთი გადასცა დამკვეთს. პროექტში ცვლილება შევიდა 2010 წლის 9 ნოემბერს, რის შემდეგაც მენარდეს სამუშაოები აღარ შეუსრულებია.

5. სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა ექსპერტიზის დასკვნაში ასახული გარემოებები. აღნიშნული დასკვნით შეუძლებელია თ. დ-ის კუთვნილი უძრავი ქონების ღირებულების, ასევე, გ. კ-ის მიერ თ. დ-ის საკუთრებაში არსებულ ფართზე დახარჯული თანხების ოდენობის დადგენა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნა საფუძვლიანია და თ. დ-ს არ წარმოუდგენია ექსპერტიზის დასკვნის სანინააღმდეგო, გამაბათილებელი მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4-ე, 105-ე და 172-ე მუხლები. აღნიშნული შეფასებით თ. დ-ს არ მიეცა შესაძლებლობა, ემტკიცებინა ექსპერტიზის შეუსაბამობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. თავად ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ ექსპერტიზის ჩატარების დროს წარმოდგენილი არ ყოფილა საბუღალტრო დოკუმენტაცია, ანგარიშფაქტურები, ზედნადებები. საქმეზე დართული არ არის ინდივიდუალურ მენარმე გ. კ-ის დამკვეთისათვის წარმოდგენილი ფაქტობრივად შესრულებელი სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტი. წარდგენილი ვერ იქნა ზედნადები, ხარჯების დარიცხული, გეგმიური დაგროვების და შესრულებული სამუშაოს თვითღირებულების გაანგარიშების დამადასტურებელი საბუღალტრო დოკუმენტები, რომლის შესაბამისადაც დადგინდებოდა, თუ რა თანხები დაიხარჯა გ. კ-ის მიერ კონკრეტულად თ. დ-ის მშენებლობაზე. გ. კ-ე გახლავთ მშენებელი და ამენებდა არა მხოლოდ თ. დ-ის ფართს, არამედ მთლიან სახლს, სადაც დამკვეთის მეზობლები ცხოვრობენ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მთლიანი მშენებლობის ღირებულება საპროექტო მასალების შესაბამისად შეადგენს 700000 ლარს. ექსპერტიზის დასკვნით გაურკვეველია, თუ რა გაუმჯობესება მოხდა და გაუმჯობესება ეხება თუ არა დამკვეთის ფართს. მთელი სახლის მშენებლობას მენარდესთან ერთად



ანარმოებდა შპს „კ-იცი“;

6. აშენებული ფართი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ ოდენობას – 883 კვ.მ-ს, შიდა აზომებით ნახაზით ფართი შეადგენს 827 კვ.მ-ს, რომელშიც შედის 143 კვ.მ ანტრესოლი, რომელიც ააშენა შპს „კ-მა“ დამკვეთის ხარჯით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემონგების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი და საქმის მასალებით დასტურდება დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 13 ოქტომბერს თ. დ-სა (შემკვეთს) და გ. კ-ეს (მენარდეს) შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მენარდეს შემკვეთისათვის უნდა აეშენებინა 883 მ<sup>2</sup> საცხოვრებელი სახლი (სარდაფი – 235მ<sup>2</sup>, 1-ლი სართული – 215მ<sup>2</sup>, მე-2 სართული – 218მ<sup>2</sup>, მე-3 სართული – 215მ<sup>2</sup>), ხოლო, შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 105 აშშ დოლარი 1მ<sup>2</sup> ე.წ. კარკასის აგებისათვის, სულ – 92715 აშშ დოლარი;

ხელშეკრულების მიხედვით, მენარდეს სახლი უნდა ჩაეხარებინა შემდეგი სახით: რკინა-ბეტონის კარკასით, ამოშენებული კედლებით, გარე კარ-ფანჯრებით, წყლისა და კანალიზაციის მილის მიყვანით, მრიცხველამდე ელექტრო-გაყვანილობის მოწყობით. სახლის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 თვეში;

მხარეთა შეთანხმებით, მენარდეს სახლი უნდა აეშენებინა საპროექტო ორგანიზაცია შპს „ა+-ის“ მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით, მაგრამ მშენებლობის პროცესში აღმოჩნდა, რომ თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული მშენებლობა არღვევდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, ამიტომ მასში ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო. ახალი პროექტის მიხედვით, შეიცვალა შენობის გარე კონტურის ფორმა და ზომები, ასევე დამატა 1-ლი სართულის სივრცეში ანტრესოლის მოწყობა;

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-

ტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 13 ოქტომბრის საინჟინრო-ტექნიკური და საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 285578.91 ლარს. რეალურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 278604.3 ლარი. ამ ღირებულებასა და შემკვეთის მიერ მენარდისათვის გადახდილ თანხას (167974.89 ლარს) შორის სხვაობა შეადგენს 110629.45 ლარს;

ხელშეკრულების მიხედვით, აშენებული სახლის საერთო ფართი უნდა ყოფილიყო 883მ<sup>2</sup>. საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის თანახმად, დასრულებული ნაგებობის საერთო ფართობი შეადგინა 948.83მ<sup>2</sup>;

მენარდის მიერ აშენებულ სახლს ჰქონდა ნაკლი, კერძოდ, გარე პერიმეტრზე არ იყო ჩასმული კარ-ფანჯარა, სარდაფში ჩადიოდა წყალი, ნაგებობა გადახურული იყო უხარისხოდ და სხვა, ამიტომ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ნაკლს გამოასწორებდა შემკვეთი მენარდის ხარჯით.

სარჩელის მიხედვით, მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა. მის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 278604.34 ლარი. შემკვეთმა მას გადაუხადა 167974.89 ლარი, შესაბამისად, გადასახდელი დარჩა 110629.45 ლარი.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მენარდე სარჩელით მოითხოვს არა ხელშეკრულებით განსაზღვრული მყარი ანაზღაურების – 1მ<sup>2</sup>-ში 105 აშშ დოლარის – გადახდას (ეს თანხა მას მიღებული აქვს), არამედ იმ თანხის ანაზღაურებას, რომელიც შეადგენს სხვაობას მის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებასა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მყარ ანაზღაურებას შორის (278604.34-167974.89=110629.45), ანუ იგი მოითხოვს გადახარჯვის ანაზღაურებას.

მოცემული სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: შეუძლია თუ არა მენარდეს გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნა და თუ შეუძლია, რა შემთხვევაში?

საერთო წესის მიხედვით, მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური. ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვე-

ვებისა, როცა გადახარჯვების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მითითებული ნორმის მიხედვით, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა. მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით; ბ. მენარდემ მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბა; გ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას; დ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ მენარდემ დაუყოვნებლივ შეატყობინა შემკვეთს.

სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, რომ ყველა ზემოაღნიშნული პირობა ერთდროულად არსებობდეს. ამასთან, უპირველესად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ვინაიდან ზემოხსენებული ნორმა განსაზღვრავს სწორედ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. საერთოდ, ხარჯთაღრიცხვა არის სპეციალური დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის რთული სამუშაოების შესრულებისას. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის) და მიახლოებითი (რომელიც სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს). თუ ხარჯთაღრიცხვა მიახლოებითია და მენარდე მას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, აღნიშნულის თაობაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემკვეთს. ასეთი ვალდებულების მენარდისათვის დაკისრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ და გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს ფასებს შორის სხვა-

ობის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც შემკვეთი მენარდისაგან მიიღებს შეტყობინებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შესახებ, მას შეუძლია, მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, თუ იგი თანახმაა, გადაიხადოს გაზრდილი ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი არ მოისურვებს გაზრდილი ანაზღაურების გადახდას, მას შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო. მითითებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ზემოთ აღინიშნა, რომ ხარჯთაღრიცხვა შეიძლება, ასევე იყოს მყარი, როდესაც ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის. მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაურთულდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მას არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულება და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე – მისი შემცირებით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელ-

შეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ნარდობის ხელშეკრულებით მხარეებმა ზუსტად განსაზღვრეს საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთს უნდა გადაეხადა მენარდისათვის შესრულებულ სამუშაოში, კერძოდ, შენობის 1მ<sup>2</sup>-ში – 105 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მენარდეს შეეძლო, ესარგებლა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და მოეთხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ასეთი უფლებით მას არ უსარგებლია. ამასთან, რომც მივიჩნიოთ, რომ ზემოხსენებული ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა, მენარდის მოთხოვნა გადახარჯვის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი არსებითი წინაპირობა, კერძოდ, მოსარჩელე (მენარდე) ვალდებული იყო, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა შემკვეთისათვის. მოსარჩელეს არც სარჩელში მიუთითებია და არც შემდეგში წარმოდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებას დაადასტურებდა. უფრო მეტიც, ეს გარემოება არც სააპელაციო სასამართლოს დაუდგენია. სასამართლომ მიიჩნია, რომ შემკვეთს უნდა ცოდნოდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ, ვინაიდან მშენებლობის თავდაპირველი პროექტი სწორედ მისი მოთხოვნით შესწორდა. საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მშენებლობის პროექტის კორექტირება ყოველთვის არ იწვევს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდას. თეორიულად პროექტის კორექტირებამ შეიძლება გამოიწვიოს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის, როგორც გაზრდა, ასევე, შემცირება, ისევე, როგორც შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვა არც შეიცვალოს. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შენობის კარკასის 1მ<sup>2</sup>-ის აშენებაში შემკვეთს მენარდისათვის უნდა

გადაეხადა 105 აშშ დოლარი, შესაბამისად, მენარდეს, უპირველესად, ის უნდა დაედასტურებინა, რომ სწორედ პროექტის კორექტირებამ გააძვირა 1მ<sup>2</sup>-ის აშენების ღირებულება და შემკვეთი თანახმა იყო სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ასეთი მტკიცებულება მენარდეს არ წარმოუდგენია. მართალია, იგი უთითებს ფარული სამუშაოების აქტებზე, მაგრამ ამ აქტებით მხოლოდ ის დასტურდება, რომ შემკვეთი პერიოდულად იღებდა შესრულებულ სამუშაოებს საპროექტო დოკუმენტაციის (მათ შორის, კორექტირებული პროექტის) მიხედვით, ხოლო, კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 1მ<sup>2</sup>-ის აშენების ღირებულების გაზრდაზე ახდენდა თუ არა გავლენას, ხსენებული აქტებით არ დასტურდება. აქედან გამომდინარე, არც ის დასტურდება, რომ შემკვეთმა იცოდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. ამასთან, შემკვეთს რომც ევარაუდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის თაობაზე, მნიშვნელოვანია, ასევე, ისიც, თანახმა იყო თუ არა იგი სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. გადახარჯვის ანაზღაურება შედის მენარდის და არა შემკვეთის ინტერესებში, ამიტომ კანონი სწორედ მენარდეს ავალდებულებს, დაუყოვნებლივ აცნობოს შემკვეთს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. ამ მოქმედებით მენარდე შემკვეთს ატყობინებს, რომ მას სურს, მიიღოს გადახარჯვის ანაზღაურება, თუ გადახარჯვის მიუხედავად, შემკვეთი მაინც მოისურვებს სამუშაოების დასრულებას. ზემოთ აღინიშნა, რომ მენარდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს გადახარჯვის ანაზღაურებას, თუ აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ შემკვეთი მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას გაზრდილი ხარჯთაღრიცხვით, ანუ იგი თანახმა იქნება გადახარჯვის ანაზღაურებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, რადროსაც იგი ვალდებული იქნება, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მხოლოდ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, დასაბუთებულია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს (მოსარჩელეს) შესრულებული სამუშაო უნდა აუნაზღაურდეს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით, ვინაიდან მხარეები გადახარჯვის ანაზღაურებაზე არ შეთანხმებულან, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადანყევტილება დაუსაბუთებელია და გაუქმებას ექვემდებარება მენარდის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში (სსკ-ის 393-ე მუხლი). ამასთან, ვინაიდან საჭირო

არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-ის (მენარდის) სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

კასატორი საკასაციო საჩივრით მოითხოვს, ასევე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შეგებებული სარჩელი მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ 2009 წლის 13 ოქტომბრის ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე ვალდებული იყო, აეშენებინა და შემკვეთისათვის გადაეცა 883მ<sup>2</sup> საცხოვრებელი სახლი. შემკვეთმა მენარდეს სრულად გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი, კერძოდ, 1მ<sup>2</sup>-ში – 105 აშშ დოლარის, სულ – 92715 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. მენარდემ, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართისა, ააშენა მხოლოდ 754მ<sup>2</sup> ფართი, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 129მ<sup>2</sup>-ით ნაკლები, შესაბამისად, შემკვეთის მიერ ზედმეტად გადახდილი ფასი, კერძოდ, 13545 (129X105) აშშ დოლარი მენარდეს უნდა დაებრუნებინა შემკვეთისათვის.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, მენარდემ ააშენა 948.83მ<sup>2</sup> ფართი, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი, შესაბამისად, ვინაიდან შემკვეთს გადახდილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი 883მ<sup>2</sup>-ისათვის, მენარდეს ზედმეტი თანხა არ მიუღია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოების მიმართ კასატორს წარმოდგენილი აქვს დასაბუთებული პრეტენზია, კერძოდ, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ, კორექტირებული პროექტის მიხედვით, შენობის პირველ სართულში უნდა გაკეთებულიყო ანტრესოლი. შემკვეთმა ანტრესოლი მოაწყო თავისი ხარჯით, რაც დასტურდება შემკვეთსა და შპს „კ-ს“ (მენარდეს) შორის დადებული ხელშეკრულებით, ასევე შპს „კ-ის“ თანხის გადარიცხვის დოკუმენტებით. კასატორის მოსაზრებით, აზომვით ნახაზში მითითებულ ფართში შედის მისი ხარჯით მოწყობილი ანტრესოლის ფართი – 152მ<sup>2</sup>. ამ ფართის გამოკლებით კი, მენარდემ, 883მ<sup>2</sup>-ის ნაცვლად, ააშენა 129მ<sup>2</sup>-ით ნაკლები.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ ეთანხმება ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ

გარემოებას, რომ შეგებებულ სარჩელში და საკასაციო საჩივარში მითითებული ფაქტი კასატორის მიერ საკუთარი ხარჯით 152მ<sup>2</sup> ანტრესოლის მოწყობასთან დაკავშირებით, მოწინააღმდეგე მხარეს (მენარდეს) საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, ეს ფაქტი უდავოა. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ხსენებული ფაქტობრივი გარემოება დასტურდება შემკვეთის მიერ მითითებული და წარმოდგენილი მტკიცებულებებით – შპს „კ-ან“ გაფორმებული წარდობის ხელშეკრულებითა და თანხის გადარიცხვის ქვითრებით. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნოს ზემოხსენებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მენარდემ ფაქტობრივად ააგო 129მ<sup>2</sup>-ით ნაკლები ფართი. სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული აზომვითი ნახაზის მიხედვით, მთლიანად აშენებული ფართი შეადგენს 948.83მ<sup>2</sup>-ს, კერძოდ, სარდაფის ფართია – 179.80მ<sup>2</sup>, პირველი სართულის – 188.52მ<sup>2</sup>, ანტრესოლის – 152.11მ<sup>2</sup>, მე-2 სართულის – 214.20მ<sup>2</sup>, მე-3 სართულის – 214.20მ<sup>2</sup>. აღნიშნული აზომვითი ნახაზის მიმართ კასატორს რაიმე პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ანტრესოლი გააკეთა შემკვეთმა (შეგებებულმა მოსარჩელემ) და არა მენარდემ (შეგებებულ სარჩელზე მოპასუხემ), ხოლო მთლიანი ფართი შეადგენს 948.83მ<sup>2</sup>-ს, ამ ფართს უნდა გამოაკლდეს ანტრესოლის ფართი – 152.11მ<sup>2</sup>, რითაც მივიღებთ მენარდის მიერ ფაქტობრივად აშენებული ფართის ოდენობას. აღნიშნული გაანგარიშებით მიღებული ფართი არის 796.72მ<sup>2</sup> (948.83-152.11=796.72), ხოლო დანაკლისი შეადგენს 86.28მ<sup>2</sup>-ს (883-796.72=86.28). 2012 წლის 20 ნოემბერს კასატორმა წარმოადგინა დამატებითი მოსაზრებები, სადაც დააზუსტა დანაკლისი ფართისა და დასაბრუნებელი თანხის ოდენობა, კერძოდ, კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ 948.83მ<sup>2</sup> ფართში შედის 143მ<sup>2</sup> ანტრესოლი, გ. კ-ემ (მენარდემ) ააშენა 805,83მ<sup>2</sup> (948.83-143), რაც 77.17მ<sup>2</sup>-ით (883-805.83) ნაკლებია ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებაზე, შესაბამისად, ზედმეტად გადახდილია 8102.85 (77.17X105) აშშ დოლარი.

სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მიხედვით, წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მენარდეს შემ-



კვეთისაგან მიღებული აქვს 883მ<sup>2</sup>-ის საფასური სრულად, ხოლო მენარდის მიერ აშენებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 77.17მ<sup>2</sup>-ით ნაკლები ფართი.

სამოქალაქო კოდექსის 639-ე მუხლის მიხედვით, თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ამავე კოდექსის 641-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მენარდემ შემკვეთს წარუდგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 77.17მ<sup>2</sup>-ით ნაკლები ფართი, იკვეთება შემკვეთისათვის ნივთობრივი ნაკლის მქონე – უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობის გადაცემის ფაქტი.

სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლის მიხედვით, ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთს შეუძლია, 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მოცემულ შემთხვევაში, ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთი გავიდა ხელშეკრულებიდან, რაც სადავო არაა, შესაბამისად, შემკვეთი უფლებამოსლია, მენარდეს მოთხოვოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთი ხარჯები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს (მაგ. მასალის ღირებულება, საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის ხარჯები და სხვა). განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ხარჯად უნდა მივიჩნიოთ შემკვეთის მიერ მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხა, ანუ ის თანხა, რაც შემკვეთმა წინასწარ გადაიხადა 77.17მ<sup>2</sup> ფართის აშენებისათვის და რომელიც მენარდეს არ შეუსრულებია. ეს ხარჯი შეადგენს 8102.85 (77.17X105) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია და გაუქმებას ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს გადანიშნული იმ ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შემკვეთის შეგებებული სარჩელი მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე (სსკ-ის 393-ე მუხლი). ამასთან, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შეგებებული სარჩე-

ლი დაკმაყოფილდება და გ. კ-ეს თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრება 8102.85 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

კასატორი საკასაციო საჩივრით მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილშიც, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შეგებებული სარჩელი მის მიერ შენობის ნაკლის გამოსწორებისათვის განეული ხარჯის სრულად ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში კასატორის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან შემკვეთის მიერ შენობის ნაკლის გამოსწორებისათვის განეული ხარჯის ოდენობის დადგენისას, სასამართლო დაეყრდნო თავად შეგებებული მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნას, რომლის მიხედვით, სარდაფში წყლის ჟონვის აღმოსაფხვრელად საჭიროა დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რომლის ღირებულება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით შეადგენს 9886.5 ლარს, ხოლო სახურავი პროექტს რომ შეესაბამებოდეს, საჭიროა დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რომლის ღირებულება შეადგენს 1475.7 ლარს, სულ – 11362.2 ლარს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მითითებული თანხა დაკისრებული აქვს მენარდეს შემკვეთის სასარგებლოდ. კასატორი არ უთითებს, თუ რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ეკუთვნის მას შენობის ნაკლის გამოსწორებისათვის უფრო მეტი თანხა და, საერთოდ, რამდენია ეს თანხა. რაც შეეხება 40 სმ სისქის სამშენებლო ბლოკის ნაცვლად, 20 სმ სისქის სამშენებლო ბლოკით კედლების ამოშენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, კასატორის პრეტენზია ამ შემთხვევაშიც დაუსაბუთებელია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შესწორებული პროექტი ითვალისწინებდა კედლების ამოშენებას 20 სმ სისქის სამშენებლო ბლოკით, ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 40 სმ-ისა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდეს ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია, ნაგებობა შეესაბამება საპროექტო მონაცემებს, ანუ იგი არ არის ნაკლის მქონე და, აქედან გამომდინარე, შემკვეთს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებაზე კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, ამიტომ იგი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით კი, შეგებებული სარჩელის ზემოხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების

საფუძველი არ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეგებებული სარჩელის ზემოხსენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს და იგი უცვლელად დატოვებას ექვემდებარება (სსკ-ის 410-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილება. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომ ინსტანციებში საქმეთა განხილვისას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. დ-ს (კასატორს) სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს: შეგებებულ სარჩელზე – 1590 ლარი, სააპელაციო საჩივარზე – 2121 ლარი, ხოლო, საკასაციო საჩივარზე – 6000 ლარი, საიდანაც შეგებებულ სარჩელზე საკასაციო წარმოებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი პროპორციულად შეადგენს – 1944 ლარს, ხოლო, სარჩელზე საკასაციო წარმოებისათვის – 4056 ლარს. გ. კ-ეს (კასატორის მონინალმდეგე მხარეს) სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 3000 ლარი, ხოლო, სააპელაციო საჩივარზე გადავადებული აქვს სახელმწიფო ბა-

ჟის გადახდა 5000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, წაგებულ მხარეს – გ. კ-ეს მოგებული მხარის – კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 6000 ლარის ის ნაწილი, რომელიც სარჩელზე საკასაციო წარმოებისათვის იყო გადახდილი, ანუ 4056 ლარი. რაც შეეხება შეგებულ სარჩელზე გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, იგი მხარეთა შორის შემდეგნაირად უნდა განაწილდეს, კერძოდ, ვინაიდან შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამიტომ შეგებულ მოსარჩელეს მის მიერ გაღებული თანხა უნდა მიეკუთვნოს შეგებებული სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ შეგებულ სარჩელთან დაკავშირებით სამივე ინსტანციაში გაღებული სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 5655 (1590+2121+1944) ლარს, საიდანაც, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად (48.16%), 2723.45 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხე გ. კ-ეს კასატორის სასარგებლოდ. ამდენად, გ. კ-ეს კასატორის სასარგებლოდ სულ უნდა დაეკისროს 6779.45 (4056+2723.45) ლარის გადახდა.

ზემოთ აღინიშნა, რომ გ. კ-ეს სააპელაციო საჩივარზე გადავადებული აქვს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 5000 ლარის ოდენობით. ამ თანხის ნაწილი – 1029.31 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაკისრებული აქვს გ. კ-ეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელის იმ ნაწილის პროპორციულად, რაც იმავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. კ-ის სარჩელის დარჩენილი ნაწილიც, შესაბამისად, გადავადებული სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 3970.69 (5000-1029.31) ლარის გადახდაც გ. კ-ეს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:**

1. თ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

ლაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-5, მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. თ. დ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

5. გ. კ-ეს თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 8102.85 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

6. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. გ. კ-ეს თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 6779.45 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

8. გ. კ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 3970.69 ლარის გადახდა;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ნარდობის ხელშეკრულება

### განმარტება

№ას-1673-1569-2012

9 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ნარდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით გამომწვეული ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. რ-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ო-ის“ მიმართ და მოითხოვა შპს „ო-ის“: ა) 2008 წლის 25 ივნისის №შს/08-321 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის – 919 461,26 ლარის; ბ) 2008 წლის 2 აპრილის №შს/08-146 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული

ზიანის – 126 128,05 ლარის; გ) 2008 წლის 6 მაისის №შს/08-220 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის – 17 927, 91 ლარისა და დ) 2008 წლის 13 თებერვლის №შს/06-016 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული ზიანის ? 65 012 ლარის, სულ – 1 128 529,62 ლარის ანაზღაურება შემდეგი გარემოებების გამო:

შპს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დაიდო რამდენიმე ხელშეკრულება, კერძოდ, 2008 წლის 25 ივნისს გაფორმებული №შს/08-321 ხელშეკრულებით შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა მახინჯაური-ჩაქვის სარკინიგზო გადასარბენზე მწვანე კონცხის რეგიონში ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. შპს „ო-მა“ ვალდებულება არ შეასრულა, შეუსრულებელი სამუშაოები კი, 2009 წლის 19 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების №შს/09-323 საფუძველზე გააგრძელა შპს „ხ-მა“, შპს „ო-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შპს „ს. რ-ას“ მიადგა მატერიალური ზიანი – 919 461, 26 ლარი. მხარეებს შორის 2008 წლის 2 აპრილს გაფორმებული №შს/08-146 ხელშეკრულებით, შპს „ო-ი“ იღებდა 2008 წლის 25 სექტემბრამდე ბათუმის წვივის ქვესადგურის საფიდერო ხაზების რეკონსტრუქციის ვალდებულებას, თუმცა სამუშაოები დასრულდა 127 დღის დაგვიანებით, რის გამოც პირგასამტეხლომ შეადგინა 53422,55 ლარი. შპს „ო-ის“ მიერ შესრულებელი სამუშაოები გააგრძელა შპს „ტ. ი. ფ-ამ“ 2009 წლის 7 სექტემბრის №შს/09-278 ხელშეკრულების საფუძველზე. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2008 წლის 6 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა წყალმოცილება ბათუმი-სამტრედიის უბნის მე-19 კმ-ზე, არა უგვიანეს 2008 წლის 25 ნოემბრისა. მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელეს მიადგა ზიანი – 17 927,91 ლარი. შპს „ო-ის“ მიერ შესასრულებელი აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება კი, 2009 წლის 21 ივლისის №შს/09-228 ხელშეკრულებით გააგრძელა შპს „ხ-მა“. გარდა ამისა, 2006 წლის 13 თებერვალს მხარეებს შორის დაიდო №შს/06-016 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა უზრუნველყოს ბათუმის ხაზის მე-19 კმ-ზე პკ 4-10-ზე გზაგამტარის მოწყობა და მრუდეების გასწორება. აღნიშნული ხელოვნური ნაგებობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ის იყო დეფექტიანი, რაც თავად მოსარჩელის მიერ იქნა გამოსწორებული. დეფექტის გამოსწორებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა კი შეადგინა – 65 012 ლარი ( დღგ-ს ჩათვლით ).

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ასევე გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა გამონვეული იყო 2008 წელს საქართველოში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო. №შს/08-321 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება უკავშირდებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ლიცენზიის გაცემას, აგვისტოს მოვლენების გამო კი, სამინისტრომ ლიცენზიის გაცემა შეაჩერა. გარდა ამისა, მოპასუხემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ დამატებით ვადაზე და განმარტა, რომ მოსარჩელეს შპს „ო-ის“ უნდა მიეცა დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო, თუ ვალდებულება დამატებით ვადაში არ შესრულდებოდა, ამის მერე შეეძლო, მას უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, თუ შესრულება მისთვის ინტერესს დაკარგავდა. ამ შემთხვევაში კი, შესრულებას მისთვის ინტერესი არ დაუკარგავს, რადგან იმავე სამუშაოს შესრულებაზე ხელშეკრულება გააფორმა სხვა კომპანიასთან. მოსარჩელემ ხელშეკრულების შეწყვეტი ზიანი მიაყენა თავად შპს „ო-ს“. №შს/06-106 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოპასუხემ განმარტა, რომ მოთხოვნა ხანდაზმული იყო და, შესაბამისად, არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ს. რ-ას“ უარი ეთქვა შპს „ო-ის“ 2008 წლის 25 ივნისის №შს/08-321 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 919 461,26 ლარის დაკისრებაზე. შპს „ო-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის 2 აპრილის №შს/08-146 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო – 32 390,05 ლარი, ხოლო ზიანის ასანაზღაურებლად 93 738 ლარის დაკისრებაზე ეთქვა უარი. შპს „ო-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის 6 მაისის №შს/08-220 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს გადახდა 26 17.01 ლარი, ხოლო ზიანის ასანაზღაურებლად 15 310.9 ლარის დაკისრებაზე ეთქვა უარი. შპს „ო-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის 13 თებერვლის №შს/06-016 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 65 012 ლარის გადახდა, შპს „ო-ს“ შპს „ს. რ-

ის“ სასარგებლოდ სულ დაეკისრა 100 019.06 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ამ“, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით სს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 25 ივნისს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დაიდო №შს/08-321 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ო-ს“ მახინჯაური-ჩაქვის სარკინიგზო გადასარბენზე მწვანე კონცხის რეგიონში უნდა ეწარმოებინა ნაპირსამაგრი სამუშაოები, ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღეს გარეშე შეადგენდა 2 485 000 ლარს. სამუშაოების შესრულების ვადა შეადგენდა 2008 წლის 5 ივლისიდან 2008 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდს. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა უპირობო საბანკო გარანტიის გამოყენება. ვადის გადაცილებისათვის მიმნოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მოპასუხემ წარადგინა საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით – 125 000 ლარზე. ამავე დროს წარდგენილ იქნა ასევე სს „ს. ბ-ის“ მიერ საავანსო გადახდის გარანტია 2 237 000 ლარზე.

2009 წლის 19 ოქტომბერს შპს „ს. რ-სა“ და სს „ხ-ს“ შორის დაიდო №შს/09-323 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სს „ხ-ს“ მახინჯაური-ჩაქვის სარკინიგზო გადასარბენზე მწვანე კონცხის რეგიონში უნდა ეწარმოებინა ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღეს გარეშე შეადგენდა 3 399 461,26 ლარს.

მოსარჩელემ მოპასუხესთან შეწყვიტა №შს/08-321 ხელშეკრულება, რომლის ღირებულება შეადგენდა 2 485 000 ლარს და იმავე სამუშაოს შესრულებაზე ხელშეკრულება გააფორმა სს „ხ-ან“ 3 399 461,26 ლარზე. მოსარჩელის განმარტებით, დასახელებულ ხელშეკრულებებს შორის ფასის სხვაობა – 919 461,26 ლარი, მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანია.

მოპასუხემ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეასრუ-



ლა გარკვეული სამუშაოები, ანუ ხელშეკრულების პირობები შეასრულა ნაწილობრივ.

საქმეში არსებული მასალების თანახმად, 2008 წლის 22 დეკემბერს მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლითაც ცვლილება შევიდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/08-321 ხელშეკრულებაში, კერძოდ, მოსარჩელემ გაითვალისწინა ქვეყანაში შექმნილი საომარი და საგანგებო მდგომარეობა და 2008 წლის 9 აგვისტოს შემდეგ დამდგარი ვალდებულების შესრულების ვადები გააგრძელა 60 დღით.

შპს „ო-მა“ გაგრძელებულ ვადაშიც ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც სს „ს. რ-ამ“ 2009 წლის 31 მარტს მოპასუხესთან შეწყვიტა ხელშეკრულება.

მოსარჩელემ შპს „ო-ის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესრულებაზე გამოაცხადა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა სს „ხ-ი“ და მასთან გააფორმა ხელშეკრულება 3 399 461,26 ლარზე.

2008 წლის 2 აპრილს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/08-146 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა ბათუმის წევის ქვესადგურის საფიდერო ხაზების რეკონსტრუქცია. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 420 650 ლარს. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 დღისა და უნდა დასრულებულიყო არა უგვიანეს 2008 წლის 25 სექტემბრისა. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა უპირობო საბანკო გარანტიის გამოყენება. ვადის გადაცილებითვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

2009 წლის 7 სექტემბერს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ტ. ი. ჯ-ას“ შორის დაიდო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შესახებ №შს/09-278 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ტ. ი. ჯ-ას“ უნდა ეწარმოებინა ბათუმის წევის ქვესადგურის საფიდერო ხაზის სარეკონსტრუქციო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 93 738 ლარს.

შპს „ო-ს“ №შს/08-146 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უნდა შეესრულებინა არა უგვიანეს 2008 წლის 25 სექტემბრისა. მოპასუხემ სამუშაოები დაასრულა 127 დღის დაგვიანებით.

მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, ვალდებულება არ შეასრულა დადგენილ დროში. პირგასამტეხლომ ვადაგადაცილებისათვის შეადგინა 53 422,55 ლარი, საბანკო გა-

რანტიით ანაზღაურებულ იქნა პირგასამტეხლოს ნაწილი – 21 032,50 ლარი, რომელიც სრულად ვერ ფარავდა ვადაგადაცილებული 127 დღის პირგასამტეხლოს. ასანაზღაურებელი პირგასამტეხლო შეადგენს – 32 390,05 ლარს.

2008 წლის 6 მაისს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/08-220 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა წყალმომცილება ბათუმის სამტრედიის უბნის მე-19 კმ-ზე. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 163 591 ლარს. სამუშაოს შესრულების პერიოდი განისაზღვრა 2008 წლის 15 მაისიდან 2008 წლის 25 ნოემბრამდე. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა უპირობო საბანკო გარანტიის გამოყენება. ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

2009 წლის 21 ივლისს შპს „ს. რ-სა“ და სს „ხ-ს“ შორის დაიდო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შესახებ №შს/09-228 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სს „ხ-ს“ უნდა ეწარმოებინა ქობულეთი-ჩაქვის გადასარბენზე წყალმომცილებელი ნაგებობების და არსებული კედლის უკან დრენაჟის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 102 735,9 ლარს.

მოპასუხემ არ შეასრულა №შს/08-220 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად, სამუშაოების შესრულებას გადააცილა 66 დღე. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-8 მუხლის მიხედვით, შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

შესრულების გარანტია შეადგენდა 8 180 ლარს, რაც სრულად ვერ ფარავდა ვადაგადაცილებული 66 დღის პირგასამტეხლოს, რომელიც შეადგენდა 10797,01 ლარს.

2006 წლის 13 თებერვალს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/06-016 ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა ბათუმის ხაზის მე-19 კმ-ზე პკ 4-10-ზე გზაგამტარის მოწყობა და მრუდეების გასწორება. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 1 900 000 ლარს დღგ-ს გარეშე. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა უპირობო საბანკო გარანტიის გამოყენება. ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%.

მოპასუხემ ჯეროვნად არ შეასრულა №შს/06-016 ხელშეკ-

რულებით ნაკისრი ვალდებულება, რითაც შპს „ს. რ-ას“ მიაყენა 65 012 ლარის ზიანი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ორივე მხარემ, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განჩინებით შპს „ო-ის“ სააპელაციო საჩივარი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო დარჩა განუხილველად.

დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სადავო ურთიერთობა მომსახურების (ნარდობის) ხელშეკრულებად მიიჩნია, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლისა. პალატის შეფასებით, სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობა, ასევე შემსყიდველის მიერ სამუშაოს ნაწილობრივ მიღების ფაქტი მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენდა. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას სამუშაოს შესრულების დასრულებამდე როგორც შემკვეთის, ისე მენარდის მოთხოვნით. ეს საფუძვლები სპეციფიკური ხასიათისა და გამომხატვენი ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

მონინაალმდევე მხარემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, არაფეროვნად და დაგვიანებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების საპატიოდ ცნობისათვის კი, შპს „ო-მა“ ვერ მიუთითა სარწმუნო მტკიცებულებებზე შესაბამისად, მან ვერ დაასაბუთა მისი არაბრალეულობა ვალდებულების დარღვევისას.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 361-ე, მე-400, 401-ე, 427-ე, 394-ე, 414-ე, 417-ე, 418-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე, 105-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე უნდა განხორციელდეს, რომლის თანახმადაც, თითოეული მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობით, რათა განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები. სამოქალაქო სამართალწარმოებაში თითოეული მხარის უფლებრივ ტვირთს წარმოადგენს იმ ფაქტების მითითება და დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურთ დაასაბუთონ თავიანთი სასარჩელო მოთხოვნები ან გააქარწყლონ სასარჩელო მოთხოვნათა დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრებო-

და აპელანტს, მას კი არ წარუდგენია თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. რ-ამ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველით:

სააპელაციო პალატამ არასწორად დატოვა უცვლელად საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, სასამართლომ განჩინების მიღებისას არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 644-ე, 394-ე და 412-ე მუხლები. არასწორია სასამართლოს მსჯელობა სს „ს. რ-ის“ 919 461,26 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, რადგანაც 2008 წლის 25 ივნისის №შს/08-321 ხელშეკრულების თანახმად, შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა ნაპირგამაგრებითი სამუშაოები, რომლის ღირებულებაც 2 485 000 ლარს შეადგენდა. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად, სამუშაოების შესრულება უნდა დასრულებულიყო 2008 წლის 23 თებერვლამდე. მიუხედავად ვალდებულების შესრულების გადავადებისა, მოპასუხემ ვერც დამატებით ვადაში უზრუნველყო გარიგების შესრულება, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, სწორედ ამიტომ, 2009 წლის 31 მარტს შეწყვიტა რკინიგზამ ხელშეკრულება და იმავე სამუშაოს შესრულებაზე ხელშეკრულება დადო შპს „ხ-ან“, რომელიც 919 461,26 ლარით აღემატებოდა შპს „ო-ან“ დადებულ გარიგებას. ხელშეკრულების ფასთა შორის სხვაობა წარმოადგენს რკინიგზის მიერ გაწეულ იმ დამატებით ხარჯს, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 644-ე, 394-ე და 412-ე მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს ასანაზღაურებელ ზიანს.

ზემოაღნიშნულ ნორმათა დარღვევის გამო არ დაკმაყოფილდა სს „ს. რ-ის“ მოთხოვნა №შს/08-146 ხელშეკრულებიდან გამომდინარე 23390,05 ლარის დაკისრების თაობაზე, კერძოდ, 2008 წლის 2 აპრილის ხელშეკრულებით შპს „ო-ს“ ბათუმის წევის ქვესადგურის ფიდერის ხაზების რეკონსტრუქცია უნდა დასრულებინა არა უგვიანეს 2008 წლის 25 სექტემბრისა. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 420 650 ლარით. „ო-მა“ ვერც დამატებით მიცემულ ვადაში უზრუნველყო ვალდებულების შესრულება, რის გამოც რკინიგზა იძულებული გახდა, 2009 წლის 31 მარტს ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება. შპს „ო-ის“ მიერ საქმეში წარმოდგენილი წერილი, რომელიც თავისი შინაარსით აღიარებს წარმოადგენს, ადასტურებს მოპასუხის მიერ

ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას, რაც სასამართლოს არ შეუფასებია. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯეროვანი შესრულება შპს „ო-მა“ ვერ უზრუნველყო, სს „ს. რ-ა“ იძულებული გახდა, სამუშაოების დასრულებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, 2009 წლის 7 სექტემბერს ხელშეკრულება „ტ. ი. ჯ-ან“ გაეფორმებინა. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 93 738 ლარით, რაც წარმოადგენს დამატებით განეულ ხარჯს და ექვემდებარება ანაზღაურებას.

სამართლებრივად დაუსაბუთებელია სააკველიანი პალატის მსჯელობა №შს/08-220 ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ო-ის“ 15310,9 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ. 2008 წლის 6 მაისს გაფორმებული ამ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა ნყალმოცილების სამშენებლო სამუშაოები. ხელშეკრულების ფასი 163 591 ლარს შეადგენდა. სამუშაოები უნდა შესრულებულიყო არა უგვიანეს 2008 წლის 25 ნოემბრისა. მოპასუხემ მათი შესრულება ვერც დამატებით ვადაში შეძლო, რის გამოც 2009 წლის 31 მარტს რკინიგზამ ეს ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა. საქმეში წარმოდგენილი „უძრავი ქონების ექსპერტის“ 2009 წლის 6 აპრილის დასკვნის თანახმად, შპს „ო-ის“ მიერ შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ 108884 ლარი შეადგინა, ამასთან, არ დაასრულა ნყალმოცილების დანეჭილი სამუშაოები, რის გამოც ბათუმი-სამტრედიის უბნის მე-19 კილომეტრის მიწის ვაკისი უზრუნველყოფილი არ არის, დაშვებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, 2009 წლის 21 ივლისს სს „ს. რ-ამ“ ხელშეკრულება დადო „ხ-ან“ და ამ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 15 310,9 ლარს, რომელიც, მსგავსად ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, ექვემდებარება ანაზღაურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განჩინებით სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკ-

მაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო საჩივრის შესწავლით დასტურდება, რომ სს „ს. რ-ა“ მოითხოვს 2008 წლის 25 ივნისის №შს/08-321 ხელშეკრულების, 2008 წლის 2 აპრილის №შს/08-146 ხელშეკრულებისა და 2008 წლის 6 მაისის №შს/08-146 ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო შპს „ო-ის“ ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. უდავოა, რომ მოსარჩელე 2008 წლის 25 ივნისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანს უკავშირებს შპს „ო-ის“ მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას, რამაც განაპირობა სხვა კომპანიასთან ხელშეკრულების უფრო მეტი ღირებულებით გაფორმება, შესაბამისად, მხარე მიყენებული ზიანის ფაქტსა და ოდენობას უკავშირებს ხელშეკრულების ფასებს შორის სხვაობას, რაც შეეხება 2008 წლის 2 აპრილისა და 6 მაისის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნას, კასატორის განმარტებით, შპს „ო-მა“ ამ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, რის გამოც რკინიგზამ სხვა კონტრაქტორებთან გაფორმებული გარიგებებით გამოასწორა ნაკეთობათა ნაკლი, თუმცა განია დამატებითი ხარჯი.

განსახილველ შემთხვევაში დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დადებულია ნარდობის ხელშეკრულებები, რომლის ძალითაც შემკვეთი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო (სკ 629.1).

სააპელაციო პალატამ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

2008 წლის 25 ივნისის შპს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დაიდო №შს/08-321 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ო-ს“ მახინჯაური-ჩაქვის სარკინიგზო გადასარბენზე მწვანე კონცხის რეგიონში უნდა ეწარმოებინა ნაპირსამაგრი სამუშაოები, ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 2 485 000 ლარს. სამუშაოების შესრულების ვადა შეადგენდა 2008 წლის 5 ივლისიდან 2008 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდს. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა უპირობო საბანკო გარანტიის გამოყენება. ვადის გადაცილებისათვის მიმნოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მოპასუხემ წარადგინა საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით – 125 000 ლარზე. ამავე დროს წარდგენილ იქნა ასევე სს „ს. ბ-ის“ მიერ საავანსო გადახდის გარან-

ტია 2 237 000 ლარზე.

2008 წლის 22 დეკემბერს მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლითაც ცვლილება შევიდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/08-321 ხელშეკრულებაში, კერძოდ, მოსარჩელემ გაითვალისწინა ქვეყანაში შექმნილი საომარი და საგანგებო მდგომარეობა და 2008 წლის 9 აგვისტოს შემდეგ დამდგარი ვალდებულების შესრულების ვადები გააგრძელა 60 დღით.

შპს „ო-მა“ გაგრძელებულ ვადაშიც ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც სს „ს. რ-ამ“ 2009 წლის 31 მარტს მოპასუხესთან შეწყვიტა ხელშეკრულება.

მოსარჩელემ შპს „ო-ის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესრულებაზე გამოაცხადა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა სს „ხ-ი“ და 2009 წლის 19 ოქტომბერს შპს „ს. რ-სა“ და სს „ხ-ს“ შორის დაიდო №შს/09-323 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სს „ხ-ს“ მახინჯაური-ჩაქვის სარკინიგზო გადასარბენზე მწვანე კონცხის რეგიონში უნდა ეწარმოებინა ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 3 399 461,26 ლარს.

2008 წლის 2 აპრილს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/08-146 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა ბათუმი წვივის ქვესადგურის საფიდერო ხაზების რეკონსტრუქცია. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 420 650 ლარს. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 დღისა და უნდა დასრულებულიყო არა უგვიანეს 2008 წლის 25 სექტემბრისა. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა უპირობო საბანკო გარანტიის გამოყენება. ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

შპს „ო-ს“ №შს/08-146 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უნდა შეესრულებინა არა უგვიანეს 2008 წლის 25 სექტემბრისა. მოპასუხემ სამუშაოები დაასრულა 127 დღის დაგვიანებით.

მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, ვალდებულება არ შეასრულა დადგენილ დროში. პირგასამტეხლომ ვადაგადაცილებისათვის შეადგინა 53 422,55 ლარი, საბანკო გარანტიით ანაზღაურებულ იქნა პირგასამტეხლოს ნაწილი – 21 032,50 ლარი, რომელიც სრულად ვერ ფარავდა ვადაგადაცილებული 127 დღის პირგასამტეხლოს. ასანაზღაურებელი პირგასამტეხლო შეადგენს – 32 390,05 ლარს.

2009 წლის 7 სექტემბერს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ტ. ი. ჯ-ას“ შორის დაიდო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შესახებ №შს/09-278 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ტ. ი. ჯ-ას“ უნდა ეწარმოებინა ბათუმის წევის ქვესადგურის საფიდერო ხაზის სარეკონსტრუქციო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 93 738 ლარს.

2008 წლის 6 მაისს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/08-220 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ო-ს“ უნდა ეწარმოებინა წყალმოცილება ბათუმის სამტრედიის უბნის მე-19 კმ-ზე. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 163 591 ლარს. სამუშაოს შესრულების პერიოდი განისაზღვრა 2008 წლის 15 მაისიდან 2008 წლის 25 ნოემბრამდე. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა უპირობო საბანკო გარანტიის გამოყენება. ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

მოპასუხემ არ შეასრულა №შს/08-220 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად, სამუშაოების შესრულებას გადააცილა 66 დღე. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-8 მუხლის მიხედვით, შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

შესრულების გარანტია შეადგენდა 8 180 ლარს, რაც სრულად ვერ ფარავდა ვადაგადაცილებული 66 დღის პირგასამტეხლოს, რომელიც შეადგენდა 10797,01 ლარს.

2009 წლის 21 ივლისს შპს „ს. რ-სა“ და სს „ბ-ს“ შორის დაიდო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შესახებ №შს/09-228 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სს „ბ-ს“ უნდა ეწარმოებინა ქობულეთი-ჩაქვის გადასარბენზე წყალმომცილებელი ნაგებობებისა და არსებული კედლის უკან დრენაჟის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 102 735,9 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ამ გარემოებებს საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ, ვინაიდან საკასაციო საჩივრით სს „ს. რ-ას“ მათ მიმართ რაიმე შედაგება არ წარმოუდგენია.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ, ასევე, დადგენილად ჩათვალა, რომ მოსარჩელემ, რომლის მტკიცების



ტვირთსაც წარმოადგენდა ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება, სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენა ვერ უზრუნველყო, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მართებულობას ადასტურებს.

კასატორი არ ეთანხმება პალატის ამ მსჯელობას და თვლის, რომ სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს, ერთი მხრივ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სწორი ანალიზით და, მეორე მხრივ, კანონის არასწორ განმარტებას ემყარება.

საკასაციო პალატა მტკიცებულებათა კვლევის ნაწილში იზიარებს კასატორის პრეტენზიას და თვლის, რომ სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა და 249-ე მუხლის შესაბამისად არ გამოუკვლევია და გადაწყვეტილებაში არ აუსახავს დასკვნა იმის შესახებ, საქმეში წარმოდგენილი შპს „ო-ის“ წერილობითი მიმართვა, ასევე საექსპერტო დასკვნა ადასტურებს თუ არა 2008 წლის 2 აპრილისა და 6 მაისის ხელშეკრულებების მოპასუხის მიერ არაჯეროვან შესრულებას, რამაც სხვა პირთან ხელშეკრულების დადება და კრედიტორის მიერ დამატებითი ხარჯების განევა განაპირობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა მენარდის მიერ სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლის შეუსაბამო შესრულებას ემყარება. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლომ, უნდა გამოიკვლიოს, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 643-ე მუხლის შემადგენლობა.

რაც შეეხება მხარეთა შორის 2008 წლის 25 ივნისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო პალატამ დაადგინა მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ვალდებულების შეუსრულებლობა დამატებითი ვადის დაწესების პირობებშიც. დადგენილია, რომ სს „ს. რ-ამ“, შესრულების მიუღებლობის გამო, უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. უდავოა, რომ კრედიტორს ვალდებულების შესრულების მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს, რამაც განაპირობა ამავე ხელშეკრულების სხვა პირთან – სს „ხ-ან“ დადება. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 407-ე მუხლზე, რომელთა ძალითაც რეგლამენტირებულია კრედიტორის უფლება, მოითხოვოს ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ამასთანავე, ამავე კოდექსის 412-ე მუხლით დადგენილია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი

მოქმედების უშუალო შედეგს.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი ზიანის ოდენობას უკავ- შირებს რა შპს „ო-სა“ და სს „ხ-ს“ შორის დადებულ ხელშეკრუ- ლებების ფასებს შორის სხვაობას, პალატამ ზუსტად უნდა გან- საზღვროს მიყენებული ზიანის ოდენობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სს „ს. რ-ამ“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება წარმოადგინა, თუმცა იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ გასაჩივრებული განჩინებით სრულყოფილად არ არის დად- გენილი საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქ- ტობრივი გარემოებები, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნა- ნილის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევი- თაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არას- ნორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცე- ბულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამ მუხლის პირველი ნა- ნილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასა- მართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფა- სება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათ- ვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, სამოქალა- ქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შე- აფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, დაადგინოს საქ- მისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და ამ გზით გადაწყვიტოს დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწი- ლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო და- აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამარ- თლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავ- შირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩ- ნევს, რომ სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი**

### **გადანყვეტილება საქართველოს სახელით**

№ას-1708-1602-2012

9 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სადაზღვევო პრემიის გადახდის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „მ-ის“ მიმართ გადაუხდელი სადაზღვევო პრემიის – 49 500 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2010 წლის 31 მარტს შპს „მ-სა“ და სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გაიცა №H&PI 004/10; №H&PI 005/10; H&PI 006/10 დაზღვევის სერტიფიკატები. გაცემული სერტიფიკატების საფუძველზე დაზღვეულ იქნა შპს „მ-ის“ მცურავი საშუალებების დაზღვევა.

№H&PI 004/10 დაზღვევის სერტიფიკატით გათვალისწინებული პრემიის ოდენობა შეადენდა 11 550 აშშ დოლარს, №H&PI - 005/10 სერტიფიკატით გათვალისწინებული პრემიის ოდენობა – 11 550 აშშ დოლარს, ხოლო №H&PI 006/10 სერტიფიკატით გათვალისწინებული - 42 900 აშშ დოლარს, სულ – 65 900 აშშ დოლარს. შპს „მ-იმ“ 2010 წლის 13 მაისს გადაიხადა მხოლოდ 29 343 ლარი და 60 თეთრი, ამდენად, სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ მიმართ გადაუხდელი პრემიის ოდენობა 49 500 აშშ დოლარს შეადგენს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვა:

არასწორია მოსარჩელის მითითება მხარეთა შორის სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, აღნიშნულს შპს „მ-ი“ არ ეთანხმება, რის გამოც ხელშეკრულების დადების ფაქტი მოსარჩელის მტკიცების საგანს შეადგენს და მას ხელშეკრულება სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, დაზღვევის სერტიფიკატები ნამდვილია, თუმცა მხარეთა შორის ძირითადი შეთანხმება დაზღვევის ხელშეკრულების დადების თაობაზე არ მიღწეულა. შპს „მ-იმ“ გადაიხადა სადაზღვევო პრემიის ნაწილი – 29343,60 ლარი, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება არ დადებულა, მოპასუხეს პრემიის დარჩენილი თანხაც აღარ გადაუხდია, გაცემული სერტიფიკატების თანახმად, გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ვადაგადაცილებიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა, ამდენად, მხარეთათვის ცნობილი იყო, რომ სადაზღვევო სერტიფიკატები აღარ მოქმედებდა და აღარც დაზღვევის ხელშეკრულება დაიდებოდა. შპს „მ-ი“ დაზღვეული უნდა ყოფილიყო 2010 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 მარტამდე. სადაზღვევო პერიოდში დადგა სადაზღვევო სერტიფიკატის 8.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, თუმცა მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ მიუმართავს, რადგანაც მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ სარჩელი შპს „მ-ის“ მიმართ დაკმაყოფილდა, შპს „მ-ის“ სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 49 500 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სპს „მ-იმ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „სა. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 31 მარტს სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ მიერ გაცა დაზღვევის სერტიფიკატები: №H&PI 004/10; №H&PI 005/10; №H&PI 006/10, რის საფუძველზე დაზღვეულ იქნა შპს „მ-ის“ მცურავი საშუალებები. №H&PI 004/10 დაზღვევის სერტიფიკატით პრემიის ოდენობა შეადგენდა 11 550 აშშ დოლარს; №H&PI 005/10 დაზღვევის სერტიფიკატით – 11 550 აშშ დოლარს; №H&PI 006/10 დაზღვევის სერტიფიკატით – 42 900 აშშ დოლარს, სულ სადაზღვევო პრემიის ოდენობა შეადგენდა 65 900 აშშ დოლარს. 2010 წლის 13 მაისს შპს „მ-იმ“ სადაზღვევო პრემიის სახით სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ ანგარიშზე, გადარიცხა 29 343.60 ლარი.

არ იქნა გაზიარებული აპელანტის პოზიცია, რომ მხარეთა შორის არ არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ამ კუთხით სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლზე, 802-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, 2010 წლის 31 მარტს სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ მიერ შპს „მ-ის“ სახელზე გაცემული დაზღვევის სერტიფიკატების: №H&PI 004/10; №H&PI 005/10; №H&PI 006/10 თანახმად, დაზღვევის საგანს შეადგენდა: ნაწილი I – ხომალდის ძარისა და სამანქანე განყოფილება და ნაწილი II – P&I დაზღვევა: მესამე პირისადმი პასუხისმგებლობა; პასუხისმგებლობა დაბინძურებაზე; პასუხისმგებლობა შეჯახებაზე; სასამართლო ხარჯები, შრომის ხარჯები და ნარჩენების გატანის ხარჯები; ჯარიმები და გადასახდელები; №H&PI 004/10; №H&PI 005/10; №H&PI 006/10 დაზღვევის სერტიფიკატების მოქმედების ვადა შეადგენდა 2010 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 მარტამდე პერიოდს; დაზღვევის თითოეული სერტიფიკატით განსაზღვრული იყო სადაზღვევო პრემიის ოდენობა და პრემიის გადახდის ვადა – ყოველკვარტალურად. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ დაასკვნა, რომ მხარეები შეთანხმდნენ რა არსებით პირობებზე: ხელშეკრულების საგანზე, დაზღვევის პერიოდზე, სადაზღვევო თანხაზე, სადაზღვევო შესატანის (პრემიის) მოცულობაზე, გადახდის ვადაზე, სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-სა“ და შპს „მ-ის“ შორის ზემოაღნიშნული სერტიფიკატების გაცემით წარმოიშვა დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებუ-

ლებით-სამართლებრივი ურთიერთობა. აღნიშნულს ადასტურებდა ის გარემოებაც, რომ შპს „მ-იმ“ აანაზღაურა სადაზღვევო პრემიის ნაწილი.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეები ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებზე არ შეთანხმებულან.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 317-ე, 799-ე მუხლებით და განმარტა, რომ დაზღვევის ხელშეკრულება განეკუთვნება ე.წ რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას. მხარეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე სადაზღვევო შენატანის გადახდის შემდეგ. დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყება დაკავშირებულია არა მარტო დაზღვევის ხელშეკრულების დადებასთან, არამედ სადაზღვევო პრემიის გადახდასთანაც. ის გარემოება, რომ მზღვეველის მოვალეობა წარმოიშობა არა მხარეთა შეთანხმების, არამედ პრემიის გადახდის მომენტიდან, დაზღვევის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს და აქცევს მას რეალურ ხელშეკრულებად (სსკ 816-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 817-ე, 818-ე მუხლების, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების ამოსავალი წერტილია ბუნებითი სამართლიანობის აღდგენა, შესაბამისად, სამოქალაქო სამართალბრუნვაში ქცევის სტანდარტის განმსაზღვრელია სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ზნეობრიობა. კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არა ერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. კანონმდებელი სადაზღვევო ურთიერთობაში მზღვეველს, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების ძლიერ მხარეს ანიჭებს აქტიურ როლს, რაც მისთვის გარკვეული უფლებების განსაზღვრაში გამოიხატება. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიამ კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებები კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს და სადაზღვევო ურთიერთობის ფარგლებში არ უნდა შექმნას დამზღვევისათ-

ვის უარესი პირობები. კანონმდებელი სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდას უკავშირებს მზღვეველის უფლებამოსილებას, დამზღვევს წერილობით განუსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა ან ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე (სსკ 817-818 მუხლები). მართალია, აღნიშნული ნორმები არ არის მავალდებულებელი, მაგრამ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და შემდეგ მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურება. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის დათქმაზე, და აღნიშნა, რომ თუკი დამზღვევის მიერ შესატანის შეუტანლობა მზღვეველს ათავისუფლებს სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან, დაუშვებელია ძალაში დარჩეს დამზღვევის ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია). ასეთ ვითარებაში დამზღვევი, როგორც ხელშეკრულების სუსტი მხარე, უარეს პირობებში ვარდება. ასეთ შემთხვევაში დგება ხელშეკრულების მოშლის საკითხი, რომლის ინიციატივასაც კანონმდებელი მზღვეველს აკისრებს. სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის თანახმად, მზღვეველს აქვს უფლებამოსილება, წერილობით აცნობოს დამზღვევს ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

სასამართლომ მიუთითა იმ დადგენილ გარემოებაზეც, რომ დამზღვევს სადაზღვევო შესატანი დროულად არ გადაუხდია, სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობის მიუხედავად, მზღვეველს დამზღვევი წერილობით არ გაუფრთხილებია მოსალოდნელ შედეგებზე, გარდა ამისა, სადაზღვევო პერიოდში სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიუხედავად, მოპასუხეს არ მიუმართავს მოსარჩელისთვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით. შესაბამისად, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ დაზღვევის ხელშეკრულების საგანი მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა წარმოადგენდა, სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობა კი, შეიძლებოდა გამხდარიყო სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, პალატამ ჩათვალა, რომ სადაზღვევო შესატანის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას ხელშეკრულება გონივრულ ვადაში უნდა მოშლილიყო. სასამართლოს დასკვნით, სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-სა“ და შპს „მ-ის“ შორის

არსებული სადაზღვევო ურთიერთობა მოიშალა, რის შედეგადაც მზღვეველს არ ჰქონდა სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სამოქალაქო კანონმდებლობა სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული არ წარმოადგენდა დავის საგანს. ამდენად, პალატამ სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო ნესით გაასაჩივრა სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაამყარა სამოქალაქო კოდექსის 799-ე, 815-817-ე მუხლებს და მიიჩნია, რომ სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ი“ არ მოქმედებდა კეთილსინდისიერად. კეთილსინდისიერების პრინციპის სასამართლოსეული განმარტება არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან. კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 299-ე მუხლზე, 817-ე და 818-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მათი ანალიზიდან გამომდინარე, სადაზღვევო პრემიის არადროული გადახდა ხელშეკრულების ავტომატურად მოშლას არ ითვალისწინებს, არამედ წარმოუშობს სადაზღვევო კომპანიას ვალდებულებას, წერილობით გააფრთხილოს მზღვეველი და განისაზღვროს 2-კვირიანი ვადა თანხის გადასახდელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი მზღვეველის მიერ პრემიის გადახდის ვადის გადაცილების გამო, აპირებს ხელშეკრულების მოშლას. ამ ორკვირიანი ვადის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს თანხა, ვადის გასვლის შემდეგ კი, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულებისაგან სადაზღვევო კომპანია თავისუფლდება, ამასთანავე, სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია ორკვირიანი ვადის დანესების ნაცვლად, სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის შესაბამისად, მოშალოს ხელშეკრულება. საყურადღებოა, რომ თავად სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა მხარის უფლებას წარმოადგენს, შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა ჰოლდინგის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სწორედ მისი ნების თავისუფლების დარღვევაა. სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 799-ე და 816-ე მუხლებზე, ასევე სასამართლოს მიერ დადგენილ



გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა და შპს „მ-იმ“ გადაიხადა სადაზღვევო პრემიის ნაწილი. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის საკითხი დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ ინტერესის დაკარგვის გამო, რადგანაც არ არსებობდა ვალდებულების შეწყვეტისათვის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არც ერთი წინაპირობა, ამასთანავე, არ დგინდებოდა ხელშეკრულებიდან გასვლაც, რადგანაც მხარეს ამის თაობაზე ნება არ გამოუხატავს. კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 815-818-ე მუხლების არასწორი განმარტებით, სასამართლომ იმსჯელა ხელშეკრულების მოშლილად აღიარებაზე, რაც არ იყო დავის საგანი, აღნიშნულით კი დაარღვია, ასევე, შეჯიბრებითობის პრინციპი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 მაისის განჩინებით სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 31 მარტს სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ მიერ გაიცა №H&PI 004/10; №H&PI 005/10; №H&PI 006/10 დაზღვევის სერტიფიკატები, რის საფუძველზე დაზღვეულ იქნა შპს „მ-ის“ მცურავი საშუალებები;

სადაზღვევო პრემიის საერთო ოდენობა შეადგენდა 65 900 აშშ დოლარს, კერძოდ, №H&PI 004/10 დაზღვევის სერტიფიკატით პრემიის ოდენობა შეადგენდა 11 550 აშშ დოლარს;

№H&PI 005/10 დაზღვევის სერტიფიკატით პრემიის ოდენობა შეადგენდა 11 550 აშშ დოლარს;

№H&PI 006/10 დაზღვევის სერტიფიკატით პრემიის ოდენობა

შეადენდა 42 900 აშშ დოლარს;

2010 წლის 13 მაისს შპს „მ-იმ“ სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ ანგარიშზე, სადაზღვევო პრემიის სახით გადარიცხა 29 343.60 ლარი.

არ იქნა გაზიარებული შპს „მ-ის“ მტკიცება, რომ მხარეთა შორის სადაზღვევო ხელშეკრულება არ დადებულია, რადგანაც, 2010 წლის 31 მარტის დაზღვევის სერტიფიკატების თანახმად, მხარეები შეთანხმებული იყვნენ ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე: ხელშეკრულების საგანზე, დაზღვევის პერიოდზე, სადაზღვევო თანხაზე, სადაზღვევო შესატანის (პრემიის) მოცულობაზე, გადახდის ვადაზე, რაც ხელშეკრულების დადების ფაქტს ადასტურებდა, ამასთანავე, შპს „მ-ის“ მიერ ანაზღაურებული იქნა სადაზღვევო პრემიის ნაწილი;

მხარეები ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებზე არ შეთანხმებულან.

სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ დამზღვევმა გაარღვია პრემიის გადახდის ვალდებულება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებები სადავო არ გაუხდია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

საკასაციო სასამართლო საფეხებით იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას დავის სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე და თვლის, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება სწორად იქნა შეფასებული როგორც დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც რეალური ბუნებისაა და ორმხრივად მავალდებულებელ გარიგებას წარმოადგენს (სკ 799-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მხარეთა შორის სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეწყვეტილი იყო, რაც გამოორიცხავდა დამზღვევის ვალდებულებას, აენაზღაურებინა მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემია. სააპელაციო პალატამ ეს დასკვნა დაამყარა სამოქალაქო კოდექსის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლებს და განმარტა, რომ მიუხედავად ნორმათა არამავალდებულებელი ხასიათისა, სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიამ მისი უფლებები კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს, რათა დაზღვევის ხელშეკრულების სუსტი მხარე არ აღმოჩნდეს უარეს ვითარებაში. პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინა-

რე, თუ პრემიის შეტანის ვადის გადაცილების გამო მზღვეველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ვითარებაში, დაუშვებელია ძალაში დარჩეს დამზღვევის ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვევო პრემია.

სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ი“ არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რასაც საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები შედაგება წარმოადგინა.

მხარის ზემოაღნიშნული შედაგებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს სასამართლოს მიერ დაზღვევის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების განმარტების სისწორე, კერძოდ, ის გარემოება, დამზღვევის მიერ პრემიის შეტანის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, თუ მზღვეველი არ აფრთხილებს მას წერილობით და არ განუსაზღვრავს ვადას, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ხელშეკრულების შეწყვეტილად მიჩნევის საფუძვლად.

ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოსავალ პრინციპს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიღწევა წარმოადგენს, სამოქალაქო კოდექსი ორიენტირებულია პირველადი მოთხოვნის – ვალდებულების შესრულების მიღწევაზე, რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლასა თუ ხელშეკრულებიდან გასვლას, აღნიშნულიც თავისთავად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული და კანონმდებელი ამომწურავად განსაზღვრავს თითოეულ ამ ინსტიტუტს. სადაზღვევო პრემიის შეტანის მარეგულირებელი ნორმები, მათ შორის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმებს და ცალსახად არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას, კანონმდებელი 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა მზღვეველის მიერ აღნიშნული უფლების გამოყენებლობა მისი, როგორც ხელშეკრულების მხარის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს.

სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის დათქმა, რომ თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება, არ შეიძლება განმარტებულ

იქნას ამავე მუხლის მე-2 ნაწილისაგან განყენებულად, რადგანაც ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილია მზღვეველის მიერ შეტყობინების უფლების გამოუყენებლობისათვის ერთგვარი სამოქალაქოსამართლებრივი სანქცია, კერძოდ ის, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა მას წარმოუშობს სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია წერილობით გააფრთხილებს დამზღვევს პრემიის გადახდის თაობაზე და 2-კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევოს შემთხვევა, ამ ვადის გასვლამდე მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი შემთხვევა, მიუხედავად იმისა, დამზღვევს გადაცილებული აქვს თუ არა პრემიის შეტანის ვადა.

რაც შეეხება ამავე სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის დათქმას, პრემიის შეტანის ვადის გადაცილების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნულიც სწორედ უფლებადამდგენი ნორმაა და იგი არ შეიძლება აყვანილ იქნას ვალდებულების რანგში.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ კანონის ამგვარი განმარტება სახელშეკრულებო თანასწორობის ბალანსის დარღვევას არ იწვევს, რადგანაც დაზღვევის ურთიერთობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები ითვალისწინებს იმ კერძო (სპეციალურ) შემთხვევებს, როდესაც დამზღვევს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე (სკ 815.2; 819), ამასთანავე, საყურადღებოა, რომ თუ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მხარეები რაიმე განსხვავებულ წესს არ დაადგენენ, ამ ურთიერთობის მიმართ თავისუფლად ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც მხარის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას განამტკიცებენ (მაგ. სკ 399-ე მუხლი).

საკასაციო პალატა იზიარებს სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ არასწორად ჩათვალა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება შეწყვეტილად. სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება მხოლოდ ვარაუდს, რომ დამზღვევის მიერ პრემიის გადაუხდელობისას როდესაც სადაზღვევო კომპანიამ წერილობით არ განუხაზღვრა ვადის დამრღვევს შესრულების დამატებითი ვადა, მხარეთა ორმხრივი ინტერესიდან გამომდინარე, ხელშეკრულება შეწყვეტილად უნდა ჩათვლილიყო. სასამართლომ ეს მოსაზრება გაამყარა იმ არგუმენტივითაც, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმე-

დების ვადაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მოთხოვნით დამზღვევეს კომპანიისათვის არ მიუმართავს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადანყვეტილების ამ მსჯელობას, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისკენ მიმართული ერთ-ერთი მხარის ნამდვილი, ცალმხრივი ნების (ხელშეკრულებიდან გასვლა) არსებობა არ არის დადგენილი. სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

ამდენად, ხელშეკრულების შეწყვეტად სწორედ ამ საფუძვლებიდან გამომდინარე ვერ იქნება მიჩნეული შპს „მ-ის“ ის ქმედება, რომ მან სადაზღვევო კომპანიას არ მიმართა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიდის იმ დასკვნამდე, რომ 2010 წლის 31 მარტს სს „ს. კ. ჯ. ა. ჰ-ის“ მიერ გაცემული სერტიფიკატების საფუძველზე წარმოშობილი სადაზღვევო ურთიერთობა ვადის ამონურვამდე არ შეწყვეტილა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა დავის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა სამართლის ნორმის არასწორი განმარტების გამო, არასწორადვე უთხრა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადანყვეტილება წინამდებარე დავაზე, კერძოდ, როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში დავას არ ინვესტის ის გარემოება, რომ მხარეებმა დადეს მცურავი ობიექტების დაზღვევის ხელშეკრულება, უდავოა ისიც, რომ ხელშეკრულება ვადის ამონურვამდე არ შეწყვეტილა, დადგენილია, რომ შპს „მ-იმ“ ნაწილობრივ დაარღვია პრემიის შეტანის ვალდებულება, რომლის ოდენობაც 49500 აშშ დოლარია. მოსარჩელის მოთხოვნას მზღვეველისათვის სწორედ ამ თანხის დაკისრება წარმოადგენს, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, სავსებით დასაბუთებულია, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის მე-2 ნაწილისა.

სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე: საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ დავის პირველი ინსტანციის წესით გან-

ხილვისას სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-მა“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა 2574 ლარი, ხოლო საკასაციო წესით განხილვისას – 4103 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია, რომ აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა, პალატა თვლის, რომ შპს „მ-ის“ მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯები სრულად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტი-

ლება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს.

4. შპს „მ-ის“ (ს/№...) სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ (ს/№...) სასარგებლოდ დაეკისროს გადაუხდელი სადაზღვევო პრემიის – 49500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ლარის გადახდა.

5. შპს „მ-ის“ (ს/№...) სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ (ს/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 6677 (2574+4103) ლარის გადახდა.

5. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საზიარო უფლების გაუქმება

### განცხიზება

№ას-496-472-2013

9 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ტ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში გ. გ-სა და მ. ჯ-ას წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა ნ. ტ-ის, მ. ჯ-სა და გ. გ-ის საზიარო უფლების ნატურით გაუქმება, ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №...), სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 30 მაისის №016977-2012/03/1 დასკვნის თანახმად და მხარეთა მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების შესაბამისად, რის შედეგადაც მოსარჩელე ნ. ტ-ს მიეკუთვნება მის მიერ დაკავებული 142 კვ.მ, ხოლო მოპასუხეებს, გ. გ-სა და მ. ჯ-ას – 163 კვ.მ.

მ. ჯ-ამ სარჩელი ცნო.

გ. გ-ემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო მიწის

ნაკვეთი წარმოადგენს მხარეთა საერთო საკუთრებას, შესაბამისად, მიწის ნაკვეთი უნდა გაიყოს თანაბარწილად და არა ფაქტობრივად დაკავებული ფართების შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ნ. ტ-ის, მ. ჯ-სა და გ. გ-ის საზიარო უფლება ნატურით ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №...), სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 30 მაისის №016977-2012/03/1 დასკვნის თანახმად, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 30 მაისის №016977-2012/03/1 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოსარჩელე ნ. ტ-ს მიეკუთვნა 142 კვ.მ საეზოვე ფართი (მასზე მდებარე შენობა-ნაგებობებით №2 და №3), ხოლო მოპასუხეებს, გ. გ-სა და მ. ჯ-ას, მიეკუთვნათ 163 კვ.მ საეზოვე ფართი (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1).

აღნიშნული გადაწყვეტილება გ. გ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის განჩინებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №...) დაზუსტებული ფართი შეადგენს 305 კვ.მ-ს. მიწის ნაკვეთზე აღმართულია №1, №2 და №3 ნაგებობები, აქედან №1 ნაგებობის მესაკუთრეებს წარმოადგენენ მ. ჯ-ა და გ. გ-ე, ხოლო №2 და №3 ნაგებობის მესაკუთრეა ნ. ტ-ი. მ. ჯ-ას სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება №1 შენობა-ნაგებობიდან საერთო ფართობი 256 კვ.მ II სართული 81.78 კვ.მ, ასევე მანსარდა 72.76 კვ.მ, გ. გ-ის სახელზე აღრიცხულია №1 შენობა-ნაგებობიდან საერთო ფართობი 256 კვ.მ, I სართული 79.47 კვ.მ.;

2. საჯარო რეესტრის მონაცემებით, მიწის ნაკვეთზე მესაკუთრეთა წილები განსაზღვრული არ არის;

3. ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე 305 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...) თანამესაკუთრეებს, ერთი მხრივ, გ. გ-სა და მ. ჯ-ას, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. ტ-ს შორის



ფაქტობრივად გამიჯნულია და მხარეები უძრავი ქონებით სარგებლობენ ფაქტობრივად არსებული გამიჯვნის შესაბამისად. ამასთან ფაქტობრივად გამიჯვნის შესაბამისად ნ. ტ-ს უკავია 142 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №2, №3), ხოლო მ. ჯ-ას და გ. გ-ის 163 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1);

4. რაიონის არქიტექტორის 1985 წლის 8 თებერვლის წერილის თანახმად, ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე საერთო სარგებლობის ეზოს ფართი შეადგენს 322 კვ.მ-ს, რომელსაც ქუჩიდან აქვს ორი შესასვლელი, ერთით სარგებლობს თუმანოვას ოჯახი, რომელიც მთლიანად იზოლირებულია სხვა თანამფლობელებისაგან დიდი ხნის წინათ თვითნებურად მოწყობილი ეზოს გამყოფი ღობით, მეორეთი კი მ. ჯ-ა და გ-ის ოჯახი;

5. სადავო არ არის, რომ მ. თ-ა წარმოადგენს ამჟამინდელი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების წინამორბედ მესაკუთრეს;

6. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ერთ-ერთმა თანამესაკუთრემ, მოპასუხე მ. ჯ-ამ სარჩელი ცნო. ამასთან, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გამართულ სასამართლო სხდომაზე მ. ჯ-ამ განმარტა, 1978 წლიდან, ანუ მის მიერ სადავო უძრავი ნივთის შექმნისას, მიწის ნაკვეთი უკვე იყო გამიჯნული ეზოს გამყოფი ღობით და თანამესაკუთრეები იზოლირებულად სარგებლობდნენ დაკავებული ფართებით. მ. ჯ-ას მითითებით, სწორედ მისი უშუალო მონაწილობით აშენდა ის სახლი, რომელიც ამჟამად ირიცხება მის და გ. გ-ის თანასაკუთრებაში და აღნიშნული ღობე შეიცვალა მათი კუთვნილის სახლის ყრუ კედლით, რომელიც 1991 წლიდან დღემდე ასევე იზოლირებულად მიჯნავს მიწის ნაკვეთებს. გაყოფილი ნაკვეთები ერთმანეთისაგან იზოლირებულია და გააჩნიათ ცალ-ცალკე შესასვლელი (იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.03.2013წ. სხდომის ოქმი CD დისკზე 12:55:40- 12:56:13, 12:58:06-12:58:33).

7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვით დგინდება, რომ ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე საეზოვე ნაკვეთი ამჟამად, ფაქტობრივად, გაყოფილია №1 და №2 საცხოვრებელი სახლების გასწვრივ ყრუ კედლებით, რომელზეც მდებარე №1 სახლი (ორსართულიანი მანსარდით) შეადგენს 163 კვ.მ-ს, ხოლო ნაკვეთის ფართი, რომელზეც №2 და №3 საცხოვრებელი სახლები მდებარეობს, არის 142 კვ.მ; №1 და №2 საცხოვრებელ სახლებს

ერთმანეთის მხარეს არ გააჩნიათ ღიობები (ფანჯარა, კარები და სხვა). გაყოფილი ნაკვეთები ერთმანეთისაგან იზოლირებულია და გააჩნიათ ცალ-ცალკე შესასვლელი;

8. აპელანტი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე საეზოვე ნაკვეთი ამჟამად, ფაქტობრივად, გაყოფილია №1 და №2 საცხოვრებელი სახლების გასწვრივ ყრუ კედლით, საცხოვრებელ სახლებს ერთმანეთის მხარეს არ გააჩნიათ ღიობები (ფანჯარა, კარები და სხვა) და გაყოფილ ნაკვეთებს გააჩნიათ ცალ-ცალკე შესასვლელი, თუმცა მიუთითებს, რომ ის, როგორც თანამესაკუთრე, სარგებლობს მიწის ნაკვეთის სადავო 142 კვ.მ-ით, ვინაიდან გ. გ-სა და მ. ჯ-ას კუთვნილი სახლიდან ჩამონადენი წყალი სამხრეთ გზაზე არსებულ ქ-ის ქუჩაზე გაედინება სწორედ 142 კვ.მ ფართის ეზოს მეშვეობით;

9. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 30 მაისის №016977-2012/03/1 დასკვნის მიხედვით, დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ა-ის №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთის გაყოფა ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია ისე, როგორც ის ამჟამად არის გაყოფილი, ასე გაყოფის შემთხვევაში №1 საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის საეზოვე ნაკვეთი იქნება 163 კვ.მ, ხოლო №2 საცხოვრებელი სახლისა და №3 ნაგებობის მესაკუთრის საეზოვე ფართი – 142 კვ.მ.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ საფუძველზე, რაც გახდა მიწის ნაკვეთის მხარეთა საკუთრებაში გადაცემის საფუძველი. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლმა საკუთრებად გამოაცხადა ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები მდებარეობს. აღნიშნული ნორმა გარდამავალი სახისაა და წარმოშობს უფლებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე. ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას და გაიცემოდა მხოლოდ სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეთა პირად საკუთრებაში შეიძლება, ყოფილიყო მხოლოდ საცხოვრებელი სახლი, ხოლო მიწა, ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად, რჩებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში.

სასამართლოს განმარტებით, ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლები მდებარე-

ობს, გამოაცხადა ამ პირთა საკუთრებად და მათზე გავრცელდა უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირთა ერთობლივ კანონიერ სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთები გამოცხადდა მათ თანასაკუთრებად. ამდენად, სადავო უძრავი ქონება მიჩნეულ იქნა აღნიშნულ პირთა უფლებამონაცვლეების თანასაკუთრებად. უმეტეს შემთხვევაში, სახლის თანამესაკუთრებმა სარგებლობაში არსებული მიწები შეთანხმების საფუძველზე ღობით ან სხვა სახის მყარი ნაგებობით გამიჯნეს ან ისინი წლების განმავლობაში სარგებლობდნენ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის ნაწილით. ასეთ შემთხვევაში, მათ საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც მათ უშუალო სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა მთელს მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიმაგრებული იყო მათ საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მიწა გახდა არა თანასაკუთრების, არამედ ამ პირთა დამოუკიდებელი საკუთრების საგანი. ასეთი უფლება გავრცელდა მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც სარგებლობენ ეს პირები.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, სადავო მიწის ნაკვეთზე განთავსებულია №1, №2 და №3 ნაგებობები, აქედან №1 ნაგებობის მესაკუთრეებს წარმოადგენენ მ. ჯ-ა და გ. გ-ე, ხოლო №2 და №3 ნაგებობის მესაკუთრეა ნ. ტ-ი. მ. ჯ-ას სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება №1 შენობა-ნაგებობიდან საერთო ფართობით 256 კვ.მ – II სართული 81.78 კვ.მ, ასევე მანსარდა 72.76 კვ.მ, გ. გ-ის სახელზე აღრიცხულია №1 შენობა-ნაგებობიდან საერთო ფართობი 256 კვ.მ I სართული 79.47 კვ.მ 305 კვ.მ მიწის ნაკვეთი თანამესაკუთრეებს, ერთი მხრივ, გ. გ-სა და მ. ჯ-ას, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. ტ-ს შორის ფაქტობრივად გამიჯნულია ღობით და მხარეები უძრავი ქონებით სარგებლობენ გამიჯვნის შესაბამისად. ამასთან, ნ. ტ-ს უკავია 142 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №2, №3), ხოლო მოპასუხეებს – მ. ჯ-სა და გ. გ-ეს 163 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1). ეს კი ნიშნავს, რომ ეზო წარმოადგენს არა მათ თანასაკუთრებას თანაბარი წილის უფლებით, არამედ თითოეული მათგანის საკუთრების უფლება ვრცელდება მის სარგებლობაში არსებულ ფართზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საფუძვლიანია ნ. ტ-ის მოთხოვნა საზიარო ქონებიდან მისი წილის გამოყოფა მოხდეს მხარეთა მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების შესაბამისად.

რაც შეეხება გ. გ-ის პრეტენზიას ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №025843-2012/03/1 2012 წლის 6 აგვისტოს დასკვნის შედგენისას ექსპერტიზა ჩატარდა მოპასუხე გ. გ-ის განცხადების საფუძველზე, ექსპერტიზის წინაშე დასმული შეკითხვების შესაბამისად, კერძოდ, ექსპერტიზის წინაშე დასმული იყო შემდეგი შეკითხვა: ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა რეალურად (ნატურით) გაიყოს ქ. თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე ეზოს ნაკვეთი მის თანამესაკუთრეთა შორის, ამ ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობებში თითოეული მესაკუთრის ნაწილის პროპორციულად. პასუხად ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სახლთმფლობელობაში არსებული განაშენიანებისაგან თავისუფალი (ცარიელი) მიწის ნაკვეთის გამოიჯვნა ნატურით მხარეთა შორის, შენობებში მათ მიერ დაკავებული ფართების პროპორციულად ისე, რომ არ დარღვეულიყო სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, იყო შეუძლებელი. ამდენად, აღნიშნული საექსპერტო დასკვნით მოცემულია თითოეულ თანამესაკუთრეს შორის შენობებში მათ მიერ დაკავებული ფართების პროპორციულად სახლთმფლობელობაში არსებული განაშენიანებისაგან თავისუფალი (ცარიელი) მიწის ნაკვეთის ნატურით გამოიჯვნის შეუძლებლობა, მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიწის ნაკვეთი უნდა გაიყოს არა მის თითოეულ თანამესაკუთრეს შორის შენობებში მათ მიერ დაკავებული ფართების პროპორციულად, არამედ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ფართების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 6 აგვისტოს დასკვნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. გ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ ნ. ტ-ს უპირატესობა მიანიჭა და არ გაითვალისწინა დანარჩენი მესაკუთრეების ინტერესები. არასწორად დადგინდა, რომ 142 კვ.მ-ს ნ. ტ-ი დამოუკიდებლად ფლობს. ეზოს ამ ფართობით დღემდე სარგებლობს ორივე მოპასუხე. №1 სახლის სახურავიდან ჩამონადენი და ეზოში დაგროვილი წყალი იმ 142 კვ.მ ეზოს მეშვეობით გაედინება სამხრეთით მდებარე ქ-ის ქუჩაზე. საკადასტრო გეგმაზე აღნიშნული არხი კარგად ჩანს. ამ გარემოებებს არც ნ. ტ-ი უარყოფდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინსწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგინებულ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №...) დაზუსტებული ფართი შეადგენს 305 კვ.მ-ს. მიწის ნაკვეთზე აღმართულია №1, №2 და №3 ნაგებობები, აქედან №1 ნაგებობის მესაკუთრეებს წარმოადგენენ მ. ჯ-ა და გ. გ-ე, ხოლო №2 და №3 ნაგებობის მესაკუთრეა ნ. ტ-ი. მ. ჯ-ას სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება №1 შენობა-ნაგებობიდან საერთო ფართობით 256 კვ.მ, II სართული 81.78 კვ.მ ასევე მანსარდა 72.76 კვ.მ, გ. გ-ის სახელზე აღრიცხულია №1 შენობა-ნაგებობიდან საერთო ფართობით 256 კვ.მ, 79.47 კვ.მ I სართული;

2. საჯარო რეესტრის მონაცემებით, მიწის ნაკვეთზე მესაკუთრეთა წილები განსაზღვრული არ არის;

3. ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე 305 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...) თანამესაკუთრეებს, ერთი მხრივ, გ. გ-სა და მ. ჯ-ას, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. ტ-ს შორის ფაქტობრივად გამიჯნულია და მხარეები უძრავი ქონებით სარგებლობენ ფაქტობრივად არსებული გამიჯვნის შესაბამისად. ამასთან, ფაქტობრივად გამიჯვნის შესაბამისად, ნ. ტ-ს უკავია 142 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №2, №3), ხოლო მ. ჯ-ას და გ. გ-ეს 163 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1);

4. რაიონის არქიტექტორის 1985 წლის 8 თებერვლის წერილის თანახმად, ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე საერთო სარგებლობის ეზოს ფართი შეადგენს 322 კვ.მ-ს, რომელსაც ქუჩიდან აქვს ორი შესასვლელი, ერთით სარგებლობს თუმანოვას ოჯახი, რომელიც მთლიანად იზოლირებულია სხვა თანამფლობელებისაგან დიდი ხნის წინათ თვითნებურად მოწყობილი ეზოს გამყოფი ღობით, მეორეთი კი მ. ჯ-ა და გ-ის ოჯახი;

5. სადავო არ არის, რომ მ. თ-ა წარმოადგენს ამჟამინდელი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების წინამორბედ მესაკუთრეს;

6. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ერთ-ერთმა თანამესაკუთრემ, მოპასუხე მ. ჯ-ამ სარჩელი ცნო. ამასთან, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამო-

ქალაქო საქმეთა პალატაში გამართულ სასამართლო სხდომაზე მ. ჯ-ამ განმარტა, 1978 წლიდან, ანუ მის მიერ სადავო უძრავი ნივთის შექმნისას, მიწის ნაკვეთი უკვე იყო გამიჯნული ეზოს გამყოფი ღობით და თანამესაკუთრეები იზოლირებულად სარგებლობდნენ დაკავებული ფართებით. მ. ჯ-ას მითითებით, სწორედ მისი უშუალო მონაწილობით აშენდა ის სახლი, რომელიც ამჟამად ირიცხება მის და გ. გ-ის თანასაკუთრებაში და ღობე შეიცვალა მათი კუთვნილის სახლის ყრუ კედლით, რომელიც 1991 წლიდან დღემდე ასევე იზოლირებულად მიჯნავს მიწის ნაკვეთებს. გაყოფილი ნაკვეთები ერთმანეთისაგან იზოლირებულია და გააჩნიათ ცალ-ცალკე შესასვლელი (იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.03.2013წ. სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი 12:55:40- 12:56:13, 12:58:06-12:58:33);

7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დგინდება, რომ ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე საეზოვე ნაკვეთი ამჟამად ფაქტობრივად გაყოფილია №1 და №2 საცხოვრებელი სახლების გასწვრივ ყრუ კედლებით, რომელზეც განთავსებული №1 სახლი (ორსართულიანი მანსარდით) შეადგენს 163 კვ.მ-ს, ხოლო ნაკვეთის ფართი, რომელზეც №2 და №3 საცხოვრებელი სახლები მდებარეობს, არის 142 კვ.მ; №1 და №2 საცხოვრებელ სახლებს ერთმანეთის მხარეს არ გააჩნიათ ლიობები (ფანჯარა, კარები და სხვა). გაყოფილი ნაკვეთები ერთმანეთისაგან იზოლირებულია და გააჩნიათ ცალ-ცალკე შესასვლელი;

8. აპელანტი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ ქალაქ თბილისში, ა-ის ქ. №42-ში მდებარე საეზოვე ნაკვეთი ამჟამად ფაქტობრივად გაყოფილია №1 და №2 საცხოვრებელი სახლების გასწვრივ ყრუ კედლით, საცხოვრებელ სახლებს ერთმანეთის მხარეს არ გააჩნიათ ლიობები (ფანჯარა, კარები და სხვა) და გაყოფილი ნაკვეთებს გააჩნიათ ცალ-ცალკე შესასვლელი, თუმცა მითითებს, რომ ის, როგორც თანამესაკუთრე, სარგებლობს მიწის ნაკვეთის სადავო 142 კვ.მ-ით, ვინაიდან გ. გ-სა და მ. ჯ-ას კუთვნილი სახლიდან ჩამონადენი წყალი სამხრეთ გზაზე არსებულ ქ-ის ქუჩაზე გაედინება სწორედ 142 კვ.მ ეზოს მეშვეობით;

9. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 30 მაისის №016977-2012/03/1 დასკვნის მიხედვით, დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ა-ის №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთის გაყოფა ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია ისე, როგორც ის ამჟამად არის გაყოფილი, ასე გაყოფის შემთხვევაში №1 საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის საეზოვე ნაკვეთი იქნება 163 კვ.მ, ხოლო №2

საცხოვრებელი სახლისა და №3 ნაგებობის მესაკუთრის საე-  
ზოვე ფართი – 142 კვ.მ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლზე მი-  
თითებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებს  
საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ  
ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კო-  
დექსის ამოქმედებამდე და არა – მთელ მიწის ნაკვეთზე, რო-  
მელიც მიმაგრებული იყო მათ საერთო საკუთრებაში არსებულ  
საცხოვრებელ სახლზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მიწა გახ-  
და არა თანასაკუთრების, არამედ – ამ პირთა დამოუკიდებელი  
საკუთრების საგანი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამარ-  
თლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გა-  
რემოებები.

საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაში, მიუთითებს მსგავ-  
სი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამარ-  
თლოს პრაქტიკაზე (იხ. მაგ. სუსგ №ას-321-306-2013) და გან-  
მარტავს, რომ ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების  
გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილე-  
ბის დასაბუთება შედგება ორ ნაწილისაგან. პირველი, სააპელა-  
ციო სასამართლო უთითებს, რომ 1997 წლამდე (ახალი სამოქა-  
ლაქო კოდექსის ამოქმედებამდე) მხარეთა საკუთრებაში არ-  
სებული ფართების წინამორბედი მესაკუთრეები შეთანხმდნენ  
მათ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლო-  
ბის წესზე და 1997 წლის შემდგომაც სარგებლობდნენ შეთან-  
ხმებული წესის დაცვით.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სა-  
აპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მეზობ-  
ლებს შორის არსებობდა შეთანხმება თანასაკუთრებაში არსე-  
ბული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ  
სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე მხარეებს  
საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ  
ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კო-  
დექსის ამოქმედებამდე და არა – მთელ მიწის ნაკვეთზე.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავას-  
კვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით,  
მხარეები წარმოადგენენ მესაკუთრეებს ფაქტობრივად მათ  
სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რაც განსხვავდება  
საჯარო რეესტრის ჩანაწერისაგან.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია,

შეიძლება თუ არა მხარეები შეთანხმდნენ თანასაკუთრების სარგებლობის ისეთ წესზე, რომლითაც მესაკუთრეს სამუდამოდ ეზღუდება საკუთრებით სარგებლობა? შესაძლებელია თუ არა სარგებლობის წესზე მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები, იმის თაობაზე, რომ მხარეები არიან სადავო ნაკვეთის თანამესაკუთრეები, კონკრეტული წილების მითითების გარეშე?

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თანახმად, მეზობლები შეთანხმებულები იყვნენ მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე ჯერ კიდევ 1978 წლიდან, შეფასებულ უნდა იქნეს იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცემოდა სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე, ხოლო მიწის ნაკვეთი მათ გადაეცემოდათ სარგებლობაში.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის წესს არეგულირებდა იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობა, კერძოდ, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, მოქალაქეს მიწის ნაკვეთი სარგებლობაში გადაეცემოდა ამ საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ საფუძვლების მე-20 მუხლის თანახმად, მოქალაქეს უფლება ჰქონდა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიეღო მფლობელობაში მიწის ნაკვეთი და ესარგებლა ამ მიწის ნაკვეთით სიცოცხლის ბოლომდე მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების გადაცემით გადადიოდა, ასევე, მიწის ნაკვეთზე მფლობელობის უფლება (საფუძვლების მე-10 მუხლი). ამასთან ერთად, მიწის მფლობელებს ჰქონდათ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა ან მისი ნაწილის მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით (საფუძვლების მე-16 მუხლის მე-7 ქვეპუნქტი), ხოლო ამავე ნორმატიული აქტის 53-ე მუხლი ითვალისწინებდა უკანონო გარიგებების და-



დებისას პასუხისმგებლობას, რომლის თანახმად ბათილია მიწის ნაკვეთების თაობაზე დადებული ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებები. ასევე გასათვალისწინებელია იმ დროს მოქმედი საქართველოს მიწის კოდექსის (1971 წლის 1 ნოემბერი) 151-ე მუხლი, რომლის თანახმად მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, ჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცვლა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

შესაბამისად, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, ისიც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს თანაზიარი საკუთრების უფლების სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმებას, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება ან იზღუდება ამ წესების საწინააღმდეგოდ. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხულია სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, მაშინ პატივსაცემი მიზეზის არსებობისას გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ მეზობლები 1978 წლისათვის შეთანხმებულები იყვნენ მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე, ზემოაღნიშნული ნორმები ცხადყოფს, რომ იმ დროს არსებული კანონი არ ითვალისწინებდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის სახელმწიფოსაგან მფლობელობაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მფლობელის მიერ სხვა პირის მფლობელობაში სამუდამოდ გადაცემას. მიწის გასხვისება არ დაიშვებოდა, შესაბამისად, ამ მიწის ნაკვეთის გასხვისების ან სხვაგვარი გადაცემის ხელშეკრულება იყო ბათილი.

მოქმედი სამართლებრივ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების შემთხვევაშიც კანონი ითვალისწინებს პატივსაცემი მიზეზის არსებობისას გაუქმებულ იქნეს სამუდამოდ განსაზღვრული თანასაკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობის შეთანხმება. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივი გარემოებათა თავისებურების გათვალისწინებით, არასწორად განმარტა საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი.

განსახილველი ნორმის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლები მდებარეობს, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ამ პირთა საკუთრებად მიიჩნევა და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. შესაბამისად, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, გარდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებისა, ამიტომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი უთითებს ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე. „კანონიერ სარგებლობაში“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ინდივიდუალურ ბინათმშენებლობისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, შესაბამისად, კანონის სანინააღმდეგოდ დანვრისაგან იხილეთ ზემოთ) მოპოვებული სარგებლობა არ წარმოადგენს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას. ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება, რომლითაც ხდებოდა ამ მიწის ნაკვეთებზე ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებების დადება, ბათილი იყო.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ სააპელაციო სასამართლოს შეფასებებზე, რომლითაც, სასამართლოს მოსაზრებით, ნ, ტ-სა და გ.გ-ის წინამორბედები სამუდამოდ შეთანხმდნენ ნაკვეთით

სარგებლობის წესზე, საიდანაც გამომდინარეობს, რომ კასატორი არ იყო განაშენიანობისაგან თავისუფალი მთელი მიწის ნაკვეთის კანონიერი მოსარგებლე, და, შესაბამისად, ის ვერ იქნება ცნობილი ამ მიწის ნაკვეთის ერთ-ერთ მესაკუთრედ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის მიხედვით. უფლებათა შორის კონფლიქტზე მიგვითითებს საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლის თანახმად, კასატორი რჩება სადავო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრედ. მხარეები სადავო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეები არიან, თუმცა განსაზღვრული არ არის მათი წილები.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობის ამგვარი წესი გრძელდებოდა 1997 წლის შემდეგაც, ანუ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის პირობებში.

ამ შემთხვევაშიც, როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ურთიერთობას, რომლითაც სარგებლობის წესით ისაბობა საკუთრების უფლება. ამ ნორმის ზემოთ მოყვანილი განმარტებასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ყურადსაღებია საკუთრების სოციალური ფუნქცია, რომელიც გარკვეულ წილად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულია, რომ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით...“

აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერი და სახელმეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას გააჩნია თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ, შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება. საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია, უნდა შენარჩუნდეს, ამდენად, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელი იყო სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემა ან ერთი ფიზიკური პირის მიერ მეორესათვის სარგებლობის სამუდამოდ დათმობა (მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-16, 53-ე მუხლები). მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების შექენისათვის აუცილებელია, დაცული იყოს ამავე კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნები, რომელიც მოითხოვს გარიგების წერილობითი ფორმით დადებას და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, ხოლო საკუთრებაში არსებული ნივთის სხვა პირის სარგებლობით სახელმეკრულებო ბოჭვამ არ უნდა მოსპოს საკუთრების უფლება (საქართველოს სამოქალაქო კო-

დექსის 170-ე და 961-ე მუხლები), ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მხარეთა შეთანხმება მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე არ აუქმებს ან ცვლის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების რეჟიმს, შესაბამისად, ამ საქმეზე მხარეთა საკუთრების უფლების დადგენისათვის უპირატესობა ენიჭება საჯარო რეესტრის ჩანაწერს.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებში არ არის მითითებული თითოეულის კუთვნილი წილი სადავო ნაკვეთზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი, ხოლო იმავე კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ „ერთგვაროვანი ნაწილები“ ამ მუხლის მიზნებისათვის გულისხმობს სრულფასოვან დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთებს და არა თანაბარი ფართის მქონე ნაკვეთებს და მიუთითებს, რომ ამ ნორმაში სწორედაც რომ ტოლ ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობაზეა საუბარი, ვინაიდან, თუ მხარეთა წილები წინასწარ განსაზღვრული არ არის ხელშეკრულების ან საკუთრების უფლების წარმომშობი სხვა დოკუმენტის საფუძველზე, მხარეები საზიარო საგნის თანაბარი წილის უფლებით სარგებლობენ, სწორედ ამგვარად უნდა გაიყოს მათ შორის ნატურით საზიარო უფლების საგანი და დაუშვებელია, რომელიმე მესაკუთრის წილის გაზრდა სხვა მესაკუთრის ხარჯზე. ისეთ შემთხვევაში, თუ სადავო ქონება ღირებულების შემცირების გარეშე ვერ გაიყოფა თანაბარ ნაწილებად ან მხარეთა კუთვნილი წილების პროპორციულად, სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. მიწის ნაკვეთის შემთხვევაში გამოიყენება აუქციონზე უძრავი ქონების იძულებითი გაყიდვის წესები. თუ დაუშვებელია საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მონილევებს შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა ექსპერტის დასკვნით, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთი შესაძლებელია, გაიმიჯნოს იმგვარად, როგორც მხარეები ფაქტობრივად ფლობენ,

ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, სარგებლობის წესზე შეთანხმება არ ცვლის საკუთრების უფლების თაობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია და მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების საფუძველზე მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

იმავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს სადავო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეთა შორის ვაცოფის შესაძლებლობები, იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინების დასაბუთებით და დავა იმგვარად გადაწყვიტოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საზიარო უფლების გაუქმება

## ბანჩინება

№ას-1165-1094-2012

25 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება

### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. მ-ის მიმართ საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმების შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

მხარეებს თანაბარნილად თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნით ქ.თბილისში, ა-ის შესახვევში №6-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი. მოპასუხე მოსარჩელესთან შეუთანხმებლად აქირავებს სადავო ბინას და სარგებელს მთლიანად ითვისებს.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია სადავო უძრავი ნივთის ნატურით გაყოფა, რაზეც მოპასუხე ნებაყოფლობით არ დათანხმდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არაერთხელ შესთავაზა ლ. ა-ს სახლთმფლობელობის პირველი სართულის ნაწილით სარგებლობა, მაგრამ მოსარჩელეს აღნიშნულის სურვილი არ გამოუთქვამს. სახლის მეორე სართულზე კი დათმობის წესით ცხოვრობს ო-ის ოჯახში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის განჩინებით ლ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2012 წლის 27 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მო-

პასუხე გ. მ-ი, რომელიც სასამართლო სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი განწყვეტილების გამოტანა და მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები ითვლება დადასტურებულად, მაგრამ დაუსწრებელ განწყვეტილებას მოსარჩელის სასარგებლოდ სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს, თუ დადასტურებულად (დამტკიცებულად) ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას, ხოლო თუ არ ამართლებენ, მაშინ სასამართლო გამოიტანს განწყვეტილებას სარჩელზე უარის თქმის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც სასამართლომ საქმის მასალებიდან გამოარკვია, ლ. ა-ი და გ. მ-ი წარმოადგენენ ქ.თბილისში, ა-ის შესახვევის №6-ში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრეებს, 3/6-3/6 წილების შესაბამისად.

საქმეში წარმოდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 8 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №5-002195-2011 დასკვნის თანახმად, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება, მხარეთა წილების შესაბამისად, ტექნიკურად შესაძლებელია შემდეგი გადაკეთებების ჩატარების პირობებში, კერძოდ, №2 დანართში მითითებული ზომების მიხედვით, უნდა გადაიტისხროს №1 საცხოვრებელი ოთახი; №11 ოთახსა და №21 შემინულ აივანს შორის, ასევე, №1 საცხოვრებელ ოთახსა და №2 შემინულ აივანს შორის მდებარე ფანჯრების ღიობები გადაკეთდეს კარების ღიობებად: №1 საცხოვრებელ ოთახსა და №2 შემინულ აივანს შორის მდებარე კარების ღიობი შეივსოს აგურის ან ბლოკის წყობით, მოეწყოს ტიხარი №21 და №2 შემინულ აივნებს შორის, ხოლო ეზოდან დამატებით მოეწყოს კარების ღიობი.

სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა ზემოაღნიშნული დამტკიცებულად ჩათვლა ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 953-ე მუხლისა და 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ლ. ა-ი სარჩელით

ითხოვს საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით. შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას უნდა დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა საზიარო საგნის წილების ნატურით გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად წილთა ღირებულების შემცირების გარეშე.

სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 8 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №5-002195-2011 დასკვნის თანახმად, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება მხარეთა წილების შესაბამისად ტექნიკურად შესაძლებელია გადაკეთების ჩატარების პირობებში.

სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო უფლებიდან გამომდინარე, მოთხოვნის რეალიზაცია დამოკიდებულია ამ უფლების მფლობელ პირთა მდგომარეობასა და ინტერესებზე. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას დასაშვებია საზიარო უფლების მონაწილეთა წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზიარო საგნის (საგნების) ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. ერთგვაროვნებასთან ერთად გაყოფამ საზიარო საგანს არ უნდა დაუკარგოს ის სამომხმარებლო ღირებულება, რაც მას გაყოფამდე გააჩნდა. ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება და არა მხოლოდ ფულადი ერთეულით გამოხატული ღირებულება. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი უშვებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფას ნივთის (საზიარო საგნის) ტექნიკურად ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში, თუმცა არ შეიცავს არავითარ დათქმას საზიარო საგნის სათანადო გადაკეთებების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებზე. როგორც დასახელებული ნორმის დანაწესი მიუთითებს, საზიარო საგნის ნატურით გაყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი გაყოფის შედეგად არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას და გამოყოფილი ნაწილები იქნება ერთგვაროვანი როგორც ფუნქციონალური, თვისობრივი, ასევე, მისგან გამომდინარე ღირებულების თვალსაზრისით, რაშიც იგულისხმება ობიექტის საყოფაცხოვრებო დანიშნულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სხდომაზე მოსარჩელემ წარადგინა ექსპერტის დასკვნები: 2011 წლის 1 ივნისის №5-009595-2011 და 2011 წლის 1 ივლისის №5-012217-2011, რომლებიც მოპასუხის თანხმობით დაერთო საქმის მასალებს. 2011 წლის 1 ივნისის №5-009595-



2011 დასკვნის შესაბამისად, საზიარო საგნის ნატურით გაყოფა შესაძლებელია სათანადო გადაკეთებების პირობებში, ხოლო 2011 წლის 1 ივლისის №5-012217-2011 დასკვნის შესაბამისად, საცხოვრებელ ბინაში შესაძლებელია მხოლოდ მცირე მოცულობის ტექნიკური სამუშაოების წარმოება, რომელიც დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდება დაზიანებული ნაწილების გამაგრებითი სამუშაოები.

წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საცხოვრებელი სახლის ნატურით გაყოფა გამაგრებითი სამუშაოებისა და სათანადო გადაკეთებების გარეშე შეუძლებელია. ამდენად, წარმოდგენილ დასკვნებში მითითებული ნივთის ნატურით გამიჯვნის ფორმები სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ მოთხოვნებს არ შეესაბამება. პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმებასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და მართებულად არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ა-ამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: იქედან გამომდინარე, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი არ ითვალისწინებს არანაირ დათქმას საზიარო საგნის სათანადო გადაკეთების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებზე, მცირედი გადაკეთების შედეგად საზიარო საგნის ცალკეული ნაწილი თუ შეინარჩუნებს სამომხმარებლო ღირებულებას, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს 963-ე მუხლს. აღნიშნული მცირე რეკონსტრუქციის შესაძლებლობა ექსპერტიზის მიერაა დადგენილი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება და თვლის, რომ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მხულის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ლ. ა-ი და გ. მ-ი წარმოდგენენ ქ.თბილისში, ა-ის შესახვევის №6-ში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრეებს, 3/6-3/6

წილების შესაბამისად.

სსიპ „ლევეან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 8 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №5-002195-2011 დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება, მხარეთა წილების შესაბამისად, ტექნიკურად შესაძლებელია გადაკეთებების ჩატარების პირობებში, კერძოდ: №2 დანართში მითითებული ზომების მიხედვით, უნდა გადაიტვიხროს №1 საცხოვრებელი ოთახი; №11 ოთახსა და №21 შემინულ აივანს შორის, ასევე, №1 საცხოვრებელ ოთახსა და №2 შემინულ აივანს შორის მდებარე ფანჯრების ღიობები გადაკეთდეს კარების ღიობებად; №1 საცხოვრებელ ოთახსა და №2 შემინულ აივანს შორის მდებარე კარების ღიობი შეივსოს აგურის ან ბლოკის წყობით; მოეწყოს ტიხარი №21 და №2 შემინულ აივნებს შორის, ხოლო ეზოდან დამატებით მოეწყოს კარების ღიობი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2012 წლის 27 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე გ. მ-ი, რომელიც სასამართლო სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი განწყვეტილების გამოტანა და მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შესაძლებლობის თაობაზე საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნების მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ერთგვაროვნებასთან ერთად გაყოფამ საზიარო საგანს არ უნდა დაუკარგოს ის სამომხმარებლო ღირე-

ბულება, რაც მას გაყოფამდე გააჩნდა. ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება და არა მხოლოდ ფულადი ერთეულით გამოხატული ღირებულება.

როგორც საქმის მასალების ანალიზიდან ირკვევა, მოსარჩელე უთითებს საზიარო უფლების გაუქმების შესაძლებლობაზე და ამის დასადასტურებლად მან სასამართლოს წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნები, თუმცა, არცერთი დასკვნა არ იძლევა პასუხს კითხვაზე საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შემთხვევაში, შემცირდება თუ არა გაყოფილი ნაწილების ღირებულება. საყურადღებოა საქმეში წარმოდგენილი 2011 წლის 8 თებერვლის დასკვნა, რომლის თანახმადაც სადაო სახლიდან 3/6-3/6 იდეალური წილების შესაბამისად მხარეებზე გაყოფა შესაძლებელია შემდეგნაირად: მოდავეთა ერთ მხარეს გამოეყოს სახლის პირველი სართული, ხოლო მეორე სართული გამოეყოს მეორე მხარეს. ასევე ექსპერტის მიერ იმავე და 2011 წლის 1 ივნისის დასკვნაში შემოთავაზებულია მხოლოდ პირველი სართულისა და სარდაფის გაყოფის გეგმა, ხოლო მეორე სართულთან მიმართებაში ექსპერტის წინაშე კითხვა არ დასმულა. ამდენად გარდა იმისა, რომ ექსპერტის დასკვნები არ არის სრულყოფილი, მოსარჩელეს არ მიუთითებია იმის შესახებ, თუ რომელი ვარიანტით ითხოვდა იგი საზიარო უფლების გაუქმებას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს არ მიუთითებია და არ წარუდგინა სასამართლოსთვის ექსპერტის იმგვარი დასკვნა, რომელთა გაზიარების შედეგად სასამართლო გააკეთებდა დასკვნებს, რომ საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით შესაძლებელია ისე, რომ საზიარო საგანი დაიყოფა ერთგვაროვან ნაწილებად და არ შემცირდება მათი ღირებულება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შედეგად დამღარი ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

#### განჩინება

№ას-95-90-2013

14 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ა.ზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ს. ს-ამ და ა. ს-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში ი. ხ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს.

მოსარჩელებების განმარტებით, 2009 წლის 16 დეკემბერს 18:30 საათზე პ-ის ქუჩაზე მათ დაეჯახა ავტომანქ., რომელსაც მოპასუხე მართავდა. ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და კანონიერ ძალაში შესული გაჩენით ი. ხ-ე ცნობილია დამნაშავედ. შეჯახების შედეგად, ს. ს-ას დაუზიანდა მენჯის ძვლები, ხერხემალი და მიიღო ტვინის შერყევა. კლინიკა „ემერჯენსში“ და „აკადემიკოს ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“ მკურნალობის განუღმმა ხარჯებმა შეადგინა 2123 ლარი. ს. ს-ას განმარტებით, მას მომავალშიც ესაჭიროება მკურნალობა.

ა. ს-ის განმარტებით, მას დაუზიანდა თავი და კისრის მალე-

ბი, ჰქონდა ქალა-ტვინის ღია ტრავმა, განუვითარდა მწვავე სუბ-დურული ჰემატომა, ქალა-ფუძის და ქალა-სარქელის მოტეხი-ლობა. თავის ქალის მარჯვენა ნახევარსფერო შეუცვალეს პლას-ტიკით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ს. ს-ამ მო-ითხოვა მოპასუხისათვის განუული მკურნალობის ხარჯის – 2123 ლარის და გასანევი ხარჯის – 5000 ლარის გადახდის დაკისრე-ბა, ხოლო მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 90 000 ლარის გადახდა. ა. ს-მა მოითხოვა 100 000 ლარის არაქონებრივი ზია-ნის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით ნაწილობ-რივ დააკმაყოფილა ს. ს-სა და ა. ს-ის სარჩელი, კერძოდ მოპა-სუხე ი. ხ-ეს ა. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 15000 ლარის, ხო-ლო ს. ს-ას სასარგებლოდ 10000 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ი. ხ-ემ სააპელაციო წესით გა-ასაჩივრა.

ა. ს-მა და ს. ს-ამ სააპელაციო შესაგებელთან ერთად წარად-გინეს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხო-ვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გა-უქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრუ-ლად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-ლატამ 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობ-რივ დააკმაყოფილა ი. ხ-ის სააპელაციო საჩივარი, არ დააკმაყო-ფილა ს. ს-სა და ა. ს-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი, შეიც-ვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, ი. ხ-ეს ს. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა 2969 ლარის, ხოლო ა. ს-ის სასარგებლოდ – 4200 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ოქტომბრის გა.ჩენით დამტყიცდა პრო-კურორსა და ი. ხ-ეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ი. ხ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექ-სის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამავე მუხლის მე-3 ნაწი-ლით გათვალისწინებული და.შაულის ჩადენისათვის. აღნიშნუ-ლი განაჩენის მიხედვით, 2009 წლის 16 დეკემბერს, დაახლოე-ბით 18:30 საათზე ი. ხ-ე მართავდა მსუბუქ ავტომობილს და მოძ-რაობდა ქ. თბილისში, პ-ის გამზირზე, რა დროსაც დაარღვია „საგ-ზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანო-ნის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, ვერ უზრუნველ-

ყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა და გზის სავალ ნაწილზე შეეჯახა ს. ს-ას და ა. ს-ს. აღნიშნული ავტოავარიის შედეგად ს. ს-ამ მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, ხოლო ა. ს-მა – ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

პალატამ აღნიშნა, რომ გარდა საქმეში წარმოდგენილი განაჩენისა, რომლითაც უდავოდ დგინდება 2009 წლის 16 დეკემბერს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში მოპასუხე ი. ხ-ის ბრალეულობა, ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილეთა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 04.10.2010 წლის სასამართლო სხდომის ოქმი, რომელიც ასახავს ექსპერტ შსს მთავარი სამმართველოს ტექნიკური განყოფილების ავტოტექნიკური მმართველების უფროს ექსპერტ ი. ს-ის დაკითხვას, რომელმაც სისხლის სამართლის საქმეზე გასცა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული ოქმის მიხედვით, ექსპერტი განმარტავს, რომ იმ ადგილას, სადაც დაზარალებულები (ქვეითად მოსიარულეები) მოძრაობდნენ, გადასასვლელი არ არის, შესაბამისად, ამ უკანასკნელთა მიერ დარღვეულია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 23.3 და 23.5 მუხლები, რომლებიც ადგენენ ქვეითის ვალდებულებას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ექსპერტი ასევე განმარტავს, რომ განსახილველ საგზაო შემთხვევაში, ადგილი აქვს ორმაგ ბრალს, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი დაარღვიეს, როგორც დაზარალებულებმა, ასევე, განსასჯელმა. თუმცა შერეული ბრალი არ გამორიცხავს მძღოლის პასუხისმგებლობას.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა აპელანტი ი. ხ-ის პრეტენზია იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა მითითებული მტკიცებულება და მხარეთა ბრალეულობა განსაზღვრა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ არ დასტურდება მიზეზობრივი კავშირი მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ს. ს-ას მიერ მიღებულ დაზიანებასა და სარჩელზე დართულ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურების შესახებ დოკუმენტების ნაწილს შორის. საქმეში მოთავსებული დოკუმენტები, ს. ს-ას მიერ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესახებ, ეხება 2008 წელს, მაშინ როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 2009 წელს. ბუნებრივია, 2008 წელს

სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილ ხარჯებს კავშირი ვერ ექნება 2009 წელს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებულ დაზიანებასთან.

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის გამო ჩატარებული სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენაზე ს. ს-ას და.ხარჯებმა შეადგინა სულ 948.27 ლარი, კერძოდ, 16.12.2009 წლიდან 17.12.2009 წლამდე იგი მკურნალობდა შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“, სადაც გადაყვანილი იქნა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, ჩატარებული მკურნალობის ხარჯმა სულ შეადგინა 441.17 ლარი, რაც ს. ს-ამ გადაიხადა. იმავე კლინიკაში ს. ს-ამ, სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების მიზნით, გადაიხადა 38 ლარი და 115 ლარი, ანუ სულ 153 ლარი, რაც ასევე უკავშირდება ავტოსაგზაო შემთხვევას. ს. ფ. 30-ზე მოთავსებული დოკუმენტით დასტურდება, რომ 2010 წლის 7 ივლისს ს. ს-ამ შპს „ავერსის კლინიკაში“ ჩაიტარა ხერხემლის და ზურგის ტვინის სეგმენტის მრ. კვლევა, რაშიც გადახდილია 250 ლარი, ხოლო ის გარემოება, რომ ჩატარებული კვლევა მიზეზობრივ კავშირშია ავტოსაგზაო შემთხვევასთან, პალატას დადასტურებულად მიაჩნია საქმეში მოთავსებული ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ასევე გაცემულია ყიფშიძის სახელობის კლინიკის მიერ 17.09.2010 წელს და ამ მომსახურების გადახდის ღირებულება შესულია ზემოთ მითითებულ 115 ლარში.

რაც შეეხება მედიკამენტებს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საქმეში მოიპოვება სხვადასხვა დასახელების მედიკამენტების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგრამ მათგან მხოლოდ „ანოდინ-დუალი“ შეძენაზე გაწეული დანახარჯები – 104.10 ლარი უნდა დაეკისროს მოპასუხეს, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდება სხვა მედიკამენტების კავშირი მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან. მითითებული პრეპერატი „ანოდინ – დუალი“ კი, დანიშნულია ყიფშიძის სახელობის კლინიკის ნევროლოგის მიერ, რომელთანაც ს. ს-ამ სწორედ ავტოავარიის შედეგად მიღებული დაზიანებებით გამოწვეული გართულებების გამო გაიარა კონსულტაცია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში მოთავსებულია ცნობა, რომლის მიხედვით, 2009 წლის 18 დეკემბრიდან 2010 წლის 16 იანვრამდე ს. ს-ა მკურნალობდა სახალხო მკურნალ ბ. ა-ან, სხვადასხვა მოტეხილობებით, მკურნალობის ხარჯმა შეადგინა 500 ლარი, თუმცა ყიფშიძის კლინიკაში ჩატარებულ პირველად კვლევებში ავტოსაგზაო შემთხვევის შედე-

გად მიღებულ მოტივილობებზე არაფერია ნათქვამი, შესაბამისად, მოსარჩელე ვერ ადასტურებს მიზეზობრივ კავშირს განეულ ხარჯებსა და მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას შორის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელების (შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორების) მიერ მორალური ზიანის სახით მოთხოვნილი 90 000 ლარი (ს. ს-ას მოთხოვნა) და 100 000 ლარი (ა. ს-ის მოთხოვნა) არ არის გონივრული და სამართლიანი. პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ოდენობა ს. ს-ას შემთხვევაში უნდა განისაზღვროს 4 000 ლარით, ხოლო ა. ს-ის შემთხვევაში – 7 000 ლარით. ამასთან, ვინაიდან ზიანის დადგომაში ბრალი მიუძღვის როგორც მოპასუხეს, ისე მოსარჩელებს. დასაკისრებელი კომპენსაციის (მატერიალური და მორალური) ოდენობები უნდა განისაზღვროს ზიანის დადგომაში მხარეთა ბრალის მოცულობის გათვალისწინებით.

საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ ი. ხ-ის ბრალი ზიანის დადგომაში უნდა შეფასდეს 60%-ით, ხოლო, ს. ს-სა და ა. ს-ის ბრალი კი – 40%-ით. ამ პროპორციის გათვალისწინებით, ი. ხ-ეს ს. ს-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს (948+4000) 4948,27 ლარის 60%-ის – 2969 ლარის გადახდა, ხოლო ა. ს-ის სასარგებლოდ – 7000 ლარის 60%-ის – 4200 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

ს. ს-ა და ა. ს-ი მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას შემდეგი საფუძვლებით: გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999-ე, 413-ე, 408-ე მუხლები. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ზიანის მიყენების ფაქტი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით დასტურდება. საპროცესო კანონმდებლობით, მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უშუალო და პირდაპირი მტკიცებულება. საქმეში არსებული განაჩენით ცალსახად დასტურდება ი. ხ-ის მიერ ზიანის მიყენების ფაქტი და მასში, საერთოდ არ არის ნახსენები შერეული ბრალი, რასაც სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო გადაწყვეტილების გამოტანისას.

კასატორებმა ასევე აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებად გამოყენებული ექსპერტის მო-



საზრება არ არის ოფიციალური დასკვნა, ამასთანავე სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლომ მოისმინა აღნიშნული ექსპერტის დასკვნა და ამის მიუხედავად, მაინც გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, შესაბამისად ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ი. ხ-ის ბრალეულობას მომხდარ ავტო-საგზაო შემთხვევაში.

რაც შეეხება მორალური ზიანის განსაზღვრას, ამ ნაწილში კასატორებმა მიუთითეს, რომ მათ პირველ ინსტანციაში მოითხოვეს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 100 000 და 90 000 ლარის გადახდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მათი მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ი. ხ-ეს მათ სასარგებლოდ დააკისრა 15 000 და 8 000 ლარი. შეგებულ სააპელაციო საჩივარში მოითხოვეს პირველ ინსტანციაში მოთხოვნილი თანხების მოპასუხისათვის სრულად დაკისრება, სასამართლომ კი, თავისი ინიციატივით, მათდა საუარესოდ შეაბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ი. ხ-ეს გაცილებით ნაკლები თანხა დააკისრა.

კასატორების მოსაზრებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები ადასტურებდა ჯანმრთელობის დაზიანებასა და ავტო-საგზაო შემთხვევას შორის მიზეზობრივ კავშირს და სააპელაციო სასამართლომ ისინი არასწორად არ გაიზიარა. სააპელაციო სასამართლოს ასევე არასწორად აქვს დაანგარიშებული ს. ს-ას მიერ განეული მკურნალობის ხარჯები.

ი. ხ-ე ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმებას და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ი. ხ-ის ს. ს-ას სასარგებლოდ 948,27 ლარის გადახდის დაკისრებას. კასატორის მტკიცებით, მორალური ზიანის განსაზღვრისას მტკიცების ტვირთი უნდა გადასულიყო ს. ს-სა და ა. ს-ე, მათ უნდა ამტკიცონ, თუ რა სახის და ოდენობის მორალური ზიანი მიიღეს მოცემული ავტო-საგზაო შემთხვევიდან, რომელშიც თავადაც მიუძღვით ბრალი. შემთხვევის შედეგად, თავად ი. ხ-ემ მიიღო მორალური ტრავმა, რაც გამოიხატა მისი სისხლის სამართლის საქმეზე დამნაშავედ ცნობაში, პირობითი მსჯავრის დაკისრებაში, მართვის მონაწილის ერთი წლით ჩამორთმევასა და ჯარიმის სახით 3000 ლარის გადახდაში. კასატორმა ასევე მიუთითა, რომ არასწორია შერეული ბრალის პროცენტული განაწილება, რადგან მოძრაობის ნესები თავად ქვეითებმა დაარღვიეს პირველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები,

შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ი. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ასევე, არ უნდა დაკმაყოფილდეს ა. ს-ის საკასაციო საჩივარი, ხოლო ს. ს-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ი. ხ-ეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ი. ხ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნული განაჩენის მიხედვით, 2009 წლის 16 დეკემბერს, დაახლოებით 18:30 საათზე ი. ხ-ე მართავდა მსუბუქ ავტომობილს და მოძრაობდა ქ. თბილისში, პ-ის გამზირზე, რადროსაც დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა და გზის სავალ ნაწილზე შეეჯახა ს. ს-ას და ა. ს-ს. აღნიშნული ავტოავარიის შედეგად ს. ს-ამ მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, ხოლო ა. ს-მა – ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

2. გარდა საქმეში წარმოდგენილი განაჩენისა, რომლითაც დგინდება 2009 წლის 16 დეკემბერს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში მოპასუხე ი. ხ-ის ბრალეულობა, ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილეთა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 04.10.2010 წლის სასამართლო სხდომის ოქმი, რომელიც ასახავს შსს მთავარი სამმართველოს ტექნიკური განყოფილების ავტოტექნიკური მიმართულების უფროს ექსპერტ ი. ს-ის დაკითხვას. ამ უკანასკნელმა სისხლის სამართლის საქმეზე გასცა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული ოქმის მიხედვით, ექსპერტი განმარტავს, რომ იმ ადგილას, სადაც დაზარალებულები (ქვეითად მოსიარულეები) მოძრაობდნენ, გადასასვლელი არ არის, შესაბამისად, ამ უკა.სკნელთა მიერ დარღვეულია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 23.3 და 23.5 მუხლები, რომლებიც ადგენენ ქვეითის ვალდებულებას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად. ექსპერტი, ასევე, განმარტავს, რომ განსახილველ საგზაო შემთხვევაში, ადგილი აქვს ორმაგ ბრალს, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი დაარღვიეს, როგორც დაზარალებულებმა, ასევე, განსასჯელმა, თუმცა შერეული ბრალი არ გამორიცხავს მძღოლის პასუხისმგებლობას.

3. ავტოსაგზაო შემთხვევის გამო ჩატარებული სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენაზე ს. ს-ას დანახარჯებმა შეადგინა სულ 948.27 ლარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას შერეულ ბრალთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე ი. ხ-ის პასუხისმგებლობის საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი, რომელის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრი-

დან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია. ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამონვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე (სუსგ №ას-494-463-2010). მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომა გამონვეულია იმ ფაქტორების მოქმედებით, რომელთა გამოც ეს საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული. პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ასევე დაზარალებულის ბრალი, ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ ზიანის დადგომა დაზარალებულის ბრალითაცაა გამონვეული, სამოქალაქო კოდექსის 999-ე და 415-ე მუხლები ერთობლივად უნდა იქნეს გამოყენებული.

სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამონვეული.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ა. ს-სა და ს. ს-ას განმარტებას, რომ ზიანი შერეული ბრალით არ არის გამონვეული, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენში მხოლოდ ი. ხ-ის ბრალეულობაზეა საუბარი, ექსპერტის განმარტება კი, მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ი. ხ-ეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, ამდენად, სასამართლოს არ დაუდგენია განაჩენში ასახული ფაქტობრივი გარემოებები, განაჩენი განსასჯელისა და პროკურორის ბრალზე შეთანხმებას ემყარება, გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც

მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სამოქალაქო საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები ერთობლიობაში უნდა შეფასდეს და იმგვარად დადგინდეს დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, განაჩენი და სისხლის სამართლის საქმეზე ექსპერტის ახსნა-განმარტება ადასტურებს ორივე მხარის ბრალეულობას ზიანის დადგომაში, ვინაიდან საგზაო მოძრაობის წესები დაზარალებულებმაც დაარღვიეს. რაც შეეხება კასატორების არგუმენტს, რომ განაჩენში მხოლოდ ი. ხ-ის ბრალზეა საუბარი, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე განსასჯელი მხოლოდ ი. ხ-ე იყო, ამდენად, ბუნებრივია, რომ განაჩენი მისი ქმედების სამართლებრივ შეფასებას ასახავს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ ბრალის გადანაწილების პროპორციას. მოცემულ შემთხვევაში, ი. ხ-ე, როგორც ავტომანქანის, მომეტებული საფრთხის წყაროს, მძლოლი მეტი რისკის მატარებელია, ვიდრე დაზარალებულები, მიუხედავად იმისა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალი ორივე მხარეს მიუძღვის.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზე დამოკიდებული. სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ რაოდენ დიდი ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა მიაყენა რაიმე ქმედებამ დაზარალებულს.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ა. ს-მა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჯანმრთე-

ლობის მიმე დაზიანება მიიღო, ამასთან თავის ქალის ნაწილი შეუცვალეს პლასტიკით, ხოლო ს. ს-ას, მიღებული დაზიანებების გამო, ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა და მიიჩნევს, რომ, შესაბამისად, 4200 და 2400 ლარი სამართლიანი ანაზღაურებაა მათ მიერ განცდილი ფიზიკური თუ ფსიქოლოგი. ტრავმის საკომპენსაციოდ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ი. ხ-ე არ ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ს. ს-ას მკურნალობის ხარჯების დაკისრების ნაწილში, ხოლო ა. ს-ის სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება იყო, საკასაციო სასამართლომ კი, ზემოთ უკვე დაასაბუთა ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ი. ხ-სა და ა. ს-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება ს. ს-ას საკასაციო საჩივარს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. ს-ამ მე-3 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოების მიმართ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა, რომელიც გაზიარებული უნდა იქნეს, კერძოდ, სასამართლო ეთანხმება კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ მკურნალობის ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას არასრულად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილია ცნობა, რომლის მიხედვით, 2009 წლის 18 დეკემბრიდან 2010 წლის 16 იანვრამდე ს. ს-ა მკურნალობდა სახალხო მკურნალ ბ. ა-ან, სხვადახვა მოტეხილობებით, მკურნალობის ხარჯმა შეადგინა 500 ლარი, თუმცა ყიფშიძის კლინიკაში ჩატარებულ პირველად კვლევებში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებულ მოტეხილობებზე არაფერია ნათქვამი, შესაბამისად, მოსარჩელე ვერ ადასტურებს მიზეზობრივ კავშირს განუვლ ხარჯებსა და მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას შორის.

საკასაციო სასამართლო, აღნიშნულის საპირისპიროდ მითითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ტრავმატოლოგის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ს. ს-ას 2009 წლის 16 დეკემბერს გარკვეული მოტეხილობები აღენიშნებოდა, საქმეში განთავსე-

ბულ ქირურგის დასკვნაში ასევეა მოტეხილობებზე საუბარი, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მტკიცებულებები და სახალხო მკურნალ ბ. ა-ას ცნობა ერთობლივად უნდა შეეფასებინა, განესაზღვრა, იმავე დაზიანებების სამკურნალოდ მიმართა თუ არა მოსარჩელემ სახალხო მკურნალს, რაც ავარიის შემდეგ საავადმყოფოში მიყვანისას აღენიშნებოდა და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით განესაზღვრა ასანაზღაურებელი მკურნალობის ხარჯების ოდენობა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში მოიპოვება სხვადასხვა დასახელების მედიკამენტების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგრამ მათგან მხოლოდ „ანოდინ-დულის“ შეძენაზე განეული დანახარჯები — 104.10 ლარი უნდა დაეკისროს მოპასუხეს, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდება სხვა მედიკამენტების კავშირი მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ე.წ. ფორმა №100-ზე, საიდანაც ირკვევა, რომ ექიმმა ნევროლოგმა ს. ს-ას ავტოავარიასთან დაკავშირებით „ანოდინ-დულის“ გარდა, კიდევ 3 პრეპარატი დაუნიშნა, რომელთა შესაძენად განეული ხარჯი ასევე ექვემდებარება ანაზღაურებას, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება და ს. ს-ას მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების საკითხი ამგვარი შეფასების შედეგად განწყვიტოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. ა. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. ი. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  3. ს. ს-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
  4. ს. ს-ას მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს;
  5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შედეგად დამღებარი ზიანის ანაზღაურება

### გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1657-1554-2012

10 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სხეულის დაზიანების შედეგად მიყენებული  
ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ი. ჯ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს. რ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა სხეულის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, მოპასუხე შპს „ს. რ-ის“ ი. ჯ-ას სასარგებლოდ, 140 000 ლარის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2009 წლის 9 დეკემბრიდან ირიცხებოდა შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლო-



ბაში და გადიოდა საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოში. 2010 წლის 28 მაისს, 21 საათსა და 50 წთ-ზე, გასაცილებლად ჩაიბარა მატარებელი №3301, დანიშნულება „ფოთი-ხაშური“. 29 მაისს ის ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ. მოათავსეს შპს „ფი“ (დიაგნოზი – მარცხენა ტერფის ტრავმული ამპუტაცია, ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი). მოთხოვილ თანხაში (140 000 ლარში) შედის პროთეზირების (მოძრავი ტერფი ტიტანის მექანიზმებით და სილიკონის ლაინერით) ღირებულება, სიცოცხლის საშუალო ასაკის (75 წლის) გათვალისწინებით და ამავე გარემოების გათვალისწინებით, სილიკონ-ლაინერის ბუდის ღირებულება. მოსარჩელის განმარტებით, მემანქანემ დაარღვია შპს „ს. რ-სა“ და სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“ შორის დადებული, მომსახურების შესახებ შესყიდვის ხელშეკრულების ის ნორმები, რომლითაც მემანქანეს ეკრძალება მატარებლის სადგურიდან დაძვრა, სანამ არ დარწმუნდება ამ მატარებლის ლოკომოტივზე გამცილებლების არსებობაში.

მოპასუხე შპს „ს. რ-ამ“ წარმოდგენილი შესაგებლით და სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, სარჩელი არ ცნო, მიიჩნია ის უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, რის გამოც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ჯ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ჯ-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.12.2012 წლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. ჯ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „ს. რ-ას“ ი. ჯ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 13632 ლარისა და 3000 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა.

პალატამ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ი. ჯ-ა 2010 წლის 29 მაისს ასრულებდა რა სამსახურებრივ მოვალეობას – იმყოფებოდა განწესში და აცილებდა №3301 მატარებელს დანიშნულება „ფოთი-ხაშური“ – ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ და მიიღო ტრამვა. ი. ჯ-ა სასწრაფო დახმარე-

ბის მანქანით გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში დიაგნოზით – მარცხენა ტერფის ტრავმული ამპუტაცია; ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი. ამდენად, არსებობს ზიანი – ი. ჯ-ას დაუზიანდა ჯანმრთელობა. ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის – ი. ჯ-ა ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ, რამაც მისი ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ი. ზ. ძე ჯ-ა 2009 წლის 9 დეკემბრიდან ჩაირიცხა შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში და გადიოდა ვადიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოში. ი. ჯ-ა 2010 წლის 28-29 მაისს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, კერძოდ, იმყოფებოდა განაწესში და 28 მაისს, 21 საათსა და 50 წუთზე, გასაცილებლად ჩაიბარა მატარებელი №3301, დანიშნულება „ფოთი-ხაშური“.

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი რ-ის ობიექტებს იცავდა შპს „ს. რ-ან“ 2010 წლის 7 აპრილს დადებული, მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების (№შს/072) საფუძველზე. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 თავის („გადასაზიდი ტვირთების დაცვის ორგანიზაცია“) 4.3. მუხლის თანახმად, „შემსყიდველს“ (მატარებლის მემანქანეს) ეკრძალება დაცვის ქვემდებარე მატარებლის სადგურიდან დაძვრა, სანამ არ დარწმუნდება აღნიშნული მატარებლის ლოკომოტივზე „მიმწოდებლის“ თანამშრომლების (გამცილებელი პოლიციის განწესების) არსებობაში;

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შპს „ფ-ის“ მიერ გაცემული ცნობის (ფორმა №IV-100/ა) თანახმად, 2010 წლის 29 მაისს მოსარჩელე ი. ჯ-ა ზესტაფონში რკინიგზის სადგურზე ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ და სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს შპს „ფ-ი“ დიაგნოზით – მარცხენა ტერფის ტრავმული ამპუტაცია; ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი; მიღებული ტრავმის გამო, ი. ჯ-ა ვერ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რის საფუძველზეც, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის კატეგორიის დასადგენად 2010 წლის 26 ნოემბერს, შეამოწმა სსიპ შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პოლიკინიკის სამედიცინო-საკონსულტაციო კომისიამ. კომისიის მიერ შედგენილი ავადმყოფობის მონმობის (№75) თანახმად, ი. ჯ-ას დიაგნოზია: მარცხენა ტერფის ტრავმული ამპუტაცია, წვივის ძვლების მეტაფიზების დონეზე (ოპერაციის შემდგომი მდგომარეობა); აქვე, აღნიშნულია, რომ დაავადება მიღებულია

სამხედრო სამსახურის პერიოდში, 2010 წლის 29 მაისს (კომისია ეყრდნობა წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტს – ფორმა 100/ა-ს მონაცემებს). კომისიის დასკვნით, ი. ჯ-ა ცნობილ იქნა უფარვისად სამხედრო სამსახურისათვის.

საქმის მასალებით დადასტურებული არ არის ის გარემოება, რომ მოპასუხე სს „ს. რ-ის“ ქმედება იყო მართლზომიერი და არაბრალებული.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის წესით გადანაწილების შედეგად დადასტურა ზიანის ფაქტი და ასევე მოპასუხის ქმედებით განპირობებული ზიანი, შესაბამისად, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ქმედება იყო მართლზომიერი და არაბრალებული, ეკისრებოდა სწორედ მოპასუხე სს „ს. რ-ას“. პალატამ აღნიშნა, რომ სს „ს. რ-ის“ მიერ წარდგენილ შესაგებებებში მოპასუხე მხარე შემოიფარგლა მხოლოდ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ზოგადი უარყოფით, ამასთან, რაიმე მტკიცებულება, რაც შესაგებებლში მითითებულ გარემოებებს დადასტურებდა, საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გამართულ სასამართლო სხდომაზე მონაწილემდეგე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, მისი მარწმუნებლისთვის განსახილველი საქმის გარემოებები ცნობილია მხოლოდ ი. ჯ-ას სარჩელიდან და სხვა არანაირ ინფორმაციას სს „ს. რ-ა“ არ ფლობს.

განსახილველ შემთხვევაში, საყურადღებოა, რომ შემთხვევა მოხდა უშუალოდ ერთ-ერთ სარკინიგზო სადგურში და, ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო იმ პირმა, რომელიც იმყოფებოდა განაწესში და აცილებდა №3301 ფოთი-ხაშურის მატარებელს. შესაბამისად, სს „ს. რ-ა“, როგორც სტრატეგიული სატრანსპორტო დაწესებულება, ვალდებულია ფლობდეს ინფორმაციას, კონკრეტულად რა ვითარებაში მოხდა ზემოაღნიშნული უბედური შემთხვევა, ხოლო მისი, როგორც მხარის საპროცესო მოვალეობაა – ამტკიცოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალებული ქმედების არარსებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სს „ს. რ-ამ“ ვერ უზრუნველყო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურება და, ამასთან, მისი პასიურობა სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენლობაზე, უნდა განხილულიყო, როგორც მისი მტკიცების ტვირთის

ნაკლი და არა როგორც მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობა.

საპროთეზო-ორთოდიულ ცენტრ შპს „ო-ი“ წვივის პროთეზის – მოძრავი ტერფით, ტიტანის მექანიზმებით და სილიკონ ლაინერით, ღირებულება შეადგენს 4544 ლარს; სილიკონის ლაინერის ღირებულება შეადგენს 500 ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში. პროთეზის საგარანტიო ვადაა ორი წელი; სილიკონ ლაინერის ბუდის – ერთი წელი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1-ე, 317.1, 992-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ი. ჯ-ა უფლებამოსილი იყო სს „ს. რ-ან“ მოეთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რამდენადაც არსებობდა ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის კანონით გათვალისწინებული აუცილებელ წინაპირობები და 992-ე მუხლის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლზე მითითებით, პალატამ აღნიშნა, რომ ი. ჯ-ა სარჩელით ითხოვდა მოპასუხეს დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება 140 000 ლარი, რაც, მისი განმარტებით, შეადგენდა მხოლოდ პროთეზირების ხარჯს, რომელიც გათვლილია საპროთეზო-ორთოდიულ ცენტრ შპს „ო-ი“ წვივის პროთეზის საგარანტიო ვადის გათვალისწინებით. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული თანხის გამოანგარიშებისას გათვალისწინებულია სიცოხლის საშუალო ასაკი – 75 წელი.

სამედიცინო-ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფი ტემპების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წინასწარ შეუძლებელია დადგინდეს, შორეულ მომავალში როგორი იქნება წვივის პროთეზი და შესაბამისად, რა თანხა იქნება საჭირო მის შესაძენად. ამდენად, ამ ეტაპზე გონივრული იქნება სს „ს. რ-ას“ დაეკისროს მხოლოდ 6 წლის განმავლობაში საჭირო წვივის პროთეზის (მოძრავი ტერფი, ტიტანის მექანიზმებით და სილიკონ ლაინერით) ღირებულება, ანუ  $13632 (4544 \times 3 = 13632)$  ლარი და 3000 ევრო ( $500 \times 6 = 3000$ ), ხოლო, რაც შეეხება მომავალი 6 წლის შემდგომ საჭირო პროთეზირების ხარჯებს, მოსარჩელეს შესაძლებლობა ექნება, ამ ვადის გასვლის შემდგომ, უკვე ახალი რეალობის გათვალისწინებით, აღძრას სარჩელი პროთეზირებისთვის საჭირო თანხის დაკისრების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკა-

საციო წესით გაასაჩივრა სს „ს. რ-ამ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: არასწორია სასამართლოს მსჯელობა, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დადასტურდა ის გარემოება, რომ სს „ს. რ-ის“ ქმედება იყო მართლზომიერი და არა ბრალეული. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ არგუმენტად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი, რაც არ უნდა გამოეყენებინა და, ამასთან, იგი არასწორადაც განმარტა. ამასთან, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. პალატამ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, იგი გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და ფაქტობრივად დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოებები, მაშინ, როდესაც აპელანტს აღნიშნულზე პრეტენზია არ ჰქონია, კერძოდ, აპელანტი არ აპელირებდა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლზე და ასევე არ მიუთითებია აპელანტის მიერ ბრალის გარეშე რაიმე პასუხისმგებლობაზე, კერძოდ, მომეტებული საფრთხის წყაროზე, ამდენად, პალატამ არასწორად განმარტა დასახელებული ნორმა, ვინაიდან სამოქალაქო საქმის მასალებით არ დადგენილა ს. რ-ის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინსწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. ი. ჯ-ა 2010 წლის 29 მაისს ასრულებდა რა სამსახურებრივ მოვალეობას – იმყოფებოდა განაწესში და აცილებდა №3301 მატარებელს დანიშნულება „ფოთი-ხაშური“ – ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ და მიიღო ტრავმა. ი. ჯ-ა სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში დაიგნოზით მარცხენა ტერფის ტრავმული ამპუტაცია; ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი; ამდენად, არსებობს ზიანი – ი. ჯ-ას დაუზიანდა ჯანმრთელობა. ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის – ი. ჯ-ა ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ, რამაც მისი ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ი. ზ. ძე ჯ-ა 2009 წლის 9 დეკემბრიდან ჩაირიცხა შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში და გადიოდა ვადიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოში. ი. ჯ-ა 2010 წლის 28-29 მაისს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, კერძოდ, იმყოფებოდა განაწესში და 28 მაისს, 21 საათსა და 50 წუთზე, გასაცილებლად ჩაიბარა მატარებელი №3301, დანიშნულება „ფოთი-ხაშური“;

3. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი რ-ის ობიექტების დაცვას ახორციელებდა შპს „ს. რ-ან“ 2010 წლის 7 აპრილს დადებული, მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების (№შს/072) საფუძველზე. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 თავის („გადასაზიდი ტვირთების დაცვის ორგანიზაცია“) 4.3. მუხლის თანახმად, „შემსყიდველს“ (მატარებლის მემანქანეს) ეკრძალება დაცვის ქვემდებარე მატარებლის სადგურიდან დაძვრა, სანამ არ დარწმუნდება აღნიშნული მატარებლის ლოკომოტივზე „მიმწოდებლის“ თანამშრომლების (გამცილებელი პოლიციის განწესების) არსებობაში;

4. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შპს „ფ-ის“ მიერ გაცემული ცნობის (ფორმა № IV-100/ა) თანახმად, 2010 წლის 29 მაისს მოსარჩელე ი. ჯ-ა ზესტაფონში რკინიგზის სადგურზე ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ და სასწრაფო დახმარების მანქანით მიყვანილ იქნა შპს „ფ-ი“ დიაგნოზით მარცხენა ტერფის ტრავმული ამპუტაცია; ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი; მიღებული ტრავმის გამო, ი. ჯ-ა ვერ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რის საფუძველზეც, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის კატეგორიის დასადგენად 2010 წლის 26 ნოემბერს, შემოწმდა სსიპ შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პოლიკინიკის სამედიცინო-საკონსულტაციო კომისიის მიერ. კომისიის მიერ შედგენილი ავადმყოფობის მონმობის (№75) თანახმად, ი. ჯ-ას დიაგნოზია: მარცხენა ტერფის ტრავმული ამპუტაცია, წვივის ძვლების მეტაფიზების დონეზე (ოპერაციის შემდგომი მდგომარეობა); აქვე აღნიშნულია, რომ დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის პერიოდში, 2010 წლის 29 მაისს (კომისია ეყრდნობა წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტს – ფორმა 100/ა-ს მონაცემებს). კომისიის დასკვნით, ი. ჯ-ა ცნობილ იქნა უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის;

5. საქმის მასალებით დადასტურებული არ არის ის გარემოება, რომ მოპასუხე სს „ს. რ-ის“ ქმედება იყო მართლზომიერი და

არაბრალეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა გარანტირებული შედეგების უფლებით და მე-5 პუნქტში მითითებული გარემოებების მიმართ დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებულებას, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სარჩელის საფუძვლებს, ვინაიდან მოსარჩელე არ მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლზე და ასევე არ მიუთითებია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, აქედან გამომდინარე, სარჩელის საფუძვლის შეცვლა ნიშნავს იმ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას, რომლებიც თავდაპირველად იყო მითითებული მოსარჩელის მიერ თავის სარჩელში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახ-

დეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი (იხ. მაგ. სუსგ №ას-690-651-2010). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ იგი ჩავარდა მოძრავი მატარებლის ქვეშ, რის გამოც ჯანმრთელობა დაუზიანდა, რაც სს „ს. რ-ის“ პასუხისმგებლობის საფუძველი უნდა გამხდარიყო, ამდენად, სასამართლო სარჩელის საფუძვლებს არ გასცდენია. ის გარემოება, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნას სხვა სამართლებრივ ნორმებზე ამყარებდა და არა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლზე, არ ზღუდავს სასამართლოს ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენებით შეფასებინა სარჩელის საფუძველიანობა.

სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვება ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. სატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია (იხ. სუსგ №ას-494-463-2010).



საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ, მართალია, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი განსაზღვრავს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ფორმას, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ ნიშნავს, რომ დაზარალებულის ბრალი საერთოდ არ მიიღება მხედველობაში. პირველ რიგში, საყურადღებოა, რომ მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია იმ ფაქტორების მოქმედებით, რომელთა გამოც ეს საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თავად დაზარალებულის განზრახვით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია, როგორც პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ისე, ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირება. ასეთ შემთხვევებში უნდა მოხდეს თავად დაზარალებულის ბრალის გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მოპასუხეს ევალება საკუთარი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის დადასტურება სათანადო მტკიცებულებებით, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს ევალება უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, საიდანაც სარწმუნოდ უნდა დასტურდებოდეს მოხდა თუ არა შესაბამისი ინციდენტი, ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმეში არსებული მტკიცებულებები ამ თვალსაზრისით არ შეუსწავლია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც მომხდარ შემთხვევასთან, ანუ უშუალოდ ზიანის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით ინფორმაციას შეიცავს, არის შპს „ფ-ის“ მიერ გაცემული ჯანმრთელობის ცნობა (ე.წ. ფორმა 100/ა), ხოლო ავადმყოფობის მონმობა №75, რომლის საფუძველზეც ი. ჯ-ა სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად იქნა ცნობილი, ყვრდნობა ზემოაღნიშნულ ცნობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო საკითხის გადანაცვებისათვის დასაშვებია მტკიცებულება, რომელიც უშუალოდ უბედური შემთხვევის აღწერას ემყარება და საიდანაც ზუსტად ირკვევა, რა ვითარებაში მიიღო დაზარალებულმა ზიანი, მოპასუხის ქმედების მართლზომიერება, მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის, ასევე, მოცემული დავის ფარგლებში გადამწყვეტი საკითხი – იყო თუ არა ზიანი იმ განსაკუთრებული თვისებების მოქმედების შედეგი, რომელთა გამოც სატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული (სასწრაფო დახმარების სამსახურის მიერ შედგენილი აქტი და ა.შ). რაც შეეხება ე.წ „ფორმა 100-ს“ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი შედგენის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე მასში ასახული ინფორმაციიდან გამომდინარე, სათანადო მტკიცებულებად მიჩნეული ვერ იქნება, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა. სხვა ისეთი მტკიცებულება, რომლის მეშვეობითაც ზემოაღნიშნული საკითხების დამტკიცება იქნებოდა შესაძლებელი საქმეში წარმოდგენილი არ არის. მართალია, კასატორის მონინალმდევე მხარემ წარმოადგინა დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს და შეაფასებს ახალ მტკიცებულებებს, მათი ქვემდგომ ინსტანციაში წარუდგენლობის საპატიო მიზეზის მიუხედავად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანაცვლებილი ფაქტობრივ-სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

იმავე კოდექსის საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანაცვლებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანაცვლებების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, დავის გადანაცვებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია, ხოლო საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს არ შეუფასებია, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადანაცვლებილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ჯ-ას სარჩელი არ

უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, მოსარჩელე სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ ადასტურებს ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში ი. ჯ-ამ სს „ს. რ-ას“ უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1007,90 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ჯ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ი. ჯ-ას სს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 1007,90 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება

## საკიბეაი

ზიანის ანაზლაურება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის .....	3; 13
პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა .....	35
ზიანის ანაზლაურება სანარმოო ტრავმის მიყენების გამო ...	56
პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ .....	77
ნასყიდობის ხელშეკრულება .....	91; 100
ნარდობის ხელშეკრულება .....	108; 151; 174
ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველები ....	118
უფლებამონაცვლეობა იჯარის ხელშეკრულებაში საიჯარო ქირა .....	142
დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი .....	188
საზიარო უფლების გაუქმება .....	200; 215
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზლაურება დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში .....	221
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზლაურება .....	233